

## შესავალი

უძველესი დროიდან, განსაკუთრებით კი ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქიდან, აზიიდან წამოსული მთელი რიგი ხალხები და მონათესავე ტომთა გაერთიანებები, მდ. ურალზე გადასვლის შემდეგ, ზოგჯერ, აღარ აგრძელებდნენ გზას დასავლეთ ევროპისაკენ და სამომთაბარეოდ ჩრდილო კავკასიის, აზოვის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ, ასევე შავი ზღვის ჩრდილო ველებზე რჩებოდნენ. ეს ხალხები, დროთა განმავლობაში, ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისა და ადგილობრივ, აბორიგენ მოსახლეობასთან შერევის გამო, ეთნიკურად ახალი ერთეულების ჩამოყალიბების უცილობელი კომპონენტები შეიქმნენ. ამიტომაა, რომ ვოლგისპირეთის, კავკასიის, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ზოგიერთი ხალხის ეთნოგრენზი, ისტორია, ენა და კულტურა არ შეიძლება ერთი მხრივ, დღევანდელი ცენტრალური და შუა აზიის, ციმბირის ხალხების წარსულის გათვალისწინების, ხოლო მეორე მხრივ, ძველი პუნქტ-თურქული მოდგმის ხალხების ისტორიასთან კავშირის გარეშე იქნას შესწავლილი.

ცენტრალური და შუა აზიიდან მოსულმა მომთაბარებებმა განსაკუთრებული კვალი ჩრდილო კავკასიის ხალხებს დააჩნიეს. შეიძლება დაბეჭიოთებით ითქვას, რომ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები დღევანდელი ხალხების გარკვეული ნაწილი სწორედ ადგილობრივი – აბორიგენი და მოსული ეთნოსების სინთეზის შედეგად ჩამოყალიბდა. ამ სინთეზში ძველ ირანულენოვან ხალხებთან (ალანები და სხვ.) ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ცენტრალური და შუა აზიიდან მოსულმა პუნქტ-თურქული მოდგმის ავარებმა, აკაციორებმა, სარაგურებმა, უთურგურებმა, კუთურგურებმა, ბოლგარებმა, ტურკიუტებმა, ხაზარებმა, ყიზჩაყებმა და სხვებმა, ასევე დასავლეთ ციმბირიდან წამოსულმა ფინო-უგორული წარმომავლობის ხალხებმა – უგრებმა (მაგ., მადიარებმა), საბირებმა და სხვა. მათი კვალი ევროპის უკიდურესი აღმოსავლეთ ნაწილიდან დუნაის ნაპირებამდე ჩანს. მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში საბირები და ყიზჩაყები თუ „ყუმუხებისა და დაღესტნის ზოგიერთი ხალხების ფორმირების კომპონენტი გახდა“<sup>1</sup>, ძველმა ბოლგარებმა „უმნიშვნელოვანები როლი შეასრულეს ადმოსავლეთ ევროპის ისტორიაში, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ხალხების ეთნოგრენზში“<sup>2</sup>. როგორც ცნობილია, იმავე ბოლგარებმა ასეთივე როლი შეასრულეს „ვოლგისა და კასპიისპირეთის ხალხების — ყაზანის თაორებისა და ჩუგაშების ეთნოგრენზის პროცესში“<sup>3</sup>.

საუკუნეთა მანძილზე ცენტრალური და შუა აზიიდან მოსული პუნქტ-თურქული მოდგმის ხალხების სულ ახალი და ახალი ტალღების გარკვეული ნაწილი დროთა განმავლობაში თუ ჩრდილო კავკასიაში და შავი ზღვის ჩრდილოეთით რჩებოდა და შემდეგში იქ მკვიდრდებოდა კიდეც, მათი მცირე ნაწილი მაინც კავკასიის ზეკარებით, ამიერკავკასიისა და წინა აზიის მდიდარი სახელმწიფოების დარბევისა და გაბარცვის მიზნით, ამიერკავკასიის ტერიტორიაზეც შემოდიოდა. ზოგჯერ მათი გადმოსვლის მიზანს სწორედ ამიერკავკასიაში დასახლება შეადგენდა (მაგალითად, პუნი საბირების დასახლება ალბანეთში, მდ. მტკვრის სანაპიროზე), რის შემდეგაც ისინი ადგილობრივ ბინადარ, მაღალკულტურულ ხალხებს ერწყმოდნენ. ხდებოდა ისიც, რომ კავკასიის ჩრდილოეთით დამკვიდრებული მომთაბარეები, ზოგჯერ, თვით წინა აზიის ან ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ხელისუფალთა ნება-სურვილით გადმოდიოდნენ, არაიშვიათად გადმოსახლდებოდნენ ხოლმე ამიერკავკასიაში (მაგალითად, ირანის შაპის ხოსრო I ანუშირვანის (531 – 579) მიერ მათი დასახლება დარუბანდის სამხრეთით, ყიზჩაყთა გადმოსახლება

საქართველოში და სხვა). რა თქმა უნდა, ასეთმა პროცესებმა გარკვეულწილად განაპირობა ამიერკავკასიის ზოგიერთი ხალხის, განსაკუთრებით კი ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. ამერიკელი ირანოლოგის რიჩარდ ნელსონ ფრაის შენიშვნით, „პავგასიის ქედის რეგიონს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ეთნიკური ჯგუფებისა და ენათა სხვადასხვაობით. ეს ქვაბი კი არაა, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, არამედ თავშესაფარი – par excellence, სადაც მცირე ეთნიკურმა ჯგუფებმა ათასწლეული ისტორიის მანძილზე შემოინახეს თავი”<sup>4</sup>. ამავე აზრისაა ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე ნ. პიგულევსკაია. „ამიერ და იმიერ კავკასია, – წერს იგი, – ერთ-ერთ საინტერესო მხარეს წარმოადგენს... კავკასიონის ქედსა და მისი განშტოებების ხეობებში რჩებოდნენ და მკვიდრდებოდნენ ხალხთა გვარები და ტომები, რომლებიც ოდესაც ამ ადგილების მახლობლად მომთაბარეობდნენ ან ცხოვრობდნენ”<sup>5</sup>.

ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების შემოსვლა და დასახლება ამიერკავკასიაში, კერძოდ, ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე პროფ. ზ. ბუნიატოვს ისე მასიურ მოვლენად მიაჩნდა, რომ, მისი გარაუდით, თურქული წარმოშობის ხალხები (ხაზარები და სხვანი) VII – VIII სს. ალბანეთში გაბატონებულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ<sup>6</sup>. ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან (ქართველები, სომხები და სხვანი) ჰუნურ-თურქული და ინდოევროპული (მაგალითად, ალანების) მოდგმის ხალხების შერევის შესახებ შეიძლება ნაკლები ითქვას, მაგრამ ის მცირეოდენი კვალიც კი, რაც მათთან ურთიერთობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს, მოსაძებნი და შესასწავლია. შესასწავლია ქართულ სახელმწიფოებთან ჩრდილო კავკასიაში არსებული ჰუნურ-თურქული გაერთიანებების ურთიერთობა. ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთ დამადასტურებელ მაგალითად ზოგი მკვლევარი ასახელებს ბიზანტიელი ავტორის აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) ცნობას დასავლეთ საქართველოში ტოპონიმ ონოგურისის არსებობის შესახებ<sup>7</sup>. არანაკლებ საინტერესოა აკად. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი წვენში ტარხუნის კულტურის დასავლეთ ციმბირის უგორულ-თურქულ სამყაროდან შემოსვლის შესახებ. „როდის და საითგან არის საქართველოში ტარხუნის კულტურა შემოსული, – წერს იგი, – ჯერჯერობით ძნელი გამოსარკვევია... რაკი თვით ციმბირის მცენარეა, შეიძლება გვეფიქრა, რომ ეგების ქართველებს უნგრელებისაგან პქონდათ ეს სახელი შეთვისებული იმ ხანებში, როდესაც, ეს ხალხი... საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი იყო”<sup>8</sup>.

ძელი თურქულენოვანი ხალხების ჩრდილო კავკასიაში მოსვლისა და მათ მიერ იქ სახელმწიფო გაერთიანებების შექმნის დროის დადგენა, ქართლის სამეფოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასარკვევადაც უცილობლად მეჩვენება. ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულმა მრავალმა ხალხმა, მ. შ. საბირებმა, ავარებმა, ხაზარებმა, ტურკიუტებმა და სხვებმა ჩრდილო კავკასიაში მოსვლისთანავე აქტიური ურთიერთობა დაამყარეს წინა აზისა და ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან. ცნობილია, რომ ეს ხალხები სიამოვნებით თანხმდებოდნენ დაქირავებული ლაშქრის სახით მონაწილეობა მიედოთ როგორც ამიერკავკასიის სახელმწიფოების, ისე ირან-ბიზანტიის ომებში. ამიტომ იყო, რომ კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მათ მიერ შექმნილი ყოველი ახალი გაერთიანება მაშინვე იქცევდა ირანისა და ბიზანტიის, ასევე ამიერკავკასიის სახელმწიფოთა (ქართლი, ალბანეთი, ეგრისი, სომხეთი) მმართველების ყურადღებას. მათ მიმართ განსაკუთრებით დიდ ინტერესს კი ირანისა და ბიზანტიის დიპლომატია იჩენდა, რადგან ორივე სახელმწიფო ცდილობდა ახლად გამოჩენილ „ბარბაროსთა“ სამხედრო ძალა მოწინააღმდეგისაკენ მიემართა.

ჩრდილო კაგებასიასა და მის მიმდებარე ველებზე წარმოქმნილი ყოველი ახალი პოლიტიკური გაერთიანებით ცივილიზებული სახელმწიფოების მესვეურთა დაინტერესება სხვა ფაქტორებითაც იყო განპირობებული. ჩრდილო კაგებასიის მიმდებარე ველებზე დამკვიდრებული ხალხები ამიერკავკასიისა და სხვა რეგიონის სახელმწიფოებისათვის, ერთი მხრივ თუ სასურველი სამხედრო მოკავშირეების როლში გამოდიოდნენ, მეორე მხრივ, ისინი ყოფილი მოკავშირეების ტერიტორიების დარბევაზე და ძარცვა-გლეჯაზეც არ ამბობდნენ უარს. მათ თვალი ყოველთვის სამხრეთის მდიდარი სახელმწიფოებისაკენ ეჭირათ. ამ სახელმწიფოთა მოსახლეობისათვის სიტყვა „ჰუნი“ უფრო მეტად მძარცველისა და მკვლელის სინონიმი უნდა ყოფილიყო. რიჩარდ ფრაი წერს: ”სიტყვა ჰუნ-ი... ძალიან ადრე გახდა მეზობელი ხალხებისათვის მძვინვარისა და საშინლის აღმნიშვნელად. ასადი ტუსის ლექსიკონში... სიტყვა ჰუნ-ი განმარტებულია როგორც „მტერი“<sup>9</sup>. ჰუნების მტრობა ჩინეთიდან მოკიდებული მრავალმა ხალხმა – მათ შორის ამიერკავკასიისა და წინა აზიის არაერთმა ქვეყანამ გამოსცადა. კაგებასიის ზეკარებით ამიერკავკასიაში სამოყვროდ თუ სამტროდ შემოსული ჰუნები უშუალოდ საქართველოსა და ალაბანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდნენ, ამ ქვეყნების მოსახლეობა პირველი ეგებებოდა მათ. მაგალითისათვის მოვიყვან V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის პრისკოს პანიელის ცნობას. როგორც იგი წერს, 466 წლის მახლობელ ხანაში იუროპაახიის გზით გადმოსულმა სარაგურებმა, აკაციორებმა და სხვა ხალხებმა, ქართლის გამარცვის შემდეგ, მცირე ხნით იქვე დაიდეს ბინა და იქიდან სომხეთის სოფლებს ესხმოდნენ თავს<sup>10</sup>. ჩრდილოელი მეზობლების თავდასხმების შესაჩერებლად საჭირო იყო ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი ზეკარების ჩაკეტვა-გამაგრება, იქ მუდმივი გარნიზონის ყოლა – „გომარდების დადგენა“. ქართლში ადგილობრივი ხელისუფლების არსებობის დროს კავკასიის ზეკარების ჩაკეტვა თუ ქართლის მეფეთა კონტროლის ქვეშ იყო, ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, თვით ირანმა აიღო ხელში მათი დაცვა. „მოქცევად ქართლისაც“ მატიანეს ცნობით: „ვითარცა მეფობად დაესრულა ქართლს შინა, სპარსი განძლიერდეს და ერეთი და სომხითი დაიყრეს... კავკასიანთა შექიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთსავე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დურძუაქთისასა, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს“<sup>11</sup>. ხოსრო I-ის მიერ დარუბანდის (ჩორის) და ალაბანეთის სხვა გასასვლელების ჩაკეტვის შესახებ მიუთითებს VII ს. სომეხი ისტორიკოსი სებეოსიც<sup>12</sup>.

ჰუნ-თურქთათვის გზების ჩასაკეტავად აიგო ციხესიმაგრეები და კედლები: დარუბანდი, დარიალი, კელასური, ზაქათალის დიდი კედელი და სხვანი. არ შეიძლება არ აღვნიშნო ისიც, რომ ჩრდილო კავკასიაში შექმნილი მომთაბარე ტომთა ესა თუ ის ძლიერი გაერთიანება ზოგჯერ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სიძლიერესაც განაპირობებდა, რადგან „მთიელებისა და მომთაბარეთა საშინელი სტიქიის არა მარტო უვნებელყოფა შეიძლებოდა, არამედ საკუთარი მიზნებისათვისაც გამოყენება“. მართლაც, ქართლის ძლიერი სახელმწიფო, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი წერს, ახერხებდა თავისი გავლენა გაევრცელებინა მეზობელ მთიელ ტომებზეც... მყარი კონტროლი დაეწესებინა დიდი კავკასიონის ზეკარებზე (დარიალის ხეობა და სხვა). ამ გადმოსასვლელებზე კონტროლი ყოველთვის დიდად სასურველი იყო არა მარტო ქართლის სამეფოსათვის, არამედ მეზობელი სახელმწიფოებისთვისაც, მათ რიცხვში — სომხეთი, ირანი, ძლიერი რომი. ეს უკანასკნელნი ყოველთვის დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთ სახელმწიფოში შესასვლელი გზები ჩაკეტათ ჩრდილოელი მომთაბარეებისათვის<sup>13</sup>. ”ვის ხელშიც იყო

გადმოსასვლელებზე კონტროლი, – დასძენს გ. მელიქიშვილი, – მას საშუალება ჰქონდა არ დაეშვა სამხრეთში ჩრდილოელი ტომების დიდი მასების შემოსვლა. ქართლის სამეფო, თავის ჩრდილოელი მეზობლების სახით, იმავე დროს ძლიერ იარაღს ფლობდა თავისი სამხრეთელი მეზობლების წინააღმდეგ. მას ყოველთვის ჰქონდა საშუალება შეთანხმებოდა მთიელებსა და მომთაბარეებს, გამოეშვა ისინი სამხრეთისაკენ და მათთან ერთად გაენადგურებინა თავისი მოწინააღმდეგის ტერიტორია”<sup>14</sup>.

ასე მოიქცა ა. წ. I ს-ში ქართლის მეფე ფარსმან I. იმ ხანად ქართლის სამეფოს სამხრეთით მდებარე ქართული მიწების გამო, ბრძოლა ქართლსა და სომხეთს შორის საგრძნობლად გამწვავდა. რომაელები კი ხან სომხებს, ხან ქართველებს ეხმარებოდნენ. ქართველები ამ ბრძოლებში ცდილობდნენ ჩრდილო კავკასიელი ალანები მოეშველებინათ. და, მართლაც, ასე მომხდარა I ს. 60-იან წლებში. ქართველთა მიერ გადმოშვებული ალანები დიდად აწუხებდნენ როგორც რომის, ისე პართიის სამფლობელოებს. ამიტომ, რომის იმპერატორმა ნერონმა, თავისი მმართველობის ბოლოს (ა. წ. 68 წ.) განიზრახა დიდი ლაშქრობა მოწყო ალანების წინააღმდეგ. ასეთი ლაშქრობა პართიელებისთვისაც ხელსაყრელი იყო და ისინი ყოველნაირად აქეზებდნენ რომის ხელისუფალთ, მაგრამ, ვერც ნერონის (54 – 68) და ვერც ვესპასიანეს (69 – 79) იმპერატორისას რომმა ასეთი ლაშქრობის მოწყობა ვერ მოახერხა. ალანები კი ამასობაში არაერთხელ შეიჭრნენ სომხეთსა და მის მეზობელ მხარეებში. გრანდიოზული იყო მათი შემოსევა ა. წ. I ს. 70-იან წლებში. ამ ლაშქრობაზე ცნობებია I ს. ებრაელი ისტორიკოსის იოსები ფლავიუსის თხზულებაში, ასევე ძველ ქართულ და სომხურ წყაროებში. ფლავიუსის თანახმად, ალანებმა მოლაპარაკება გამართეს პირკანიის მეფესთან, რომელიც ფლობდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ რკინის კარით ჩაკეტილ გადასასვლელს. პირკანიის მეფემ გაატარა ისინი და ალანების დიდი ლაშქარი შეიჭრა მიდიაში. იქაურობა უმოწყალოდ გაძარცვეს და მიაღწიეს სომხეთს. სომხეთის მეფე გამოვიდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ კინაღამ ტყვედ ჩავარდა. ალანებმა ქვეყანა ააოხრეს და უამრავი ნადავლითა და დიდალი ტყვებით გაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში<sup>15</sup>.

ალექსანდრე მაკედონელის მიერ რკინის კარით ჩაკეტილი გადმოსასვლელი რადგან დარიალის კარი უნდა იყოს, ფიქრობენ, რომ „პირკანიის მეფეში” ქართლის მეფე უნდა იგულისხმებოდეს<sup>16</sup>. ასეთი მოსაზრების დასტურად მიაჩნიათ ძველი სომები ავტორის მოვსეს ხორენაცის მონაცემები. იგი პირდაპირ მიუთითებს ალანთა დასახელებულ ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობაზე. ამ ლაშქრობის შესახებ კიდევ უფრო საინტერესოა „მეფეთა ცხოვრების” ცნობა. მასში ლაშქრობის ინიციატორებად ქართლის მეფეები აზორიკი და არმაზელია ნაგულისხმევი<sup>17</sup>.

ა. წ. 134 წელს ქართლის მეფეს ფარსმან II-ს, როგორც ამას რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი გვატყობინებს, რომისა და პართიის სამფლობელოებზე ალანთა დიდი შესევა მოუწყვია. ალანები თავს დაესხნენ ალბანეთსა და მიდიას, აგრეთვე სომხეთსა და კაპადოკიას (რომის იმპერიის ნაწილს). პართიის მეფე უოლოგეს II (105 – 147) იძულებული გამხდარა „საჩუქრებით” ეხსნა თავი ალანებისაგან. კაპადოკიის რომაელმა ფლავიუს არიანემ კი დიდი სამხედრო მზადება წამოიწყო ალანების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. დიონ კასიუსის თქმით, ამით შეშინებულმა ალანებმა შეწყვიტეს ომი<sup>18</sup>.

როგორც ცნობილია, ჩრდილოელ ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი საშუალება მათი მმართველი ზედაფენის

წარმომადგენლებთან დანათესავება იყო. მართლაც, ფარნავაზის ხანიდან მოკიდებული, ამ მხრივ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში არაერთი ცნობაა.

მას შემდეგ კი, რაც IV ს. 70-იანი წლებიდან ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე ჰუნურ-თურქული გაერთიანებები შეიქმნა, ალან-ოსთა ნაწილი მათ დაექვემდებარა. ამიერიდან ქართველთა მოკავშირეებად ჰუნები გამოდიან. თუმცა, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა მათი დაქირავება. ასე მაგალითად, 482 – 484 წწ., ანტიორანული აჯანყებისას, ვახტანგ გორგასალმა მხოლოდ 300 ჰუნის დაქირავება შეძლო. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ხანად დარიალის კარს თვით ირანელები აკონტროლებდნენ. ასევე, 523 წელს, როცა „დასავლეთი ქართლისა“-ს გამგებელი გურგენი ირანელთა წინააღმდეგ აჯანყდა, ბიზანტიის საიმპერატორო კარმა, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად გაგზავნა თავისი მოხელე პრობოსი ჰუნთა დასაქირავებლად, მან ჰუნების დაქირავება ვერ მოახერხა<sup>19</sup>. ისე კი ჰუნი საბირები, ჰეფტალიტები და სხვანი ხშირად მონაწილეობდნენ ბრძოლებში დაქირავებულ მოლაშქრეთა სახით, — ხან ირანის, ხან კი ბიზანტიის მხარეზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება ითქვას: იმიერკავკასიაში ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების მიერ ყოველი ახალი გაერთიანების შექმნის დროის დადგენამ, ჩრდილო კავკასიაში მათი მოსვლის სწორი თარიღის განსაზღვრამ, ასევე ქართლის სამეფოსთან მათი ურთიერთობის გარკვევამ გარკვეული წელილი უნდა შეიტანოს არამარტო საქართველოს ისტორიის, არამედ ჩრდილო კავკასიის ველებზე მოსული ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

**თავი I. ძველი ქართული და სომხური წყაროების ცნობები  
ამიერკავკასიაში თურქულენოვანი ხალხების  
შემოსვლის შესახებ. ამ ცნობათა რეალურობის  
საკითხი**

ამიერკავკასიაში უცხო წარმოშობის ხალხების შემოსვლისა და მათ მიერ დასახლებების შექმნის შესახებ როგორც ქართულ, ისე უცხოენოვან საისტორიო წყაროებში არაერთი ცნობაა. ეს ავტორები ძველი ამბების გადმოცემისას ამიერკავკასიაში ძირითადად ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების შემოსვლასა და მათ მიერ დასახლებათა შექმნაზე მოგვითხრობენ. ძველ ქართველ და უცხოენოვან ავტორთა თხზულებებში არსებული ცნობები ამიერკავკასიაში ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების შემოსვლის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ანაქრონისტული ხასიათისაა, ამ ცნობათა გაანალიზებისას ყოველთვის არ ისმებოდა მათი რეალურობის – ისტორიულ სინამდვილესთან შესაბამისობის საკითხი. უფრო მეტიც, გასული საუკუნიდან მოყოლებული მკვლევართა უმეტესობა მათ სინამდვილის ამსახველად მიიჩნევდა. სამწუხაროდ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ზოგი მკვლევარი ამ ცნობებს დღესაც უკრიტიკოდ იდებს. მაგ., სინამდვილის ამსახველადაა მიიჩნეული ცნობები ძველი წ. IV ს-დან მოკიდებული ამიერკავკასიაში ხაზართა და სხვა თურქული მოდგმის ხალხების ლაშქრობებისა და მათ მიერ აქ დასახლებების შექმნის შესახებ. ამ ხასიათის ცნობათა გამოყენებისას მკვლევრები მხედველობიდან უშვებდნენ იმ გარემოებას – ესა თუ ის თურქული მოდგმის ხალხი როდის იყო მოსული ჩრდილო კავკასიაში. საერთოდ კი, ამ ხალხთა მოსვლის დროის საკითხი ხშირად არც კი იდგა მკვლევართა წინაშე, რადგან ზოგი მათ აბორიგენ მოსახლეობად მიიჩნევდა. ასე რომ, ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების ამიერკავკასიაში გადმოსახლებისა და, რაც მთავარია, ამიერკავკასიაში მათი ნაკვალევის ძიებისას, პირველ რიგში ამ ხალხების ჩრდილო კავკასიაში მოსვლის დრო უნდა გვქონდეს დადგენილი. ძველ ავტორთა მითოთებები ამიერკავკასიაში თურქულენოვანი ეთნოსების შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ, მხოლოდ ყოველმხრივ ანალიზისა და დიდი დაკვირვების შემდეგ შეიძლება იქნას გაზიარებული.

ქეორე მხრივ, თურქიზირებული ინდოევროპული მოდგმის ზოგი ტომი უფრო ადრე უნდა შემოსულიყო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ვიდრე ცენტრალური აზიდან წამოსული ჰუნთა დიდი მასები აღმოსავლეთ ევროპაში გამოჩნდებოდა. თურქიზირებული ინდოევროპულების გარდა, კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე გელებზე ჯერ კიდევ ჰუნების მოსვლამდე, მრავლად იყვნენ სკვითურ-სარმატული მოდგმის სხვადასხვა ტომები, რომლებიც სხვა ძალების დაწოლით იძულებულნი ხდებოდნენ, უფრო დასავლეთით დაქვერით მოძრაობა.

ძველი ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროთა ავტორები ძვ. წ. IV ს. წინა ხანიდან მიუთითებენ ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების შემოსვლაზე. ამ ხასიათის არაერთი ცნობა მოეპოვება XI ს. ქართველ ავტორს ლეონტი მროველს. ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხებიდან ლეონტი განსაკუთრებით ვრცლად ხაზარების შესახებ მოგვითხრობს. ხაზარების ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შემოსვლის შესახებ იგი ჯერ კიდევ ქართლის სახელმწიფოს შექმნამდე მიუთითებს<sup>1</sup>.

ლეონტის ცნობით, იმ უამად „განძლიერდეს ხაზარნი და დაუწეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასიონთა“. შემდეგ ხაზარებმა „იჩინეს მეფე“, „დაემორჩილნეს ყოველი ხაზარნი“ მეფეს და „წარმოიძლეანეს იგი და გამოვლეს ზღვს-კარი, რომელსა აწ ჰქვიან დარუბანდი“. ხაზარებმა „წარტყუენეს ქვეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და

ჩრდილოსანი. დაურჩეს ციხე-ქალაქი თუხარისი, სამშვილდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი<sup>2</sup>.

ამიერკავკასიაში ხაზართა ამ პირველი ლაშქრობის შემდეგ, ლეონტის სიტყვით „...ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვს-კარი დარუბანდი და არაგს-კარი, რომელ არს დარიალა. და განამრავლეს ხაზართა გამოსვლა და ტყუენგა მათი და ვერდარა წინააღმდეგს. და მიერითგან იქმნეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა“<sup>3</sup>.

ამიერკავკასიაში ხაზართა ამ ლაშქრობებისას, ლეონტის თანახმად, ხაზარებმა არა მარტო დაიპყრეს თარგამოსიანები, ე. ი. ამიერკავკასიის მცხოვრებნი, არამედ ხაზართა ნაწილი დარჩა კიდეც აქ საცხოვრებლად. მაგრამ, შემდეგში, ლეონტისავე ცნობით, ქართლში შემოსულმა სპარსთა ერისთავმა არდამმა, „...შემუსრნა ყოველნი ქალაქი და ციხენი ქართლიანი, და მოსრა ყოველი რაოდენი ხაზარები პოვა ქართლსა შინა“<sup>4</sup>. ე. ი. ლეონტის კონცეფციით, ამიტომ აღარ იყო ქართლში, მის დროისათვის, უცხო ეთნიკური ელემენტი ხაზართა სახით. თუმცა, ლეონტის წარმოდგენით, ხაზარები ქართლის მეზობლად უხსოვარი დროიდანვე სახლობდენენ. ამიტომ იგი როცა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლეგენდარული ლაშქრობის ამბავს აღწერს, აღნიშნავს, რომ ალექსანდრეს მიერ ქართლში დატოვებულმა აზომმა როცა ქართლი და ეგრისი დაიპყრო, ოსებთან და ლეგებთან ერთად მოხარკნე ყვნა ხაზარნიც<sup>5</sup>.

ქართლში ხაზართა ზემოაღნიშნული ლაშქრობების შედეგად, ლეონტის თანახმად, ხაზართა მეფე უობოსმა თავის ძეს მისცა „ტყვე სომხეთისა და ქართლისა“, ხოლო დასასახლებლად და სამფლობელოდ „...ქვეყანა კავკასიის ნაწილი, ლომეკის (ე. ი, თერგის – გ. გ.) მდინარისა დასავლით, დასავლეთამდე მთისა“, სადაც დაეშენა უობოსის ძე<sup>6</sup> (რა თქმა უნდა, მამის მიერ მიცემული სომები და ქართველ ტყვეებთან ერთად. – გ. გ.) და მათნი „ნათესავნი არიან ოვსნი“<sup>7</sup>. ე. ი. ლეონტის კონცეფციით, სომები და ქართველი ტყვეების ჩრდილო კავკასიაში გადასახლების შედეგად გაჩნდა ოვსეთი<sup>8</sup>, ხოლო იმავე ლაშქრობისას ხაზართა მიერ თარგამოსიანებისაგან წაყვანილი ტყვე რანელებითა და მოვაჭნელებით დასახლდა ლეკეთი – ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი.

როგორც ვხედავთ, ლეონტის ამიერკავკასიაში ხაზართა ლაშქრობის ამბავი უძველეს დროში გადააქვს და ცდილობს ამ ლაშქრობის შედეგებით ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ერთიან წარმომავლობაზე მიუთიოთოს.

უძველესი ხანის ქართლში ხაზარების შემოსვლის პარალელურად ლეონტი თურქების შემოსვლის ამბავსაც გადმოგვცემს. ამჯერად, საქართველოში მათი შემოსვლის გზად დარუბანდისა და დარიალის ნაცვლად, კასპიის ზღვის სამხრეთ გელებსა და მდ. მტკვრის ხეობას ასახელებს, „...მასვე უამსა, – წერს ლეონტი, – მოვიდეს თურქი, ოტებულნი მისივე ქაიხოსროსაგან გამოვლეს ზღვა გურგანისი, აღმოყვეს მტკვარსა და მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდა რვა“<sup>9</sup>. ქართლში, ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდარულ ლაშქრობამდე შემოსული თურქების (იგივე ბუნ-თურქების) სინონიმად ლეონტი ყივჩაყებს ხმარობს<sup>10</sup>.

ალექსანდრე მაკედონელის დროისათვის საქართველოში ბუნ-თურქთა ყოფნის შესახებ თხრობა ქართველ ისტორიკოსთა მიერ „უძველეს ეროვნულ მატიანედ“ მიჩნეულ „მოქცევად ქართლისად“-ს ქრონიკაშიცაა. თითქოს, ბუნ-თურქებს მტკვრის ხეობაში ოთხი ქალაქი (სარკინე, კასპი, ურბნისი და ოძრხე) „და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისად, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრხეისად“ ეკავათ. შემდეგ მოვიდნენ კიდევ „ქალდეველთაგან გამოსხმული პონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქუეყანად ხარკით და დასხდეს იგინი ზანაგს“<sup>11</sup>. „მოქცევად ქართლისად“-ს თანახმად, ქართლში შემოსულმა ალექსანდრემ

თუ „დალექტნა სამნი ეს ქალაქნი, და პონთა დასცა მახვილი“, ხოლო სარკინეში მყოფთ ოერთმეტი თვე ებრძოდა და ქალაქის აღების შემდეგ, იქ მსხდომნი ბუნ-თურქნი „მეოტ იქმნეს“<sup>12</sup>, ლეონტის თხრობით, სარკინეში მყოფმა ბუნ-თურქებმა თერთმეტთვიანი გარემოცვის დროს „განხურიტეს კლდე“, „განკრბეს... ლამე და შეივლტოდეს კავკასიად“<sup>13</sup>. ე. ი. ბუნ-თურქთა ერთი ნაწილი ლეონტი მროველმა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ს. დასასრულს შეიყვანა კავკასიის მთებში.

ქველ ქართულ წყაროებში არსებული ცნობები „პონთა“ და „ბუნ-თურქთა“ შესახებ, რომ ისეთივე არარეალურია, როგორც ქართლში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლა და მის მიერ ბუნ-თურქთა და პონთა ამოხოცვა, ეს ნათელია. მაგრამ არის მკვლევართა ნაწილი, რომელიც ცდილობს საქართველო ერთ-ერთ იმ ქვეყნად მიიჩნიოს, სადაც თურქები იმთავითვე ცხოვრობდნენ. მათ ქველ ქართულ წყაროთა ცნობები აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ. ისინი არ ითვალისწინებენ ესა თუ ის თურქული ტომი როდის შემოვიდა ჩრდილო კავკასიაში (ასეთი ტიპის მკვლევართაგან უნდა დაგასახელო გ. ლუკასიანი და ა. იუნუსოვი). მათი ნაზრები დეტალურადაა გაანალიზებული ჩემს ნაშრომში – „მიწის ენა“ მრუდე სარკეში. თბ., 2007).

ბუნ-თურქთა, ძირითადად კი ამიერკავკასიიდან წაყვანილ თარგამოსიანთა შთამომავლებით ჩრდილო კავკასიის დასახლების ამბავს როცა გადმოგვცემს, ლეონტი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ხალხების საერთო ნათესაობის იდეით უნდა ხელმძღვანელობდეს, მაგრამ რით უნდა აიხსნას ჩრდილო კავკასიის დასახლება მან მაინცდამაინც ამიერკავკასიიდან ხაზართა მიერ წაყვანილი ტყვებით რომ გაიაზრა?

ლეონტის დროისათვის, ე. ი. XI ს-ში ხაზართა კაგანატი, როგორც ძლიერი პოლიტიკური ერთეული, უკვე აღარ არსებობდა, ამიტომ ლეონტის მიერ ხაზართათვის ასეთი როლის მინიჭებას სხვა მიზეზი უნდა ედოს საფუძვლად. „მეფეთა ცხოვრებაში“ ლეონტის ეს ამბები ან ადრე შედგენილი ქართული წყაროებიდან უნდა შეეტანა, ან თვით ესარგებლა ხაზართა სიძლიერის ამსახველი ძველი წყაროებით. ასეთი ჩასტორების აუცილებლობა, როგორც ჩანს, იმან განაპირობა, ლეონტის თანადროულად ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თარგამოსიანებზე თურქული წარმოშობის ხალხები რომ ბატონობდნენ.

ლეონტისავე ცნობით, ხდებოდა ისევ, როცა საქართველოს ტერიტორიაზე ქართლის მეფეებს თვითონ შემოჰყავდათ უცხო ეთნიკური ერთეული. მაგ., ლეონტის თანახმად, ქართლის მეფე საურმაგმა „...წარმოიყვანა... ყოველთა კავკასიის ნათესავთა ხახვარი, და რომელიმენი მათგანი წარჩინებულ ქმნა, და სხვანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრა მისანდობლად თუსად“<sup>14</sup>. „ყოველთა კავკასიის ნათესავთა“ გარდა, ქართლის მეფეები, როგორც გარეშე ისე ქვეყნის შიგნით არსებულ მოწინააღმდეგეთა დასამორჩილებლად, ლეონტის გადმოცემით, არა კავკასიანებსაც იყენებდნენ<sup>15</sup>.

ხაზარებთან და თურქებთან ერთად, ლეონტი ქართლის სახელმწიფოს ამბების გადმოცემისას თურქული მოდგმის პაჭანიკებსაც ანაქრონისტულ კონტექსტში იხსენიებს. მისი სიტყვით, როცა ქართლის მეფეებმა აზორიქმა და არმაზელმა მოინდომეს ქართლოსიანთა ძველი საზღვრის აღდგენა, სომხეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გადმოიყვანეს ოვსთა მეფენი – ბაზუკ და ამბაზუკ, რომლებმაც „გარდმოიტანენ თანა პაჭანიკი და ჯიქნი“<sup>16</sup>.

პაჭანიკების მოხსენიების მხრივ ანაქრონიზმია ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაშიც“. ამ თხზულებაში პაჭანიკები ჩრდილო კავკასიაში ვახტანგ გორგასალის ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიებიან. იმ პიროვნებას, ვინც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ პაჭანიკთა შესახებ ცნობები შეიტანა, V ს-თვის პაჭანიკთა ქავეყანა სწორედ ჩრდილო კავკასიაში, ჯიქეთოან ახლოს, „მოსაზღვრედ

ოვსეთისა“ ეგულებოდა<sup>17</sup>, ამიტომ მისი გადმოცემით, როცა ჩრდილო კავკასიაში ვახტანგ გორგასალმა ლაშქრობა მოაწყო, პაჭანიკეთი და ჯიქეთიც მოაოხრა. ამ ომის დროს დატყვევებულთაგან იმათ გარდა, რომლებიც ქართველ ტყვევებში გაცვალა, კიდევ დარჩა ექვსას ორმოცდათი ათასი. ტყვეთა ასეთი რაოდენობა, ისე როგორც ვახტანგ გორგასლის თანადროულად ჩრდილო კავკასიაში პაჭანიკთა მოხსენიება, არარეალურია. სხვათა შორის, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ ტექსტში მოთავსებულ ჩანართში (გვ. 156), ვახტანგის მიერ ყივჩაყთა დამორჩილებაზეცაა მითითება. რაც იმის მაჩვენებელია, ჩანართის ავტორიც ყივჩაყებს ჩრდილო კავკასიაში ადრიდანვე მაცხოვრებელ ხალხად რომ თვლიდა.

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველი („ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენისას, ალბათ, მანვე შეიტანა ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ ცნობები პაჭანიკების შესახებ) ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე საქართველოს ტერიტორიაზე თურქული მოდგმის ყველა იმ ხალხის შემოსვლაზე მიუთითებს, რომლებიც მის დროისათვის ჩრდილო კავკასიისა და მის მიმდებარე ველებზე ცხოვრობდნენ და მომთაბარებობდნენ. ესენია: თურქები, ხაზარები, პაჭანიკები, ყივჩაყები. ლეონტის, რა თქმა უნდა, ეჭვი არ ეპარებოდა, დასახელებული ხალხები უძველესი დროიდანვე ჩრდილო კავკასიაში რომ ცხოვრობდნენ. ასეთი დამოკიდებულება კავკასიის ქედს გადაღმა მომთაბარე თურქული მოდგმის ხალხებისადმი დამახასიათებელია როგორც ძველი ქართველი, ისე სომეხი და არაბი ავტორებისათვის. ასე მაგალითად, ძველი სომეხი ისტორიკოსი მოვხეს ხორენაცი, თავის „სომხეთის ისტორიაში“ სომხეთში ბოლგართა გადმოსახლების ამბავს ორჯერ მოგვითხრობს. მისი პირველი ცნობა სომხეთში ბოლგართა გადმოსახლების შესახებ სომხეთის მეფის ვალარშის მეფობის (ძვ. წ. 127-114 წწ.) ხანას განეკუთვნება.

ხორენაცის სიტყვით, მეფე ვალარშმა ჩრდილოეთში – პარხალის მთების ფერდობებისაკენ „ნესტიან, ნისლიან, ტყიან“ ადგილებში როცა მოაგვარა ქვეყნის საქმეები, შემდეგ „მოუხმო ველურ, მოსულ ტომებს“, რომლებიც ბინადრობდნენ ჩრდილოეთის ველზე და „კავკასიის დიდი მთების ფერდობებზე“, „უბრძანა მათ მოქმალათ ავაზაკობა“. მერე „გადავიდა შარას სამფლობელოს მიმდებარე, ბალახოვან ადგილებში, რომელთაც ძველები ანფაიტსა და ზემო ბასიანს ეძახიან. რადგან ლტოლვილი ბულდარი, ვლნდურ ვუნდაი ამ მხარეში დამკვიდრდა, შემდგომში მისი სახელისაგან [იქაურობას] ვანანდი ეწოდა“. ასევე მისი მმებისა და ნაშიერის სახელების მიხედვით დარქმეული სახელწოდებები, დასძენს ხორენაცი, „დღემდე შემორჩა სოფლებს-ო“<sup>18</sup>.

ხორენაცი მის მიერ დასახელებულ ლტოლვილ ხალხებში („ბულდარი, ვლუნდურ ვუნდაი“-ში, ნ. ემინის თარგმანით, ესენია: „Вх'ндур булгар' Вунд“)<sup>19</sup>, უძველესია, ბოლგარებს გარდა სხვა თურქული ტომის სახელებსაც გულისხმობს.

ჩრდილო კავკასიიდან სომხეთში ბოლგართა გადმოსახლების შესახებ ხორენაცი შემდგაც მოგვითხრობს. ვალარშის ძის – არშაკის მეფობაში, – აღნიშნავს იგი, – „საშინელი არეულობა მოხდა დიდი მთის, კავკასიის მიდამოებში, ბულდართა მხარეში. ბევრი მათგანი აიყარა და ჩვენ ქვეყანას მოაშურა. ისინი დიდხანს მკვიდრობდნენ კოლის ქვემოთ, ნოჟიერ მიწებზე, პურით მდიდარ ადგილებში“<sup>20</sup>.

არანაკლებ საინტერესოა ხორენაცის ცნობები ჩრდილო კავკასიიდან სომხეთში თურქული მოდგმის სხვა ხალხების გადმოსახლების შესახებ. ხორენაცის ცნობით, მეფე ვალარშის (Bax'apsh) მეფობის დროს „შეკრიბნენ ჩრდილოეთის ბრბოები“ – ხაზარები და ბასილები და გადმოლახეს ჭორას კარი. „მათი წინამდგვარი და მეფე იყო ვინმე ვნასევ სურპაპი; მათ გადმოლახეს მდინარე მტკვარი. ვალარში დიდხალი ლაშქრით, მამაცი მეომრებით შეებრძოლა

მათ და მოწინააღმდეგეთა ურიცხვი გვამებით დაჰფარა ბრძოლის ველი, მერე დიდხანს სდია მტერს და განვლო ჭორას ხეობა. იქ მტრებმა კვლავ ერთად მოიყარეს თავი და ბრძოლისათვის მოემზადნენ. მართალია, ისინი უკუაგდეს და აოტეს სომებმა ვაჟაცებმა, მაგრამ მათმა მამაცმა მშვილდოსნებმა შეძლეს მოეპლათ ვალარში<sup>21</sup>.

ზემომოტანილ ცნობაში დასახელებული „ჭორის კარის“ კომენტირებისას ა. აბდალაძე წერს: „ჭორას კარი, იგივე კასპიის კარია“ ქ. დარუბანდის მახლობლად, „შუშანიკის წამებაში“ მას ჩორი ეწოდება. „ფიქრობენ, რომ ხორენაცის მიერ ამ თავში აღწერილი ამბები, სომებთა მეფის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობა და იქ მისი მოკვლა ახ. წ. 198 წ. უნდა მომხდარიყო<sup>22</sup>. ე. ი. ძვ. წ. II ს-ში ხორენაცი ამიერკავკასიაში ბოლგარებისა და სხვა თურქული ტომების დასახლების შესახებ მოგვითხრობს, ხოლო ახ. წ. II საუკუნისათვის მას ხაზარები და ბასილები უკვე ჩრდილო კავკასიაში მყოფებად მიაჩნია.

უძველეს ხანაში ამიერკავკასიაში თურქულენოვანი ხალხების გადმოსახლების შესახებ ხორენაცის ცნობების რეალურობით, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ხორენაცის თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელი ნ. ემინი დაინტერესდა. ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს-ში სომხეთში ბოლგართა გადმოსახლების შესახებ ხორენაცის ცნობას როცა შეეხო, ტექსტის კომენტარებში მან მიუთითა: მეფე ვალარშაკის (ძვ. წ. 149 – 127 წწ.), შემდეგ კი ვალარშაკის ძის – არშაკ I-ის (ძვ. წ. 127 – 114 წწ.) მეფობაში ჩრდილო სომხეთში მყოფმა ბოლგარებმა, ალბათ, რაღაც პოლიტიკური არეულობის შედეგად, დატოვეს თავიანთი სამშობლო და გადმოსახლდნენ არაქსის ჩრდილოეთით. თავდაპირველად ისინი ცხოვრობდნენ კავკასიის მთებიდან შორს – ვოლგისპირეთის ქვეყნებში: კამის ნაპირებზე, ურალის უიგურიის დასავლეთ მიდამოებში<sup>23</sup>.

ნ. ემინი, როგორც ვხედავთ, ისტორიულ ჭეშმარიტებად მიიჩნევს მოვსეს ხორენაცის ცნობას ჯერ კიდევ ძვ. წ. II – I საუკუნეებში ჩრდილო კავკასიაში თურქული მოდგმის ბოლგარების ყოფნისა და მათი სომხეთში გადმოსახლების შესახებ. ასეთი მხჯელობის საფუძველს ნ. ემინს, რა თქმა უნდა, იმ დროის სათანადო ისტორიული ლიტერატურა აძლევდა. იგი ტექსტის კომენტარში წერს, რომ სხვათა შორის, ნეიმანმა (Geschichte der Armenische Literatur, 1836, გვ. 48) და კარლ რიტერმა (Die Erdkunde, X Theil, Berlin, 1843, გვ. 589 – 590) ბოლგართა და მათი წინამძღვლის ვუნდის შესახებ ძირითადად ხორენაცის ამ ცნობაზე დაყრდნობით გააკეთეს დასკვნა, მათი სლავური წარმოშობისა და ბოლგართა ისტორიულად არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ძვ. წ. II საუკუნეებში<sup>24</sup>.

ნ. ემინი იქვე მიუთითებს, რომ ბოლგართა შესახებ მსგავსი მოსაზრებაა რუს მეცნიერებშიც. ვენელინი, – წერს იგი, თავის „Историко-критических изысканиях“, პ. შაფარიკის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ ვოლგისპირი ბოლგარები სლავური წარმოშობისანი იყვნენ. შემდეგ ნ. ემინი ასევნის, რომ ამ საკითხს შეიძლება ნათელი მოჰვინოს ბოლგართა საკუთარი სახელებისა (Вхнур, булкар, Вунт ან Венд) და ქვეყანა ვანანდის, სადაც ეს მოსული ბოლგარები დასახლდნენ, სახელის გარევევამ. მე, ჩემის მხრივ, უნდა აღვნიშნო, – დასძენს ნ. ემინი, – ამ სახელებში სომხეთი სული არ გამოსჭვივისო<sup>25</sup>.

მართლაც, როგორც უცხოეთში, ისე რუსეთში, რუსეთის ძელი ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რუსეთის მაშინდელი იმპერიის ტერიტორიაზე ძველად მცხოვრებ და მომთაბარე უკელა ხალხს სლავების წინაპრებად აცხადებდა და ცდილობდა საერთო მოენახა ამ ხალხებსა და სლავებს შორის. ასე იყო XIX საუკუნეში და ასე დარჩა დღესაც. მაგ., სომები მკვლევარი ს. ოვნანიანი ხორენაცის ცნობებს ამიერკავკასიაში ბოლგართა გადმოსახლების შესახებ, სომხეთ-ბულგარეთის ისტორიული ურთიერთობის

საკითხთან დაკავშირებით შეეხო და აღნიშნა: სომები და ბულგარელი ხალხების მეგობრობა სათავეს შორეულ საუკუნეებში იღებს. ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში ბულგართა წინაპრები („პროთობოლგარი“), გამოჩნდნენ თუ არა ისტორიის ასპარეზზე აზოვისპირეთის ველებზე, მჭიდრო ურთიერთობა დამყარეს სომები ხალხთან. შემდეგ, ჰუნთა თავდასხმების გამო, პროტობოლგართა მნიშვნელოვანი ჯგუფები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა, გადაელახათ კავკასიონის ქედი და შესულიყვნენ სომხეთში. მათ მიაღწიეს დღეგანდელი ყარსის რაიონს – სადაც დამკვიდრდნენ. ამ ადგილებში დიდხანს ცხოვრების შემდეგ მათ გადაიღეს სომხური კულტურა, რელიგია, ენა და რამდენიმე თაობის შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობაში მათი ასიმილაცია დამთავრებული იყო. რადგან შემდეგი დროის სომები ისტორიკოსები ბოლგართა განსახლების ადგილს – განანდის მოსახლეობას ყოველგვარი მინიშნების გარეშე სომხებად თვლიან<sup>26</sup>.

როგორც ზემოთ აღნიშნე, თუ პირველ რიგში არ დადგინდა ესა თუ ის თურქულენოვანი ხალხი, რომელთა მომთაბარეობისა და საცხოვრებელ ადგილად წყაროებში ძირითადად ჩრდილო კავკასიონისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებია მითითებული, როდის მოვიდა დასახლებულ ადგილებში, მანამდე ამ ხალხის ამიერკავკასიაში შემოსვლის შესახებ ძველ ავტორთა ცნობების ისტორიულ რეალობაზე საუბარი არ შეიძლება. ს. ოვნანიანის საყურადღებოდ კი უნდა ვთქა: ახ. წ. II ს-ში აზოვისპირეთში არავითარი პროტობოლგარები არ ყოფილან და მათზე იმ ხანად ჯერ კიდევ ცენტრალურ აზიაში მომთაბარე ჰუნები თავდასხმებს ვერ მოაწყობდნენ. შესაბამისად, ვერც არარსებული პროტობოლგარები დამკვიდრებულან თანამედროვე ქ. ყარსის რაიონში. ზემომოტანილი მაგალითი ოვნანიანს სომები და ბულგარელი ხალხის მეგობრული კავშირები რომ შორეულ წარსულში იღებს სათავეს, იმის დასტურად არ გამოადგება. ყარსის (ძველი ქართული წყაროების ქ. კარი) რაიონში არავითარი უცხო ეთნიკური ჯგუფის დასახლება ახ. წ. II ს-ში არ მომხდარა და ადგილობრივ მოსახლეობას არავის ასიმილაცია არ მოუხდენია.

ხორენაციის ცნობა სომხეთში ბოლგართა კოლონიის არსებობის შესახებ, ასევე სინამდვილის ამსახველად მიაჩნია რუს მეცნიერს ა. ვ. გადლოს. თუმცა, მას ცნობა უკვე აღმოსავლეთ ევროპაში ჰუნების მოსვლის (IV ს-ის 70-იანი წლები) შემდგომ ხანაზე – V ს-ის შუაწლებზე გადააქვს. მისი სიტყვით, ატილას სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში მოსულმა საბირებმა დასავლეთისაკენ უბიძებს მთელ ონოგურულ მასას. ონოგურებსა და ბოლგარებში განხეთქილება („დიდი არეულობა“) მოხდა, [ბოლგართა] ნაწილი სომხეთში გადავიდა (მათი არსებობა აისახა მოვსეს ხორენაციისთან), ნაწილი კი კავკასიისპირეთში დარჩა<sup>27</sup>.

აქვთ უნდა აღვნიშნო: ხორენაციის ცნობისადმი ზოგიერთ თანამედროვე მკვლევარზე მეტ კრიტიკულ მიდგომას ნ. ემინი იჩენდა. როცა იგი ხორენაციის იმ ცნობას შეეხო, რომელშიც ბარსილთა და ხაზართა ამიერკავკასიაში გადმოსახლებაზე საუბარი, იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში ხაზართა არსებობის საკითხში ეჭვი შეიტანა და მიუთითა: ხორენაცი გეოგრაფიაში ბარსილების გვერდით ათავსებს ხაზარებს. ხაზარები კი ბიზანტიელ მწერლებთან მხოლოდ VII ს. I ნახევარში გახვდება. ხორენაცი კი მათი თავდასხმების შესახებ 193 – 213 წლებს შორის მოგვითხოვთ<sup>28</sup>. ასევე, სამართლიანად შეიტანა ეჭვი აკად. ი. მანანდიანმა იმ ცნობაში, რომელშიც ჩვენს ერამდე ორი საუკუნით ადრე ჩრდილო კავკასიაში ხაზარები, ბარსილები და ბოლგარები იხსენიებიან<sup>29</sup>.

ხოგი მკვლევარი ახ. წ. I – III საუკუნეებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების თუ მხოლოდ დასახლებაზე მიუთითებდა, რუსი მკვლევრის კ. ტრევერის თანახმად, ჰუნთა (მისი სიტყვით „ხონთა“) ერთი შტო

საერთოდ კავკასიური წარმოშობისა იყო. პ. ტრევერი ასეთ დასკვნამდე მივიდა ძველი სომები ავტორების იმ ცნობათა გაანალიზების შემდეგ, რომლებშიც გადმოცემულია IV ს-ის 30-იან წლებში ფაიტაკარანის ოლქისა და ქალაქის მმართველის სენასანის ანუ სანატრუეის სომხეთზე თავდასხმების ამბავი.

პ. ტრევერის თანახმად, სენასანის მხარეზე გამოსულ „ხონებს“ ეკავათ ტერიტორია ტავსაპარების ჩრდილოეთით, მდ. სამურიდან სულაკამდე და უფრო ზემოთ ჩრდილოეთისაკენ. შემდეგ აღნიშნავს, რომ მკვლევრები კასპიის ზღვასთან, დაღესტნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამ „ხონებს“, როგორც მეჩენება, შეცდომით ჰუნებთან აიგივებენ. სომები ისტორიკოსები, ფავსტოს ბუზანდაციდან მოკიდებული, ამ ხონებს კავკასიური წარმოშობის ხალხებისაგან (ტავსაპარები, ხემატაკები, გუგარები, ჩილბები, ბალასაჩები და სხვანი) არაფრით არ განასხვავებენ. არ აღნიშნავენ განსხვავებას გარეგან შეხედულებაში, ყოფაში. ამ „ხონების“ კავკასიურ წარმომავლობაზე, – დასძენს იგი, ისიც მიუთითებს, რომ დიონისე პერიგეტის (I – II სს.) ცნობით, ჩრდილოეთიდან მოკიდებული კასპიის ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ: სკვითები, შემდეგ უნები (ουνი), შემდეგ კასპები, ალბანები<sup>30</sup>. ასევე, დიონისე პერიგეტის სქოლიოებში აღნიშნულია, რომ ეს „უნები“ კასპიისპირეთის სკვითური ხალხი<sup>31</sup>. პ. ტრევერისავე მტკიცებით, დიონისე პერიგეტის „ουნი“ (ერთი „v“-თი) სომები ისტორიკოსების „ჰო“ დამწერლობას შეესაბამება. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სომხები კარგად იცნობდნენ „ხონებს“, რადგან მათ ზოგჯერ ამ ხალხთანაც უხდებოდათ ბრძოლა. რაც შეხება ჰუნებს, ალბანელები და სომხები მათ მხოლოდ VI ს-ში შეხვდნენ და ბიზანტიურ ტექსტებში მათი სახელი განსხვავებულად იწერებოდა – კერძოდ ხოუვი<sup>32</sup>.

პ. ტრევერისავე აზრით, კავკასიელი ჰუნები, როგორც ჩანს, რამდენიმე შტოსაგან შედგებოდნენ. ერთ-ერთი მათგანის სახელი აგათანგელოსის თხზულების ბერძნულ ვერსიაში ორჯერ იხსენიება როგორც „მასახა-ხუნია“, სომხურ ტექსტში კი „მასახა-ხუნის“ მაგივრად სიტყვა „მასკუტია“. შემდეგ წერს: მასკუტებს ჰუნებთან აიგივებდნენ VI საუკუნეშიც. მაგ., პროკოპიოს კესარიელი იუსტინიანეს მხედარომთავართა შორის იხსენიებს ვინმე ეგანს, რომელიც, მისი ცნობით, წარმოშობით „ახლა ჰუნებად წოდებული მასაგეტებიდან“ იყო<sup>33</sup>. აღნიშნულთან ერთად, დასძენს იგი, აგათანგელოსის თხზულების ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული „მასახა“, რომელსაც მისივე სომხურ ტექსტში „მასკუტი“ შეესაბამება, არ შეიძლება როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ, შეა აზიის ერთ-ერთ ხალხთან – მასაგეტებთან დავაკავშიროთ. უფრო მართებულია „მასკუტი“ სატომო სახელ „მასაპა“ (ან „მაზაპა“)-დან მოდიოდეს (ამ ხალხს პლიიუსი იხსენიებს მეოტიდინან კერვანის მთებამდე მცხოვრები ხალხების ჩამონათვალში). აღნიშნულიდან გამომდინარე, – ასკვნის პ. ტრევერი, – მტკიცდება მისი ვარაუდი იმის შესახებ, რომ სომხური წყაროების მასკუტი, სარმატული წარმოშობის კავკასიური ტომი იყო<sup>34</sup>.

რა შეიძლება ითქვას? ვფიქრობ, პ. ტრევერის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს, სომებს ავტორებთან თანამედროვე დაღესტნის აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. სამურისა და სულაკს (ამ მდინარის უფრო ჩრდილოეთითაც) შორის მცხოვრებლებად დასახელებული „ხონები“ კავკასიური წარმოშობის ხალხებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ და ამ „ხონების“ კავკასიური წარმომავლობა ას. წ. II ს-ში მცხოვრები დიონისე პერიგეტთან ჰუნების მოხსენიებით დასტურდება, ყოვლად მიუღებელია. პერიგეტთან მოხსენიებული „ჰუნების“ მის სქოლიოებში სკვითური წარმომავლობის ხალხად განმარტება და ის ფაქტი, სკვითური წარმოშობის მასაგეტების ერთი ნაწილი გვიან ჰუნებად რომ არიან სახელდებულნი, იმის საფუძველს არ გვაძლევს, სკვითური და თურქული წარმომავლობის ხალხები კავკასიური წარმოშობისად ჩავთვალოთ. როგორც ძველ

სომები ავტორებთან, ისე დიონისე პერიეგეტთან ჰუნების მოხსენიება ანაქრონიზმია (პერიეგეტთან ასევე ანაქრონიზმია ჰუნი საბირების ახ. წ. II ს-ში მოხსენიება).

კ. ტრევერის ზემომოტანილი თვალსაზრისი გარკვეული ნიუანსებით გაიმურა 6. ვოლკოვამ. 1973 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში, მან „ჰონთა ჰევენის“ ქვეშ იგულისხმა ვაინახურ ტომთა განსახლების ტერიტორია და აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი)<sup>35</sup>. 6. ვოლკოვას ეს თვალსაზრისი, ამ საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ გამოკვლევაში უარყო ვ. ითონიშვილმა<sup>36</sup>, მაგრამ ისე, როგორც კ. ტრევერმა, დიონისე პერიეგეტთან და სხვა ძველ ავტორებთან ჰუნების დასახელება მან ისტორიულ რეალობად ჩათვალა. ვ. ითონიშვილი აღნიშნავს, რომ ძვ. წ. III – ახ. წ. I ს-ში ჩინელებთან ბრძოლებში დამარცხებულმა ჰუნებმა აღმოსავლეთისაკენ დაიწყეს მოძრაობა და „რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (ახ. წ. 50 – 117 წ.) თავის „ისტორიაში“ უკვე ასახელებს ჰუნებს (Hunos) პომპეუსის ლაშქართან მებრძოლ ბარბაროსთა (ალანები, გოთები) გვერდით. ხოლო ახ. წ. II ს-ის ბერძენი ავტორის დიონისე პერიეგეტის „მსოფლიო აღწერილობაში“ კასპიის ზღვის პირას მცხოვრებ ტომთა სიაში (კასპიელები, ალბანები, პირკანები და სხვა) ჰუნებიც (ουνვი) ფიგურირებენ. ჰუნებს იცნობს აგრეთვე კლაუდიოს პტოლემაიოსი (გარდ. ახ. წ. 180 წ.), რომლის სახელგანთქმულ „გეოგრაფიაში“ ჰუნები იხსენიებიან ამჯერად უკვე ევროპულ სარმატიაში მცხოვრებ ტომთა შორის. მეტად საყურადღებოა, – დასძენს ვ. ითონიშვილი, – 293 წლით დათარიღებული ერთ-ერთი სასანიდური წარწერაც, სადაც ლაპარაკია კავკასიაში მყოფ თურქთა ხაკანზე, რომელშიც შესაძლოა სწორედ კავკასიაში მცხოვრებ ჰუნთა ხელისუფალი ექვემდებარებოდეს ამოცნობას“<sup>37</sup>.

ვ. ითონიშვილის მიერ დასახელებული ძველი ბერძენი ავტორების ტექსტებში სიტყვა „ჰუნი“ რომ გვიანი ჩანართი უნდა იყოს, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. ჩემი ყურადღება უფრო მეტად ვ. ითონიშვილის მიერ ვ. კოვალევსკაიას ნაშრომზე (Кавказ и аланы, М., 1984, გვ. 95) დაყრდნობით 293 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ სასანიდური წარწერაში ნახსენებმა „თურქთა ხაკანა“ მიიქცია. ეს ხაკანი, მისი ვარაუდით, შესაძლოა კავკასიელი ხელისუფალი იყო.

293 წლით დათარიღებული სასანიდური წარწერა, უცილობლად ე. წ. „პაიკულის წარწერა“ უნდა ყოფილიყო. ამ წარწერის შინაარსს ვ. ლუკონინის რუსული თარგმანით ვიცნობდი. სასანიდური ხანის წარწერები (მ. შ. პაიკულისა) დოკუმენტური ხასიათისაა, „პაიკულის წარწერაში“ „თურქთა ხაკანის“ მოხსენიება სულ სხვაგვარად აყენებდა აღმოსავლეთ ევროპაში ჰუნების მოსვლის საკითხს. ამიტომ სასწრაფოდ გავეცანი ვ. კოვალევსკაიას დასახელებულ ნაშრომს. მითითებულ გვერდზე გერმანელი მკვლევრის ფრანც ალტჰაიმის ნაშრომზე დაყრდნობით იგი, მართლაც, წერს ცალკეულ „ქავკასიელ ჰუნებზე“, რომლებიც, თითქოს, III ს. 60-იან წლებში „სპარსეთის არმიაში“ მსახურობდნენ. იქვე აღნიშნავს, რომ იმავე საუკუნის 90-იან წლებში სომეხი ისტორიკოსები საუბრობენ ჰუნებისა და ალანების ჯარისკაცებზე, ხოლო 293 წლის პაიკულის სასანიდური წარწერიდან ვგებულობთ „კავკასიაში თურქთა ხაკანის შესახებ“<sup>38</sup>.

ვ. კოვალევსკაია ფ. ალტჰაიმის ნაშრომში არსებულ ცნობებს რომ ასე ენდობა, შემთხვევითი არაა. თავისი ნაშრომის 94-ე გვერდზე იგი წერს: არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, ძვ. წ. I ს. მეორე ნახევარში დიონისე პერიეგეტთან მოხსენიებული უნები („უნი“) ჰუნები უნდა იყვნენო. დიონისეს მიხედვით, ისინი ცხოვრობდნენ „ვიზე კასპიйского моря, между скифами и каспийцами“. მომდევნო საუბრებებში კლავდიოს პტოლემაიოსი მათ ბასტარნებისა და როკსოლანებს შორის ათავსებსო<sup>39</sup>.

ამ „ჰუნების“ შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი, აქ კი უნდა აღვნიშნო: ვ. კოვალევსკაიას ზემომოყვანილი თვალსაზრისის ჩამოყალიბებაზე, ალბათ,

გარემოული გავლენა მოახდინა უცხოელ მეცნიერთა აზრმაც. როგორც ლ. გუმილიოვი წერს, ინგლისელი მეცნიერი ე. ტომსონი და ამერიკელი ო. მენჩენელფენი პუნქტს აღმოსავლეთ ევროპის ავტოქტონებად – უგრებად მიიჩნევდნენ. მისივე თქმით, საბჭოთა სწავლული ა. ბერძმული კი თვლიდა, რომ პუნქტი ნაწილი მოვიდა აზიანან, მაგრამ ნაწილი ავტოქტონურად წარმოიქმნა (იხ. ლ. ნ. გუმილევ, გუნის, СИЭ, т. 4, М., 1963; მისივე სტატია გუნის, БСЭ, მესამე გამოცემა, ტ. 7).

ახლა ჩავიხდოთ ვ. ლუკონინის მიერ გამოცემული „პაიკულის წარწერის“ ტექსტში და ვნახავთ, რომ მასში „საკების მეფე“ მხოლოდ რამდენჯერმე ნახსენები<sup>40</sup>, ფ. ალტჰაიმმა რის საფუძველზე შეიტანა თავის ნაშრომში „კავკასიის თურქთა ხაკანი“, არ ვიცი. ფაქტი ისაა, რომ მისი ნაშრომიდან ეს ცნობა მოხვდა ვ. კოვალევსკიას, ვ. ითონიშვილისა და ბოლოს ნ. ნიკოლოზიშვილის საკანდიდატო დისერტაციის ტექსტში<sup>41</sup>.

პუნქტის ისტორიის ცნობილ გერმანელ მავლევარს ფ. ალტჰაიმს, პუნქტის შესახებ ძველ ბერძენ ავტორთა ცნობების რეალურობაში, მართლაც, არ ეპარება ეჭვი. აღნიშნულს გარდა, ახ. წ. II ს-ში ამიერკავკასიაში პუნქტის დამადასტურებელ საბუთად მას მოყვავს მცხეთაში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ გემაზე არსებული წარწერა „Asparukis“. ფ. ალტჰაიმის თანახმად, ასპარუკი საპარსული წარმოშობის თურქული სახელია<sup>42</sup>.

ფ. ალტჰაიმის მიერ მოტანილი მაგალითი, რა თქმა უნდა, საფუძველს არ გვაძლევს, არა თუ ახ. წ. II ს-ში, III ს-ის დასასრულისათვისაც (293 წ.) ქართლში პუნქტის, მითუმეტეს „თურქთა ხაკანის“ ყოფნა ვამტკიცოთ. სახელი ასპარუკი, ისე როგორც ქართლის სამეფოს არისტოკრატიაში მიღებული სხვა არაერთი სახელი, „ჩრდილო-ირანული“ წარმომავლობისადაა მიჩნეული<sup>43</sup>.

ფ. ალტჰაიმის ზემომოტანილი თვალსაზრისი ახალი არაა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, თურქული წარმოშობის ხალხებს, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში პუნქტის შემდეგ ბევრით გვიან გამოჩნდნენ, XIX ს-ის ზოგი რუსი მეცნიერი ავტოქტონ მოსახლეობად თვლიდა. ასეთი აზრისა იყო ი. ვენელინი. მისი მტკიცებით, ხაზარები სლავური წარმოშობისანი იყენენ. როგორც ჩანს, ასეთი მოსაზრების გავლენა განიცადა „ანონიმური სომხური გეოგრაფიის“ რუსულ ენაზე მთარგმნელმა ქ. პატკანოვმა, როცა ახ. წ. დამდეგისათვის აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა მოხსენიება რეალურ ამბავად მიიჩნია. მისი აზრით, სომხეთზე ხაზართა და ბარსილთა გაერთიანებული ძალების თავდასხმის შესახებ ცნობები ხორენაცის II – III ს-ებში მცხოვრები ცნობილი გნოსტიკოსის – ბარდასენის თხზულებიდან უნდა აეღო. ამ წყაროთ დასტურდება ახ. წ. II ს-ში, სამხრეთ რუსეთში ხაზართა ყოფნა. რაც შეეხება ბარსილებს, – წერს ქ. პატკანოვი, – ისინი უფრო ადრე სარმატიაში ცხოვრობდნენ და ცნობილნი იყვნენ პტოლემაიოსისათვის, შესაძლოა ჰეროდოტესათვისაც კიო<sup>44</sup>. ასეთი მოსაზრების დამადასტურებლად პატკანოვს მიაჩნია ძველ წყაროებში მოხსენიებული ვასილი სამილი სამილი სამილი, რაც, მისივე განმარტებით, „სამეფო სარმატებს“ ნიშნავს<sup>45</sup>.

რაც შეეხება ხორენაცის მიერ მოთხოვნილ ამბავს, ბოლგარების სომხეთში შეჭრის შესახებ ამ ცნობის წყაროდ პატკანოვი სირიელი მარ აბას კატინას (ცხოვრობდა ახ. წ. III ს-ში) თხზულებას თვლის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. პატკანოვი ასკნის, რომ ახ. წ. III ს-ში სომხეთში ბოლგართა კოლონია არსებობდა. ეს რომ ისტორიული ფაქტია, თურმე იქიდან ჩანს, რომ სხვა ადგილას ავტორი ერთი სომხური ოლქის სახელს მათგან წარმოშობილად თვლის<sup>46</sup>.

ქ. პატკანოვის ზემომოყვანილი მოსაზრების შესახებ, ჩემი მხრივ მინდა დავძინო: ძველ ავტორებთან რომ ხაზართა და ბოლგართა შესახებ ცნობები მოიპოვება, ეს არ ნიშნავს, დასახელებულ ავტორთა ცნობები რომ რეალურია. ცნობილია, რომ გვიანდელ კომენტატორებსა და გადამწერებს ძველ ავტორთა

ტექსტებში ხშირად შექმნდათ თავიანთი თანადროული ვითარების ამსახველი შესწორებანი. მსგავს მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე როგორც ბარდასენის, ისე მარ აბას კატინას თხზულებებში.

ძველ ავტორებთან მოხსენიებულ ბარსილთა შესახებ განსაკუთრებით საინტერესო თანამედროვე რუსი მეცნიერის ა. ვ. გადლოს მოსაზრებანი. მისი აღნიშვნით, ბარსილები ევროპულ საისტორიო ტრადიციაში პირველად თეოფილაქტე სიმოკატასათან (VII ს-ის დამდეგი) გვხვდება<sup>47</sup>. ამის შემდეგ იგი ცდილობს დაამტკიცოს, ბარსილები ირანულენოვანი ხალხი რომ იყო. თუმცა, როგორც წყაროთა მონაცემებიდან ჩანს, და მის მიერ მოტანილი მასალებიც ცხადპყოფს, ბარსილები ბოლგარებთან და ხაზარებთან უფრო ახლოს უნდა ყოფილიყვნენ<sup>48</sup>. რაც მთავარია, ა. გადლოს მტკიცებით, თვით ეთნონიმ ბახილს (ბარსილს), თურქ, ჩრდილო კავკასიაში აქვს ტრადიცია, რომელიც I ათასწლეულის დამდეგიდან მოდის. ამ მსჯელობისას იგი ვასტიკი საფრანგეთის შესახებ ქ. პატიკანოვის ზემომოყვანილ მოსაზრებას ეყრდნობა და აღნიშნავს, რომ შესაძლოა შუა საუკუნეების ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ბარსილები სარმატებიდან მომდინარეობენ<sup>49</sup> (ასეთი მოსაზრება, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სათანადო წყაროთა არაკრიტიკული მიღვომის შედეგია).

შემდეგ ა. გადლო ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბარსილები (რომლებიც მას ირანული მოდგმის ხალხად და აქედან გამომდინარე, თანამედროვე ოსების ერთ-ერთ წინაპრად მიაჩნია) არა მარტო I ათასწლეულის დამდეგიდან არიან ცნობილნი, არამედ ისინი თვით XIX ს-ის ბოლომდეც კი არსებობდნენ. მისი აზრით, ასეთი მტკიცების საფუძველს „სომხურ-ამერკავკავიული წერილობითი და ზეპირი ტრადიცია“ იძლევა, რასაც ბარსილთა (ბახილთა) განსახლების ადგილის ძიებისას მკვლევრები ივიწყებენ. ამ ეთნონიმმა, – აღნიშნავს იგი, – ჩვენამდე მოაღწია და ამჯერად ისინი ჩრდილოკავკასიურ ტრადიციას წარმოადგენენ. მისი მტკიცებით, ასეთი ტრადიციის დამადასტურებელია ტერმინი ბასიანი, რომელიც ფიქსირებულია XIV – XV საუკუნეების ქართულ ეპიგრაფიკაში „ბაქსან“-ის ფორმით და დღემდევ შემორჩენილი მდ. ბაქსანის (უფრო სწორად ბახსანის) სახელწოდებაში<sup>50</sup>. შემდეგ წერს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი დაწვრილებით აღწერს ბასიანს, როგორც დიგორის დასავლეთით მდებარე ოლქს და ბასიანის ქვეშ ესმის თანამედროვე ბალყარეთის ტერიტორია. ვახუშტი ბასიანს იმ „ხევებს“ მიათვლის, რომელთაც ბათო ხანის დამარცხებამდე ოსთა მეფეები ფლობდნენ. ბასიანის ოლქის გარდა, – დასძენს ა. გადლო, – ვახუშტიმ იცის „გვაროვნულ-ტომობრივი ჯგუფი“ („родоплеменная группа“) ბასიანი, რომელთაც იგი „ოსთა შორის უწარჩინებულებს“ („превосходнейших из овсов“) აკუთვნებს<sup>51</sup>.

ამის შემდეგ ა. გადლო ასევნის, რომ ვახუშტიმ შემოგვინახა ქვეყნის სახელი, რომელსაც ეს ქვეყანა ატარებდა ამ ტერიტორიაზე თანამედროვე ბალყართა დასახლებამდე.

როგორც ვხედავთ, ა. გადლოს ცდა დაამტკიცოს, თითქოს, თურქული მოდგმის ბარსილები ჯერ კიდევ I ათასწლეულის დამდეგიდან ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიაში და ისინი ირანულენოვანი ხალხი იყო (აქედან გამომდინარე, თანამედროვე ოსთა წინაპრები), მათი სახელიდან მომდინარეობს ჩრდილო კავკასიაში ტოპონიმი „ბასიანი“, საქართველოში კი ეს ტოპონიმი ფიქსირებულია XIV – XV საუკუნეების ეპიგრაფიკაში, დამაჯერებელი არაა. ასეთი მტკიცებისათვის ა. გადლოს XVIII ს-ში მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები არ გამოადგება. ვახუშტის ცნობებს I – VII სს-ში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თურქულენოვანი (ან ირანულენოვანი) ეთნიკური ჯგუფების შემოსვლისა და მათ მიერ დასახლებების შექმნის სამტკიცებლად ვერ გამოვიყენებთ.

ძველ ქართულ, სომხურ (ასევე არაბულ. იხ. ქვემოთ) წყაროებში არსებული ის ცნობები, რომლებშიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თურქების, ხაზარების, პაჭანიკების, ყივჩაყებისა და სხვათა შემოსვლა-ლაშქრობის ან მათი დასახლებების შექმნის შესახებაა მოთხოვნილი, ანაქრონისტული ხასიათისაა. ამიერკავკასიის ძველების ძველი ისტორიის გასამართავად მათი გამოყენებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო – ზუსტად უნდა განისაზღვროს ის ეთნონიმი, რომლის სახელი გვიანდელმა ავტორმა ან რედაქტორმა თავისი თანადროული ეთნიკური ერთეულის სახელით შეცვალა.

## თავი II. ტოპონიმების ძიება საქართველოს ტერიტორიაზე

### § 1. ტოპონიმების შესწავლა საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა)

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სანამ ძველი თურქული წარმომავლობის ადგილის სახელების შესახებ დავიწყებ საუბარს, მოკლედ თვალი გადავავლოთ საქართველოში ტოპონიმიკური ძიების ისტორიას.

ქართული ონომასტიკის (მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ყოველგვარ საკუთარ სახელს) მეცნიერულ შესწავლას ორასორმოცდაათ წელზე მეტი ისტორია აქვს. ონომასტიკის ერთ-ერთი დარგის – ტოპონიმიკის, როგორც მეცნიერების, ასევე მეცნიერული ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებელი საქართველოში ვახუშტი ბაგრატიონია (გარდ. 1757 წ.).

საქართველოში ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: მ. ბროსემ, ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, ნ. ბერძენიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ა. ჩიქობავამ, ა. შანიძემ, დ. მუსხელიშვილმა, დ. ბერძენიშვილმა და სხვებმა. მათ მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებული ნაშრომები ეხება ქართულ, ქართველურ, კავკასიურ ტოპონიმიკას, ანთროპონიმიკას, ეთნონიმიკას, ისტორიულ გეოგრაფიას.

საქართველოში ცალკეული რეგიონების ტოპონიმებიც საკმაოდაა შესწავლილი. მაგ., მ. ჩიქოვანმა აღწერა ლექსეუმის ტოპონიმები, მ. ალავიძემ – ქვემო რაჭა, პ. ცხადაიამ – დასავლეთ საქართველო. დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია შეისწავლა თ. ბერაძემ, ჯ. გვასალიამ – ქსნის ხეობა, ვ. გამრეკელმა და ნ. ოთინაშვილმა – ლიახვის ხეობა. მესხეთის ტოპონიმები შეისწავლა ი. მაისურაძემ. ამ მხრის ტოპონიმები შეისწავლეს აგრეთვე გ-თოფურიამ და ნ. ნორაკიძემ. ი. სიხარულიძემ ორ ტომად გამოაქვეყნა „სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტოპონიმიკა“ (წ. I – II, ბათუმი, 1958 – 1959). I ტომში დაახლოებით 10 000 ერთეულია მოცემული აჭარის ტერიტორიიდან; II ტომში ქვემო გურიის ტოპონიმებია თავმოყრილი (დაახლ. 2 600 ერთეული. აქვე განხილულია ის ეთნონიმები, რომელთაც ოდესლაც უცხოვრიათ გურიის ტერიტორიაზე). მანვე გამოსცა „მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის“, სადაც 2 500 ტოპონიმია შეტანილი<sup>1</sup>. ერწო-თიანეთის ტოპონიმიკა შეისწავლა რ. თოფჩიშვილმა და გ. ბედოშვილმა, არაგვის ხეობისა – გ. ხორხაულმა.

მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს პროფ. ზ. ჭუმბურიძის „რა გქვია შენ?“, რომელიც დამატებული და შესწორებული სახით 1987 წელს მეოთხედ გამოიცა.

საქართველოს ტოპონიმიკური შესწავლის მხრივ დიდი სამუშაოები შესრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ლაბორატორიაში<sup>2</sup>. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. კაველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის“ (X – XVII სს. ისტორიული დოკუმენტების მიხედვით)<sup>3</sup>. მნიშვნელოვანია გ. ბედოშვილის მიერ 2002 წელს გამოცემული „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“<sup>4</sup>. ამ ექვსასზე მეტ გვერდიან ნაშრომში მთელი საქართველოს მასშტაბით ასეულობით ჰიდრონიმი და ტოპონიმი განმარტებული.

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უცხო წარმოშობის ტოპონიმებს, ამ მხრივ უნდა აღვნიშნო პროფ. ს. ჯიქიას ლვაწლი. მან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაგორის“ გამოცემისას საერთო თურქული

ტოპონიმების საკითხი განიხილა, გააანალიზა ადმოსავლური წარმოშობის სიტყვები ქართულში, შექმნა ტოპონიმ „სურამისა“ და „ყაზბეგის“ წარმომავლობის საკითხს<sup>5</sup>.

პროფ. მ. ანდრონიკაშვილმა შეისწავლა საქართველოს ტერიტორიაზე ირანული წარმოშობის სატომო და ადგილის სახელები. ასეთი სახის კვლევას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „კავკასიის ტომთა და ენათა ისტორიის შესწავლასა და მათ წინა აზიის უძველეს ხალხებთან ურთიერთობის საკითხის გაშუქებაში, – წერს იგი, – ონომასტიკონისა და უცხო საისტორიო წყაროებში დაცული ადგილისა და სატომო სახელთა გათვალისწინება წარმოადგენს მეცნიერული კვლევის სრულიად გარკვეულ საფეხურს“<sup>6</sup>. დროთა განმავლობაში, „ადგილისა და ტომის სახელი იქცევა ზოგად სახელად, ზოგან არსებით ან ზედსართავ სახელად. ამ საინტერესო სემანტიკური გადახაცვლების თვალსაჩინო ნიმუშებს ყველა ხალხის ენაში ვხვდებით“, – დამენს იგი.

როგორც ვხედავთ, საქართველოში საკმაოდ დიდი სამუშაოა შესრულებული ისტორიული გეოგრაფიისა და ისტორიული ტოპონიმიკის შესასწავლად, მაგრამ ამ მონოგრაფიისათვის აქტუალური ჰუნურ-თურქული წარმომავლობის ტოპონიმები პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის (იხ. ქვემოთ) გარდა, სპეციალურად თუ არავის უკვლევია, ამ ბოლო ხანს ამ მხრივ თავი გამოიჩინა აზერბაიჯანელმა ა. იუნუსოვმა. 2000 წელს ქ. ბაქოში გამოცემულ წიგნში („Месхетинские турки: дважды депортированный народ“) იმდენი უზუსტობა და თვითნებური ეტიმოლოგიაა ქართული ადგილის სახელებისა, რომ მასზე პასუხის გასაცემად სპეციალური გამოკვლევის დაწერა მომიხდა (იხ. ვ. გოილაძე, „მიწის ენა“ მრუდე სარკეში, თბ., 2007).

\* \* \*

ჩვენთვის საინტერესო ჰუნურ-თურქული, საერთოდ თურქული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები, კავკასიის რეგიონს გარდა, ჩვეულებრივი მოვლენაა ევრაზიის კონტინენტისათვის. იგი გვხვდება დუნაის სანაპიროდან შორეულ აღმოსავლეთამდე. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თურქული გეოგრაფიული ლექსიკა ზოგიერთ შემთხვევაში ემთხვევა მონდოლურს, ტუნგუსურ-მანჯურულს, ფინო-უგრულს და სხვა, მაშინ ცხადი გახდება, თურქული წარმომავლობის ტოპონიმების არეალი რამდენად ფართოა<sup>8</sup>.

ძველი თურქული წარმომავლობის ონომასტიკამ ადრიდანვე მიიპყრო სწავლულთა უურადღება (ამ მხრივ აღსანიშნავია XI ს-ში მცხოვრები ყირგიზი სწავლულის მუჭამედ ყაშდარელის მოღვაწეობა<sup>9</sup>). შემდგომში, პირველი ცდა შეუკრიბა და აეხსნა თურქული გეოგრაფიული სახელები, უნგრულ აღმოსავლეთმცოდნებს არმინიუს ვამბერის (1832 – 1913 წწ.) ეკუთვნის. მან გამოაქვეყნა შუა აზიის ტერიტორიაზე შეგროვილი თურქული, ტაჯიკური და სხვა სახის ტოპონიმები<sup>10</sup>. თურქული წარმოშობის ტოპონიმების სისტემატური შესწავლა XX ს-ის შუასანებიდან დაიწყო. შუა აზიის რესპუბლიკებში გამოქვეყნდა რეგიონალური კრებულები, გამოიცა „Ономстика Средней Азии“, უზბეკეთსა, ყაზახეთსა და თურქმენეთში ტოპონიმიკური ლექსიკონები<sup>11</sup>.

## § 2. ძველთურქული წარმომავლობის ტოპონიმებად მიჩნეული ადგილის სახელები საქართველოში

ამიერკავკასიის ტერიტორია, თავისი მდებარეობის გამო, ადრიდანვე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და პირუქუ სხვადასხვა ხალხთა მოძრაობის ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა. ამის გამოა იგი, ჩრდილო კავკასიასთან ერთად, როგორც ნ. მარი მიუთითებდა, „მსოფლიოს ეთნიკურ ტერმინთა სალარო“. ამ „სალაროდან“ ამჯერად კვლევის ობიექტს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე IV – X საუკუნეებში შემოსული ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების ნაკვალევად მიჩნეული ზოგიერთი ტოპონიმის გამოვლენა შეადგენს. დასმული საკითხის შესწავლამ საბოლოო ანგარიშში მეტ-ნაკლებად პასუხი უნდა გაგვცეს, თუ რა წვლილი შეიტანეს IV – X სს-ში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შემოსულმა ჰუნურ-თურქული მოდგმის ტომებმა ამ რეგიონში მცხოვრები ზოგი ხალხის ეთნოგრაფიული პროცესის შესახებ.

ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ ვაჩვენე, სხვადასხვა გზით შემოდიოდნენ, რომელთაგან ძირითადი დერბენდისა და დარიალის კარი იყო. უძველესი დროიდან მოკიდებული დარიალის ზეპარი ჩრდილო კავკასიასა, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის ველებზე არსებული პოლიტიკური გაერთიანებებისათვის სამხრეთისაკენ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი გზა იყო. ლათინურ-ბერძული, ასევე ძველი ქართული, სომხური, ბიზანტიური, არაბული, სირიული წყაროების ავტორები ხშირად წერენ კავკასიონის ქედს გადაღმა არსებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ დარიალის გზის გამოყენების შესახებ. თუმცა, საქართველოს ტერიტორიაზე ამ ხალხთა გაჩერებაზე ნაკლებად მიუთითებენ. ამ მხრივ გამონაკლისს V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის პრისკოს პანიელის ცნობა წარმოადგენს. მხოლოდ იგი წერს ქართლის ტერიტორიაზე ჰუნების გაჩერების შესახებ. ამასთანავე, ძველ ავტორთა ცნობები ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და მკვლევართაგან განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს. ამ ცნობათა რეალურობის დასადგენად, ზოგჯერ სხვა ცნობით მისი დადასტურებაც არ კმარა, საჭიროა არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალის მოშველიება, რაც ყოველთვის არ ხერხდება.

აქვე უნდა აღვნიშნო: ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხთა ნაკვალევის მხრივ ამიერკავკასიაში განსაკუთრებით ძველი ალბანეთის ტერიტორია გამოირჩევა, რაც ალბანეთის გეოგრაფიულმა პირობებმაც განაპირობა. მასზე ქვემოთ მექნება საუბარი. მანამდე კი ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ისტორიულ საქართველოს ტერიტორიაზე.

\* \* \*

პ. ტრევერის მიერ გამოთქმული ზემომოტანილი თვალსაზრისი (ზოგიერთი კავკასიური მოდგმის ხალხის ჰუნური წარმომავლობისად მიჩნევის შესახებ) ახალი არ იყო რუსული ისტორიოგრაფიისათვის. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯერ კიდევ XIX ს-ს შუახანებიდან მოკიდებული რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ადრეშუასაუკუნეებიდან მცხოვრები (ან მომთაბარე) არარუსულენოვანი (მ. შ. ჰუნურ-თურქული მოდგმის) ტომები რუსთა წინაპრებად იქნა გამოცხადებული<sup>12</sup>. ჰუნურ-თურქული მოდგმის ტომების ნაკვალევს ეძებდნენ საქართველოს ტერიტორიაზეც. ძველი ქართული წყაროთა მონაცემები ამ მრივ მათ გარკვეულ საფუძველს აძლევდა<sup>13</sup>, მაგრამ ზემონახენებმა ა. იუნისოვმა იმ მიზნით, რათა თურქული ორიენტაციის ე. წ. „თურქი მესხებისათვის“ დაესაბუთებინა სამხრეთ-

დასავლეთი საქართველო მათი გასახლების დროისათვის უკვე თურქული ეთნოსით დასახლებული მხარე რომ იყო, მესხეთის ტერიტორიაზე იმდენი თურქული წარმომავლობის ტომი „ჩასახლა“ და იმდენი თურქული წარმომავლობი ტოპონიმი „მოძებნა“, რომ XI ს-ის მესხეთი „დიდ თურქესტანად“ გამოაცხადა<sup>14</sup> (ამ მხრივ არანაკლები „მეცნიერული მიგნებები“ აქვს მის წინამორბედს ვ. ღუგასიანს<sup>15</sup>. ა. იუნუსოვის ზოგიერთი დებულების კრიტიკა მოცემული აქვს ლ. ჯანიაშვილს. ამ ავტორთა შესახებ იხ. აგრეთვე ჩემი გამოკვლევა<sup>16</sup>).

\* \* \*

ახლა რაც შეეხება იმ ტოპონიმებს, რომლებიც ჩრდილოკავკასიური და ჰუნურ-თურქული წარმომავლობისადაა მიჩნეული.

### დარიალის ხეობა. ამბაზუპის ჰუნები

უძველესი დროიდან დარიალის ხეობა, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსასვლელი ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი იყო. ამიტომ, ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, ამ რეგიონის ტოპონიმით უნდა დავინტერესდეთ.

ჩრდილო კავკასიიდან დარიალის ზეპარით ქართლში გადმომავალ მთავარ გზაზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია ადგილის სახელს – „ჭართალი“ და იგი ჩრდილოკავკასიურ სატომო სახელ „ჭარ“-ისაგან წარმომდგარად მიიჩნია. მან თავის ცნობილ მონოგრაფიაში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ (წ. I) სპეციალურად განიხილა „ჭარ“-ძირიანი სახელები და აღნიშნა: „ჭართალი, ვითარცა ტომის სახელი უნდა ჭარ-ისა და თალ-ისაგან შედგენილი იყოს“. მისი აზრით, „ჭარი“ ლეკური ტომის სახელია, თალ – კი ლუნბურში დაცული შენობის ან სკის ხმოვანჩამოცილებული ფორმაა. ამრიგად, – დასძენს იგი, – ჭართალი თავდაპირველად თემის სახელი უნდა ყოფილიყო. წინათ, ჭართალი რომ მარტო პატარა თემისა-კი არა, არამედ გაცილებით უფრო ფართო მიწაწყლის სახელი ყოფილა და მთელ კახეთსაც წოდებია, ეს იმითაც მტკიცდება, რომ ანდიელები კახეთს ეხლაც „ჭორს“ უძახიან და კახურ დიდრება ხარებს სწორედ „ჭორთოლ უნსოლს“ უწოდებენ<sup>17</sup>.

თუ ისტორიული რეალობით ვიხელმძღვანელებთ, დარიალის სამხრეთით როგორც ჩრდილოკავკასიური, ისე სავარაუდოდ ჰუნურ-თურქული ტოპონიმების არსებობა შემთხვევით მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ დარიალის სამხრეთში მდებარე „ჭართალის“ სახელი რომ ჩრდილოკავკასიურ რომელიმე ენასთან სიახლოებეს იჩენს, ეს უფრო იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

რაც შეეხება დარიალის სამხრეთით თურქული (ან სხვა უცხო ეთნოსის აღმნიშვნელი) ტოპონიმის გაჩენას, აკად. ს. ერემიანის თანახმად, ამისათვის ხელი უნდა შეეწყო, იმასაც, რომ თვით ამიერკავკასიაში გაბატონებული სახელმწიფოები ცდილობდნენ როგორც დერბენდის, ისე დარიალის კარის გამაგრებას და მათში თავიანთ სამხედრო გარნიზონებსაც აყენებდნენ. როგორც იგი წერს, დარიალის კარის დასაცავად სასანიანებს შექმნილი პქონდათ სამხედრო გამაგრებათა მთელი სისტემა. მათი მთავარი ძალები ბოსტან-ქალაქის რაიონში იყო თავმოყრილი, და იქიდან აკონტროლებდნენ დარიალის ჩამკეტ

ციხეში მდგომ სამხედრო ძალებს (აწვდიდნენ სურსათს და სხვა). ასეთი მდგომარეობა იყო საქართველოში არაპოტი ბატონობისა და შემდგომ ხანებში<sup>18</sup>.

ს. ერემიანის ზემომოგრანილი ზოგადი მინიშნება თუ კონკრეტული მასალით არ გამჟარდა, ცხადია, მას არავითარი ძალა არა აქვს. კონკრეტული ცნობები კი ასეთია: დარიალის კარის მიდამოებში უცხო ეთნიკური ჯგუფის არსებობის შესახებ ცნობა VI ს. ცნობილ ბიზანტიელ ავტორს პროკოპიოს კესარიელს ეკუთვნის. როგორც იგი წერს, V ს-ის დასასრულს „კასპიის კარს“ (იგივე დარიალის კარს) შთამომავლობით ჰუნი ამბაზუკი ფლობდა<sup>19</sup>.

ამბაზუკის ვინაობასა და მისი სამფლობელო ადგილის ლოკალიზაციის საკითხს 1940 წელს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ბ. გოზალიშვილმა. როგორც იგი წერს, ჰუნი ამბაზუკი დარიალის (კასპიის) კარის მფლობელი იყო. V ს-ის დასასრულს მან თავისი სამფლობელო შესთავაზა ბიზანტიის იმპერატორს ანასტასიოს I-ს, მაგრამ რადგან მისგან უარი მიიღო, კასპიის კარი ხელთ იგდო ირანის შაჰმა კავად I-მა, რაც შემდეგში 502 წელს დაწყებული ბიზანტია-ირანის ომის ერთ-ერთი საბაბი გახდა<sup>20</sup>.

დარიალის კარის მფლობელ, წარმოშობით ჰუნი ამბაზუკის სამფლობელოსთან დაკავშირებით, ჩემი უურადღება მიიქცია სომხური ანონიმური გეოგრაფიის (VII ს.) ერთმა ადგილმა. გეოგრაფიის ავტორი აზის სარმატის აღწერისას და სარმატიაში მცხოვრები (53 დასახელების) ხალხების ჩამოვლისას დარიალის კარის სამხრეთით, დაახლ. იქ, სადაც ამბაზუკის სამფლობელო ლოკალიზდება, ჰუნებს ასახელებს.

ანონიმი გეოგრაფი კავკასიონის მთავარი ქადის სამხრეთ ფერდობზე<sup>21</sup>, აზის სარმატიაში მცხოვრები ხალხების განლაგებას შემდეგნაირად გადმოგვცემს: დასახელებული 53 ხალხიდან 23-ე არიან დვალები (თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მათ საცხოვრის ადგილად მიჩნეულია კავკასიონის ქადის ცენტრალური ნაწილი, დარიალის ხეობასა და მამისონის გადასასვლელს შორის, მდ. ლიახვის ხეობის ზემო წელი<sup>22</sup>). დვალების შემდეგ, აღმოსავლეთით, 24-ედ ჰუნებია დასახელებული; შემდეგ, 25-ედ ვოსფურები (ვარ. აპული); 26-ედ წანარები, რომელთაც ალანთა გასასვლელები უკავიათ (იქვეა ცეკანი), შემდეგ, 27-ედ თუშები, 32-ედ გუდამაურელები<sup>23</sup>.

ანონიმი ავტორი, როგორც ვხედავთ, დვალების შემდეგ ჰუნებს ასახელებს, რომელთა საცხოვრებელ ადგილად არაგვის ხეობა ივარაუდება. ანონიმი გეოგრაფი ამავე ხეობაში ასახელებს წანარებს, მათ საცხოვრებელ ადგილად უშუალოდ „ალანთა გასასვლელს“ მიუთითებს.

ანონიმი გეოგრაფის ცნობათა სანდობის საკითხს როცა ქ. პატკანოვი შეეხო, აღნიშნა: დროთა განმავლობაში გეოგრაფიაში მოხსენიებული ხალხის სახელები შეიძლებოდა დამახინჯებულიყო, ან მასში გვიანდელი ხალხები იყოს ჩამატებული<sup>24</sup>. ამიტომ მან, რათა სწორად აღედგინა ხალხთა სახელები და დარწმუნებულიყო ტექსტში გვიანდელი ჩანართები ხომ არ იყო, ანონიმი გეოგრაფის ცნობები სარმატიაში მცხოვრები ხალხების შესახებ შეუდარა კლასიკურ და იმ სომებ ავტორთა ცნობებს, რომელნიც VII საუკუნეში ცხოვრობდნენ. რის შედეგადაც მას გარკვეული გარანტია შეექმნა გეოგრაფიაში შეცდომებისა და გვიანდელი ჩანართების საწინააღმდეგოო.

ქ. პატკანოვს მოჰყავს ძველი ბერძენი გეოგრაფოსის პტოლემაიოსის ცნობები. მასთან, ზემოდასახელებული, ჩვენთვის საინტერესო ხალხებიდან № 26-ს შეესაბამება წანარები (Σαναραιοι), ხოლო ანონიმი გეოგრაფის № 27-ს – თუშები (Τουσκοι)<sup>25</sup>.

როგორც ვხედავთ, პტოლემაიოსი დარიალის კარის მიდამოებში წანარებთან ერთად ჰუნებს არ ასახელებს და არც შეიძლებოდა დაესახელებინა,

პტოლემაიოსის მოდვაწეობის დროისათვის (ახ. წ. II ს.) ჰუნების დასახელება წყაროში ანაქრონიზმს წარმოადგენს. რაც შეეხება ბერძენ მწერალს – არიანეს (ახ. წ. II ს.), მასთანაც დარიალის კართან ჩვენთვის საინტერესო ხალხებიდან თუ არც ერთი არაა დასახელებული, ფველ – V ს. სომები ავტორთან – ელიშესათან 24-ე ნომერს ჰუნები შეესაბამება. ამის შემდეგ ქ. პატკანოვი ასკვნის, რომ ანონიმთან დასახელებული 53 ხალხიდან, 40-მდე ხალხის სახელი არ არის დამახინჯებული და ისინი სხვა ავტორებთანაც გვხვდება<sup>26</sup>.

ზემომოტანილი მასალიდან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ანონიმი გეოგრაფის მსგავსად, იქ, სადაც პროკოპიოს კესარიელის მიერ დასახელებული ჰუნი ამბაზუკის სამფლობელო უნდა ყოფილიყო, ჰუნების იხსენიებს ელიშეც.

რამდენად რეალური ვითარების ამსახველია ზემომოტანილი ცნობები დარიალის კართან და მის სამხრეთით ჰუნების ცხოვრების შესახებ, დანამდვილებით არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ გამორიცხული არაა 502 წლის წინა ხანაში ჰუნი ამბაზუკი – ჰუნების რაზმით, მართლაც, მდგარიყო დარიალის ციხეში და ეს ფაქტი ასახულიყო როგორც ელიშესთან, ისე სომხურ ანონიმურ გეოგრაფიაში.

არაგვის ხეობის შესახებ (სადაც ანონიმი გეოგრაფის მიერ დასახელებული ჰუნები ლოკალიზდებიან) საინტერესოა ერთი ზეპირი გადმოცემა, რომელიც XIX ს-ის ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს აქვს მოტანილი „დუშეთის ისტორიაში“. „ამბობენ, რომო, – წერს იგი, – დუშეთი თაორული სიტყვაა. მოგვითხოვთ, თითქოს, თემურ ლენგის ცხენოსანი ჯარი საქართველოში 1394 წლის გამანადგურებელი ლაშქრობისას როცა მოადგა არაგვის ხეობას და მთიანი მხარის ავლის შემდეგ ფართო ველი დაინახა, მეომრებმა თავიანთი ბელადის ბრძანება გაიგონეს: „დუშ ატ“ – „შეაჩერე ცხენი“. აქედან მიიღო ამ ადგილმა სახელწოდება<sup>27</sup>. პ. იოსელიანი იქვე დასძენს, სახელწოდება „დუშეთი“ გვხვდება ჩერქეზეთში (ჯიქეთში), ასევე ლაზიკაში, სადაც მდ. დუშეთი შავ ზღვას ერთვის (აქ იმოწმებს დიუბუა დე მონაკერეს მოგზაურობის ცნობას, ტ. I, გვ. 187). ჩერქეზთა ენაზე „დუშეტ“ ნიშნავს „თქვენი საჯდომი“ („ვაშე სედალიშე“). ასეთი სახელწოდება, თითქოს, მიუთითებს მმართველის რეზიდენციაზე. როგორიც, მართლაც, იყო დუშეთშიო“. შემდეგ იგი ვარაუდს გამოთქვამს, შეიძლება დუშეთს სწორედ ჩერქეზებმა მისცეს ეს სახელი, როცა ძველად მათ არაგვის ხეობაში გასაყიდად ჩამოჰყავდათ თავიანთი საქონელი<sup>28</sup>.

პ. იოსელიანი, როგორც ვხედავთ, უფრო შესაძლებლად თვლის დუშეთის სახელი თურქულთან კი არა, ჩერქეზულთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ, ერთი შეხედვით, სახელ „დუშეთის“ თურქულ წარმოშობას შეიძლება მხარს უჭერდეს ამავე ხეობაში არსებული სოფლის სახელი კობი, რომელიც ტოპონიმიკურ ლიტერატურაში თურქული წარმოშობისადაა მიჩნეული<sup>29</sup>. თუმცა, ვფიქრობ, როგორც კობის, ისე დუშეთის თურქული წარმომავლობა საეჭვოა. დუშეთის სახელის მატარებელი ტოპონიმი და ჰიდრონიმი, როგორც პ. იოსელიანი წერს, თუ, მართლაც, არის ჯიქეთში და ლაზეთში, ეს იმის მოწმობაა, ისევე როგორც ჭართალი, სახელ დუშეთის წარმოშობაც იბერიულ-კავკასიურ ფუძე ენაში გვძიოთ<sup>30</sup>.

უველივე ზემოაღნიშნულთან ერთად საინტერესოა დუშეთის ხევში არსებული მდ. არდუნის სახელი. პ. იოსელიანის თანახმად, დუშეთის ხევი შედგება ორი მდინარისაგან, რომელთაგან ერთს არღუნი ჰქვია<sup>31</sup>. იგ. ჯავახიშვილის მითითებით კი „არდუნი“ საჩერხოში არაერთი მდინარის სახელია. მაგ., არსებობს ჩანვე-არგუნ, შარო არგუნ<sup>32</sup>. ვფიქრობ, არღუნ/არგუნი ისეთივე წარმოშობის ტოპონიმია, როგორც დუშეთი და ჭართალი.

## ხუნანი

ზოგ მკვლევარს პუნქტი წარმომავლობისად მიაჩნია ძველი ქართული ქალაქის – ხუნანის სახელწოდება<sup>33</sup>.

ხუნანის, იგივე მტუერის ციხის აგებას ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ქართველთა ეთნარქს – ქართლოსს მიაწერს<sup>34</sup>. ძველ სომხურ წყაროებში ეს ციხე პუნარკერტის სახელით იხსენიება<sup>35</sup>. ჸ. ჰიუბშმანის თანახმად, ხუნანი უნდა უკავშირდებოდეს სპარსულ სიტყვა „პუნარ“-ს (უნარს), ე. ი. უნარიანად, კარგად აშენებულს<sup>36</sup>.

რა მასალას ემყარებიან ის მკვლევრები, რომლებიც ტოპონიმ ხუნანს პუნქტი წარმომავლობისად მიიჩნევენ?

V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პრისკოს პანიელი დაახლ. 466 წელს დარიალის გზით როცა ქართლის ტერიტორიაზე პუნი სარაგურების, აკაციორებისა და სხვა ხალხების შემოსვლაზე წერს, აღნიშნავს, რომ ისინი ქართლში გაჩერდნენ და აქედან ესხმოდნენ თავს სომხეთის სოფლებს, მაგრამ სად გაჩერდნენ ისინი, ცნობილი არაა. აღნიშნულის მიუხედავად, იყო ცდა ხუნანის სახელი პუნებთან დაეკავშირდებინათ. პროფესორი ლეონ მელიქსეთ-ბეგი თრჯერ შეეხო აღნიშნულ საკითხს. წერილში „К истории появления гуннов в Восточном Закавказье“, მან შესაძლებლად მიიჩნია ახ. წ. IV ს-ში ადმოავლეთ ამიერკავკასიაში პუნების ყოფნა. მისი თქმით, ამაზე მიგვითითებს V ს-ის სომები ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდაცის ცნობა იმის შესახებ, რომ მასკუტთა მეფე სენასანმა პონებთან ერთად ილაშქრა სომხეთის წინააღმდეგ. ლ. მელიქსეთ-ბეგის თანახმად, ეს ლაშქრობა ემთხვევა ჩრდილო კავკასიაში პუნების შექრას. შემდეგ ასკვნის: პუნების (პუნ-თურქების) IV ს-ის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში, კერძოდ, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ყოფნა და შესაძლო დასახლება აღბეჭდილი უნდა იყოს ციხის სახელწოდებაში „ხუნანი“, რომელსაც არ შეიძლება სხვაგვარი ინტერპრეტაცია მივცეთ, თუ არა „პუნ“ resp. „პონ“ („hon“) ძირიდან წარმომავლობა<sup>37</sup>.

როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგი წერს, ჯერ კიდევ 1920 წელს თბილისში წაკითხულ მოხსენებაში („О новых материалах для древней истории Закавказья“)<sup>38</sup> კონსტანტინე მიხეილის ძე თუმანოვმა ქ. ხუნანის სახელი ჩინეთის პროვინცია ხუნანიდან გამოსულ ჩინელთაგან მომდინარედ მიიჩნია<sup>39</sup>. 1927 წელს კი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ (№ 1570) ზემოდასახელებული კონსტანტინე თუმანოვის ძმისწულმა მიხეილ გიორგის ძე თუმანოვმა დაბეჭდა წერილი „Китайские выходцы в древнем Закавказье“ (историческая справка), სადაც ავტორი წერს: ძველ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არის ქალაქი, რომლის სახელი არ ისხნება ადგილობრივ ენგზე. ეს სახელწოდება კიდევ ერთხელ მოწმობს სომხეთსა და საქართველოში ჩინეთიდან გადმოსახლებულთა კოლონიის არსებობას. ავტორის თანახმად, – აღნიშნავს ლ. მელიქსეთ-ბეგი, – ხუნანი ორბელიანთა მამულის ახლოსაა, შესაძლოა მათაც ეკუთვნოდა. ჩინურად „ხუნანი“ ნიშნავს „წვეროსანთა ქვეყანას“, ჩინელები კი წვეროსნებს უწოდებდნენ ინდო-არიული წარმოშობის თავიანთ თანამემამულეებსთ<sup>40</sup> (ლ. მელიქსეთ-ბეგის სიტყვით, მსგავსი შინაარსის წერილი მიხეილ თუმანოვს ჯერ კიდევ 1911 წელს გამოუქვეყნებია ვენის მხითარიანთა კონგრეგაციის უურნალში). ამის შემდეგ ლ. მელიქსეთ-ბეგი დასძენს: დასახელებული ავტორები როცა ხუნანის სახელის ჩინურ წარმომავლობაზე წერენ, სომხურ საისტორიო მწერლობას (ფავსტოს ბუზანდაცი, მოგსეს ხორენაცი, სებეოსი) ეყრდნობიან. მათი ცნობით კი, მამიკონიანები (სტეფანოს ორბელიანის თანახმად – ორბელიანები) ჩინელებისაგან მომდინარეობდნენ<sup>41</sup>.

ზემომოტანილი მსჯელობის შემდეგ ლ. მელიქსეთ-ბეგი ცდილობს თვით ახსნას ხუნანის ეტიმოლოგია და აღნიშნავს: ხუნანი ისეთივე კატეგორიის სახელია, როგორიცაა საკაშენე (შექი) – საკების ადგილი ანუ ქალაქი, „ნახჭევანი“ – ნახთა ქალაქი ანუ ადგილი. ხუნანი ჰუნთა ბინადრობის ადგილი რომ უნდა იყოს, – დასძენს იგი, – ამის სასარგებლოდ, რასაკვირველია, პირდაპირი ჩვენება საისტორიო წყაროებში არა გვაქვს, მაგრამ მის რაიონში ა. წ. IV ს-ში ჰუნებს შეეძლოთ გაევლოთ და დროებით მაინც დამკიდრებულიყვნენ<sup>42</sup>. ასეთი ვარაუდის გასამყარებლად მოაქვს რომაელი ისტორიკოსის ამიანუს მარცელინუსის (გარდ. 400 წ.) ცნობა, რომლის თანახმად, 377 წელს ჰუნებმა ალანთა ქვეყნიდან გადაიარეს სამხრეთისაკენ და მრავალი ხალხი ამოწყვიტეს და გაძარცვეს. ლ. მელიქსეთ-ბეგის თანახმად, ფავსტოს ბუზანდაციც მოგვითხრობს მასკუტთა მეფე სენასანმა სომხეთზე ლაშქრობისას ხონთა და სხვა ხალხთა დახმარებით რომ მიაღწია დიდი მდინარის – მტკვრის საზღვრამდე<sup>43</sup>.

როგორც ვხედავთ, ლ. მელიქსეთ-ბეგმა მაინცდამაინც ხელმოსაკიდი მასალა ვერ მოიტანა ტოპონიმ ხუნანის ჰუნური წარმომავლობის საჩვენებლად. ხუნანის სახელი ჰუნებს რომ არ უნდა უკავშირდებოდეს, ეს ცხადია, მაგრამ საიდან წარმოდგება ამ უძველესი ქალაქის სახელწოდება, მართლაც, საინტერესოა. რაც მთავარია, ზემოგანხილული მასალიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიაზე ჰუნურ-თურქული ეთნოსის არავითარი კვალი არ ჩანს.

### აბათია სქოლასტიკოსის ცხობა ონობურისის ციხის შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არაქართული წარმომავლობის ადგილის სახელებიდან ონოგურისი ერთ-ერთი იმათგანია, რომლის წარმოქმნის შესახებ ძველ საისტორიო წყაროში უშუალო მითოება გვაქვს. ციხესიმაგრე ონოგურისის შესახებ ცნობებს VI საუკუნის ბიზანტიიელი ავტორი აგათია სქოლასტიკოსი გვაწვდის.

პოეტი, იურისტი, ისტორიკოსი აგათია იმ დროის ერთ-ერთი განათლებული პიროვნება იყო. იურიდიული მეცნიერება ალექსანდრიასა და კონსტანტინოპოლში შეისწავლა. მისი მრავალმხრივი შემოქმედებიდან პოეტურ მემკვიდრეობაზე აქ არაფერს ვიტყვი, საისტორიო თხზულება („იუსტინიანეს მეფობისათვის“ – ხუთ წიგნად) კი ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის „ისტორიის“ გაგრძელებას წარმოადგენს. აგათია მასში, გარდა იმისა, რომ თანმიმდევრულად გადმოგვცემს 552 – 558 წლებში ბიზანტიის იმპერიაში მომხდარ ამბებს, მნიშვნელოვანი ცნობები აქვს დასავლეთ საქართველოს შესახებ. სწორედ განათლებით იურისტმა, პოეტმა – აგათიამ შემოგვინახა უძველესი ქართული მჭერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშები: VI საუკუნის ლაზი მოღვაწეების – აიეტისა და ფარგაძის ის სიტყვები, რომლებიც მათ სახალხო კრებაზე წარმოთქვეს. აგათიას თხზულებაში ასევე საინტერესო ცნობებია ლაზებზე და მისიმანებზე, ეგრისის ციხე-ქალაქების: ქუთაისის, მუხურისის, ვარდციხის, ტოლების, ასევე ჩვენთვის საინტერესო ონოგურისის ციხის შესახებ.

აგათიას თანახმად, დასავლეთ საქართველოში მდებარე ონოგურისის ციხემ სახელი ძველად ჰუნი ონოგურებისაგან მიიღო<sup>1</sup>. ეს ცნობა დღემდე ქართველ და უცხო მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ არავინ დაინტერესებულა, რამდენად რეალურია აგათიას მონათხრობი ონოგურისის

ციხის სახელის პუნი ონოგურებიდან წარმომავლობის შესახებ. რაც მთავარია, დღემდე დადგენილი არაა ციხის მდებარეობის ადგილი.

სანამ აგათიას ცნობის სანდოობის თაობაზე ჩემს მოსაზრებას მოგახსენებთ, ვნახოთ, მკვლევრები რას წერდნენ აგათიას აღნიშნული ცნობის შესახებ.

ონოგურისის ციხის მდებარეობისა და მისი სახელის წარმომავლობის საკითხს აკად. ს. ყაუხეჩიშვილი 1936 წელს საქართველოს შესახებ აგათიას ცნობების ქართული თარგმანის გამოცემისას შეეხო და შენიშვნაში აღნიშნა: ონოგურისი მ. ბროსემ ქართულ უნაგირას დაუკავშირაო (მ. ბროსეს შემდეგ ონოგურისის ციხის ლოკალიზაციის საკითხს პ. იოსელიანი შეეხო და იგი ქ. ხონთან გააიგივა<sup>2)</sup>). ს. ყაუხეჩიშვილის სიტყვით, მ. ბროსეს ასეთ მოსაზრებას ადასტურებს აგათიას მიერ მოცემული აღწერილობის შედარება ვახუშტის ცნობებთან და დღევანდელი მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე აღმართული უნაგირას მთის გეოგრაფიულ მდებარეობასთან<sup>3)</sup>. ამრიგად, – ასკვნის ს. ყაუხეჩიშვილი, – აგათიას Օიოგიურიცის ციხე მდებარეობდა დასავლეთ და აღმოსავლეთ დაზეთის საზღვარზე, ამავე სახელწოდების (უნაგირას) მთაზე, რომლის ერთ კალთაზე არქეოპოლისი – ნოქალაქევია მოთავსებული. აქ ციხე ყოფილა წინათაც და იგი ლაზ-ბიზანტიულებს ჰკუთვნებია, მაგრამ სპარსელებს ჩავარდნია ხელში<sup>4)</sup>.

ს. ყაუხეჩიშვილმა, თითქოს, გაარკვია ონოგურისის ციხის მდებარეობა, მაგრამ იმავე შენიშვნაში ბოლომდე არ რჩება ზემოგამოთქმულ თვალსაზრისზე და იქვე წერს: „რადგან პროკოპიოსი მეტად მნიშვნელოვან პუნქტად თვლის უქიმერიონს, აგათია კი სრულიად არ ახსენებს ამ სახელს – ისე კი წარმოუდგენელია, რომ აგათია ამ პუნქტს არ იცნობდეს, რადგან პროკოპის ის ძალიან კარგად იცნობს და უხვადაც იყენებს. ამავე დროს პროკოპისეული უქიმერიონის როლს აკუთვნებს „ონოგურისს“, მაშასადამე, აქ ჩვენ უნდა გვქონდეს საქმე ერთსა და იმავე სასიმაგრო პუნქტთან, რომელსაც ხან ციხის (უქიმერიონის) სახელწოდებით იხსენიებს, ხან კი მთის (უნაგირას) სახელწოდებით, სადაც ეს ციხე იყო აგებული“<sup>5)</sup>.

ს. ყაუხეჩიშვილის მიერ ონოგურისის ციხის უქიმერიონთან გაიგივებამ გაართულა ონოგურისის ციხის ლოკალიზაციის საკითხი. საქმე ისაა, რომ თვით უქიმერიონის ციხის მდებარეობაც არაა გარკვეული. აკად. დ. მუსხელიშვილის თანახმად, დასავლეთ საქართველოში მდებარე უქიმერიონის ციხესიმაგრე პირველად VI საუკუნეში იხსენიება და ერთი მოსაზრებით იგი მდებარეობდა ცხენისწყლის ხეობის გასწვრივ მაგისტრალზე, რომელიც მუხურისს ლეჩხუმთან და სვანეთთან აკავშირებს (ვარაუდობენ, რომ ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე შემორჩენილი ციხესიმაგრის ნანგრევები უქიმერიონია), სხვა მოსაზრებით, უქიმერიონი ქუთასში, გორაზე დღემდე შემორჩენილი ძველი ციხესიმაგრეა<sup>6)</sup>.

1960 წელს დასავლეთ საქართველოში ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობისას ონოგურისის ციხის ლოკალიზაციის საკითხით აკად. ნ. ბერძენიშვილი დაინტერესდა. როგორც იგი წერს, მან ონოგურისის ციხე ვერ ნახა. ციხე მარტვილის მახლობლად, სადღაც ღრმა ხევში ივარაუდა<sup>7)</sup>. ნ. ბერძენიშვილი იქვე დასძენს: „უკმაყოფილო მივდივარ, „ონოგურისი“ ვერ დავადგინე“<sup>8)</sup>. „მივდივარ და ბუნებრივად მიჩნდება აზრი, რომ ეს ონოგურისი არქეოპოლისის მომიჯნავე ქვეყანაშია. ასეთი ქვეყანა კი ბაზის ხეობაა. ბანდა ამ ციხის სალოკალიზაციოდ სულ უფრო და უფრო მისაღებად მეჩვენება. აქევ თნოდიას „ნაჯახოვეუ“... და თვით სახელი ონოდია მეტყველი მეჩვენება... ონოდია აბაშის ხეობაში, ის ჭანურად „ქალაქს“, სავაჭრო ადგილს ნიშნავს... ხომ არ შეიძლება ონოდიასთან დაკავშირება ბერძნული ონოგურისის... მაინცდამანც

ონოგურისის დაგულება ონოდიაში თუ ენობრივ სიძნელეებს ხვდება, მატერიალურ-შინაარსობრივ ის კარგად ეთანხმება წყაროს ჩვენებებს<sup>9</sup>. ს. ყაუხეხიშვილი, – წერს შემდეგ ნ. ბერძენიშვილი, – ერთხელ უქიმერიონს ონოგურის უიგივებდა, შემდეგ, ჩანს, ეს აზრი უარყო და სხვა პუნქტების შესახებ მჯელობდა, მაგრამ გადაწყვეტილი დასკვნა არ მიუღია და საკითხი, მისი აზრით, დიად დარჩა<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, კერძოდ სად მდებარეობდა ონოგურისის ციხე, მისი სახელი უნაგირას მთიდან მოდიოდა თუ პუნი ონოგურებიდან, „დიად დარჩა“. ონოგურისის ციხის სახელის მომდინარეობისა და თვით ციხის მდებარეობის შესახებ აკად. ს. ყაუხეხიშვილმა და აკად. ნ. ბერძენიშვილმა დასაბუთებული მოსაზრება ვერ გამოიქვეს.

ონოგურისის ციხე რომ ნამდვილად არსებობდა დასავლეთ საქართველოში, ამ მხრივ აგათიას ცნობის სანდოობაში არ დაეჭვებულა აკად. ივ. ჯავახიშვილი. ეგრისში მიმდინარე დიდი ომიანობის გაანალიზებისას იგი „ონოგურის ციხეზე“ არაერთხელ მიუთითებს<sup>11</sup>. ონოგურისის ციხეზე საუბრობს ა. ბოგვერაძე 1973 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეორე ტომში<sup>12</sup>.

ონოგურისის ციხის ლოკალიზაციის საკითხს არაერთხელ შეეხო აკად. დ. მუსხელიშვილი. 1977 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების“ პირველ ტომში მან აღნიშნა: ონოგურისის ციხე არქეოპოლისის მახლობლად მდებარეობდა. მას მდ. ტეხურის მარჯვენა ნაპირზე (მის ქვემო წელზე) მდებარე დღევანდელ შევფის ციხესთან აიგივებები<sup>13</sup> (შევფის ციხე ქ. სენაკის მახლობლად მდებარეობს. – გ. გ.).

1984 წელს გამოცემულ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეშვიდე ტომში მოთავსებულ წერილში „ონოგურისი“ დ. მუსხელიშვილმა ონოგურისის ციხე რომ იგივე შევფის ციხე უნდა ყოფილიყო, აღარ მიუთითა. იგი წერს: ონოგურისი „ისტორიული ციხესიმაგრეა დასავლეთ საქართველოში. ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, არქეოპოლისის მახლობლად“, ონოგურისის ციხის „ზუსტი ადგილმდებარეობა დაუდგენელია“<sup>14</sup>. სამაგიეროდ, 1987 წელს „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეთერთმეტე ტომში – სტატიაში „შევფის ციხე“ თ. ბერაძემ კვლავ მიუთითა: „შევფის ციხე არის იგივე ონოგურისი“<sup>15</sup>. 2003 წელს მონოგრაფიაში „საქართველო IV – VIII საუკუნეებში“ დ. მუსხელიშვილი კვლავ შეეხო ონოგურისის ციხის მდებარეობის საკითხს და ამჯერად იგი ახლანდელ მარტვილის რაიონში, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე (მარტვილიდან 7 კმ.) მდებარე სოფ. აბედათის ციხედ მიიჩნია<sup>16</sup>.

ამრიგად, 1984 წელს აკად. დ. მუსხელიშვილისათვის ონოგურისის ციხის ზუსტი მდებარეობა თუ დაუდგენელი იყო, 2003 წელს იგი ყოველგვარი დაეჭვების გარეშე მიუთითებს – ონოგურისი სოფ. აბედათის ციხეაო. ამჯერად დ. მუსხელიშვილი პროფ. პ. ზაქარაიას აზრს იზიარებს (ეყრდნობა: პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991, გვ. 129).

დასახელებული მონოგრაფიის ავტორები წერენ: „...ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ახლანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგურისის ციხეა“. ამის შემდეგ პროფ. პ. ზაქარაია, როგორც ჩანს, უფრო დარწმუნდა თავისი მიკვლევის სისწორეში. 2002 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია“). იხ. სტატია „აბედათი, ონოგურისი“) ქართველ მკითხველს კვლავ აუწყებდა ონოგურისის ციხის მიკვლევის შესახებ. დასახელებულ წერილში იგი წერს: ონოგურისის ციხე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ეგრისის სახელმწიფოს დამცველად ითვლებოდა... ონოგურისი დღევანდელი სოფელ აბედათის ციხეა. ონოგურისის ციხეს კარგა ხანია

მკვლევრები ეძებდნენ, მაგრამ ვერ მიუგნიათ. ამ ციხეზე ქართულ მატიანეშიც არავითარი ცნობა არ შემონახულა, მასზე მხოლოდ VI ს. ბიზანტიულ ისტორიკოსთან დარჩენილი ცნობებია... ციხეს 1983 წელს ნოქალაქევის ექსპედიციამ მიაგნო. ეს „მიგნებული ციხე“, პ. ზაქარაიამ, მართალია, IV – VI ს-ებით დათარიღდა, მაგრამ, როგორც თვითონ წერს, „ძველი ციხის გეგმა არ დგინდება“. პ. ზაქარაიას იქვე მოაქვს აგათიას ცნობა, საარსელთა სარდალს ონოგურისის ციხე რომ „წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად“.

პ. ზაქარაიას თანახმად, ზემომოტანილ ციტატაში „...პირდაპირ ორი რამაა ნათქვამი: პირველი – ონოგურისი არქეოპოლისის მიდამოებშია და მეორე – იგი არქეოპოლისის „საფარია“. არქეოპოლისის სიახლოეს, უნაგირას მთის ზოლზე, სოფ. აბედათის თავზე მდებარეობს ის ციხე, რომელიც ონოგურისად მიიჩნევა. სხვა ციხე, ან ნაციხეარი ამ მიდამოებში არ არის. ამიტომ, ეს ციხე ონოგურისად იქნა მიიჩნეული, რაც გათხრებმაც დაადასტურა“. აბედათის ციხე რომ იგივე ონოგურისია, ამის დასამტკიცებლად პ. ზაქარაიას დამატებით მოაქვს აგათიას ცნობა ონოგურისის ციხის „კბილანებზე“ საარსელთა ყოფნის შესახებ და იქვე არსებული მითითება, ციხის დამცველებმა „ზევიდან რაღაც ტილოები და წამოსასხამები რომ გადმოჰკიდეს და ამით ისრების ძალას ასუსტებდნენ, რომლებიც მათ წინააღმდეგ მიდიოდა“. ამის შემდეგ პ. ზაქარაია ასკვნის: „ყოველივე ზემოთქმული აშკარად ადასტურებს ონოგურისისა და აბედათის ციხის იდენტურობას. ძეგლი ადრეფეოდალური ხანის საიმედო საფორთიფიკაციო ნაგებობად გვევლინება“<sup>17</sup>.

რამდენად დამაჯერებელია პ. ზაქარაიას მიკვლევა, ამჯერად ეს თვით მკითხველისათვის მიმინდვია, ჩემი მხრივ კი უნდა აღვნიშნო, რომ აგათიასეული ონოგურისის ციხის სოფ. აბედათში მდებარე ციხესთან იგივეობის შესახებ პ. ზაქარაიას დაბეჯითებითი მტკიცება პროფ. თ. ბერაძემ არ გაიზიარა. 2007 წელს საინსტიტუტო გეგმით შესრულებულ ნაშრომში მან კვლავ შეეფისა და ონოგურისის ციხეების იგივეობაზე მიუთითა.

ონოგურისის ციხის მდებარეობის საკითხს არაერთი უცხოელი მკვლევარი შეეხო. 1953 წელს მ. ლევჩენკომ აგათიას „ისტორიის“ რუსული თარგმანისადმი დართულ კომენტარში მიუთითა – ონოგურისის ციხე სამტრედიის რაიონში ტელეფისის ახლოს მდებარეობდა<sup>18</sup>. გერმანელი მეცნიერი გ. პაუზიგი, მართალია, წერს პუნი თანამდებობის არქეოპოლისის ახლოს ყოფნის შესახებ (ძველ წყაროებში ასეთი ცნობა არაა. – ვ. გ.), მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის იმდენად გაურკვეველი იყო არქეოპოლისის მდებარეობა, რომ ონოგურისის ციხე ჩრდილო კავკასიიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმომავალი დარიალის ზეკარის ჩამკატ ციხესიმაგრედ მიიჩნია<sup>19</sup>. მ. არტამონოვის თანახმად, ონოგურისის ციხე ლაზიკაში, მდ. რიონის ჩრდილოეთით იყო<sup>20</sup>.

ონოგურისის ციხის მდებარეობის საკითხს, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ძველთურქული წარმომავლობის ტოპონიმების მაძიებელი ვ. ლუკასიანი და ი. იუნუსოვი.

ვ. ლუკასიანის მცდელობას, საქართველოს ტერიტორიაზე რაც შეიძლება ბევრი ძველთურქული წარმომავლის ტოპონიმები მოექცენა, ქართველმა მეცნიერებმა პასუხი გასცეს 1982 წელს წერილში – „По поводу одной статьи В. Л. Гукасяна“. ისინი წერენ: საქართველოში თურქულენოვანი ეთნოსების დასადასტურებლად ვ. ლუკასიანს არაფერს აძლევს აგათიას ცნობა – დასავლეთ საქართველოში მდებარე ონოგურისის ციხემ სახელი რომ ონოგურებისაგან მიიღო. უპირველეს ყოვლისა, თვით აგათია ამბობს, რომ ციხემ სახელი მიიღო კოლხებთან პუნი თანამდებობის დამარცხების აღსანიშნავად. აქ საუბარია

შემოჭრილი ონოგურების დამარცხებისა და არა ამ ციხესთან ონოგურების ხანგრძლივი ყოფნის შესახებ<sup>21</sup>.

რაც შეეხება ა. იუნუსოვს, ონოგურისის ციხის შესახებ აგათიას ცნობის გაანალიზების შემდეგ იგი დასძენს: დასავლეთ საქართველოში ჰუნ ტონოგურებთან არა მარტო ციხის სახელია დაკავშირებული, არამედ „კავკასიის შავიზღვისპირეთში“ ონოგურების ადგილსამყოფელიც იყო, რასაც მოწმობს ამ რეგიონიდან მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, ასევე ის ფაქტი, რომ დასავლელი თანამედროვენი (აქ, როგორც ვნახავთ, ა. იუნუსოვი VII ს. რავენელ ანომიმს გულისხმობს. – გ. გ.) სახელდობრ, აქ ათავსებუნ „ქვეყანა ონოგორიას“ („Страна Оногория“)<sup>22</sup>.

კავკასიის შავიზღვისპირეთში „ქვეყანა ონოგორია“ რომ არსებობდა, ამის დასტურად ა. იუნუსოვი მ. არტამონოვისა და ი. და გ. ფიოდოროვების გამოკვლევებს იმოწმებს.

ა. იუნუსოვი, როგორც ვნახეთ, დასავლეთ საქართველოში ჰუნ ტონოგურების სახელთან დაკავშირებულ ონოგურისის ციხეზე მსჯელობისას ახსენებს „ქვეყანა ონოგორიას“ და მიგვანიშნებს: ციხე ტონოგურისთან იმავე სახელის მქონე ხალხის ქვეყანაც მდებარეობდაო. ამიტომ საინტერესო გაირკვეს, თუ რა ტერიტორია იგულისხმება „კავკასიის შავიზღვისპირეთში“, სადაც „ქვეყანა ონოგორია“ იყო.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში, სადაც საქართველოს ისტორია შედარებით ვრცლადაა გადმოცემული, ონოგურისის ციხე მხოლოდ ერთხელად ნახსენები<sup>23</sup>. ქართულმა ისტორიოგრაფიამ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში არავითარი „ქვეყანა ონოგორია“ არ იცის. ასე რომ, ა. იუნუსოვის მტკიცება ჩვენთვის სიახლეა. ამიტომ ქვემოთ ვნახოთ, რა მასალა აქვთ მ. არტამონოვსა და ი. და გ. ფიოდოროვებს ჰუნი ონოგურების შესახებ, რამ მისცა იუნუსოვს საფუძველი [დასავლეთ საქართველოში] შავიზღვისპირეთში „ქვეყანა ონოგორიის“ არსებობაზე მიეთითებინა.

მ. არტამონოვი მოვსეს კალანკატვაცისა (VII ს.) და სტეფანოს ორბელიანის (XIII ს.) თხზულებებში შემონახულ ლეგენდებზე დაყრდნობით, ირანის შაჰის შაბურ II-ის (III ს.) თანადროულად ხაზართა თავდასხმებზე და ჰუნზე სახელად „Х'онагур“-ზე (რომელმაც, თითქოს, შაბურ II ორთაბრძოლაში გამოიწვია) საუბრობს. მიუთითებს, რომ აზოვის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე „ქვეყანა ონოგორია“ ცნობილი იყო VII ს-ში რავენელი ანონიმი ავტორისათვის<sup>24</sup>. რაც შეეხება ი. და გ. ფიოდოროვებს, ისინი წერენ: ონოგურებმა ამიერკავკასიაში, ალბათ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან შეადწიეს. სხვაგვარად ძნელი ასახსენელია VI ს-ში ბიზანტია-ირანის ომთან დაკავშირებით კოლხეთში აგათიას მიერ მოხსენიებული „ონოგურისის“ ციხის სახელწოდება. ამ ავტორთა ვარაუდით, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ონოგურების ყოფნას ადასტურებს გელენჯიკის მახლობლად, ბორისოვსკში მიკვლეული სამარხი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ბოლგართა სიძველეებს მიაკუთვნებს. აქ დაუჯერებელი არაფერია, – დასძენენ ისინი, – როგორც ცნობილია, მდ. ყუბანის ქვემო წელი და კავკასიის მთიანეთის ჩრდილო დასავლეთი, „რავენული კოსმოგრაფიის“ მონაცემებით, ონოგურების ქვეშინის ფარგლებში შედიოდა. ამიერკავკასიაში ლაშქრობის შემდეგ სარაგურები, მათ შემდეგ ონოგურები, ქრებიან თანამედროვეთა თვალთახედვიდან – წყაროები მათ შესახებ დუმან. როგორც ჩანს, მართალია მ. არტამონოვი, როცა ვარაუდობდა VI ს-ის დამდეგს სარაგურთა მოთავეობით შექმნილი ბოლგარული ტომების კავშირის დაშლას, მაგრამ განა ყველა სარაგური გადავიდა ამიერკავკასიაში, მათი ნაწილი დარიალის გასასვლელის ჩრდილო მხარეს, მთისწინეთსა და ველებში უნდა

დარჩენილიყო, სადაც ისინი ადრეალანური კულტურის მატარებელ ჩრდილოკავკასიურ ტომებს შეერივნენ<sup>25</sup>.

როგორც ვხედავთ, ზემომოტანილი მასალა არავითარ საფუძველს არ იძლევა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში „ქვეყანა ონოგორიის“ არსებობის შესახებ. ლეგენდარულია შაბურ II-ის თანადროულად როგორც ხაზართა თავდასხმებზე საუბარი, ისე ვინმე ჰუნის – „X'ონაგურ“-ის არსებობა. რაც მთავარია, VII ს-ის რავენელი ანონიმის ცნობით, ონოგურების ქვეყანა აზოვის ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობდა. წყაროებში არავითარი ცნობა არაა სარაგურთა კავშირის დაშლის შემდეგ, არც თვით სარაგურთა და არც მათ გაერთიანებაში შემავალი ონოგურების აზოვის აღმოსავლეთი ზღვისპირეთიდან კოლხეთში შემოსვლის შესახებ. აღნიშნული მასალა და გელენჯიკის მახლობლად (კრასნოდარის მხარეში) მიკვლეული სამარხი ასეთი მტკიცების საფუძველს რომ არ იძლევა, ეს ა. იუნუსოვმაც კარგად იცის. ონოგურების განსახლების ადგილად ამიტომ ასახელებს ზოგადად „კავკასიის ზღვისპირეთს“, მკითხველს უბიძებს „ქვეყანა ონოგორია“ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში იგულისხმოს.

რა შეიძლება ითქვას ზემომოტანილი მასალის შემდეგ ონოგურსისის ციხის ლოკალიზაციის შესახებ?

1. უცხოელ მკვლევართა ნაწილი (ვ. ღუკასიანი, ა. იუნუსოვი) აგათიას ცნობას იმის დასადასტურებლად იყენებს, ადრეშუასაუკუნეებიდანვე საქართველოს ტერიტორიაზე თურქელი წარმომავლობის ტოპონიმები რომ არსებობდა;

2. მკვლევართა მეორე ნაწილისათვის (ი. და გ. ფიოდოროვები) აგათიას დასახელებული ცნობა საქმარისი აღმოჩნდა ჩრდილო კავკაიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჰუნ სარაგურთა დიდი ნაწილის გადმოსვლის (გადმოსახლების) შესახებ მიეთითებინათ;

რაც შეეხება ქართველ მკვლევრებს, მიუხედავად იმისა, რომ 1936 წელს აკად. ს. ყაუხებიშვილმა ონოგურისის ციხის ლოკალიზაცია ვერ განსაზღვრა, ხოლო 1960 წელ აკად. 6. ბერძენიშვილმა საგანგებო ძიების მიუხედავად ონოგურისის ციხის ადგილმდებარეობას ვერ მიაკვლია და, როგორც თვით წერს, „საკითხი დიად დარჩა“, დღემდე არავის ეჭვი არ ეპარება, ონოგურისის ციხე სადღაც არქეოპოლისთან ახლოს რომ მდებარეობდა.

ონოგურისის ციხის ლოკალიზაციის შესახებ, თითქოს, დასაბუთებული თვალსაზრისი წარმოადგინა პროფ. პ. ზაქარაიამ, მაგრამ გარდა იმისა, რომ მან ეგრისში ჰუნი ონოგურების ლაშქრობის აგათიასეული ცნობის რეალურობა არ შეამოწმა – 1. ციხის „ძველი გეგმა“ ვერ აღადგინა; 2. არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეული რაიმე ხელმოსაკიდი მასალის (მაგ. VI ს. ბიზანტიური ან სასანური მონეტა) ვერ წარმოადგინა. მისი მთავარი არგუმენტი ონოგურისისა და აბედათის ციხეების იდენტურობისათვის მხოლოდ ისაა, „არქეოპოლისის სიახლოეს, უნაგირს მთის ზოლზე“ აბედათის ციხის გარდა „სხვა ციხე ან ნაციხარი“ რომ არ მდებარეობს.

პ. ზაქარაია აგათიას იმ ცნობას მაინც რომ ჩაჰვირვებოდა, ირანელთა სარდალმა მერმეროებ თნოგურისის ციხე რომ „ადრე შექმნა“ (იხ. ქვემო), ასევე, ონოგურისის „ციხის კბილანებზე“ მყოფმა ციხის დამცველებმა „ზევიდან რაღაც ტილოები და წამოსასხამები“ იმიტომ რომ გადმოკიდეს, რათა „ამით მტრის ისრების ძალა შეესუსტებინათ“ (ს. ყაუხებიშვილის თარგმანით), იქნებ, ასე დაბეჯითებით თნოგურისისა და აბედათის ციხეების იდენტურობაზე, ონოგურისის ციხის აღმოჩენაზე აღარ მიეთითებინა. პროფ. თ. ბერაძეს სრული უფლება ჰქონდა ასეთი გაიგოვება არ გაეზიარებინა.

ონოგურისის ციხის შესახებ აგათიას ცნობებს თუ გავითვალისწინებთ, ონოგურისის ციხის მდებარეობის განსაზღვრა, თითქოს, არ უნდა გაძნელებულიყო. ვნახოთ, რას წერს აგათია. ონოგურისი „ძველადვე შეერქვა ამ ადგილს შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰუნები, ოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილას შებმიან კოლხებს წარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად, – დასხენს აგათია, – ბევრი ასე კი ადარ უწოდებს, არამედ, რადგან აქ დაფუძნებულია იმ წმიდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც, როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შეება მტერს ...და ჩაქოლილ იქმნა მოწინააღმდეგთა მიერ, მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს. ჩვენ კი, ვფიქრობ, არაფერი გვიშლის ხელს ძევლი სახელწოდება ვიხმაროთ“<sup>26</sup>.

ვფიქრობ, მოტანილ ცნობასთან ერთად, აგათიას თხზულებაში არსებული მითოთება „შესაძლებელია“ უკვე დაეჭვების საბაბს იძლეოდა ონოგურისის ციხის სახელის პუნ ონოგურებთან დასაკავშირებლად. რაც მთავარია, დაეჭვების საუძველს იძლეოდა ის, რომ აგათიას მოღვაწეობის დროისათვის ციხის სახელი „ონოგურისი“ უკვე დავიწყებული იყო და ბრძოლის ადგილს, იმ ხანად, წმიდა სტეფანეს სახელზე აგებული ტაძრის სახელით იცნობდნენ.

ეს ასეც იყო მოსალოდნელი. პუნი ონოგურების დასავლეთ საქართველოში ლაშქრობის შესახებ, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საისტორიო წყაროებში არავითარი ცნობა არაა. რაც შეეხება V ს. ბიზანტიელი ავტორის – პრისკოს პანიელის ცნობას, მასში მოთხოვილია 466 წლის ახლო ხანაში ჩრდილო კავკასიიდან ქართლში პუნი აკაციორების, სარაგურებისა და ონოგურების გადმოსვლის შესახებ. როგორც პრისკოსი წერს, ამ პუნებმა ქართლში დაიდეს ბინა და აქედან თავს ესხმოდნენ სომხეთის სოფლებს<sup>27</sup>. დასავლეთ საქართველოში მათი ლაშქრობის შესახებ იგი არაფერს წერს. ამიერკავკასიაში ლაშქრობის შემდეგ პუნთა ეს გაერთიანება დაიშალა. აკაციორებმა ჩრდილო კავკასიიდან უფრო დასავლეთისაკენ გადაინაცვლეს, სარაგურები საერთოდ ქრებიან ისტორიის ასპარეზიდან<sup>28</sup>. ონოგურები კი აზოვის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ველებზე აგრძელებდნენ არსებობას (შემდეგში მონაწილეობა მიიღეს უნგრელი ხალხის ჩამოყალიბებაში<sup>29</sup>).

ახლა ისევ ონოგურისის ციხის საკითხს დავუბრუნდეთ.

კიდევ უნდა აღვნიშნო: მართალია, ონოგურისის ციხის სახელის წარმომავლობის შესახებ აგათიას ცნობები დაეჭვების საბაბს იძლეოდა, მაგრამ იგი ისე ცოცხლად, დინამიურად ადწერს ეგრისში მიმდინარე დიდი მოიანობის ცალკეულ ეპიზოდებს, რომ მკითხველს აგათია ცალკეული ბრძოლების მონაწილე თუ არა, თვითმხილველი მაინც ჰგონია. აგათიას თხოვის მანერა მკითხველს მისი ცნობებისადმი ნდობით განაწყობს.

ამ გამოკვლევის დასაწყისში შემთხვევით არ გავამახვილე მკითხველის უურადღება აგათიას განათლების შესახებ. როგორც თავისი ეპოქის შვილი, პოეტი და იურისტი, აგათია უხვად იყენებდა ანტიკურ ავტორებს და სჯეროდა, რომ ისტორიის წერაც სიტყვაკაზმული შემოქმედების ისეთი დარგი იყო, რომელიც არა მარტო ასწავლის მკითხველს, არამედ ატაბობს კიდეც მას. მისი სიტყვით, „Писание истории является делом величайшим, святым, стоящим выше всякого другого занятия“<sup>30</sup>.

მკითხველი ალბათ დამეთანხმება, ასეთი სიტყვის მთქმელ აგათიას რომ უყოფმანოდ უნდა ვენდოთ, მაგრამ ვცადოთ გავარკვიოთ, რამდენად სანდოა მისი ცნობები (კერძოდ, ონოგურისთან გამართული ბრძოლის შესახებ), როდის, სად, რა მასალებზე დაყრდნობით შექმნა აგათიამ თავისი ისტორიის ის ნაწილი, რომელშიც ეგრისში მიმდინარე მოია აღწერილი.

დასმულ საკითხებზე პასუხის გასაცემად ჩავიხედოთ რუსი ბიზანტინოლოგის მ. ლევან გორგაძის გამოკვლევაში – „Византийский историк Агафий и его мировоззрение“, რომელიც აგათიას თხზულების რუსულ თარგმანს აქვს დართული.

მ. ლევან გორგაძის თანახმად, აგათიას ცხოვრების შესახებ ცოტა რამ ვიციოთ, რაც ვიციოთ, ისიც უმთავრესად მისი თხზულებიდან ამოკრეფილი მასალებით. როგორც მ. ლევან გორგაძის გამოკვლევიდან ჩანს, სწორედ იმ დროს, როცა ეგრისში – ონოგურისის ციხესთან ბრძოლები მიმდინარეობდა (ესაა 554 წელი), აგათიამ განათლება დაასრულა ქ. ალექსანდრიაში (იგი 554 წ. ალექსანდრიაში მომხდარი მიწისძრის შემდეგაც იქ იყო) და იმავე წელს კონსტანტინოპოლიში ჩავიდა, სადაც ადვოკატობა დაიწყო (მ. ლევან გორგაძის თანახმად, სწორედ ამ დროიდან იწყებს აგათია ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას). აგათიამ, მხოლოდ იმპერატორ იუსტინიანე I-ის გარდაცვალების (565 წ.) შემდეგ, მეგობრების რჩევით გადაწყვიტა ისტორიის დაწერა დაწყო. მაგრამ, რადგან ახალგაზრდობაში იგი ისტორიკოსობას არ აპირებდა, ისტორიის წერისას სიძნელებს წააწყდა და იძულებული გახდა, ისტორია შეესწავლა. მოსამზადებელ სამუშაოს აგათია მეტად სერიოზულად მოეკიდა, სპარსულ მასალებსაც კი გულდასმით სწავლობდა, თუმცა ამ დროსაც მისი მთავარი პრობლემა მაინც უდროობა იყო. სწორედ აგათიას საადვოკატო მოღვაწეობას თვლიან იმის მიზეზად, თავისი ნაშრომი დასახულ 577 წლამდე რომ ვერ მიიყვანა (როგორც ცნობილია, მისი „ისტორია“ მენანდრემ განაგრძო). იგი 582 წელს, 46 წლის ასაკში, კონსტანტინოპოლიში გარდაიცვალა<sup>31</sup>.

მ. ლევან გორგაძის ვარაუდით, მუდმივად კონსტანტინოპოლიში მცხოვრებ აგათიას (ისტორიკოს ნ. იორგას სიტყვით, – წერს მ. ლევან გორგაძი, – „В сравнении с Прокопием, Агафии был скорее кабинетным работником“) მის მიერ მოთხოვობილი ამბების უმეტესი ნაწილი წერილობით წყაროებზე დაყრდნობით უნდა ჰქონდეს დაწერილი და არ უნდა იყოს სწორი გერმანელი მეცნიერის ვ. ტოიფელის მოსაზრება, თითქოს, 552 – 558 წლების ამბების გადმოცემისას აგათია, ძირითადად, ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობოდა. უკველია, – დასძენს მ. ლევან გორგაძი, – აგათია მაღალი თანამდებობის თავისი მფარველებიდან მიიღებდა ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებს, მთავარსარდალთა მოხსენებებს, დიპლომატიური აგენტების იმ ცნობებს, რომლებიც საჭირო იქნებოდა ისტორიის დასაწერად (მ. ლევან გორგაძის ასეთი თალსაზრისის დსტურად მიაჩნია მეფე გუბაზის მკვლელთა სასამართლოს აღწერა, სადაც აგათიას მოყვანილი აქვს ამონარიდები იუსტინიანეს ინსტრუქციებიდან). რაც შეეხება ზეპირ წყაროებს, აგათიას უნდა გამოეყენებინა ომის მონაწილე მთავარსარდალთა, ელჩების, მთარგმნელების, ვაჭრებისა და სხვათა მონათხოვიდის<sup>32</sup>.

აგათიას ისტორია 552 – 558 წლების ბიზანტიის ისტორიისათვის ერთადერთი წყაროა, თავისთავად ცხადია, იგი ძირითადი წყაროა იმ დროის ეგრისში მიმდინარე სამხედრო მოქმედებათა გასაშუქებლადაც. ამიტომ, როგორც მ. ლევან გორგაძი, მის მონაცემთა გაკონტროლებას მისსავე „ისტორიაში“ არსებული ცალკეული ცნობების ანალიზით უნდა შევეცადოთ<sup>33</sup>.

მ. ლევან გორგაძის გამოკვლევიდან ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვვიქრობ, უველავერი ნათელია. ონოგურისის ციხესთან (საერთოდ, ეგრისში მიმდინარე ომის) მომხდარი ამბების აღწერა აგათიას სულ ცოტა 10/15 წლის შემდეგ აქვს დაწერილი. იგი ემყარება საიმპერატორო სასახლეში არსებულ დოკუმენტურ მასალასა და ომში მონაწილე პირთა მონათხოვის. რა თქმა უნდა, ცნობები ონოგურისის ციხეზე მას მხოლოდ ამ ომში მონაწილე პირისაგან უნდა მოეხმინა. ე. ი. აგათიას მთხოვბელი ონოგურისის ციხესთან გამართული

ბრძოლის თვითმხილველი იყო, მაგრამ რატომ „გაქრა უკვალოდ“ ის ციხე, რომელსაც აგათიამ ონოგურისი შეარქვა?

აგათიას ცნობებიდან გამომდინარე, ერთი რამ ცხადია, ონოგურისთან მიმდინარე ბრძოლებისას, ციხის ადგილზე წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელზე აგებული ეკლესია იდგა. ამ ადგილს ბევრი აღარც ონოგურისს უწოდებდა, მაგრამ მას ონოგურისთან მომხდარი ბრძოლა იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მასზე ვრცლად საუბრობს.

აღნიშნულთან ერთად, 554 წლის წინა ხანაში, მართალია, ეგრისში ჰუნ ონოგურთა ლაშქრობა და ყოფნა არ დასტურდება, მაგრამ, მეორე მხრივ, აგათიასავე ცნობიდან ვიცით, რომ ეგრისში მიმდინარე დიდი ომიანობისას, კერძოდ 554 წელს ონოგურისთან გამართული ბრძოლისას, როგორც ირანელთა, ისე ბიზანტიელთა მხარეზე ჰუნი საბირების დაქირავებული რაზმები იბრძოდნენ. ამიტომ, ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მთხოვობელმა აგათიას სწორედ ჰუნი საბირების (ირანელებთან ერთად) მიერ აგებული გამაგრებული ადგილის (ციხის) შესახებ მოუთხოო?

ცხადია, აქვე დგგბა საკითხი – პქონდათ ეგრისში მებრძოლ ჰუნ საბირებს გამაგრებული ციხეები?

ჰუნი საბირების მიერ 554 წლისათვის აგებულ გამაგრებულ ადგილთა შესახებ თვით აგათია მოგვითხოვბს<sup>34</sup>. აგათიას ცნობის გაანალიზებისას რუსი ისტორიკოსი ა. გადლო წერს: ამიერკავკასიაში საბრძოლველად საბირები წვეულებრივ „მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსნებს“ აგზავნიდნენ. მათ ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი მხედართმთავრები (ამ ომის დროს აგათია საბირთა სარდლებად ასახელებს: ბაიმახს, კუტილზისა და ილაგერს. – გ. გ.), რომლებიც კარგად იყვნენ ცნობილნი როგორც თვით საბირთა, ისე მათი მეგობრებისა თუ მტრებისათვის. აგათიასთან, – დასძენს ა. გადლო, – არის საინტერესო ცნობა 554 წელს ლაზიკაში საბირთა სამხედრო ბანაკის შესახებ. როგორც იგი წერს, ბანაკი წარმოადგენდა დიდი მარგილებით გარშემორტყმულ, გამაგრებულ ადგილს. შიგნით იყო ასევე მარგილებისა და ტყავებისაგან აგებული ქოხები. აგათიასავე ცნობით, მეორე წელს საბირებმა ისევ ააგეს ბანაკი და გარშემოავლეს „კედლები“ ისეთივე მარგილებით. კედლები არ იყო მაღალი. შეიძლებოდა ცხენოსნის დანახვა<sup>35</sup>.

ა. გადლოს თანახმად, საბირების მიერ მტრის ქვეყანაში გამართული ბანაკი, როგორც ჩანს, ასახავდა მათ საყოფაცხოვრებო კულტურას, რადგან ეს იყო შედარებით იოლად ასაგები გამაგრებული (ადგილი) ქალაქი, რომლის შიგნით ქმნიდნენ კარვების მსგავს, მსუბუქ გადასაადგილებელ საცხოვრებლებს. ასეთი ტიპის საცხოვრებლები დამახასიათებელი იყო ტყისა და ტყე-ველის ზონაში მცხოვრები ტომებისათვის. საბირების სამხედრო ბანაკის აგათიასეული აღწერა შეიცავს ინფორმაციას მათ წინარე სამშობლოზე – დასავლეთ ციმბირის ტყე-ველიან ნაწილზე<sup>36</sup>.

ზემოთ შევნიშნე და კიდევ ვიმეორებ, აგათიას მიერ ონოგურისად წოდებული ციხე რომ ხელოვნურად გამაგრებული ადგილი უნდა ყოფილიყო, ამის შესახებ უნდა მიუთითებდეს მისი ის ცნობა, რომლის თანახმად, ირანელთა სარდალმა მერმეროებ ონოგურისის ციხე „Раньше создал против римлян в окрестностях Археополия“ (ქართულ თარგმანშია: მერმეროეს ონოგურისი „წინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო საიმაგრო საფრად“)<sup>37</sup>.

როგორც ვხედავთ, ტექსტის ქართული და რუსული თარგმანი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ს. ყაუხებიშვილის თარგმანით, მერმეროეს მიერ ციხის „ადრე შექმნა“ (ბერძნულ ტექსტშია ) არ იგულისხმება, თუმცა,

ს. ყაუხეჩიშვილისავე სიტყვები: „სპარსელებს რომ მოუხერხებიათ წინათ (552 წელს) დასავლეთი ლაზიკის აღმოსავლეთი საზღვრის ჩრდილო ნაწილში სასიმაგრო პუნქტის ონოგურისის აგება და იქ რაზმის ჩაეცება<sup>38</sup>“, იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, ბ. სიმონიც ონოგურისს ისეთ გამაგრებულ ადგილად რომ თვლიდა, რომლის შედარებით ადვილად აგება შეიძლებოდა. თუმცა, ამის შესახებ მას გადამწყვეტი აზრი არ გამოუთქვია.

ონოგურის ციხე მერმეროებ რომ ბიზანტიულთა დაუდევრობისა (მძინარობის) და უფერადღებობის დროს შექმნა, ამის შესახებ ბიზანტიულ სარდლებს ეგრისის მეფე გუბაზიც მიუთითებს: აგათია გუბაზე ასეთ სიტყვებს ათქმევინებს (მომაქვს რუსული თარგმანიდან) – „...Если бы вы не были поражены какой то внезапной спячкой и распущенностью в ведении дел, то ни укрепление это не было бы окружено стеной, ни вы не были бы охвачены таким позорным и постыдным бегством...“<sup>39</sup>. – ე. ი. მეფე გუბაზის სიტყვით, ირანელებს ბიზანტიულთა თვალწინ შემოურტყიათ ციხისათვის გალავანი.

ასე რომ, ონოგურისის ციხე რომ 554 წლის წინა ხანაში მერმეროებ „შექმნა“, ეს, ვფიქრობ, საეჭვო ადარაა. მაგრამ როგორი იყო ეს ციხე – ქვის კედლებიანი ქონგურებით, თუ მარგილებით გარშემორტყმული?

გუბაზ მეფე, როგორც ვნახეთ, ირანელთა მიერ, თითქოს, ქვის „კედლების შემოვლებაზე“ („окружено стеной“) საყვედურობს ბიზანტიულ სარდლებს. ციხის ქვის კედლები იგულისხმება მაშინაც, როცა აგათია ონოგურისთან მიმდინარე ბრძოლის აღწერისას ციხის კილანებზე მდგომ მეომრებზე საუბრობს. მაგრამ, აგათია იქნა რომ წერს, ციხის დამცველებმა კედლებზე „ზევიდან რაღაც ტილოები და წამოსასხამები რომ გადმოკიდეს და ამით ისრების ძალას ასუსტებდნენ, რომლებიც მათ წინააღმდეგ მიდიოდა“ (რუსულ თარგმანშია: „Подвешивая сверху ткани и покрывая ими, они ослабляли этим силу ударов, которые ими везде отражал“<sup>40</sup>), ასევე ონოგურისის „ალყის შემომრტყმული რომაელები“ მაშინვე რომ ეძერენ ციხეს და კედლებზე საფარად გადმოკიდებული ტილოები ჩამოგლიჯებს<sup>41</sup>, რაც მთავარია, აგათიასავე სიტყვით, სპარსელები „გარედანაც რომ იცავდნენ ციხეს“ და ონოგურისის ციხეზე შეტევა „უფრო ბრძოლას გავდა ვიდრე ალყას“, იმაზე მიგვითითებს, ონოგურისი ქვის კედლებიანი ციხე რომ არ იყო. ცხადია, ციხის ქვის კედლებში მტრის გერავითარი ისარი (ან შუბი) ვერ შეაღწევდა, ციხის შიგნით მყოფო კი კედლის დაცვა, მასზე გადმოკიდებული ტილოებითა და წამოსასხამებით არ დასჭირდებოდათ. კედლებზე გადმოფენილ ტილოებს და წამოსასხამებს ვერც ბიზანტიული მებრძოლები ჩამოგლეჯდნენ.

როგორც აგათია წერს, VI ს-ის შუახანებისათვის ონოგურისის ციხის ტერიტორიაზე რადგან პირველმოწამე სტეფანეს სახელზე აგებული ტაძარი იდგა, ეს ცნობა კარგი ორიენტირი იყო ონოგურისის ციხის ადგილმდებარეობის გასარკვევად, მაგრამ ამ კუთხით, ზემოდასახელებულ მკვლევართაგან, ციხის მდებარეობის დადგენა არავინ სცადა.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ონოგურისის ციხის, ისე იქ არსებული ეკლესიის შესახებ ძველ ქართულ წეაროებში არავითარი მითითება არაა, აგათიას ცნობების უარყოფა არ შეიძლება. ონოგურისის ციხე, როგორც ვნახეთ, პუნქტ საბირთა და ირანელთა მიერ მერმეროეს ხელმძღვანელობით აგებული, ხის დიდი მარგილებით გარშემორტყმული, საკმაოდ კარგად გამაგრებული ციხე უნდა ყოფილიყო. იმ ხანად ციხის ტერიტორიაზე უკვე პირველმოწამე სტეფანეს სახელზე აგებული ტაძარი იდგა. დასავლეთ საქართველოში რადგან პუნქტ ონოგურების ლაშქრობა საისტორიო წეაროებით არ დასტურდება, გამორიცხული არაა მთხოვბელისაგან გაგონილი უნაგირას (მეგრ. ონანგერი) მთის სახელი აგათიამ თვითონ დაუკავშირა პუნქტ ონოგურების.

რაც შეეხება ონოგურისის ციხისა და იქ არსებული სტეფანე პირველმოწამის სახელზე აგებული ტაძრის მდებარეობას, ამ მხრივ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენო აკად. 6. ბერძენიშვილის სიტყვები: „...ბუნებრივად მიჩნდება აზრი, რომ ონოგურისი არქეოპოლისის მომიჯნავე ქვეყანაშია. ასეთი ხეობა კი აბაშის ხეობაა“<sup>42</sup>. 6. ბერძენიშვილის ასეთ დასკვნას მხარს უჭერს აბაშის რაიონის სოფ. სეფიეთის ეკლესიაში მიკვლეული ბერძნული წარწერა, რომელშიც ნათქვამია: „წმიდაო სტეფანე გველა წმინდანებთან ერთად იშუამდგომლე მონისა ფილოპტისტესათვის და ყოველთა მის ცოდვათათვის“<sup>43</sup>.

მთავარანგელოზის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა, სადაც ეს წარწერა იქნა მიკვლეული<sup>44</sup>, აბაშიდან 15 კმ-ის დაშორებით, აბაშა-მარტვილის გაზტკეცილის ნაპირას, სოფლის მოქმედ სასაფლაოზე მდებარეობს (სოფ. სეფიეთის სასაფლაოს ტერიტორია კოლხეთის დაბლობზე – აბაშის მიდამოებში უმაღლესი ადგილია. ირანელებმა გამაგრებული ადგილის ასაგებად, ეს ადგილი, როგორც ჩანს, ამიტომ შეარჩიეს). ეს ეკლესია ჯერ კიდევ 1914 წელს კ-თაყაიშვილმა სამეგრელოს უძველეს ეკლესიად მიიჩნია<sup>45</sup>, თუმცა, იმხანად მან ბერძნული წარწერა ვერ ნახა. თ. ყაუხებიშვილს წარწერის ბერძნული ტაქსტი პროფ. ს. მაკალათიამ გადასცა და თ. ყაუხებიშვილმა იგი 1951 წელს შესაბამისი ქართული თარგმანით გამოაქვეყნა<sup>46</sup>.

თ. ყაუხებიშვილმა ბერძნული ტაქსტი VI – VII საუკუნეებით დაათარიდა და აღნიშნა: წარწერა ან იქვე ახლოს მდგომი სხვა შენობის ნანგრევებიდან უნდა იყოს გადატანილი<sup>47</sup>, ან თვით ეს ეკლესია უნდა იყოს VI საუკუნისა (ე. ი. 554 წლის ამბების ადწერისას აგათიას მიერ მოხსენიებული წმიდა სტეფანეს ტაძარი – ვ. გ.). აღსანიშნავია, რომ ძველ საქართველოში მრავლად იყო წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიები. ერთ-ერთი ასეთი ეკლესია იყო ნოსირში, საიდანაც არც თუ ისე შორსაა სეფიეთი. წმიდა სტეფანეს კულტი ამ რაიონშიც ყოფილია<sup>48</sup>.

სეფიეთის ეკლესიას, თავისი არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზითა და „ისტორიული სიტუაციის“ გათვალისწინებით, პ. ზაქარაია და თ. კაპანაძეც V – VI სს-ით ათარიღებენ. ამ ტაძრის კედლებში ჩატანებულ როგორც ბერძნულწარწერიან, ისე „სუფთად გათლილ დიდ ქვებს“, ისინი იქვე ახლოს მდებარე სხვა შენობის ნანგრევებიდან გადატანილად თვლიან<sup>49</sup>.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ტაძარი, რომელიც წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელზე იყო აგებული (რომლის შესახებ აგათია სქოლასტიკოსს მთხოვობელმა უამბო), მდ. აბაშის მარცხენა ნაპირზე, სოფ. სეფიეთის სასაფლაოს (ან მასთან ახლოს) ტერიტორიაზე მდებარე ტაძარი უნდა ყოფილიყო (სხვათა შორის, ნაეკლესიარი – „ოხვამე“ სეფიეთის სასაფლაოს ახლოს ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება<sup>50</sup>). ცხადია, იმავე ტერიტორიაზე იყო ონოგურისის დროებითი გამაგრებული ადგილი, რომლის კვალი, რა თქმა უნდა, არ შემორჩებოდა.

ასე რომ, ონოგურისის ბრძოლა, უგრისის დიდი ომიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, ახლანდელ სოფ. სეფიეთის მიდამოებში მიმდინარეობდა. ამიტომ, ახლა ვნახოთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ონოგურისის გამაგრებულ ადგილს ამ ომში.

მას შემდეგ, რაც მერმეროებ მდ. რიონი (ფაზისი) უპრობლემოდ გადალახა (ს. ყაუხებიშვილი), არქეოპოლისსა და ქუთაისს შორის – კოლხეთის ველის (ახლანდ. აბაშის რ-ში) ყველაზე მაღალ ადგილას – ახლანდ. სოფ. სეფიეთის სასაფლაოს ტერიტორიაზე, „ონოგურისის ციხის“ (უნაგირას მთა დღევანდელი მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე მდებარეობს) სახით გამაგრებული ადგილი შექმნა, მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი დაიკავა.

რის შედეგადაც, ეს ტერიტორია „ჩამოგლეჯილი იქნა არქეოპოლისის მიდამოებიდან“ (აგათია). როგორც ს. ყაუხეჩიშვილი წერს, ამ ადგილის დაკარგვა ბიზანტიელებისათვის ცხენისწყლის დასავლეთით მტრის შემოშვებას მოასწავებდა, ხოლო საარსელებისათვის მისი შენარჩუნება მოწინააღმდეგის ზონაში ფეხის მოკიდებას ნიშნავდა. ს. ყაუხეჩიშვილის დასკვნით, ამიტომ იდგა 554 წლის ბიზანტიის საომარი ოპერაციების გეგმაში პირველ რიგში ონოგურისში ჩამჯდარ საარსელთა წინააღმდეგ ლაშქრობა (გეორგიკა, III, გვ. 60. შენიშვნა), მაგრამ იგი ბიზანტიელთა დამარცხებით დამთავრდა.

დაბოლოს, თუ ჩავუკვირდებით, აგათიას თხზულების ს. ყაუხეჩიშვილისეული ქართული თარგმანის ტექსტიდან ისე გამოდის, თითქოს, წმიდა სტეფანე, რომელიც საკუთარი ნებით შეება მტერს – ადგილობრივი მცხოვრები იყო და იგი „ჩაქოლილ იქმნა მოწინააღმდეგის მიერ“. ამის შემდეგ მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს და მის სახელზე ტაძარი (ეკლესია) აიგო.

წმიდა სტეფანეს ადგილობრივმა წარმომავლობამ დამაეჭვა. სანამ აგათიას თხზულების საოანადო ადგილის შესაბამისი რუსული თარგმანის ტექსტს ვნახავდი, აგათიას, თავის დროისათვის ამ მეტად განათლებულ პიროვნებას, ადრექტისტიანული ეკლესიის ისტორიის უცოდინარობაშიც კი ვდებდი ბრალს.

სინამდვილეში, აგათიას ტექსტში იესო ქრისტეს თანამედროვე, პირველმოწამე სტეფანეს სახელზე აგებულ ეკლესიაზეა საუბარი. ეს წმინდანი, მართლაც, დიდი პოპულარობით რომ სარგებლობდა ადრექტისტიანულ საქართველოში, ამას ძველი ქართველი ავტორის ის ცნობა მოწმობს, რომლის თანახმად, ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ II ფარნავაზიანმა, როცა მცხეთის ჯვრის ტაძარს „მოადგნა ზღუდენი“, სხვა სარიტუალო ღონისძიებებთან ერთად დააწესა „ყოველთა სამშაბათოა კრება და სენება პირველ-მოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა“<sup>51</sup>.

### თავი III. ბოლი თურქების პალი ალგანეთში

#### § 1. „ჩოლ“ ტოაონიმის ფარმაცლობისათვის

ტოპონიმი ჩოლი ქართველი მკითხველისათვის იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებიდანაა“ ცნობილი. იაკობი მას „ჩორ“-ის (ვითარებით ბრუნვაში „ჩორად“) სახელით იხსენიებს. ჩორი მას „კარის“ (უნდა ვიგულისხმოთ დერბენდის კარი, გასასვლელი) პარალელურ ფორმად აქვს მითითებული. იაკობის ცნობებიდან გამომდინარე, ვარსკენ პიტიახში „ბრძოლად ჰონთა ზედა“ სწორედ ჩორის, კარის მიდამოებში დადიოდა. ამიტომ, საინტერესოა გაირკვეს საიდან მომდინარეობს ძველი ალბანეთის ამ ოლქის და ქალაქის (დერბენდის, ჩორის) სახელი.

ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე უცხო ეთნიკური ჯგუფების შესვლა ჯერ კიდევ ახ. წ. I – II საუკუნეებში ივარაუდება, მაგრამ ისინი ჩრდილო კავკასიაში IV ს. 70-იან წლებში მოსული ჰუნ-თურქთა მონათესავენი არ უნდა ყოფილიყვნენ.

როგორც ცნობილია, კავკასიონის მთავარ ქედსა და კასპიის ზღვას შორის არსებული ზეკარის ჩამეტი დარუბანდის (დერბენდის) კედლის სამხრეთით, კიდევ რამდენიმე კედლის ნაშთია მიკვლეული. ეს კედლები ერთმანეთისაგან ათეულობით კილომეტრითაა დაშორებული. ახალი კედელი, როგორც ჩანს, ძველის ჩრდილოეთით იგებოდა და მის აგებას თან სდევდა ირანელთა მიერ ძველი კედლის ჩრდილოეთით მცხოვრები ტომების დამორჩილება. ძველი ტრადიცია დარუბანდის კედლის აგებას, ირანის შაპს ხოსრო I ანუშირვანს (531 – 579) მიაწერს. როცა დარუბანდის კედელი აიგო, იგი, იქ მოსახლე ხალხის სახელის მიხედვით, ძველ სომებს და ბერძენ ავტორებთან „ჩორის“, „ჭორის“, „სულის“ სახელითაც გახდა ცნობილი<sup>1</sup>. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერს, „...სომებთა ისტორიკოსების „ჭორა პაპაკ“-ის გასასვლელის მდებარეობა ახლანდელი დარუბანდის ადგილას მიაჩნდათ“<sup>2</sup>. „აზერბაიჯანის ისტორიის“ ავტორთა თანახმად კი ძველ ალბანეთში არსებული რამდენიმე ოლქიდან, ერთ-ერთი სწორედ დარუბანდის კედლის სამხრეთით მდებარეობდა და ამ ადგილის სახელწოდების მიხედვით „ჩოლ“-ად („ჯორი“) იწოდებოდა<sup>3</sup>.

ტოპონიმ „ჩოლს“, სახელი, რა თქმა უნდა, ამავე სახელის მატარებელი ეთნოსიდან უნდა მიეღო. მართლაც, ტოპონიმ „ჩოლ“-ში მკვლევრებმა იმთავითვე ხალხის სახლი დაინახეს. მაგრამ მათ (ს. კოვალევსკი, ი. ალიევი და სხვ.) იმ ხალხად, რომლისგანაც ამ ადგილმა თავისი სახელი მიიღო, არაარიული წარმოშობის გელონები მიაჩნდათ<sup>4</sup>.

გვიქრობ, მიუღებელია მოსაზრება ტოპონიმ „ჩოლ“, „ჭორ“, „სულ“-ის ეთნონიმ გელონებისაგან მომდინარეობის შესახებ<sup>5</sup>. უფრო მართებულად მეჩვენება ეს ტოპონიმი კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე, ველებზე მომთაბარე „ჩოლებოან“ დაკავშირდეს.

ჩოლების სამყოფი, ი. მარკვარტის თანახმად, დეპისტანში – ძველი დაპების ველი იყო. ამ მეომარი ხალხების თავდასხმების მოსაგერიებლად, – აღნიშნავს იგი, – ირანის შაპმა იეზდიგერდ II (438 – 457) ააგო ციხე შაპრისტანი-იეზდიგერდი, ხოლო შაპმა პეროზმა შაპრ-ი-პეროზი<sup>6</sup>.

ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ჩოლების საცხოვრებელ ადგილად მიაჩნდა პროფ. მ. მასონსაც. მისი აზრით, ირანის შაპი იეზდიგერდ II V ს-ის 40-იან წლებში საკმაოდ აქტიურ ოპერაციებს აწარმოებდა „ჩულის“ ოლქში<sup>7</sup>, ხოლო ა. კოლესნიკოვი ფიქრობს, რომ კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ველებზე მომთაბარე სხვადასხვა ტომები თურქი ჩოლების ქვეშვრდომები იყვნენ<sup>8</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში თურქული წარმომავლობის ჩოლები ჰუნ კიდარიტებთან არიან გაიგივებული. მაგ., მ. დიაკონოვის აღნიშვნით, „ჩულის ტომებს“, რომელთა თავდასხმები წარმატებით მოიგერია იეზდიგერდ II-ემ, წყაროები კიდარიტებს უწოდებენ. როგორც ჩანს, – წერს იგი, – ესენი ეფტალიტა ერთ-ერთი ტომი იყო<sup>9</sup>. ი. მარკვარტის ზემომოტანილი მოსაზრება ა. ბერნშტამს მისადებად მიაჩნია და ფიქრობს, რომ ჰეფტალიტების სახელის ქვეშ ახალი პოლიტიკური წარმონქმნების მხლოდ სახელი უნდა ვიგულისხმოთ. მისი აზრით, ჰეფტალიტების გაერთიანებაში შედიოდნენ: კიდარიტები, ქუშანები, ხიონიტები, ჩოლები, ჰუნები<sup>10</sup>.

ასე რომ, წყაროებში თურქი ჩოლების სახელით ცნობილი ხალხი, იგივე ჰუნები – ჰუნი კიდარიტების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო. სახელი „ჩოლი“ მათ უდაბნოში ცხოვრების გამო უნდა მიეღოთ („ჩოლი“ როგორც ძველ თურქულში, ისე თანამედროვე თურქულ ენაში „გელს“, „უდაბნოს“ ნიშნავს)<sup>11</sup>. ძველი ალბანეთის ერთ-ერთმა ოლქმა სახელი რომ უცხო წარმოშობის ეთნიკური ელემენტისაგან – ჩოლებისაგან მიიღო და ეს ჩოლები, მართლაც, სკვითურ-სარმატული წარმოშობის ხალხი იყო, რომელთაც ალბანეთში გადმოსვლისას საკმაოდ ჰქონდათ გავლილი თურქიზაციის პროცესი, სხვა წყაროებითაც დასტურდება. ამ მხრივ საინტერესოა ზემომოყვანილი ცნობა ფაიტაკარანის ოლქისა და ქალაქის მმართველის სენასანის – იგივე სანატრუკის სომხეთზე თავდასხმების შესახებ<sup>12</sup>.

სომხეთის წინააღმდეგ სენასანის ლაშქრობებში მონაწილე ტომებიდან, კ. ტრევერის თანახმად, ტავსაპარები სამხრეთ დადესტანში, მდ. სამურის (მარცხნივ) ქვემო წელზე ცხოვრობდნენ (ტერიტორიას ტავსაპარების ჩრდილოეთით მდ. სამურიდან სულაკამდე და უფრო ჩრდილოეთითაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, კ. ტრევერი „ხონების“ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევს), ჩილები (ანტიკური ავტორების სილბები) ანდიის ყოისუს ზემოდინებაზე, ბალასახები – მტკავრისა და არაქსის ქვემო დინების მარჯვენა ნაპირზე<sup>13</sup>. ჩვენთვის საინტერესო ჩოლების ტერიტორია – მდ. სამურის შესართავის სამხრეთით, კასპიის ზღვის დასავლეთით იყო, სადაც მასკუტები ცხოვრობდნენ.

როგორც ვხედავთ, მასკუტები სწორედ ჩოლების საცხოვრებელ ტერიტორიაზე ლოკალიზდებიან. კ. ტრევერმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აგათანგელოსის თხზულების ბერძნულ ვერსიაში ორჯერ იხსენიება „მასახა-ხუნები“. აგათანგელოსი სომხეთში ქრისტიანობის გავრცელების საზღვრად სომხეთის მეფე თრდატ III-ის დროს „მასახა ხუნებს“ უთითებს („... დო გრანიც Macaxa-хуннов“ - „Εως δριψιν Μασαχου των Ούννων“)<sup>14</sup>. ტრევერისავე ცნობით, რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის კარზე წასულ თრდატს აცილებდა „ოთხივე ბდეშხი“, რომელთა შორის „მასახა-ხუნების ოლქის ბდეშხიც იყო“. რაც მთავარია, აგათანგელოსის სომხურ ტექსტში თრივე შემთხვევაში „მასახა-ხუნების“ მაგიერ სიტყვა „მასკუტი“ არის ნახმარი.

როგორც ზემოთაც აღნიშნე, კ. ტრევერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს მასკუტები კავკასიური წარმოშობის ერთ-ერთი ხალხი იყო. მაგრამ ეს „მასახა-ხუნები“, იგივე მასკუტები, რომ სწორედ თურქიზირებული ძველი სკვითურ-მასაგეტური მოდგმის ხალხი იყო, ამის შესახებ თვით კ. ტრევერის მიერ მოტანილი მასალები მიუთითებენ. როგორც კ. ტრევერი წერს, VI ს-ში პროკოპიოს კესარიელი იუსტინიანეს მხედართმთავართა შორის იხსენიებს ვინმე ეგანს „ახლა ჰუნებად წოდებული მასაგეტის ხალხისაგან“<sup>15</sup>. მისივე შენიშვნით, დიდ ინტერესს იწვევს ამიანუს მარცელინუსის (330 – 400) მითოება (κη. 31), მასაგეტები ძველად ალანებად რომ იწოდებოდნენ<sup>16</sup>.

როგორც პროკოპიოს კესარიელის, ისე ამიანუს მარცელინუსის ცნობებიდან თვალნათლივ ჩანს ის ევოლუცია, რომელიც სკვითურ-მასაგეტური-სარმატული მოდგმის ხალხებმა, მ. შ. ალანებმა აღმოსავლეთ კასპიისპირეთში პუნქტურქული მოდგმის ხალხების მოზღვავების შედეგად განიცადეს. აშკარაა, რომ ჩოლები იგივე მასკუტებია, რომელთაც თურქიზაცია ჯერ კიდევ მათი თავდაპირველი მომთაბარეობის ადგილებში განიცადეს. სანამ პუნქტი და თურქები გამოჩნდებოდნენ, ისინი საკებისა და მასაგეტების სახელით იყვნენ ცნობილნი, თურქიზაციის პროცესში მათ უდაბნოს, ველის ხალხის სახელი – „ჩოლ“-ი მიიღეს. საერთოდ კი, იმ ხანებში ძველი სახელით (საკები, მასაგეტები) იყვნენ ცნობილნი – მათი შთამომავლები პუნი პეფტალიტები, ხიონიტები და სხვანი იყვნენ.

ასე რომ, ვფიქრობ, ჯერ ალბანეთის ერთ-ერთმა პროვინციამ, შემდეგ კი ამ პროვინციის ჩრდილოეთით აგებულმა კედელმა სახელი „ჩოლი“ სწორედ ამ თურქიზირებული „მასკუტ“/მასაგეტებისაგან (შემდგომი ხანის პუნი ეფტალიტ-ხიონიტები) მიიღო<sup>17</sup>. თუ აქ იმასაც გავითვალისწინებო, რომ პუნი პეფტალიტების ამიერკავკასიაში და წინა აზიაში ყოფნა საისტორიო წყაროებში ჩრდილო კავკასიაში პუნთა მასების მოსვლამდე დასტურდება<sup>18</sup>, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს პუნქტი (ეფტალიტ-ჩოლები) კასპიის ზღვის ჩრდილო-სანაპიროდან შემოვიდნენ ალბანეთში და მათი იქ დამკვიდრების შემდეგ მიიღო ალბანეთის ოლქმა მათი სახელი. ალბანეთის ამ ტერიტორიამ ჩოლებისაგან მიღებული სახელი თუ დიდხანს შეინარჩუნა, სამაგიეროდ თვით ჩოლის ტომთა წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ჩქარა იქნენ ასიმილირებულნი ადგილობრივ მოსახლეობასა და შემდეგში ამავე ზეპარიტ შემოსული სხვადასხვა თურქულენოვანი ხალხის მიერ. რადგან თურქულენოვანი ხალხების შემოსვლასა და დასახლებას განსაკუთრებული ინტენსიური ხასიათი სწორედ ამ რაიონში ჰქონდა<sup>19</sup>.

## § 2. ძველი თურქები ალბანეთში

ძველ საისტორიო წყაროებში, როგორც ვნახეთ, მრავლადაა ცნობები ჩრდილო კავკასიოდან ამიერკავკასიაში თურქულენოვანი ეთნიკური ჯგუფების შემოსვლისა და ზოგჯერ მათ მიერ დასახლებათა შექმნის შესახებ. ამ ხალხთა შემოსვლის გზად წყაროებში ძირითადად დარიალისა და დარუბანდის ზეკარებია დასახლებული. ამ ორი კარიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა დარუბანდს ჰქონდა (საქმე ის იყო, რომ ჩრდილოელი მომთაბარეების დიდი მასები ამიერკავკასიაში სწორედ დარუბანდის კარით შემოდიოდნენ). ამიტომ, როგორც ალბანეთის ხელისუფალნი, ისე ამ ქვეყნის სიუზერენი – სასანიანები დარუბანდის კარის ჩაკეტვას დიდ უურადღებას უთმობდნენ. შესაბამისად, აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ამიერკავკასიაში სასანიანთა მიერ შექმნილი მმართველობის ხასიათი<sup>1</sup>. მეორე მხრივ, რაც ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, უნდა გაირკვეს, ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე IV – X სს-ში თურქულენოვანი ეთნოსების შესვლამ როგორი გავლენა მოახდინა ძველი ალბანელების ეთნიკური სახის ფორმირებაზე, ენაზე, კულტურაზე. როგორც აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, შემოსულ თურქებთან ერთად აზერბაიჯანელი ხალხის ეთნოგენეზში მართლა მონაწილეობდნენ ადგილობრივი წარმოშობის თურქები?

აზერბაიჯანელი მკვლევრები იმ საისტორიო წყაროთა ცნობებს, რომლებიც უძველესი დროიდან ამიერკავკასიაში, კერძოდ კი ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე პუნქტურ-თურქული მოდგმის ხალხების ლაშქრობებს ან შესვლასა

და იქ დასახლების შესახებ მოგვითხრობენ, თითქმის, უკრიტიკოდ იდებენ, მათ ისტორიული რეალობის აღმნიშვნელად მიიჩნევენ. უფრო მეტიც, ცდილობენ აჩვენონ, თითქოს, ალბანეთის ცალკეული მხარეები ძველ თურქთა ერთ-ერთი სამშობლო იყო.

ძველი ალბანეთი დღეს თურქულენოვანია და, ცხადია, თანამედროვე აზერბაიჯანელი მკვლევრები ცდილობენ აჩვენონ, მათი სამშობლოს ტერიტორია ადრიდანვე თურქულენოვანი ეთნოსის დასახლების ობიექტი რომ იყო. ქვემოთ ძველ საისტორიო წყაროებიდან ალბანეთის ტერიტორიაზე უცხო ეთნიკური ჯგუფების შესვლის რამდენიმე მაგალითს მოვიტან, შემდეგ ვნახოთ, როგორ ინტერპრეტაციას აძლევენ მსგავს ცნობებს აზერბაიჯანელი მეცნიერები.

ძველი სომეხი ავტორის მოვსეს ხორენაციის თანახმად, მეფე ვალარშის დროს (ახ. წ. II ს.) შეიკრიბნენ ჩრდილოელთა ბრძოები, ხაზარები და ბარსილები, გადმოლახეს ჭორას კარი (კასპიის კარი, დარუბანდი), შემდეგ მდ. მტკვარი, მაგრამ ისინი უკუგდებული იქნენ ისევ ჭორას ხეობით<sup>2</sup>. ხორენაციისავე ცნობით, ირანის შაპმა შაპუჰ თრმიზდის ძემ (ე. ი. შაბურ II-მ, 309-379 წწ.) სომხეთის მეფის ტირანის მიმართ დიდი სიყვარული გამოამჟღავნა, დაიფარა ჩრდილოელ ტომთა შემოტევისაგან, რომლებიც გაერთიანდნენ, გადმოლახეს ჭორას ვიწროები და ოთხი წლის მანძილზე ალვანეთში დაიბანაკეს<sup>3</sup>.

ბარსილთა, ხაზართა, ბოლგართა, საბირთა და სხვა პუნქტ-თურქული მოდგმის ხალხების ამიერკავკასიაში გადმოსვლისა და ზოგჯერ მათი დასახლების შესახებ ძველ წყაროებში არსებულ ცნობებს, მიუხედავად მათი ანაქრონისტული ხასიათისა, აზერბაიჯანელი ისტორიკოსები, როგორც ითქვა, დიდი გულმოდგინებით იყენებენ. ასე მაგ., „აზერბაიჯანის ისტორიის“ ავტორთა თანახმად, ხოსრო I-ის (531 – 579) დროს ხაზარ-საბირთა ნაწილი თავის გადასარჩენად გადავიდა დარუბანდის გზით ალბანეთში. ხაზარები ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ყველაფერს, ამიტომ ხოსრო I სასტიკად გაუსწორდა მათ. ამავე ავტორთა სიტყვით, არაბი ავტორის ატ-ტაბარის (გარდ. 923) ცნობით, იმავე ხანებში დაახლ. 10 ათასი ხაზარი შაპმა დაატყვევა და აზერბაიჯანისა და მის მეზობელ ოლქებში დაასახლა. 576 წელს, ბიზანტიასთან ომის დროს, ხაზართა ეს დასახლება მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, ქ. კაბალას რაიონში მდებარეობდა<sup>4</sup>. უფრო ადრე ირანის შაპმა კავად I-მა მის მიერ გამაგრებულ კაბალის მიდამოებში თავი მოუყარა მისადმი მეგობრულად განწყობილ „მამაცი საბირი პუნქტის“ იმ ნაწილს, რომელიც კარგა ხანია ალბანეთში ცხოვრობდა<sup>5</sup>.

ალბანეთში ხაზართა ჩასახლების შესახებ ცნობა „მატიანე ქართლისას“ ავტორსაც აქვს. ამ ცნობაში მოთხრობილია, ქართლიდან გაბრუნებულმა ბუდა თურქმა, ბარდაში დაზამთრების შემდეგ როგორ „განაღო კარი დარუბანდისა და გამოიყვანნა ხაზარნი, სახლი სამასი, და დასხნა იგი შანქორს“<sup>6</sup>.

ალბანეთში თურქულენოვანი ეთნოსების ჩასახლების შესახებ მოგვითხრობენ ბიზანტიელი ავტორები: მემანდრე პროტიქტორი (VI ს.) და თეოფანე უამთააღმწერელი (გარდ. 818 წ.) (ამ ცნობების შესახებ იხ. ქვემოთ, თავი VII). არანაკლებ საინტერესოა VII ს-ის ალბანელი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის ცნობა. როგორც იგი წერს, ირანის შაპის შაბურ II-ის დროს, ე. ი. IV ს-ში „ხაზარები მრავალრიცხოვანი რაზმებით გადმოიდნენ ჩორის კარით“ ალბანეთში. სომეხთა მეფემ შაპმა უამრავი [ხალხი] შეკრიბა ასურეთში, ხორასანში, ხვარაზმში, განსაკუთრებით მამაცი სპარსელები ატრატაკანში, სომხები, ქართველები, ალვანელები და კავკასიის მთის თორმეტი [სხვადასხვა] ენის ბარბაროსი ტომი. ამ უთვალავი ჯარით გამოვიდა მათთან საბრძოლველად<sup>7</sup>.

ზემომოტანილმა საისტორიო წყაროთა მონაცემებმა ცნობილ აზერბაიჯანელ ისტორიკოსს ზ. ბუნიატოვს საფუძველი მისცა უკვე

ადრეშუასაუკუნეებში ალბანეთის ტერიტორიაზე პუნთა დასახლების არსებობაზე მიეთოვებინა. მისი მტკიცებით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე – მუდანში, V ს-ში უკვე პუნქური ტომების ერთ-ერთი მსხვილი გაერთიანება იყო დასახლებული. მისი თქმით, ამ პუნქებს VII ს. ბიზანტიის ისტორიკოსი თეოფილაქტე სიმოკატა თურქებს უწოდებს და სწორედ მათ დაარსეს მუდანის სამხრეთში ქალაქი აკ-გუნი, რომელიც არაბულ წყაროებში ბალასაგუნად იხსენიება<sup>8</sup>. ზ. ბუნიატოვს ასევე ამიერკავკასიაში პუნქების შემოსვლის ერთ-ერთ ფაქტად მიაჩნია V ს-ის სომები ავტორის ფავსტოს ბუზანდაცის მიერ მოთხოვნილი ამბავი სომხეთში მასკუტთა მეფე სენასანის ლაშქრობის შესახებ<sup>9</sup>. ზ. ბუნიატოვი ამ ცნობის გაანალიზებისას დასძენს: ძველ ალბანეთში თურქული ტომების დიდი მასები ხაზართა ლაშქრობების ხანაში დამკვიდრდნენ და ირანის შაპის – კავადის (გარდ. 531 წ.) მეფობის ბოლო წლებამდე ჩრდილო აზერბაიჯანის ხაზართა ხელში იყო, რის გამოც არაბი ისტორიკოსები ამ ქვეყანას ხშირად „ხაზართა ქვეყანას“ უწოდებდნენ<sup>10</sup>. ზ. ბუნიატოვისავე სიტყვით, სასანიანთა ხელქვეით მყოფ აზერბაიჯანსა და სამხრეთ ამიერკავკასიაში თურქების (ხაზარების) ელემენტი ისე სწრაფად იზრდებოდა, რომ ხოსრო I-მა ხაზარებს წაართვა ეს ტერიტორიები და იმპერიის საზღვრები დარუბანდამდე მიიტანა. იმ მხარეში თურქთა გავლენა რომ შეემცირებინა, მან დაუყოვნებლივ დაიწყო იქ ირანული გარნიზონების დასახლება (ეყრდნობა ალ-ისტაპრის). ამ მიზნით ხოსრო I-მა დარუბანდში სიასიჯიტების ტომი (племя сиасиджитов) (იმოწმებს: ბალაზორის, ინგ ფაკის, ხორდადბეჭს), ხოლო თბილისთან ხოგდიელები დასახლდა<sup>11</sup>.

ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ხალხების შესვლასა და დასახლებათა შესახებ თ. მინორსკიც მიუთითებს და აღნიშნავს დარუბანდის გზით ამიერკავკასიაში – კიმერიელების, საკების შემოსვლისა და დამკვიდრების ფაქტებს. შემდეგ მოჰყავს არაბულენოვანი აგზორების ცნობები შამქორში ხაზართა დამკვიდრების შესახებ. თ. მინორსკის თანახმად, ბალაზორი მოგვითხოვს კაბალის (შექის აღმოსავლეთი), როგორც ხაზარებისადმი ან მათდამი დაქვემდებარებულ ოლქზე. ხოლო ხაზართა ერთი ჯგუფი მარგან იბნ მუკამადმა სამურსა და შაბარანს შორის დაასახლა, მშვიდობიან ხაზართა მეორე ჯგუფი შამქორში, ქრისტიანული წელთაღრიცხვის 854 წელს გამოჩნდა. თ. მინორსკისავე სიტყვით, ხაზართა გამანადგურებელ თავდასხმებს ხალიფების: პიშამისა (დაახლ. 730 წ.) და პარუნ არ-რაშიდის (788 წ.) დროს, ასევე უნდა გაედიდებინა ხაზართა რიცხვი ამიერკავკასიაში<sup>12</sup>.

როგორც ვხედავთ, თურქულენოვანი ხალხების შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ, ძველ წყაროებში ყველაზე მეტი ცნობები ამიერკავკასიის რეგიონებიდან ალბანეთის შესახებ არის. რის გამოც, თითქოს, უნდა გვეფიქრა, რომ ძველი ალბანეთის მოსახლეობას წინა აზიაში ჯერ კიდევ სელჩუკთა გამოჩენამდე უნდა განეცადა თურქიზაციის საგრძნობი პროცესი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა XI საუკუნიდან. როცა წინა აზიაში სელჩუკები გამოჩნდნენ და მათ ხელში აღმოჩნდა უზარმაზარი ტერიტორია შუა აზიიდან პალესტინამდე, 1137 – 1225 წლებში თვით აზერბაიჯანში ილდევიზიდების დინასტია ბატონობდა, და ცხადია, იმ დროს ალბანეთის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ეთნოსის შესვლას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ექნებოდა. ეს პროცესი არნახული ინტენსივობით ვლინდებოდა საქართველოს მიმართ. ძველი ქართველი მემატიანეს სიტყვით რომ ვთქვათ, – ეს იყო „დიდი თურქობა“ (როგორც ზემოთ ითქვა, ამ გარემოებამ მისცა საფუძველი ა. იუნუსოვს მესხეთის ტერიტორია „Великий Туркестан“-ად გამოცხადებინა). მაგრამ საქართველოს მოსახლეობამ მაინც შეინარჩუნა ენა და ეთნიკური ცვლილებები არ

განუცდია, მაშინ, როცა ძველი ალბანეთის მოსახლეობამ შემოსული თურქულენოვანი ხალხისაგან ასიმილაცია განიცადა და ენაც დაკარგა.

ძველმა ალბანელებმა რომ ენა დაკარგეს და ეთნიკური ცვლილება განიცადეს, ამაში აზერბაიჯანელი ისტორიკოსები უფრო მნიშვნელოვან როლს მათ მიერ გამოგონილ „ადგილობრივ თურქულ“ მოსახლეობას ანიჭებენ. თუმცა, როგორც ვნახეთ, არც ჩრდილო კავკასიიდან ალბანეთის ტერიტორიაზე შემოსულ ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების მიერ ალბანეთში დასახლებათა შექმნის საეჭვო ფაქტებს ტოვებენ უყურადღებოდ. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ა. კრიმსკის მიერ 1934 წელს გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს, ხაზარები ალბანეთში ას წელს ბატონობდნენ<sup>13</sup>, 1936 წელს გ. არტამონოვმა არ გაიზიარა (მისი მტკიცებით, ხაზარებმა 628 წელს დაიყვრეს ალბანეთი და დაახლ. 630 წელს განდევნილნი იქნენ კავკასიის გადაღმა<sup>14</sup>), აზერბაიჯანულმა ისტორიოგრაფიამ უყოყმანოდ მიიღო – ზ. ბუნიატოვმა მხარი დაუჭირა ა. კრიმსკის მოსაზრებას VII ს-ის დამდეგიდან ალბანეთში ხაზართა ბატონობის შესახებ. „აუცილებელია, – წერს იგი, – ამ საკითხის დამატებითი შესწავლა. რათა საკითხის შესახებ ისეთი მოსაზრება შეიქმნას, რომელიც ყოველ შემთხვევაში, ისტორიული პროცესების მსვლელობის სწორი ამსახველი იქნებოდა“<sup>15</sup>. შემდეგ იქვე მიუთითა: არაა მართალი გ. არტამონოვი, როცა ხაზარების ალბანეთში მოსვლას 628 წლით ათარიდებს. წყაროებიდან ჩანს, რომ ალბანეთში VII საუკუნემდე ბევრით ადრე მრავლად იყვნენ ხაზარები. არაბი ავტორები: ბალაზორი, იბნ ხორდადბეჰი, იბნ რუსტა და სხვები ამ ამბებს კავად I-ის მმართველობის დროს აკუთვნებენ. კავადმა ხაზარები დარუბანდის ჩრდილოეთი განდევნა და თავისი იმპერიის ჩრდილოეთი საზღვრების გასწვრივ გამაგრებული ადგილები შექმნა. კავადის ძემ ხოსრო ანუშირვანმა კი დაატყვევა და აზერბაიჯანსა და მის მეზობელ ოლქებში 10 000 ხაზარი დაასახლა<sup>16</sup>. მიუხედავად იმისა, ხაზარებსა და ანუშირვანს შორის ზავი დაიდო, – აღნიშნავს ზ. ბუნიატოვი, – ქ. კაბალა და მისი მიმდებარე ტერიტორიების დასახლებული ჰუნქტები კვლავ ხაზართა ხელში რჩებოდა<sup>17</sup>. ამის შემდეგ ზ. ბუნიატოვს მოჟყავს სათანადო მასალა არაბული წყაროებიდან ალბანეთში ხაზარების დამკვიდრების შესახებ და ასკვნის: ა. კრიმსკი მართალია როცა ალბანეთში ხაზარების ასწლიანი ბატონობის შესახებ ლაპარაკობს, თუმცა ეს ბატონობა არ იყო მუდმივი, მაგრამ მათი კონტროლი ალბანეთზე განუწყვეტლივ გრძელდებოდა<sup>18</sup>.

ზ. ბუნიატოვმა თავისი მტკიცება ძველ ალბანეთში ხაზართა ასწლიანი ბატონობის შესახებ 1965 წელს გამოცემულ მონოგრაფიაშიც გაიმურა. იგი აღნიშნავს, რომ ჩრდილო აზერბაიჯანში ხაზართა ასეთი ბატონობა, არაბთა მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგაც გრძელდებოდა და მოსახლეობა ხარცს უხდიდა როგორც ხაზარებს ისე არაბებს<sup>19</sup>.

საბოლოოდ ზ. ბუნიატოვი ალბანეთის მოსახლეობის თურქიზაციის პროცესში როცა შემოსული თურქულენოვანი ეთნოსების როლს ეხება, ასკვნის: აზერბაიჯანის მოსახლეობის თურქიზაციის საკითხი, ამ მრავალსაუკუნოვანი პროცესის დასაწყისის გარკვევა ძალიან რთულია და დღემდე გადაუწყვეტი რჩება. მივიღოთ თვალსაზრისი იმის შესახებ, თითქოს, ალბანეთის მოსახლეობის თურქიზაცია მოხდა XI – XII საუკუნეებში, როგორც ამას ამტკიცებს ზოგი მკვლევარი, შეცდომა იქნებოდა. ასევე არასწორია თურქები ჩავთვალოთ რომელიმე მოსულ, სხვა წარმოშობის (ინიდენტი) ელემენტად. ასეთ შემთხვევაში უნდა უარგვოთ დიდი კომპაქტური ადგილობრივი თურქული ტომობრივი წარმონაქმნების არსებობა ალბანეთის ტერიტორიაზე<sup>20</sup>.

როგორც ვხედავთ, ზ. ბუნიატოვმა არა მარტო გაიზიარა ა. კრიმსკის მოსაზრება ალბანეთში ხაზართა ასწლიანი ბატონობის შესახებ, ახალი

თვალსაზრისიც წამოაყენა – მისი მტკიცებით, თვით ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე იყო „დიდი კომპაქტური თურქული ტომობრივი წარმონაქმნები“. გამოდის, რომ ალბანეთი იყო „თურქული ტომების“ სამშობლო (გავიხსენოთ ა. იუნუსოვის მტკიცება საქართველოში „კორენის თურკ“-ების არსებობის შესახებ). ზ. ბუნიატოვის ასეთ მსჯელობასთან დაკავშირებით, მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილო კავკასიაში პუნქტურქული მოდგმის ხალხების მოსვლის დროის სწორ დადგენას. ზ. ბუნიატოვი მსჯელობისას, უმეტესად არაბულებოვანი წყაროების მონაცემებს ეკრდნობოდა, ეს წყაროები კი, ისევე როგორც ქართული და სომხური, ხაზარებს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV – III საუკუნეებში ასახელებენ, რაც მეცნიერთა მიერ, კარგა ხანია, ანაქრონიზმადაა მიჩნეული.

თანამედროვე აზერბაიჯანული ენის ჩამოყალიბებაში ზ. ბუნიატოვი გადამწყვეტ როლს თუ ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ეთნოსების ჩასახლებას ანიჭებდა, იქვე მიუთითებდა ალბანეთის ტერიტორიაზე „ადგილობრივი თურქული ტომობრივი წარმონაქმნების დიდი კომპაქტური“ დასახლების არსებობაზე, რის შედეგადაც თურმე ალბანელებმა ადრევე დაკარგეს თავიანთი მშობლიური ენა, ამ მხრივ, სრულიად განსხვავებულ, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით ორიგინალურ პოზიციაზე დგას ზ. იამპოლსკი. ზ. ბუნიატოვისაგან განსხვავებით იგი აღნიშნავს, რომ ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე თურქულენოვანი ხალხი უმნიშვნელო რაოდენობით შედიოდა, მისი ვარაუდით, VII – VIII საუკუნეებში ალბანეთში არაერთხელ შექრიდი ხაზარების საერთო რაოდენობა 12000-ს არ აღემატებოდა (იმოწმებს: მასუდის, გვ. 32; იბნ რუსტას, გვ. 45; იბნ ჰაუკალს, გვ. 38, 108). შემდეგში, XI საუკუნიდან, აზერბაიჯანში შექრა დაიწყეს შუა აზიელმა მომთაბარე ოლუზებმა. თვით სელჩუკთა სულთანის ალფარსლანის ჯარი 1070 წლისათვის მხოლოდ 150 000-ს შეადგენდა, მისი მეომრების დანარჩენი ნაწილი სწორედ ადგილობრივი მოსახლეობა იყო, რომელიც შემდეგ ოლუზებად იწოდა<sup>21</sup>. ზ. იამპოლსკის დასკვნით, აზერბაიჯანის ძველი მოსახლეობა და მათი შთამომავლები შემოსულ უცხო ეთნიკურ ჯგუფებზე ყოველთვის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდა. ზ. იამპოლსკის გაანგარიშებით, აზერბაიჯანის მკვიდრი მოსახლეობა ჯერ კიდევ სტრაბონისა და პლუტარქეს დროისათვის 800 000 სული უნდა ყოფილიყო, შემდეგში, საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად (IX ს-ში მარტო არანშოალბანეთის ნაწილში 4 000 სოფელი იყო), იმ მომთაბარეთა გარდა, რომელიც უძველესი დროიდანვე იყვნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, ალბანეთის მოსახლეობა IX ს-ში 1 მილიონზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო<sup>22</sup>.

ზემომცვანილი მსჯელობის შემდეგ ზ. იამპოლსკი აღნიშნავს, რომ მართალი იყო ა. ბაქიხანოვი, როცა 1848 წ. გაზით „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში მის თანადროულ აზერბაიჯანის მოსახლეობას ძველი ავტოქტონი მოსახლეობის შთამომავლად მიიჩნევდა<sup>23</sup>.

ზ. იამპოლსკიმ, დაუჭირა რა მხარი ა. ბაქიხანოვის აღნიშნულ მოსაზრებას, შეეცადა იგი დაესაბუთებინა კიდეც. მისი აზრით, აზერბაიჯანი ძველთაგანვე ორი ოლქისაგან – ატროპატენის (რომელიც ძველი მიდიოს ნაწილი იყო და იქ მიდიელები ცხოვრობდნენ) და ალბანეთისაგან (სადაც მაღიანიტები ცხოვრობდნენ) შესდგებოდა<sup>24</sup>.

ამასთან ერთად, – აღნიშნავს იგი, – მართალია, ატროპატენში მიდიელები ცხოვრობდნენ, მაგრამ პოლიბიოსი (ძვ. წ. 200 – 120) ატროპატენის მოსახლეობას უკვე განასხვავებს ძირითადი მიდიელებისაგან და მათ ატროპატენელებს უწოდებს. ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე უფრო გვიანდელი დროის ავტორებთანაც და, რა თქმა უნდა, ასეთ დაყოფას საფუძვლად ტერიტორიულ-

ადმინისტრაციული პრინციპი არ უნდა დებოდა<sup>25</sup>. იამპოლსკის თანახმად, სწორედ ამ ხალხისაგან ჩამოყალიბდა ხალხი – აზერი<sup>26</sup>. მისივე აზრით, მაშინ, როცა ძველი მიდიის ნაწილში – ატროპატენში აზერის ხალხი და ენა ყალიბდებოდა, ძველი აზერბაიჯანის მეორე ნაწილში – ალაბნეთში მსგავსი პროცესი არ მიმდინარეობდა, რადგან არა მარტო I, არამედ V ს-შიც მის ტერიტორიაზე ცხოვრობდა სხვადასხვა ხალხი განსხვავებული ენებით. რომელთაგან იმ დროს მხოლოდ გარგარული ენა იჩემებდა ტენდენციას საერთო ალბანური გამხდარიყო (ამ მხარის ასეთი ჩამორჩენა, იამპოლსკის აზრით, ატროპატენთან შედარებით გამოიწვია ალბანეთში მონათმფლობელური წყობის გვიან ჩამოყალიბებამ, შემდეგ კი განვითარებულ ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობაზე გადასვლის დაგვიანებამ). აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან აზერბაიჯანის ერთ ნაწილში – ალბანეთში, მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო, არ მოხერხდა საერთო ენის ჩამოყალიბება, იქ ატროპატენელთა ენა გაბატონდა<sup>27</sup>.

ამის შემდეგ იამპოლსკი ცდილობს დაამტკიცოს, ძველი ატროპატენის ენა რომ თურქული იყო. ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა ერთის მხრივ – ჯერ კიდევ XIX ს-ში ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის ფ. ლენორმანისა და სხვათა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს ძველი მიდიისა და თანამედროვე აზერბაიჯანის ენების შესაძლო მსგავსების შესახებ<sup>28</sup>, ხოლო მეორეს მხრივ, იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქული ენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე არსებობდა. აქედან გამომდინარე, ვარაუდობს, რომ ატროპატენში ჩამოყალიბებული ენა – აზერი, სწორედ ის თურქული ენაა, რომელზედაც ატროპატენის ძველი მიდიური მოსახლეობა ლაპარაკობდა, და რომლის განვითარების შედეგად მივიღეთ თანამედროვე აზერბაიჯანის სალიტერატურო ენა. ზ. იამპოლსკი იქვე აღნიშნავს, რომ V ს-ის არანში თუ რამდენიმე ენა იყო, X ს-ში ერთი ენა „არანი“ შემორჩა, რომელიც აზერისაგან განსხვავდებოდა. ქართველი მეცნიერების მიერ შესაძლოა სწორედ ამ ენის ალფაბეტი იქნა აღმოჩენილი 1937 წელს. შემდეგ ეხება საკითხს, თუ როდის უნდა გაბატონებულიყო აზერის ენა მთელ აზერბაიჯანში – კერძოდ ალბანეთ-არანში და აღნიშნავს: ამის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ როდის გაბატონდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო დაწინაურებული ატროპატენი მთელ აზერბაიჯანში. რადგან კლასობრივ საზოგადოებაში იმარჯვებს ის ენა, რომლის მატარებელი ხალხი გაბატონებულ მდგომარეობაში იმყოფება. იქვე შესაძლებლად თვლის, აზერის ენაში (რომელიც, როგორც ვნახეთ, მისი აზრით, ისედაც თურქული ენა იყო) თურქული ენის შერევის შესაძლებლობასაც და ასეთ საფუძველზე თანამედროვე აზერბაიჯანული ენის ჩამოყალიბებას ვარაუდობს. ამასთან ერთად, იგი თუ ზემოთ უარყოფდა ძველ აზერბაიჯანში თურქულენვანი ეთნიკური ჯგუფების ინტენსიურ შესვლასა და მათ მიერ დასახლებათა შექმნას, ამჯერად აღნიშნავს, რომ შემოსული თურქულენვანი ხალხების ყველაზე მეტი რაოდენობა მტკვრისპირეთისა და არაქსისპირეთის ველებზე უნდა დალექილიყო. სადაც საუკუნეთა განმავლობაში თურქული ელემენტების დიალექტების შერევის შედეგად ახალი თურქული ტიპის – აზერბაიჯანული ენა უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომელმაც გაიმარჯვა მიდიის ატროპატენისა (თუ ეს ენა თვით არ იყო თურქული ტიპისა) და არანის სახალხო-სასაუბრო ენებზე<sup>29</sup>.

როგორც ვხედავთ, ზ. ბუნიატოვი და ზ. იამპოლსკი დასაშვებად თვლიან შემოსული თურქულენვანი ხალხის დიდ როლს თანამედროვე აზერბაიჯანული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში. ორივე მეცნიერი, თუმცა სხვადასხვა ნიუანსებით, გადამწყვეტ მნიშვნელობას არარსებულ აგტოქტონ

თურქელ მოსახლეობას (ზ. იამპოლსკი – ატროპატენის თურქელ ეთნიკურ მასას, ზ. ბუნიატოვი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, თითქოს, იმთავითვე არსებულ „დიდ კომპაქტურ თურქელ ტომობრივ წარმონაქმნებს“) აკუთვნებს. ასეთი მტკიცებით, როგორც ვხედავთ, იგნორირება ხდება იმ თეორიისა, რომლის თანახმად, ალბანეთის ძველი მოსახლეობის ენა იძერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს განეკუთვნებოდა<sup>30</sup>.

1959 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში პ. ტრევერი აღნიშნავდა: ძველი ალბანური ენის ხასიათის, მისი ლექსიკის, გარმატიკის შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით, გარდა ზოგიერთი სიტყვისა, საკუთარი სახელისა და ტოპონიმიკური სახელწოდებისა, რომელიც შემონახულია პლინიუსთან, პტოლემაიოსთან, პლუტარქესთან და სხვა<sup>31</sup>.

თანამედროვე აზერბაიჯანის ტოპონიმიკა, მრავალპლასტიანი ეთნიკური კუთვნილების გამო, მრავალფეროვანია. დღეისათვის აზერბაიჯანში ათასობით არსებულ თურქელი წარმომავლობის ტოპონიმებს გარდა, არის ძველი ალბანური პლასტი, რომელიც თანამედროვე მოსახლეობის ენაზე არ იხსნება. რაც შეეხება თურქელ ტოპონიმებს, მათი შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს. აზერბაიჯანელი მკალეურები ცდილობენ ტოპონიმები ძველი თურქელის საფუძველზე ახსნან და ამ გზით ისინი ადრეფეოდალურ ხანას მიაკუთვნონ. ასე მაგ., ა. ჰასანოვისა და გ. გეიბუმაევის თანახმად, აზერბაიჯანის საერთო-თურქელი ტოპონიმიკური ლექსიკიდან ბევრია ძველი თურქელიც, რომლის ჩამოყალბებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ძველთურქელი მოდგმის ხალხები და ტომები: ჰუნები, საბირები, ხაზარები, ბოლგარები, ავარები, ყიზბაյები, კომანები, ოღუზ-სელჩუკები და სხვანი. ასევე ცალკეული ტომები: კანლი, თურქეში, ტელე, ყაზანი, კაპანი და ამ ტომთა განშტოებები. ამ ხალხთაგან ზოგის სახელი დღემდე შემორჩა აზერბაიჯანის ეთნოტოპონიმიკაში. აზერბაიჯანის ტოპონიმთა დიდი ნაწილი, ამ ავტორთა მტკიცებით, სწორედ ძველი თურქელი ენის (რომელიც თანამედროვე აზერბაიჯანულ ენაში არაა შემონახული) ნიადაგზე იხსნება<sup>32</sup>. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ძველთურქელი ტოპონიმების მოძიების საკითხში უფრო მკეთრია ა. ახუნდოვი. მისი მტკიცებით, აზერბაიჯანული ტოპონიმის ძირითადი პლასტი თურქელია და იგი ერთ-ერთი უძველესია. ზოგი ახალი გამოკვლევის თანახმად, – წერს იგი, – თურქები აზერბაიჯანში ჯერ კიდევ ჩვენი ერის დამდეგამდე ცხოვრობდნენ, თურქელი წარმოშობის ტოპონიმები დაახლ. 2000 წელია რაც არსებობენ. თურქელი ტოპონიმიკის ასეთმა ღრმა ისტორიამ, თავის მხრივ, აზერბაიჯანის ონომასტიკის მკალეურებს მთელი რიგი პრობლემები შეუქმნა. თანამედროვე აზერბაიჯანული ტოპონიმიკა, – დასძენს იგი, – აუცილებლად ორ სიბრტყეზე უნდა იქნას შესწავლიდი: 1. ეგრეთ წოდებული საერთო-თურქელი ტოპონიმიკური ლექსიკა; 2. ძირეული (исконно) აზერბაიჯანული ტოპონიმიკური ლექსიკა<sup>33</sup>. აქედან იგი პირველს მიაკუთვნებს თურქელი წარმოშობის იმ ტოპონიმებს, რომლებიც აზერბაიჯანული ენის ჩამოყალიბებამდე ან ამ ენის წარმოქმნის დროს შეიქმნენ. ტოპონიმების მეორე ჯგუფს, მისი აზრით, შედარებით მოკლე ხნის ისტორია აქვს<sup>34</sup>.

ა. ახუნდოვის თანახმად, პირველი ჯგუფის ტოპონიმებია: ბოლგარჩაი<sup>35</sup>, გარგარჩაი, ალპანი, კენკერლი. აღნიშნული ტოპონიმები, – წერს იგი, – გვხვდება შუა აზიის ონომასტიკაშიც, რაც აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა თვალსაზრისით, მათ საერთოთურქელ წარმომავლობაზე მიუთითებს. ა. ახუნდოვის მტკიცებით, საერთოთურქელი ტოპონიმიკური ლექსიკა აზერბაიჯანში V – VII საუკუნეებიდან იქმნებოდა, თუმცა, თურქელმა ტოპონიმიკამ ირანული და კავკასიური ტოპონიმები ძირითადად XI საუკუნიდან განდევნა, როცა ოღუზთა ერთმა შტომ – სელჩუქებმა აზერბაიჯანი დაიპყრეს<sup>36</sup>.

Миссия, аზრით, аზერბაიჯანში საერთოთურქული ტოპონიმების წარმოქმნა XVIII საუკუნემდე გრძელდებოდა და წარმოქმნის ძირითად ბაზას ეთნონიმები წარმოადგენდა. აზერბაიჯანის ტოპონიმიკურ ფონდში, – ადნიშნავს იგი, – თითქმის ყველა იმ თურქული ტომის სახელი გვხვდება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელი ხალხის ჩამოყალიბებაში. მას ეთნონიმებიდან წარმოქმნილ ტოპონიმებად მიაჩნია: პარარ, ყარაყოინლუ, ყარაყაშლი, ყარადაღლი, ყარამანლი, დემირჩი, მურადხანლი, ჩაკირლი და სხვა<sup>37</sup>. ა. ახუნდოვის დასკვნით, ყველა ზემომოტანილი ტოპონიმი პარალელს პოულობს შეა აზის თურქულენოვან რესპუბლიკებში, ციმბირში, ალტაიში, სადაც კი თურქულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს (სხვათა შორის, ასე იქცვა ა. იუნუსოვიც. იგი მის მიერ მესხეთში „შექმნილ“ ტოპონიმებს, სწორედ შეა აზისა და ციმბირში უძებნის პარალელებს. იხ. მისი მეცნიერებისათვის.

ბუნიატოვ-იამპოლსკის თეორია, რომლის ძალითაც აზერბაიჯანის თანამედროვე მოსახლეობა ძირითადად ავტოქტონი – თურქული ეთნოსების შთამომავლად იქნა გამოცხადებული, როგორც ვნახეთ, მისაღები აღმოჩნდა აზერბაიჯანელი მეცნიერებისათვის.

აზერბაიჯანში შექმნილი ტენდენცია – თანამედროვე აზერბაიჯანელი ხალხის წინაპრად არარსებული ადგილობრივი წარმომავლობის თურქული ტომები მიიჩნიონ, ვფიქრობ, გარკვეულწილად 6. მარის მტკიცებათა საწინააღმდეგოდ უნდა იყოს მიმართული. მართალია, ამაზე ზემოდასახელებული ავტორები არ მიუთითებენ, მაგრამ, ცხადია, იგი არც მისაღებად მიაჩნიათ. ჯერ კიდევ 1905 წელს 6. მარი აღნიშნავდა, რომ ქართული ქალკედონური და სომხური ანტიქალკედონური ეკლესიების ბრძოლა ალბანეთში გასაბატონებლად საბოლოოდ ალბანელი ხალხის ეროვნულობას ემუქრებოდა. ქალკედონიტობის გამარჯვება ალბანეთში ქართველთ ბატონობას (ე. ი. გაქართველებას), ხოლო ანტიქალკედონიტებისა – სომხებისას (გასომხებას) მოასწავებდა<sup>38</sup>.

1970 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში თ. პაპუაშვილი ზ. იამპოლსკის სწორედ 6. მარის თვალსაზრისის გაუთვალისწინებლობას საყვედურობდა. ჩვენი აზრით, - წერს იგი, – იამპოლსკი ცალმხრივად აშუქებს საკითხს. მხედველობის გარეშეა დატოვებული და არაა გათვალისწინებული ალბანეთის მეზობელი ხალხების – იბერებისა და სომხების როლი ალბანეთის მოსახლეობის ეთნიკურ განვითარებაში. სომხები და იბერები ის ხალხი იყვნენ, რომელთაც ალბანეთის მოსახლეობის ეთნიკურ სახეში შეძლეს შეეტანათ ძირფესვიანი ცვლილებები<sup>39</sup>.

ვფიქრობ, იბერებისა და სომხების როლი ძველი ალბანეთის მოსახლეობის ეთნიკური ტიპის ჩამოყალიბებაში თ. პაპუაშვილს გადაჭარბებულად აქვს წარმოდგენილი. ისევე როგორც იბერები, ძველი ალბანელებიც წინააზიური მოდგმისანი იყვნენ. ანთროპოლოგ ვ. ალექსეევის თანახმად, „...Даже при отсутствии палеоантропологических данных соматологические материалы говорят о том, что непосредственных предков азербайджанского народа нужно искать среди древних народов Передней Азии и что в этногенезе азербайджанцев решающими являются связи в юго-восточном направлении. Контакт с народами, говорившими на тюркских языках, и связанный с ним переход на тюркскую речь не окказал сколько-нибудь заметного влияния на формирование антропологических особенностей азербайджанского народа“<sup>40</sup>. ვფიქრობ, ვ. ალექსეევმა ნათლად განსაზღვრა თანამედროვე აზერბაიჯანის მოსახლეობის წარმოშობის ძირითადი ტენდენციები. როგორც კ. ტრევერი წერს: ამიერკავკასიის ერთ-ერთმა ავტოქტონმა მოსახლეობამ – ძველმა ალბანელებმა ადრევე შექმნეს სახელმწიფოებრიობა. მრავალენიანობის მიუხედავად, ქართლისა

და სომხეთის თანადროულად აღიარეს ქრისტიანობა და შექმნეს ორიგინალური ქრისტიანული კულტურა.

როცა პ. ტრევერი ზემომოტანილ სტრიქონებს წერდა, უკვე აღმოჩენილი იყო ძველი ალბანური ანბანი. 1937 წელს ილია აბულაძემ ერევანში, სომხურ ხელნაწერთა შორის, მიაკვლია XV ს-ის სახელმძღვანელო წიგნს, რომელშიც სხვა სალხების ანბანებთან ერთად, მოცემული იყო ალბანურიც ქვეშ მიწერილი მნიშვნელობებით. ეს ანბანი შეისწავლა ა. შანიძემ და გამოთქვა პიპოთეზა, რომ იგი ასახავს „უდური ენის ფონეტიკურ სისტემას და ალბანური ენა უნდა ყოფილიყო ძველი უდური“<sup>41</sup>. ა. შანიძის ასეთი თვალსაზრისი გასული საუკუნის მიწურულს დადასტურდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. კაკალიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი იქნა ალბანური „ლექციონარი“. ზ. ალექსიძის სიტყვით, „ლექციონარის“ აღმოჩენა ალბანურ ენაზე და ალბანური დამწერლობით პირდაპირი მითითებაა ალბანეთში განვითარებული ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის არსებობაზე<sup>42</sup>. წყაროებში მითითებულ ცნობებს ალბანურ ენაზე წინასწარმეტყველთა წიგნების, სახარებისა და სამოციქულოს თარგმანების არსებობის შესახებ მთლიანად ადასტურებს ალბანური „ლექციონარის“ აღმოჩენა, ვინაიდან „ლექციონარი“, „შეიძლება პქონდეს მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც თავის ენაზე აქვს ბიბლიის სრული ტექსტი“. ეს „ლექციონარი“ შედგენილია ალბანურ ენაზე უკვე არსებული ბიბლიის წიგნების საფუძველზე, დამოუკიდებლად, დღეისათვის დაკარგული ბერძნული „ლექციონარის“ მიხედვით<sup>43</sup>.

ზ. ალექსიძის დასკვნით, „ლექციონარი“ IV – V სს-ის მიჯნით შეიძლება დათარიდდეს და ყველაზე ახლოს დგას ქართულ კ. წ. „ხანმეტ ლექციონართან“, რომელიც ფრაგმენტის სახით შემოგვრჩა. ამ „ლექციონარის“ ენაც ყველაზე უფრო ახლოს არის უდურთან როგორც ლექსიკურად, ისე ფონეტიკურად და გრამატიკული ფორმით<sup>44</sup>.

ასე რომ, თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, ადრეფეოდალურ ხანაში, X საუკუნის დასასრულდამდე მაინც, ალბანეთის მოსახლეობა ძირითადად (თავისი მრავალენიანობის მიუხედავად), ქრისტიანული იყო. იმ დროისათვის ალბანეთის ტერიტორიაზე არსებულ ცალკეულ ჰუნურ-თურქულ დასახლებებს ალბანეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაზე გავლენა ვერ უნდა მოეხდინა. ალბანეთის ძველი მოსახლეობის ინტენსიური დეეთნიზაცია დაიწყო თურქ-სელჩუქთა შემოსევების შემდეგ. მტკიცება იმის შესახებ, თითქოს, ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი წარმომავლობის თურქები ცხოვრობდნენ, მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ რეალობას.

## თავი IV. ტრადიციის დაუძლებლობა. ორდის მოვიდნენ აღმოსავლეთ ეპროკაში ჰუნი საბირები?

ახალი წელთადრიცხვის IV ს-ის 70-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპას ცენტრალური აზიიდან წამოსული ჰუნები მოადგნენ. ჰუნების თავდასხმებით დაიწყო ახალი ეპოქა ადრეშუასაუკუნეების ევროპის ისტორიაში. აღმოსავლეთ ევროპის ველისა და ტყე-ველის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე ყველაფერი მოძრაობაში მოვიდა. ჰუნების ურდოების დასავლეთში გადანაცვლების შემდეგ ჩრდილო კავკასიის მთისწინეთისა და დაღესტნის მიმდებარე ველები, თითქმის, გაუკაცრიელებული დარჩა<sup>1</sup>. ეს ველები თანდათან ახლადმოსულმა ჰუნურ-თურქულმა და თურქიზირებულმა უგორულმა ტომებმა დაიკავეს და დროთა განმავლობაში, მათ იქ ახალი სახელმწიფო გაერთიანებები შექმნეს. ამ დროიდან ამიერკავკასიის სახელმწიფოებს ძველი – აბორიგენი ხალხების გვერდით ჩრდილო კავკასიაში ჰუნურ-თურქული წარმოშობის ტომების მოთავეობით შექმნილი სახელმწიფო გაერთიანებები დაუმეზობლდნენ. აღნიშნულ გაერთიანებებზე საუბარს ჩრდილო კავკასიაში ე.წ. „ჰუნთა სამეფოს“ შემქმნელი საბირებით დავიწყებ.

აღმოსავლეთ ევროპაში საბირების მოსვლის შესახებ საისტორიო წყაროებში მწირი და ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობები გვაქვს. სანამ მათ გავეცნობით, ვნახოთ რა შეხედულებაა რუსულ ისტორიოგრაფიაში საბირთა წარმომავლობისა და აღმოსავლეთ ევროპაში მათი მოსვლის შესახებ. შემდეგ წყაროთა მონაცემებს გავაანალიზებ, მოკლედ მიმოვინალავ იმ მასალას, რომლებშიც ამიერკავკასიაში საბირების გადმოსვლა-ლაშქრობებია ასახული.

\* \* \*

თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებით, საბირები აღმოსავლეთ ევროპაში უძველეს დროში უნდა იყვნენ მოსულნი. ახ. წ-ის II ს-ში ისინი, თითქოს, უკვე აღმოსავლეთ ევროპაში რომ იმყოფებოდნენ, ამის დასტურად ძველი ბერძენი მეცნიერის კლავდიოს პტოლემაიოსის (ახ. წ. II ს.) ცნობას იშველიერებ (იხ. ქვემოთ).

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, გამოდის, რომ ის ხალხი, რომელიც ახ. წ. II საუკუნიდან მაინც ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობდა და გარკვეული ურთიერთობა (სულ ერთია, ეს იყო მტრული თუ მეგობრული) ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებთან მთელი სამი საუკუნის მანძილზე, ეს ურთიერთობა საისტორიო წყაროებში არ აისახა.

საისტორიო წყაროები რადგან მხოლოდ 515/516 წლებიდან აფიქსირებენ ამიერკავკასიაში საბირთა გამოჩენას, აღნიშნული იმაზე ხომ არ მიუთითებს, საბირები, მართლაც, გვიან – 515/516 წლის წინა ხანაში რომ მოვიდნენ ჩრდილო კავკასიაში და ხომ არ ცდება თანამედროვე რუსული სამეცნიერო ლიტერატურა?

ჩემი ვარაუდით, საბირების ჩრდილო კავკასიაში მოსვლის დროის განსაზღვრის საკითხს V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკოს პანიელის თხზულების 24-ე ფრაგმენტის მონაცემებიც ართულებს. აღნიშნულ ფრაგმენტში 463 წლის ქვეშ მოთხოვნილია ხალხთა (მათში საბირებიც იხსენიებიან) დიდი გადაადგილების შესახებ, რომელიც ოკეანის სანაპიროდან დაიწყო. დასახელებულ ფრაგმენტში საბირების მოხსენიება, ზოგ მკვლევარს აღმოსავლეთ ევროპაში მათი ყოფნის დამადასტურებელ ფაქტად მიაჩნია.

აღმოსავლეთ ევროპაში ახ. წ. II ს-ში საბირების ყოფნა მე საეჭვოდ მეჩვენება. ასევე საეჭვო ჩანს, საბირების შესახებ პრისკოს პანიელის თხულებაში მოთავსებული ცნობის ისე გაგება, თითქოს, საბირები 463 წელს უკვე აღმოსავლეთ ევროპაში იყვნენ მოსულნი. ქვემოთ შევეცდები ჩემი გარაუდის დასაბუთებას.

საბირების ვინაობით, მოსვლის დროითა და მათი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრით, რუსი მეცნიერები ჯერ კიდევ XIX ს-ში დაინტერესდნენ. ეს მეცნიერები ჰუნების სლავური წარმომავლობის თეორიის მიმდევრები იყვნენ. ამ თეორიის წარმომადგენლები, როგორც ცნობილია, სლავების წინაპრებად მიიჩნევდნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღრეულ შუასაუკუნეებში მომთაბარე ჰუნურ-თურქული წარმომავლობის ყველა ხალხს – მ. შ. საბირებს.

ჰუნურ-თურქული მოდგმის საბირებს ეს მეცნიერები, ძველ სლავურ ტომთან – სევერიანებთან, ზოგჯერ კი მათ წინაპრად მიჩნეულ, კლავდიოს პტოლემაიოსთან მოხსენიებულ საგარებთან აიგივებდნენ. საბირების საგარებთან გაიგივება დაახლოებით 300 წლით უკან წევს ჰუნი საბირების აღმოსავლეთ ევროპაში მოსვლის თარიღს.

VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის ცნობით, „საბირები კავკასიის მთებთან მცხოვრები ჰუნური ტომები“ იყვნენ<sup>2</sup>. საბირების ჰუნური წარმომავლობის ფაქტი იმაზე მიუთითებს, ისინი აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ, ჩრდილო კავკასიისა და კასპიისპირეთის დასავლეთით მდებარე ველებზე ურალსიქითა მხრიდან – აზიიდან რომ უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ როდის?

ძველი ავტორებისათვის კარგად ცნობილი ჰუნი საბირების თავდაპირველი ბინადრობის ადგილად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დასავლეთი ციმბირის ტყე-ველიანი ზონაა მიჩნეული, ხოლო ურალის დასავლეთით გადმოსვლის შემდეგ, მათი გაერთიანება კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე ველებზე ჩამოყალიბდა.

ასეთი მონაცემების მიუხედავად, თანამედროვე რუსულმა ისტორიოგრაფიამ ვერ დასძლია ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუახანებში გამოთქმული მოსაზრება ჰუნი საბირების ერთ-ერთი სლავური ტომის, კერძოდ, სევერიანების იდენტურ ხალხად მიჩნევის შესახებ.

ახლა თვალი გადავავლოთ, რას წერდა XIX საუკუნეში წარმოშობილი ზემოდასახელებული თეორიის ზოგი წარმომადგენელი საბირებისა და სევერიანების იდენტურობის შესახებ.

ჰუნების სლავური წარმოშობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ი. ზაბელინი ამტკიცებდა: „საბირები უეჭველად ჩვენი სევერა, სევერიანები, ჩვენი სლავების აღმოსავლეთელი ტომია“<sup>3</sup>. „საბირები... უეჭველია პტოლემაიოსის სავარები არიან“<sup>4</sup>. საბირები ი. ზაბელინს ჩრდილო კავკასიაში რიაზანის მხრიდან მისულებად მიაჩნდა. „უნი საბირები, – წერდა იგი, – თერგზე ნამდვილად რიაზანის მიწიდან, ე. ი. დონისა და დონეცის ზემო წელზე მცხოვრები ჩვენი სევერიანების იმავე ოლქიდან მივიღნენ“<sup>5</sup>.

ჰუნების სლავური წარმოშობის თეორიის მეორე წარმომადგენელი დ. ილოვაისკი აღნიშნავდა: „ჩვენ სრული უფლება გვაქვს სევერიანები გავაიგივოთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჰუნურ ტომთან (საბირებთან), რომლებმაც უფრო სამხრეთი ოლქებიდან თანდათანობით დნეპრის შუაწელისაკენ გადაინაცვლეს“<sup>6</sup>.

ზემომოტანილმა თვალსაზრისმა ასახვა პოვა ხაზართა, საერთოდ ჰუნურქთა ისტორიის ცნობილი მკვლევრის მ. არტამონოვისა<sup>7</sup> და სხვა ისტორიკოსთა ნაშრომებში (იხ. ქვემოთ), „საბჭოთა კავშირის ისტორიის ნარკვევებსა“<sup>8</sup>, საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიასა და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (მეორე და მესამე გამოცემა) საბირების შესახებ არსებულ

სტატიუმში<sup>9</sup> (ამ გამოცემებში ასეთი იდენტიფიკაცია იგულისხმება, რადგან მიუთითებენ, თითქოს, საბირები ახ. წ. II ს-ში მცხოვრები ბერძენი სწავლულის პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“ იხსენიებიან. ენციკლოპედიების სტატიებს მითითებული აქვს მ. არტამონოვის ნაშრომი – История хазар, Л., 1962).

მართალია, დღეს აღარავინ ამტკიცებს საბირების სევერიანებთან გაიგივების შესახებ, მაგრამ იმაზე მითითება, თითქოს, საბირები პტოლემაიოსთან იხსენიებიან, ძველ თეორიას გარკვეულწილად ძალაში ტოვებს.

ჰუნი საბირებისადმი ჩვენს ინტერესს, როგორც ითქვა, ის განაპირობებს, ისინი ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ ხშირად რომ მონაწილეობდნენ როგორც მოქირავნეები ბიზანტია-ირანის ომების დროს ქართლისა და ეგრისის სამეფოების ტერიტორიაზე წარმოებულ სამხედრო ოპერაციებში.

1979 წელს გამოკვლევაში – „ჰუნების მოხსენიების საკითხისათვის აღმოსავლეთ ევროპაში ახ. წ. II საუკუნეში“ (საბირების სავარებთან გაიგივების გამო) (უნ-ტის შრომები, ტ. 205) გაჩვენე, რომ ცდებოდა რუსული ისტორიოგრაფია, როცა ჰუნ საბირებს სავარებთან, იგივე სლავური წარმოშობის ტომებთან – სევერიანებთან აიგივებდა და აღვნიშნე: „საბირების სავარებთან გაიგივება არ შეიძლება. პტოლემაიოსის გეოგრაფიაში მოხსენიებული სავარები, როგორც ფიქრობდნენ პ. შაფარიკი, ა. უდალცოვი და პ. ტრეტიაკოვი, შემდეგდომინდელი სლავური ტომები – სევერიანები უნდა იყვნენ. მათი ლოკალიზაციის აღგილად უნდა მივიჩნიოთ არა ვოლგის აღმოსავლეთი და დასავლეთი ველები, როგორც ამას უთითებს მ. არტამონოვი საბირებთან მათი გაიგივების გამო, არამედ დნებრის შუადინება, კერძოდ ტერიტორიები დღევანდელი ქ. ჩერნიგოვის ჩრდილოეთით, სადაც შემდგომ სლავური ტომები სევერიანები ცხოვრობდნენ. რომ ახ. წ. IV საუკუნის შუახანებამდე, აღმოსავლეთ ევროპაში საბირების ყოფნაზე ლაპარაკი დამაჯერებლობას მოკლებულია. იგი კვლავ საკამათო და გადაუჭრელი დარჩება თუ რაიმე ახალი მასალა არ იქნება მიკვლეული“ (სხვათა შორის, ასეთი ცნობა არსებობს. თვით პტოლემაიოსის თხზულებაში ეთნონიმი „ხუნი“ იხსენიება. იხ. ქვემო).

სამწუხაროდ, რუსულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ზემომოტანილი მოსაზრება ქართულ ენციკლოპედიაშიც აისახა. 1979 წელს ჩემი გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ, ქართული ენციკლოპედიის რედაქციას ვთხოვე საბირებზე სტატიის დაწერისას ჩემი გამოკვლევის შედეგები გაეთვალისწინებინა, რათა რუსული ისტორიოგრაფიის შეცდომა ქართულ ენციკლოპედიაში არ გამეორებულიყო. აღნიშნულის მიუხედავად, 1984 წელს გამოცემულ ქართული ენციკლოპედიის მე-8 ტომში მოთავსებული იქნა პატარა წერილი „სავირები, სავარები“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს ხალხი იყო „ხაზართა მონათესავე ტომები ჩრდილო კავკასიაში“ და მათ იხსენიებს „პტოლემე“ (II ს.) და ბიზანტიიელი და სომები ავტორები“ (გვ. 642).

როგორც ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ქართულ ენციკლოპედიაში „საბირები“ რუსული ტრანსკრიფციით – „სავირები“-ს სახელით იქნა წარმოდგენილი, მითითება იმაზე, რომ მათ ძველი ბერძენი გეოგრაფი პტოლემაიოსი (ახ. წ. II ს.) იხსენიებს, ისევ იმაზე მიანიშნებს, ჰუნი საბირები პტოლემაიოსთან დასახელებულ სავარებთან რომ არიან გაიგივებულნი.

იმის დასამტკიცებლად, საბირები აღმოსავლეთ ევროპაში ახ. წ. დამდეგიდანვე რომ იმყოფებოდნენ, რუსული ისტორიოგრაფია მხოლოდ პტოლემაიოსის ცნობით არ დაკმაყოფილდა. კურადღება მიაქციეს VI ს. ბიზანტიიელი ავტორის სტეფანოს ბიზანტიიელის ცნობას, მოიხმეს არქეოლოგიური მასალა. ასე მაგალითად, საბირთა განსახლების შესახებ წყაროთა მონაცემების გაანალიზებისას მ. არტამონოვი წერდა: საბირები

პტოლემაიოსთან (II ს.) იხსენიებიან. მათ იგი უთითებს აორსების ქვემოთ, ბორუსკების გასწვრივ რიპეის მთებამდე (ურალის მთიანეთი – გ. გ.), რომლიდანაც ტანაისი გამოედინება. სტეფანოს ბიზანტიელის თანახმად, საბირები საპირებადაც იწოდებოდნენ და პონტოს სკვითეთში ცხოვრობდნენ. ვიდებთ რა მხედველობაში ქველი ავტორების გეოგრაფიული ცნობების უკიდურეს გაურკვევლობას, – დასძებს მ. არტამონოვი, – მოყვანილი მითითებიდან შეიძლება გამოვიტანოთ მხოლოდ ერთი საყურადღებო დასკვნა, კერძოდ, საბირები ბინადრობდნენ აორსების მეზობლად, რომელთაც, როგორც ცნობილია, ეჭირათ კასპიისპირეთის ველები ვოლგის როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით. მაშასადამე საბირებს შეიძლება ეცხოვათ დასავლეთ ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთით<sup>11</sup>.

მ. არტამონოვის ზემომოტანილი მსჯელობიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სტეფანოს ბიზანტიელის ცნობა „საპირების“ შესახებ (მ. არტამონოვს იგი მოაქვს საბირების ადგილსამყოფელის განსაზღვრისას). ვფიქრობ, სტეფანოს ბიზანტიელის აღნიშნული ცნობა არავითარ საფუძველს არ იძლევა საბირების სავარებოან გასაიგივებლად.

სტეფანოს ბიზანტიელის განმარტებით, საპირები „პონტოს მიდამოების ხალხია [რომლებიც] ახლა B-ს გამოთქმით საბირებად იწოდებიან“<sup>12</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, უცნაურად მეჩვენება, მ. არტამონოვმა სტეფანოს ბიზანტიელის მიერ პონტოში მცხოვრებლად დასახელებული „საპირები“ დნეპრის შუალინებაზე მცხოვრებ სავარებოან და ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულ ციმბირული მოდგმის საბირებოან უკომენტაროდ რომ დაიმოწმა. სტეფანოს ბიზანტიელის გარდა, პონტოს მიდამოებში „საპირებს“ (Σάπειρες) არც ერთი სხვა ავტორი არ იხსენიებს, ამიტომ მარტო სახელების მსგავსების საფუძველზე სხვადასხვა წარმომავლობის ეთნონიმთა გაიგივება ისეთი მკვლევრის მიერ, როგორც მ. არტამონოვი იყო, მოულოდნელიც კია.

განსხვავებაა პტოლემაიოსთან მოხსენიებულ „სავარებისა“ და სტეფანოს ბიზანტიელის მიერ განსამარტავად აღებულ „საპირების“ ბერძნულ დაწერილობებს შორისაც. „სავარები“ პტოლემაიოსთან იწოდებიან Σαύαροι-დ<sup>13</sup>, სტეფანოს ბიზანტიელი კი განსამარტავად იდებს Σάπειρεს და მას განმარტავს როგორც Σάβειρες<sup>14</sup>. ამიტომაც, ვფიქრობ, „საპირების“ განმარტებისას სტეფანოსს მხედველობაში პტოლემაიოსის გეოგრაფიაში მოხსენიებული „სავარები“ არ უნდა ჰქონოდა.

აღნიშნულს გარდა, საყურადღებოა ისიც, რომ სტეფანოს ბიზანტიელის ცნობები სხვადასხვა ხალხების ეთნიკური კუთვნილების შესახებ ხშირად არაზუსტია. მაგ., აფშილებს, ლაზებს, სანიგებს იგი სკვითური წარმოშობის ხალხად თვლის<sup>15</sup>.

ვფიქრობ, უფრო მეტი საფუძველი გვაქვს სტეფანოს ბიზანტიელის მიერ პონტოში მცხოვრებად დასახელებულ „საპეირებში“ ქველი ქართული პროვინციის – სპერის მოსახლეობა ვიგულისხმოთ (ამის შესახებ ჯერ კიდევ 1948 წელს სტეფანოს ბიზანტიელის თხზულებისადმი დართულ კომენტარებში იქნა მითოთებული. იხ. ВДИ, 1948, № 3, გვ. 325, შენ. 4), ვიდრე პუნქტ-თურქული მოდგმის საბირები. საბირებმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თავიანთი გაერთიანება VI საუკუნის დამდეგს კასპიის ზღვის დასავლეთით შექმნეს და მათ ძვ. წ. III საუკუნეში „პონტოს ოლქში“ მცხოვრებ „საპეირებოან“ არავერი აკავშირებდათ.

ქვემოთ ისევ საბირების სავარებოან გაიგივების საკითხს დავუბრუნდები.

მ. არტამონოვის ზემომოტანილი მსჯელობიდან გამოდის, რომ საბირები იგივე სავარებია და ახ. წ. II ს-ში, საბირები უკვე აღმოსავლეთ ევროპაში იმყოფებოდნენ. მათ საცხოვრებელ ადგილად მ. არტამონოვი, პტოლემაიოსის

ცნობაზე დაყრდნობით, იმ ტერიტორიასაც მიიჩნევს, სადაც VI ს-ის დამდეგს, მართლაც, შეიქმნა საბირთა ძლიერი გაერთიანება.

მაგრამ, თუ საბირების ლოკალიზაცია შეიძლება დარუბანდის ჩრდილოეთით, დასავლეთ კასპიისპირეთში და „დასავლეთი ციმბირის ჩრდილო-აღმოსავლეთითაც კი“, ეს არ შეიძლება ითქვას პტოლემაიოსის გეოგრაფიაში მოხსენიებული სავარების მიმართ. პტოლემაიოსის ცნობით, აი სად ცხოვრობდნენ სავარები: „...ვენედების ყურესთან<sup>16</sup>, – წერს იგი, – ოკეანის სანაპირო უჭირავთ ველეტებს, მათ ზემოთ – ოსიებს, შემდეგ, ყველაზე ჩრდილოეთით – კარბონებს. მათ აღმოსავლეთით – კარეოტებსა და სალებს; მათ ქვემოთ – გელონებს, გიპოპოდებს და მელანხლენებს. მათ ქვემოთ აგათირსებს, შემდეგ აორსებს და პაგირიტებს, მათ ქვემოთ – სავარებს და ბორუსკებს რიპეის მთებამდე...“<sup>17</sup>.

თუ თვალს ყურადღებით გავადევნებთ პტოლემაიოსის მიერ ჩამოთვლილი ხალხების განსახლების არეალს, მაშინ სავარებს ვერ მივიჩნევთ იმ საბირებად, რომელთაც დარუბანდის ჩრდილოეთით მდებარე ველები ეჭირათ. ამასთანავე, როგორც პროფ. ა. უდალცოვი წერს, მხედველობაში მისადებია ისიც, რომ „...პტოლემაიოსი, უძველესი ტომების შესახებ თავისი თანადროული ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, სხვა ავტორებისაგან (ჰეროდოტე და სხვა) ნასესხებ აშკარა მოძველებულ ცნობებს იყენებდა... გვხვდება განმეორებებიც“<sup>18</sup>. პტოლემაიოსმა, ა. უდალცოვის თანახმად, „...დაუშვა შეცდომა: კარბონებს (ან კარვონებს) შეიძლებოდა ეცხოვრათ, როგორც ჩანს, მხოლოდ კარეოტებისა და სალების აღმოსავლეთით, გვიანდები კრივიჩების ტერიტორიაზე. მათ ქვემოთ (თუ გამოვრიცხავთ არქაულ გელონებს, გიპოპოდებს, მელანხლენებსა და აგატიროსებს, ასევე დონსიქითა მხრიდან აქეთ გადმოტანილ აორსებსა და პაგირიტებს) ცხოვრობდნენ სავარები (საუარი-შემდეგდროინდელი სევერიანების ტერიტორიაზე) და ბორუსკები (ვირისკი – დნეპრის შუაწელზე, შემდეგდროინდელი პოლიანების ტერიტორიაზე), სადაც II ს-ში ცხოვრობდნენ ბორანები ან ბორადები“<sup>19</sup>.

ამის შემდეგ სავარების ეთნიკური კუთვნილების შესახებ ა. უდალცოვი წერს: „სკოლოტო-სლოვენური ჯგუფის ტომებს შეიძლება მივაკუთვნოთ: სტავანები და სტურნები (პრიპიატის სამხრეთით, ალბათ, დასავლეთ ბუგსა და სტირზე), სავარები (შემდეგდროინდელი სევერიანები) და ბორუსკები...“<sup>20</sup>.

სავარების განსახლების შესახებ ა. უდალცოვის ზემომოტანილი მოსაზრება გაიზიარა პროფ. პ. ტრეტიაკოვმა. „ვენედების ჯგუფის პატარა ტომები, – აღნიშნა მან, – იყვნენ კარბონები (კარვონები), რომელთაც იგი (ა. უდალცოვი – პ. გ.) ათავსებს დნეპრის ზემო დინებაზე და აახლოებს შემდეგდროინდელ კრივიჩებთან. სავარები, შესაძლოა, შემდეგდროინდელი სევერიანებია...“<sup>21</sup>.

პტოლემაიოსთან ახ. წ. II ს-ში მოხსენიებული სავარები რომ ძველი სლავური ტომის სევერიანების წინაპრებია, ეს, ვფიქრობ, გამოჩენილი სლავისტების ნაშრომებიდან ზემომოტანილმა მასალამაც ნათელი გახადა. თუმცა, ასეთი აზრისა იყო ჯერ კიდევ სლავთმცოდნების ერთ-ერთი ფუძემდებელი პ. შაფარიკი. მისი სიტყვით, „სავარები (სავარი), გვიდონ რავენების საურიცეს, ნესტორის სევერი, სევერა, სევერანე, სევერენე, სლავური ტომების ოდესლაც ცნობილი ხალხი იყო. ბინადრობდა მდინარეების: დესნის, სემისა და სულის [სანაპიროებზე], მთაგარი ქალაქებით ჩერნიგოვითა და ლიუბეჩით“<sup>22</sup>. პ. შაფარიკს არც საბირები დარჩენია ყურადღების გარეშე. „საბირები (საბერი), – წერდა იგი, – უმჭველია, ჰუნების მონათესავე, ურალური

განშტოების პუთინილი ხალხი იყო. მათი ურალსიქითა სამშობლო თავდაპირველად, ალბათ, ციმბირად იწოდებოდა<sup>23</sup>.

უოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, საინტერესოა ის, რომ ცნობილმა ბიზანტინოლოგმა ი. კულაკოვსკიმ პტოლემაიოსის გეოგრაფიისადმი სპეციალურად მიღვნილ ნაშრომში, სავარები ჰუნებად არ მიიჩნია<sup>24</sup>. უფრო მეტიც, 1948 წელს, „Вестник древней истории“-ს მეორე ნომერში, როცა ხელახლა გამოქვეყნდა პტოლემაიოსის ცნობები, სავარების შესახებ შენიშვნებში მითითებული იქნა, რომ პ. შაფარიკი მათ სევერიანებთან აიგივებდა და ლოკალიზაციას თანამედროვე ქ. ჩერნიგოვის ჩრდილოეთით ახდენდა (იხ. გვ. 237 შენ. 14).

რაც შეეხება VI ს. გოთი ისტორიკოსის იორდანეს ცნობებს, მართალია, მასთან საბირები შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მოხსენიებული ბოლგარების (ბულგარების) აღმოსავლეთით არიან მითითებულნი, მაგრამ იორდანეს მონაცემების საფუძველზე არ შეიძლება საბირების განსახლების ზუსტი არეალი განვსაზღვროთ. აი, რას წერს იგი: „პონტის ზღვის ზევით, ბულგართა განსახლების ადგილია... იქ არიან ჰუნებიც... ერთი მათაგნი იწოდება ალციაგირებად, მეორენი – საბირებად, მაგრამ მათი დასახლების ადგილი გაყიდვილია: ალციაგირები – ხერსონესის მახლობლად...“<sup>25</sup>. ამის შემდეგ იორდანე, როგორც სამართლიანად მიუთითებს მისი თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ქ. სკრიუნისკაია, „არაფერს აღარ ამბობს საბირების საბინადრო ადგილებზე, გადმოგვცემს ცნობებს ჰუნუგურების შესახებ და საბირებს აღარ უბრუნდება“<sup>26</sup>.

ასე რომ, VI საუკუნის გოთ ისტორიკოსს – იორდანეს საბირების განსახლების (ასევე, ვფიქრობ, ბოლგარების) შესახებ სათანადო და ზუსტი ცნობები ხელთ არ უნდა ჰქონოდა. მან ვერ დააკონკრეტა, მის დროს სად ცხოვრობდნენ საბირები.

საბირების სავარებთან გაიგივებას, როგორც ვხედავთ, მხოლოდ რუს მეცნიერთა ერთი ნაწილი უჭერს მხარს. საბირების სავარებთან გაიგივების შესახებ არაფერს წერენ ჰუნების ისტორიის ისეთი ცნობილი რუსი მკვლევრები, როგორებიც არიან: კ. ინოსტრანცევი<sup>27</sup> და ა. ბერნშტამი<sup>28</sup>. ასეთი გაიგივება აზრად არ მოსვლია თანამედროვე ჰუნოლოგიის ისეთ წარმომადგენელს, როგორიცაა ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ფრანც ალტჰაიმი<sup>29</sup>, თუმცა, მას დასაშვებად მიაჩნია ახ. წ. II ს-ში აღმოსავლეთ ევროპაში ჰუნების არსებობა<sup>30</sup>.

უოველივე ზემოთქმულის შემდეგ უნდა აღვნიშნო: საბირების სავარებთან გაიგივება არ შეიძლება. პტოლემაიოსის გეოგრაფიაში მოხსენიებული სავარები შემდეგდროინდელი სლავური ტომები სევერიანები არიან, როგორც ამას ამტკიცებენ: პ. შაფარიკი, ა. უდალცოვი, პ. ტრეტიაკოვი. სავარების ლოკალიზაციის ადგილად უნდა მივიჩნიოთ არა ვოლგის აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე ველები, როგორც ამას მ. არტამონოვი ამტკიცებს, საბირებთან მათი გაიგივების გამო, არამედ დნეპრის შუადინება. კერძოდ, ტერიტორიები დღევანდელი ქ. ჩერნიგოვის ჩრდილოეთით. სადაც შემდეგ სლავური ტომები სევერიანები ცხოვრობდნენ.

XX საუკუნის შუახანებში, თითქოს, გაირკვა დასავლეთციმბირული წარმომავლობის საბირებს სლავების ერთ-ერთ წინაპრად მიჩნეულ სავარებთან რომ საერთო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ რუსულ ისტორიოგრაფიას ახ. წ. II ს-ში მცხოვრები პტოლემაიოსის თხზულებაში მოხსენიებულ სავარების ჰუნ საბირებთან იდენტურობის საკითხზე უარი არ უთქვია. უფრო მეტიც, მ. არტამონოვის მიერ 1962 წელს გაანალიზებული სტეფანოს ბიზანტიულის ცნობაში შემდეგში რეალური შინაარსი დაინახეს. ასე მაგალითად, 1973 წელს

гаморкзэхнебүл ნაშრომში „Этнонимы и племенные названия Северного Кавказа“ б. зოлдуков წერდა: დიდ ინტერესს იწვევს თანამედროვე სვანების ენაში შემონახული ოსების მეორე სახელი „Мусав“. მოცემული ტერმინი ასახვაა ძველი საბირების სახელწოდებისა – ხალხისა, რომელიც ისხენიება ძვ. წ. III – ახ. წ. III საუკუნეების ანტიკური ავტორების მიერ ჩრდილო კავკასიასა და პონტოს ოლქში. მისივე თქმით, წყაროთა დიდი ნაწილის მონაცემებით, საბირების, როგორც ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი მომთაბარე ტომის ადგილსამყოფლად V საუკუნეში განისაზღვრება კასპიისპირეთის ჩრდილო-დასავლეთით, დაღესტინის ზღვისპირა რაიონები. დღეისათვის, – დასძენს 6. ვოლკოვა, – საბირების ეთნიკური კუთვნილების საკითხი ვერ გადაწყდება, რადგან ამ ხალხის ენის შესახებ ცნობები არა გვაქვს. მხოლოდ ერთია ნათელი, კასპიისპირეთის საბირების გარდა, რომლებიც, როგორც ისტორიკოსები ფიქრობენ, ჰუნებთან ერთად IV საუკუნეში გამოჩნდნენ დასავლეთ კავკასიის მიდამოებში, არსებობდნენ საბირები, რომლებიც უფრო ადრე არიან დადასტურებულნი და მათი სახელი, როგორც ჩანს, აისახა ოსების სვანურ სახელწოდებაში<sup>31</sup>.

6. ვოლკოვას მიერ მითითება იმაზე, თითქოს, ძვ. წ. III და ახ. წ. III საუკუნეების ავტორები „პონტოს ოლქში“ საბირებს ისხენიებენ, ისევ რუსული ისტორიოგრაფიის ძველი თვალსაზრისის აღორძინებას წარმოადგენს, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი. რაც შეეხება ოსების სვანური სახელწოდებას - „Мусав“ და ამ სახელის საბირების სახელწოდებად მიჩნევას (გამოდის, რომ ოსები და საბირები ერთი და იგივე ხალხი იყო), ვფიქრობ, აქ კომენტარის გაკეთებაც არა ლირს. ალან-ოსები, როგორც ე. კრუპნოვი წერს, ირანულებოვანი სარმატული მოდგმის ხალხია, ისინი აღმოსავლეთ ევროპის ველებზე, მართლაც, ჩანან ახ. წ. I საუკუნეში (იხ. სტ. Аланы, Сов. ист. энциклопедия, т. I, М., 1961, გვ. 329). წარმომავლობის მხრივ ჰუნ საბირებთან მათ საერთო არაფერი აქვთ.

6. ვოლკოვა საბირების ეთნიკური კუთვნილების საკითხს თუ გადაწყვეტებულ პრობლემად თვლიდა, 1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Ранние тюрки на Северном Кавказе“ ი. და გ. ფიოდოროვები ყოველგვარი დაჭვვების გარეშე მიუთითებენ, რომ საბირები დასავლეთ ციმბირის ავტოქტონი ხალხი იყო. ისინი თანამედროვე ხანტი-მანსების წინაპრები იყვნენ და მიეკუთვნებოდნენ უგორულ მოდგმას<sup>32</sup>. როგორც ავტორები წერენ, ვ. ჩერენცევს მოაქვს ა. პატკანოვის საინტერესო ცნობა იმის შესახებ, რომ ტობოლსკის თათართა შორის გავრცელებულია თქმულება სავირის (Савир) ხალხის შესახებ, რომელთაც, თითქოს, თათართა მოსვლამდე ეჭირათ ტერიტორიები მდინარე ირტიშის შუა და ქვემო დინებაზე. მათივე თქმით, ვ. ჩერენცევი ასევე მიუთითებს რიგ საინტერესო მაგალითებს ხანტი-მანსების ფოლკლორიდან, ტოპონიმიკის მონაცემებს, საგვარეულო სახელებს. მის მიერ მოხმობილი მასალა მოწმობს სამხრეთ ციმბირისა და ობი-ირტიშის აუზის ხალხებში ეთნომიზ საბირის (савир, сипир, сибер) ფართოდ განსახლებას. ვ. ჩერენცევი თვლისო, რომ ძველი უგორულ-საბირული მომთაბარე ტომების კულტურამ ასახვა ჰქოვა შუა ირტიშისპირეთსა და სამხრეთ ურალსიქითა ძეგლებში (მაგ. ჩელიაბინსკის ყორდანები). ტერიტორია, რომელიც საბირებს ეჭირათ ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ვრცელდებოდა ყაზახეთის ჩრდილო ველებამდე<sup>33</sup>. აქ, ურალსიქითა მხარეში, მოხდა ჰუნთა კავშირში მყოფი უგორული მოდგმის ხალხების, მათ შორის, საბირების თურქიზაცია<sup>34</sup>.

თუ ზემოთქმულს დაგუჯერებთ, მაშინ დასავლურ-ციმბირული მოდგმის საბირებმა ჯერ კიდევ თავიანთი პირველსაცხოვრისის ადგილს განიცადეს თურქიზაცია და ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრების შემდეგ ისინი ამიტომ იწოდებიან ძველ საისტორიო წყაროებში „ჰუნებად“ და „თურქებად“. მაგრამ,

როდის დატოვეს მათ თავიანთი პირგელსაცხოვრისი და როდის გამოჩნდნენ ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე?

როგორც ზემოთ ითქვა, საისტორიო წყაროები საბირებს ამიერკავკასიისა და წინა აზიის ტერიტორიაზე მხოლოს VI ს. დამდეგიდან იხსენიებენ. ამიტომ, საინტერესოა გაირკვეს, როდის გამოჩნდნენ ისინი ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველებზე.

ი. და გ. ფიოდოროვების მტკიცებით, არქეოლოგიური მასალით დასტურდება ჯერ კიდევ ძვ. წ. უკანასკნელ საუკუნეებში აღმოსავლეთ ევროპაში – ვოლგისპირეთში უგორული ტომების შემოსვლა. მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ საბირთა წინაპრები. ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულს რაღაცა მოვლენამ უგორ-საბირთა ტომები აიძულა დაეტოვებინათ მშობლიური კუთხე. მათი ნაწილი წავიდა ჩრდილოეთით, მდ. ობის ქვემო წელისაკენ. საბირთა ნაწილს უნდა დაეწყო მოძრაობა სამხერეთ-დასავლეთისაკენ. მისულიყვნენ ჯერ სამხრეთ ურალისპირეთში (აქ ისინი ჰუნებს შეერივნენ), შემდეგ გადმოსულიყვნენ ჩრდილო კასპიისპირეთში, სადაც ა. წ. II ს-ში მათ ათავსებს პტოლემაიოსი<sup>35</sup> (როგორც ზემოთ ვნახეთ, პტოლემაიოსის ცნობიდან გამომდინარე, მასთან მოხსენიებული საგარები კასპიისპირეთში არ ლოკალიზდებიან).

რაც შეეხება საბირთა გაერთიანების წარმოქმნას, – წერენ ი. და გ. ფიოდოროვები, – მათ 555 წლის ქვეშ იხსენიებს VI ს. სირიელი ავტორი ზაქარია რიტორი. სათანდო საისტორიო წყაროთა მონაცემების ანალიზის საფუძველზე, – ასკვნიან ისინი, – მ. არტამონვი თვლის, რომ საბირები, ისევე როგორც ბარსილები, შეადგენდნენ ადრეშუასაუკუნეების „ჰუნთა სამეფოს“ ძირითად ბირთვს ჩრდილო დაღესტანში. ამასთან ერთად, საბირებს ეკავათ მისი სამხრეთი ნაწილი, ბარსილებს ჩრდილოეთი – მდ. სულაკისა და თერგის ქვემო წელი. ამრიგადო, – ასკვნიან ავტორები, – აღმოსავლეთ ევროპაში საბირთა პირველი მოხსენიება განეკუთვნება ა. წ. II საუკუნეს. პტოლემაიოსი მათ ათავსებს ჩრდილო-დასავლეთ კასპიისპირეთში. ჩვენ არა გვაქვს ცნობები საბირთა შესახებ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის. მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰუნების შემოჭრამდე საბირებს ნაწილობრივ ეკავათ ცენტრალური კავკასიისპირეთის ველები, სადაც ისინი სირაკებს ემეზობლებოდნენ. ასეა თუ ისე, VII საუკუნემდე საბირები წყაროებში ისხენიებიან, როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ბინადარი მოსახლეობა, სადაც ისინი მჭიდრო, მრავალმხრივ კავშირს ამყარებენ აბორიგენებთან. ველისა და დაღესტნის მთიანეთის სივრცეში მცხოვრებმა საბირებმა თავის თავზე განიცადეს ჯერ ჰუნების, შემდეგ ავარებისა და შემდეგ ტურკიუტების დარტყმებით<sup>36</sup>. ამ მსჯელობას მოხდევს იმ არქეოლოგიური მასალის ანალიზი, რომელიც, ავტორთა აზრით, I საუკუნიდან აღმოსავლეთ ევროპაში მცხოვრებ საბირებს განეკუთვნება, მაგრამ, როგორც ვნახეთ, პტოლემაიოსთან მოხსენიებული საგარები საბირების საცხოვრისიდან გაცილებით დასავლეთით ლოკალიზდებიან, რაც არქეოლოგიურ მასალას საფუძველს აცლის. თვით ი. და გ. ფიოდოროვებისთვისაც საეჭვო არ უნდა ყოფილიყო, ა. წ. II ს-დან აღმოსავლეთ ევროპაში მყოფმა საბირებმა VI ს. ათიანი წლების ბოლომდე (ისინი საბირების პირველ ლაშქრობას ამიერკავკასიაში 508 წლით ათარიღებენ) თავი რომ არ გამოიჩინეს?<sup>37</sup>

ა. წ. II საუკუნიდან ჰუნი საბირების აღმოსავლეთ ევროპაში ყოფნას, როგორც ზემოთ ითქვა, თითქოს, მხარს უნდა უჭერდეს თვით პტოლემაიოსის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში ეთნონიმ „ხუნის“ დასახელება<sup>38</sup>. ამიტომ ქვემოთ მოკლედ ამ ცნობას გავათხალიზებ.

1988 წელს გამოცემული მონოგრაფიის („История народов Северного Кавказа с древнейших времен до конца XVIII в.“) V თავის („Великое переселение народов и Северный Кавказ“) ავტორებმა პტოლემაიოსის ზემოდასახელებული ცნობა იმის დასტურად დაიმოწმეს, ახ. წ. I ს-ის დასასრულს და II ს-ის შუახანებში ჰუნთა ცალკეულმა ჯგუფებმა ჩრდილო კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპაშიც რომ შემოადგიეს. Согласно данным Птоломея, – წერენ ისინი, – „между бастернами и роксоланами живут хуны“ в Причерноморье.

ზემოთ, პტოლემაიოსის იმ ცნობის გაანალიზებისას, რომელშიც მკვლევართა ნაწილი საბირებს ხედავს, როგორც ვნახეთ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ მის მიერ მოხსენებული „სავარები“ მდ. დნეპრის შუაღინებაზე მცხოვრები, შემდეგდომინდელი სევერიანები უნდა ყოფილიყვნენ. ახლა ვნახოთ, სად ცხოვრობდნენ ბასტერნები და როკსოლანები, ვინ უნდა ყოფილიყვნენ მათ შუა მცხოვრები „ხუნები“.

საცნობარო ლიტერატურაში არსებული მითოთებით, „ბასტარნები“ (ლათ. *Bastarnae*) იყვნენ ძველი ტომები, რომლებიც ძვ. წ. 200 წლისთვის მდ. დუნაის ქვემო დინებაზე ცხოვრობდნენ, ახ. წ. 279 – 280 წლებში კი თრაკიაში გადასახლდნენ<sup>40</sup>. რაც შეეხება როკსოლანებს (ლათ. *Roxolani*), ეს იყო სახელწოდება ერთ-ერთი მესქონლე სარმატული ტომისა, რომელთაც შექმნეს მომთაბარე ტომთა მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ამ გაერთიანების ცენტრი იყო ჩრდილო აზოვისპირეთი. ახ. წ. I ს-ში მათ ეკავათ ველები მდ. დნეპრის დასავლეთით. II – III სს. ებრძოდნენ რომს მდ. დუნაიზე, ძირითადი მასა კი ცხოვრებას განაგრძობდა შავი ზღვის ჩრდილოეთით და იქ არსებული მათი გაერთიანება IV ს. 70-იან წლებში მოსულმა ჰუნებმა გაანადგურა<sup>41</sup>.

ამრიგად, გამოდის, რომ პტოლემაიოსის მიერ დასახელებული „ხუნები“ მდ. დუნაიზე მცხოვრებ ბასტარნებსა და დნეპრის დასავლეთით მცხოვრებ როკსოლანებს შორის იმყოფებოდნენ. „ხუნების“ განსახლების ასეთი ლოკალიზაცია, ვფიქრობ, საეჭვოს ხდის პტოლემაიოსის ცნობის სანდოობას, რადგან იმ დროს „ხუნთა“/ჰუნთა მასა ისევ ცენტრალურ აზიაში იმყოფებოდა და დასავლეთისაკენ მოძრაობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული. აღნიშნულთან ერთად, პტოლემაიოსის „გეოგრაფიაში“ დასახელებული „ხუნი“ („хуны“) ჰუნთა აღმოსავლური შტოს სახელად იყო მიჩნეული<sup>42</sup>, რაც პტოლემაიოსის ცნობის სანდოობას ეჭვებეშ აყენებს. საინტერესო ის, რომ კლავდიოს პტოლემაიოსის თანამედროვე დიონისიოსი „ხუნებს“ არ ახსენებს (იხ. მისი „Описание населенной земли“, ВДИ, 1948, № 1, გვ. 237-241), სამაგიეროდ, მისი თხზულების კომენტარებში კლავდიოს პტოლემაიოსიდან არის შეტანილი „ხუნები“ და ისინი ტამანის ნ-კუნძულზე მცხოვრებ ხალხებს შორის ალანების გვერდით არიან დასახელებულნი (იხ. Схол к „Землеописанию Дионисия“. ВДИ, 1948, № 1. გვ. 259. იქვე შენ. 2).

ყოველივე აღნიშნული იმაზე ხომ არ უნდა მიგვითოთებდეს, კლავდიოს პტოლემაიოსის ტექსტში „ბასტერნებსა და როკსოლანებს შორის დასახელებული „ხუნი“ გვიანდელი რედაქტორის ჩანამატს რომ წარმოადგენს? როგორც ქვემოთ ვნახავთ, აღმოსავლეთ ევროპაში ატილას ურდოების მოსვლის შემდეგ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველები, მართლაც, ჰუნების ხელში მოექცა – იგი ჰუნთა გაერთიანების ცენტრს წარმოადგენდა.

ახლა რაც შეეხება V ს. ბიზანტიული ავტორის პრისკოს პანიელის იმ ცნობას, რომელშიც V ს. შუახანებში ოკეანის სანაპიროდან დაწყებულ ხალხთა მოძრაობას ეხება.

**თავი V. პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტის ცნობათა  
რეალურობის საპითხი. საბირებისა და სხვა  
ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების მოსვლა  
აღმოსავლეთ ევროპაში**

ახ. წ. II საუკუნისათვის აღმოსავლეთ ევროპაში რადგან პუნი საბირების ყოფნა არ დასტურდება, გამოდის, რომ საბირებმა სანამ 515/516 წელს ამიერკავკასიაში არ იღაშქრეს, ისინი ისტორიულ წყაროებში ერთხელ – 463 წელს იხსენიებიან პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტში, თუმცა, იმ დროისათვის მათი ჩრდილო კავკასიაში ყოფნა საჭმლოდ ჩანს<sup>1</sup>.

ქვემოთ პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტში შემონახულ ცნობას განვიხილავ. აღნიშნულ ფრაგმენტში, რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილზე თხრობას მოსდევს შემდეგი ცნობა: „დაახლოებით იმავე ხანებში (იგულისხმება 463 წ. – გ. გ.) სარაგურებისაგან, უროგებისაგან და ონოგურებისაგან, ხალხებისაგან, რომელთაც თავიანთი ქვეყანა დატოვეს, აღმოსავლეთ რომაელებთან გაგზავნილ იქნა ელჩობა, რადგან მათთან ბრძოლა დაიწყეს ავარებისაგან გამოძევებულმა საბირებმა. ავარები, თავის მხრივ, გამოძევებულნი იყვნენ ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები ხალხებისაგან“<sup>2</sup>. „ამრიგად, სხვა ხალხებისაგან გამოდევნილი სარაგურები მივიღნენ პუნ აკაცირებთან და მიწები მოთხოვეს...“<sup>3</sup>.

ხალხთა მოძრაობის მსგავსი ამბავი (მხოლოდ უფრო ვრცლად), რომელშიც ტომთა მოძრაობა კვლავ ავართა სახელთანაა დაკავშირებული, მოიპოვება X ს. ბოლოს შედგენილ სვიდა ლექსიკონში<sup>4</sup>. ავართა განმარტებისას ლექსიკონის შემდგენელი წერს: „ბულგარებმა (ბოლგარებმა) სრულიად გაანადგურეს ავარები, ხოლო ავარებმა განდევნეს საგინორები (იგივე საბირები – გ. გ.). თვითონ კი გამოდევნილი იქნენ ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები ხალხისაგან [და დატოვეს თავიანთი ქვეყანა ოკეანის სრუტეებიდან ასული ნისლისა და უამრავი გრიფების გამოჩენის მიზეზით. ხმა გავრცელდა, რომ გრიფები მანამდე არ გაქრებიან, სანამ ადამიანთა მთელ მოდგმას არ გაანადგურებენ]. ასეთი უბედურებისაგან დევნილი ავარები თავს დაესხნენ თავიანთ მეზობლებს, ამ უკანასკნელებმა ვერ შეძლეს მათი თავდასხმების შეჩერება და გადასახლდნენ სხვა ქვეყანაში]. ამრიგად, სხვა ხალხებისაგან შევიწროებული სარაგურები მივიღნენ პუნ აკაცირებთან და მიწები სოთხოვეს მათ“<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, ორივე ციტატაში ერთი და იგივე შინაარსის ამბავია მოთხოვნილი. ოკეანის სანაპიროდან ავარების გამოძევება სხვა ხალხთა მოძრაობის მიზეზი ხდება. ვინ იყო ის ხალხი, რომლებმაც ოკეანის სანაპიროდან ავარები გამოდევნა, პრისკოს პანიელის ცნობიდან არა ჩანს. ასევე გაუგებარია, სად ხდება ეს ამბავი – ევროპაში თუ აზიაში. სვიდა ლექსიკონიდან მოყვანილ ციტატაში ავართა გამომბევებულ ხალხად ბოლგარები იხსებიებიან. მოძრაობა ოკეანის სანაპიროზე იწყება და თავდება აღმოსავლეთ ევროპაში, შავი ზღვის ჩრდილოეთით მყოფ პუნ აკაცირებთან სარაგურების (პრისკოსის თანხმად, სარაგურებთან ერთად უროგებისა და ონოგურების) მისვლით. ასე რომ, V ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტსა და X ს-ში შედგენილ სვიდა ლექსიკონში ერთნაირი შინაარსის ცნობები გვაქვს. რაც მაფიქრებინებს, რომ სვიდა ლექსიკონის შემდგენელს პრისკოსის ცნობით უნდა ესარგებლა. ასეთი რამ, მართლაც, მოსალოდნელი იყო. ცნობილი გერმანელი ბიზანტიოლოგი კარლ კრუმბახერი სვიდა ლექსიკონის წყაროთა (პროკოპიოს კესარიელი, იოანე მალალა, იოანე ანტიოქელი, თურფილაქტე სიმოკატა,

პასქალური ქრონიკა, გიორგი სვინგელოზი, ნიკიფორე პატრიარქი, გიორგი მონაზონი, მალხი, მემანდრე პროტიქტორი და სხვა<sup>6</sup> შორის პრისკოს პანიელსაც ასახელებს<sup>7</sup>. მაგრამ, რადგან სვიდა ლექსიკონში ავართა განმარტება გაცილებით ვრცელია და დამატებით ცნობებს შეიცავს, როგორც ჩანს, სვიდა ლექსიკონის წყარო პრისკოს პანიელის თხზულებიდან ზემომოტანილი ციტატი არ უნდა ყოფილიყო<sup>8</sup>. სავარაუდებელია, სვიდა ლექსიკონის შემდგენელმა ავარების განმარტებისას ისეთი წყაროთი ისარგებლა, რომელიც ან დაკარგულია, ან მიკვლეული არა<sup>9</sup>.

რატომ ვფიქრობ, რომ სვიდა ლექსიკონის შემდგენელს არ შეეძლო პრისკოს პანიელის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობის გამოყენება? კარლ კრუმბახერი სვიდას წყაროთა შორის ხომ ასახელებს პრისკოს პანიელის თხზულებას?

ჩემი ვარაუდით, პრისკოს პანიელს თავის თხზულებაში შეიძლება, მართლაც, პქონდა ცნობა, რომელიც დასავლეთ ციმბირში ხალხთა მოძრაობას შეეხებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, შემდეგში ეს ცნობა, პრისკოსის თხზულების გადამწერ-რედაქტორმა გააფართოვა და შეავსო სხვა ცნობით, რომელშიც ერთი საუკუნის შემდეგდროინდელი, კერძოდ, 552 – 555 წლებში ცენტრალურ აზიაში თურქების (ტურკიუტების) მიერ უუჯანების დამარცხებისა და აღმოსავლეთ ევროპაში მათი მოსვლის გამო დატრიალებული ამბები იყო გაღმოცემული<sup>10</sup>.

ასეთი მსჯელობის საფუძველს მაძლევს პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტიდან ზემომოტანილ ციტატაში მოთხოვნილი ამბავის შედარება აღმოსავლეთ ევროპაში 558 წელს ავართა გამოჩენის შემდეგ შექმნილ ვითარებასთან.

1. ძველი თურქების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა უმეტესობას 558 წელს აღმოსავლეთ ევროპაში გამოჩენილი ავარები და თურქთა მიერ დამარცხებული უუჯანები ერთიდაიგივე ხალხად მიაჩნია<sup>11</sup>;

2. უუჯანთა გამოძევება ცენტრალური აზიაში, ორივე წყაროს მიხედვით, თითქოს, ოკეანის სანაპიროდან დაწყებული მოძრაობის შედეგად ხდება;

3. 555 წელს ცენტრალური აზიაში გამოქცეული უუჯანები 558 წელს უკვე აღმოსავლეთ ევროპაში იყვნენ და ბიზანტიულმა ავტორებმა ისინი ავარების სახელით გაიცნეს;

4. აღმოსავლეთ ევროპაში მოსვლისთანავე ავარებმა საბირები დაამარცხეს. მენანდრე პროტიქტორმა აღმოსავლეთ ევროპაში ავარების გამოჩენისთანავე აღნიშნა: „ავარებმა ჩქარა დაიწყეს ომი პუნური მოდგმის ზალებთან და გაანადგურეს საბირების ძალები“<sup>12</sup>.

5. საბირების დამარცხების შემდეგ ავარებმა გზა დასავლეთისაკენ გააგრძელეს და სანამ დუნაის ნაპირებამდე მივიდოდნენ, გზაზე მრავალი პუნური ტომი დაიმორჩილეს. როგორც პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტიდან ჩანს, ხალხთა მოძრაობა ხომ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მყოფი პუნი აკაციორების დამარცხებით დამთავრდა.

როგორც ვხედავთ, ორი წყაროს მონაცემებს შორის მსგავსება საკმაოა. შეიძლება პრისკოს პანიელის ტექსტში აღნიშნული ამბავი, მართლაც, გვიანდელი ჩანართია, მაგრამ როდის უნდა ჩაემატებინათ იგი, ამის თქმა ძნელია<sup>13</sup>. შეიძლება პრისკოს პანიელის ტექსტის გადამწერ-რედაქტორმა ეს ამბავი იმ წყაროდან შეიტანა, რომლითაც შემდეგში სვიდა ლექსიკონის შემდგენელმა ისარგებლა. ძველ ტექსტებში გამომცემელ-რედაქტორებს არა თუ შუასაუკუნეებში, ახალ დროშიც შეჰქონდათ ცვლილებები და ჩასწორებები. როგორც გ. დესტუნისი წერს, სვიდა ლექსიკონიდან ზემომოტანილ ციტატას კლასენი პრისკოსის ტექსტში ათავსებდა და ტექსტის ასეთ ცვლილებას იწყნარებდნენ: ბეკერი, ბ. ნიბური და კ. მიულერი. მაგრამ ტექსტში ასეთი ჩანართის გასაკეთებლად საფუძველი არცერთს არ პქონდათ<sup>14</sup>. გ. დესტუნისისავე სიტყვით, კარლ მიულერს პრისკოსის ტექსტში ჩანართი „პასქალური ქრონიკიდანაც“ პქონდა შეტანილი<sup>15</sup>. ნიშანდობლივია ის, რომ ვДИ-ს 1948 წლის № 4 ნომერში

გამოქვეყნებულ პრისკოს პანიელის თხზულების ვ. ლატიშეგისუელ თარგმანში ჩემ მიერ ზემომოტანილი ციტატა აღარაა შეტანილი (გვ. 244 – 267).

რა საფუძვლით შეიტანა თავის დროზე კლასენმა პრისკოსის ტექსტში ჩანართი ხალხთა მოძრაობის შესახებ, ჩემთვის უცნობია, ისე კი ვფიქრობ, პრისკოსის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობის გვიანდელობაზე ციტატაში აღწერილი ხალხთა მოძრაობის ამბავის მაშინდელ აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ ისტორიულ სინამდვილესთან შეუსაბამობაც უნდა მიუთითებდეს. ეს შეუსაბამობა შემდეგნაირად მესახება: I. თუ პრისკოსის თხზულებიდან ზემომოტანილ ციტატაში და სვიდა ლექსიკონში ერთი და იგივე ამბავია გადმოცემული, მაშინ პრისკოსის მიერ დასახელებულ „ოკეანის სანაპიროზე მცხოვრებ სხვა ხალხებში“, რომელთაც ავარები გამოაძევეს, ბოლგარები უნდა იგულისხმებოდნენ. ამ შემთხვევაში ბოლგარები ჩამოთვლილ ხალხთა შორის ყველაზე აღმოსავლეთით, ოკეანის სანაპიროზე არიან დასახლებულნი. ასეთ ვითარებაში ისინი აღმოსავლეთ ევროპაში აღარ უნდა ჩანდნენ. მაგრამ ძველ ბოლგართა ისტორიის ცნობილი მკვლევარი 6. მერპერტი V საუკუნისათვის ბოლგარებს აღმოსავლეთ ევროპაში მყოფად ასახელებს. როგორც იგი წერს, V საუკუნის 70-იან წლებში ბოლგარები ბიზანტიის იმპერატორის ზენონის (474 – 491) მიწვევით ოსტგოთების წინააღმდეგ იბრძოდნენ<sup>16</sup>. რამდენად სწორია 6. მერპერტის წყარო, რომელზე დაყრდნობითაც იგი ბოლგარებს V ს. 70-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპაში მოსულებად ასახელებს (ე. ი. იმ დროს, როცა სვიდა ლექსიკონის წყარო მათ ისევ აღმოსავლეთში – ოკეანის სანაპიროზე ათავსებს), ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება<sup>17</sup>. თუ ბოლგარები V ს. შუახანებში, მართლაც, იყვნენ აღმოსავლეთ ევროპაში, მაშინ გამოდის, რომ ერთიდამიავე დროს ბოლგარები იმყოფებოდნენ ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების უკიდურეს აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც, რაც ისტორიულ რეალობასთან შეუსაბამოა.

II. პრისკოს პანიელის თხზულებაში მოთავსებული ცნობის თანახმად, საბირები, სარაგურები, უროგები და ონოგურები 463 წლისათვის უკე აღმოსავლეთ ევროპაში იყვნენ მოსულნი. ამ მოძრაობის შედეგად, რადგან ავარებმა საბირთა ტერიტორია დაიკავეს ჩრდილო კავკასიაში, საბირებმა უფრო დასავლეთით გადაინაცვლეს სარაგურების, უროგებისა და ონოგურების ტერიტორიაზე. მაგრამ, ჩრდილო კავკასიაში 558 წლამდე ავართა არა თუ რაიმე გაერთიანების, არამედ არსებობის შესახებაც კი არაფერი ცნობა არა გვაქს. მაგ.. ავარებს არ იცნობს გოთთა ისტორიკოსი იორდანე (VI ს. მას თხრობა მოჰყავს 551 წლამდე), პროკოპიოს კესარიელი (მოგვითხრობს 553 წლამდე) და აგათია სქოლასტიკოსი (მოგვითხრობს 557 წლამდე). ამ ავტორების მიერ ავართა მოუხსენებლობა ბუნებრივიცაა. ავარები აღმოსავლეთ ევროპაში 558 წელს გამოჩნდნენ და მათი მოსვლა მაშინვე აისახა მენანდრე პროტიქტორისა და თეოფილაქტე სიმოკატას თხზულებებში. ასე რომ, პრისკოს პანიელის ცნობა 463 წელს აღმოსავლეთ ევროპაში ავარების მოსვლის შესახებ სხვა წყაროებით არ დასტურდება, რაც თავისთავად გამორიცხავს მათ მიერ საბირთა დამარცხების ფაქტს. აღნიშნული ცნობა მის ტექსტში, მართლაც, გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს.

III. პრისკოს პანიელის ცნობით, მას შემდეგ, რაც 463 წელს ავარებმა საბირების, ხოლო საბირებმა სარაგურების, უროგებისა და ონოგურების ტერიტორიები დაიკავეს, „სარაგურებმა, აკაციორებთან და სხვა ხალხებთან გაერთიანების შემდეგ, ლაშქრობა მოაწყეს ირანის წინააღმდეგ. ისინი პირველად მივიდნენ კასპიის კართან (ამ შემთხვევაში იგულისხმება დარუბანდი – ვ. გ.), მაგრამ, რადგანაც იქ ირანელთა გარნიზონი იდგა, ამიტომ, მიმართეს სხვა გზას, რომლითაც ისინი ქართლში გადმოვიდნენ, მოაოხრეს ეს ქვეყანა და თავდასხმები დაიწყეს სომხეთის სოფლებზე<sup>18</sup>.

რა შეიძლება ითქვას მოტანილი ცნობის შესახებ?

აკაცირებმა და სხვა ხალხებმა ქართლში ლაშქრობა 466 წელს, მართლაც, მოაწყეს, მაგრამ 463 წლიდან ჩრდილო კავკასიის ველებზე თუ ავარები, ხოლო მათ დასავლეთით საბირები ბატონობდნენ, მაშინ, 3 წლის შემდეგ (466 წ.) ავარებისა და საბირების კონტროლს ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე მათ მიერ განდევნილი და დამარცხებული ხალხები ასე თავისუფლად ვერ ივლიდნენ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ისინი შავი ზღვის ჩრდილოეთი მდებარე ველებიდან ისე მივიდნენ ჯერ დარუბანდის კართან, იქიდან კი დარიალთან, რომ წინაააღმდეგობას არ შეხვედრიან. აღნიშნული კიდევ ერთხელ იმის მოწმობაა, პრისკოს პანიელის თხზულებაში გადმოცემული ამბავი აღმოსავლეთ ევროპაში ავართა მოსვლის შესახებ, რომელთაც საბირები დამარცხეს, თვით პრისკოს პანიელისავე ცნობას ეწინააღმდეგება.

IV. 466 წელს „ამიერკავკასიაში ლაშქრობის შემდეგ სარაგურები, – წერს მ. არტამონოვი, – საბოლოოდ ქრებიან ისტორიის ასპარეზიდან. შეიძლება ჩრდილო კავკასიის ველებზე მომთაბარე ტომებს შორის ხელმძღვანელი როლი დაკარგეს, მათ მიერ შექმნილი ტომთა კავშირი დაიშალა... შესაძლებელია, სარაგურთა კავშირის დანგრევა საბირთა შემოჭრასთან იყო დაკავშირებული, როცა ისინი (ე. ი. სარაგურები – ვ. გ.) ონოგურებოთან და სხვა ხალხებთან ერთად დასავლეთ ციმბირიდან და სამხრეთ ურალისპირეთიდან გამოდევნეს და თვითონ მათ კვალდაკვალ გამოჩნდნენ ჩრდილო კავკასიის ველებზე“<sup>19</sup>.

როგორც ვხედავთ, ისტორიის ასპარეზიდან სარაგურთა გაქრობას მ. არტამონოვი 466 წლის შემდეგ დასავლეთი ციმბირიდან საბირთა შემოჭრას უკავშირებს. მაგრამ, პრისკოს პანიელის ცნობით, ეს ლაშქრობა 463 წელს აღმოსავლეთ ევროპაში ავართა შემოჭრის შემდეგ ხდება და, როგორც იგი წერს, საბირებმა, სარაგურები და სხვა ხალხები 463 წელს დაამარცხეს. ამ წელს უნდა დაშლილიყო მათი გაერთიანება და არა კავკასიაში ლაშქრობის შემდეგ. ვფიქრობ, ისტორიის ასპარეზიდან სარაგურთა გაქრობა, პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტში მოთავსებული ცნობის გვიანდელობით უნდა აისხნას. არაა გამორიცხებული, პრისკოსის დედნისეულ ტექსტში სარაგურები დასავლეთ ციმბირიდან აღმოსავლეთ ევროპაში როცა უგორული მოდგმის ტომები მოვიდნენ, სარაგურები უკვე ტომთა სხვა გაერთიანებაში შედიოდნენ, ამიტომ იმ დროის ისტორიულ წყაროებში ისინი აღარ აისახნენ.

V. ავარები აღმოსავლეთ ევროპის ველებზე 558 წელს გამოჩნდნენ და მოსვლისთანავე საბირებს შეეჯახნენ. პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტში არსებული ცნობითაც, 463 წელს მოსული ავარებიც პირველად საბირებს ამარცხებენ. ამიტომ, გამოდის, რომ ავარები ორჯერ მოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში და ორჯერვე პირველად საბირებს შეეჯახნენ. ამ წინააღმდეგობიდან ერთი გამოსავალია – 463 წელს ავარები აღმოსავლეთ ევროპაში არ მოსულან და რომ მოსულიყვნენ კიდეც, აქ მათ საბირები არ დახვდებოდათ. რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, ას. წ. II ს-დან აღმოსავლეთ ევროპაში საბირების ყოფნა ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება და საბირების სავარებოთან (სლავურ ტომთან) გაიგივება მცდარ თვალსაზრისხეა დამყარებული.

რაც შეეხება 558 წელს აღმოსავლეთ ევროპაში ავართა მოსვლას, ეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, მაგრამ საეჭვოა ცნობა 463 წელს ავართა მოსვლის შესახებ. აღნიშნულმა ცნობამ, ავართა გინაობის საკითხი იმთავითვე წინააღმდეგობაში მოაქცია. ასე მაგ., მ. არტამონოვი წერდა: „გაუგებარია რა ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან პრისკოს პანიელთან მოხსენიებული ავარები და ფსევდოავარები სხვა ბიზანტელი ავტორებისა“<sup>20</sup>. „საკითხი იმის შესახებ, კინ იყვნენ

საბირების გამომძევებელი ჭეშმარიტი ავარები (გვიან გამოჩენილი „ფსევდო-ავარებისაგან“ განსხვავებით), დღემდე გადაუწყვეტელი რჩება<sup>21</sup>.

ვფიქრობ, დღემდე რომ გადაუწყვეტელი და გაურკვეველია ადმოსავლეთ ევროპაში ავართა მოსვლის საკითხი, ამის მიზეზი სწორედ პრისკოს პანიელის თხზულებიდან ზემომოტანილი ცნობის გვიანდელობა უნდა იყოს. პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტში მოთხოვილი ამბავი, როგორც ვნახეთ, მაშინდელ ისტორიულ სინამდვილესთანაც წინააღმდეგობაშია, რაც, ასევე მისი გვიანდელი ჩანამატობის შესახებ (ჩემ მიერ ზემოგამოტმული ვარაუდის სასარგებლოდ) უნდა მიუთითებდეს.

პრისკოს პანიელის თხზულების 24-ე ფრაგმენტიდან ზემომოყვანილ ცნობაში მოთხოვილი ამბავი დღემდე კრიტიკულად არავის განუხილია. პირიქით, ცდილობდნენ მის გამართლებას. როცა ზემოაღნიშნულ ცნობას ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნე ნ. პიგულევსკაია შეეხო, აღნიშნა, რომ ამ ცნობას ჩინური წყაროებიც უჭერენ მხარსო. „ჰუნურ ტომებს შორის ძალთა გადაჯგუფებამ, – წერს იგი, – და ახალმა ურთიერთობამ... მათი გადაადგილება გამოიწვია, რამაც ბიზანტიასთან მათ დამოკიდებულებაზეც მოახდინა გავლენა. ამ ამბავს პრისკოს პანიელი იმპერატორ ლევის მეფობის მეშვიდე, მაშასადამე, 463 წელს აკუთვნებს. „...ეს ამბავი მხარდაჭერას პოულობს ჩინურ წყაროებში, რომელთა თანახმადაც, 448 წელს უუან-უუანები ჩინეთის იმპერატორმა ტაი-ვუტიმ დაამარცხა. ამის შემდეგ, მათ ვეის დინასტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარეს და ამ დროიდან თავიანთი ექსანტია დასავლეთისაკენ მიმართეს. 460 წელს ისინი ტურფანს დაუუფლენენ, ბიზანტიაში ცნობილი გახდნენ ავარების სახელით“<sup>22</sup>.

ახლა ამ მხრივ გავაანალიზოთ ჩვენთვის საინტერესო ცნობა.

ნ. პიგულევსკაია, როგორც ვნახეთ, ჰუნური ტომების ცენტრალური აზიიდან დასავლეთისაკენ გადმონაცვლებას ჩინეთის ვეის დინასტიის იმპერატორის ტაივუტის (423 – 452 წწ.). მიერ 448 წელს უუანების დამარცხებას უკავშირებს. რის შედეგადაც ისინი, თითქოს, 463 წელს უკვე ევროპაში გამოჩნდნენ და ბიზანტიელებმა ავარების სახელით გაიცნეს.

ზემომოტანილი მსჯელობისას ნ. პიგულევსკაია ცნობილი გერმანელი სინოლოგის ოტო ფრანკებ<sup>23</sup> იმ ცნობას ეყრდნობა, სადაც იგი იმპერატორ ტაივუტის მიერ 448 წლისათვის უუანების დამარცხების შესახებ წერს.

ოტო ფრანკები, ჩინეთის ისტორიისა და ჩინური წყაროების დიდი მცოდნე, რა თქმა უნდა, ჩინეთის ისტორიის ამბებში არ შეცდებოდა. იგი 448 წლისათვის, მართლაც, მიუთითებს ჩინეთის იმპერატორ ტაივუტის მიერ უუანების დამარცხების შესახებ. ამ მარცხის შემდეგ, – აღნიშნავს თეო ფრანკები, – უუანებმა ძალა მოიკრიფეს და 460 წელს ტურფანის ოლქიც კი დაიპყრება<sup>24</sup>. მაგრამ, ამის შემდეგ იგი არა წერს უუანების ევროპაში გადმოსვლის შესახებ. პირიქით, „მეექვსე საუაუნემდე, – აღნიშნულია მის ნაშრომში, – უუანები დიდ და ძლიერ ძალად გადაიქცნენ, მაგრამ თავიანთი შეტევები დასავლეთისაკენ კი არ მიუმართავთ, არამედ აღმოსავლეთისაკენ“<sup>25</sup>.

უუანების გაერთიანება VI ს. უუანებამდე ცენტრალურ აზიაში რომ ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ რჩებოდა, ეს საკამათო არა<sup>26</sup>. როგორც ზემოთაც ითქვა, უუანები მხოლოდ 555 წელს დამარცხებნენ საბოლოოდ (ამ წელს თურქებმა მათი გაერთიანება გაანალიზეს). დამარცხებულმა და განადგურებას გადარჩენილმა უუანებმა დასავლეთისაკენ დაიწყეს მოძრაობა. რაც შეეხება 448 წელს იმპერატორ ტაივუტის მიერ უუანების დამარცხების ფაქტს, როგორც ჩანს, ეს მარცხი ერთ-ერთი იმათვანი იყო, რომელთა მსგავსი ხშირად ხდებოდა ჩინეთისა და უუანთა სახელმწიფოს ბრძოლების დროს. ამ მარცხს უუანების დასავლეთისაკენ მოძრაობა არ გამოუწევია. მსგავსი მარცხი უუანებმა ჩინელებთან ბრძოლაში აღრეც განიცადეს. მაგალითად, რუსი სინოლოგის ლ. დუმანის

თანახმად, უშავნები ჩინელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ 391 წელს, რის შემდეგაც ისინი ჩინეთის ტობას სახელმწიფოს დამორჩილდნენ<sup>27</sup>.

ძველი თურქების ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ლ. გუმილიოვმა უარყო 463 წლისათვის უშავნების დასავლეთისაკენ მოძრაობის შესაძლებლობა. ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, – წერს იგი, – ავარები, რომელთაც ბიძგი მისცეს საბირებს, უშავნები იყვნენ. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 460 წელს თვით უშავნები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ მათვის შეიძლებოდა ებიძგებინათ. აღნიშნულს გარდა, – დასძენს ლ. გუმილიოვი, – უშავნები არ ესაზღვრებოდნენ ციმბირის ხალხებს, რომელთაგან მათ იუბეანი პყოფდა<sup>28</sup>.

ლ. გუმილიოვი, უარყოფს რა 463 წელს ავართა დასავლეთისაკენ გადმონაცვლებას, პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტი მოთხრობილ ხალხთა მოძრაობის ასახსნელად საკუთარ სქემას გვთავაზობს. „V ს. შუახანებში, – წერს იგი, – საურისა და ტარბაგატაის ფერდობებზე მომთაბარე იუბეანის პუნქტი სამხრეთით ესაზღვრებოდნენ აბარების ანუ „ჭეშმარიტი ავარების“ (მათ ასე უწოდებდნენ მდ. იაიგზე და ემბაზე მცხოვრები „ფსევდო ავარებისაგან“ ან „გარ“-ის ტომებისაგან განსასხვავებლად) ტომებს. დაახლოებით 460 წელს პეფტალიტებმა ჩრდილოეთისაკენ მოაწყეს ლაშქრობა და ისე დააშინეს აბარები, რომ ისინი თავის გადარჩინის მიზნით გაიქცნენ და თავს დაესხნენ დასავლეთ ციმბირში, ტაიგისა და ველის საზღვარზე მცხოვრებ საბირების ტომებს. ეს უკანასკნელი დასავლეთისაკენ დაიძრნენ და მოძრაობაში მოიყვანეს უგორული ტომები: სარაგურები, ონოგურები და უროგები, რომლებმაც 463 წელს პუნი აკაცირების ტომები დაამარცხეს<sup>29</sup>.

ასე რომ, მართალია, ლ. გუმილიოვმა უარყო ცენტრალური აზიიდან 448 წელს უშავნების წამოსვლა, მაგრამ პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტი მოთხრობილი ამბავი 463 წელს აღმოავლეთ ევროპაში ხალხთა მოსვლის შესახებ მაინც ისტორიულ რეალობად მიიჩნია. ასევე, იგი, მართალია, ავარების „ჭეშმარიტ“ და „ფსევდო“ ავარებად დაყოფის საკითხესაც იზიარებს, მაგრამ 460 წლისათვის „ჭეშმარიტი ავარების“ აღმოსავლეთ ევროპაში მოსვლა მის შრომიდან ზემომოტანილ ციტატაში არ იგულისხმება. რაც მთავარია, 460 წლისათვის საბირებს იგი კვლავ დასავლეთ ციმბირში – ტაიგისა და ველის საზღვარზე მყოფად მიიჩნევს. ლ. გუმილიოვის თანახმად, მართალია, საბირებმა დასავლეთისაკენ გადმოინაცვლეს და ადგილიდან დაძრეს უგორული ტომები<sup>30</sup> (სარაგურები, უროგები, ონოგურები), მაგრამ თვითონ ამ დროს აღმოსავლეთ ევროპაში არ გადმოსულან და კვლავ დასავლეთ ციმბირში უნდა გაეგრძელებინათ მომთაბარეობა<sup>31</sup>.

დასავლეთი ციმბირიდან უგორული ტომების აღმოსავლეთ ევროპისაკენ მოძრაობის შესახებ მსგავსი მოსაზრებისაა მ. არტამონოვი. როგორც იგი წერს, „სარაგურები და ონოგურები, ისევე როგორც მათი გამომძევებელი საბირები, გამოვიდნენ ერთიდაიგივე გარემოდან, განიცადეს მეტად თუ ნაკლებად ძლიერი თურქიზაცია უგორული (უგრული) გარემოსაგან. ისინი წარმოადგენდნენ პუნქტის მიერ ამოძრავებული აზიელ მომთაბარეების ახალ ტალღას, რომლებიც [პუნქტის შემოსევიდან] ასი წლის შემდეგ შეესინ აღმოსავლეთ ევროპის ველებს<sup>32</sup>.“

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მ. არტამონოვს ავიწყდება თავისივე მტკიცება საბირების ას. წ. II ს-ში აღმოსავლეთ ევროპაში ყოფნის შესახებ და ამჯერად, საბირებს სხვა უგორული მოდგმის ხალხთან ერთად, აღმოსავლეთ ევროპაში პუნქტის მოსვლიდან 100 წლის შემდეგ, კ. ი. V ს. 70-იან წლებში მოსულებად თვლის.

ახლა კვლავ საბირების საკითხს დაკუბრუნდეთ. როგორც ლ. გუმილიოვის შრომიდან ზემომოტანილ ციტატაშია აღნიშნული, 460 წლისათვის საბირები კვლავ დასავლეთ ციმბირში დარჩნენ და იქ გააგრძელეს მომთაბარეობა, მათ

მიერ გამოდევნილ უგორული მოდგმის ხალხთან ერთად (თუკი ასეთი გამოდევნა, მართლაც, მოხდა). ისინი ევროპაში არ გამოჩენილან. დასავლეთ ციმბირიდან მათ ასამოძრავებლად, რათა მათ თავიანთი სამომთაბარეო ტერიტორიები დაეტოვებინათ და აღმოსავლეთ ევროპაში გადმოსულიყვნენ, საჭირო იყო მათვის ახალი დარტყმა მიეყენებინათ. ვფიქრობ, საბირებისათვის ასეთი ბიძის მიმცემი უნდა ყოფილიყო უუჯანთა კაგანის გამარჯვებები ალტაის დასავლეთით. ასეთი გამარჯვებები უუჯანთა კაგანმა V ს. დასასრულს მოიპოვა. „აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე გამოჩენილი გურის ტომები, – წერს ა. ბერნშტამი, – თავიანთი სხვადასხვა ატრიბუტიანი პრეფიქსებით („კუტ“-ბედნიერი, „ონ“ ათი, „უტ“-ცეცხლი ან ბალახი, „სარი“ – ყვითელი) იყვნენ V ს. ბოლოს (492 წ.) ალტაის დასავლეთით უუჯანთა კაგანის დუელინისა და მისი ბიძის ნაგაის მიერ დამარცხებული უიგურების ურდოები. ამ დროიდან უიგურები (ჩინურად გაო გიუი) რამდენიმე ნაწილად დაიყვნენ. ერთმა ნაწილმა დასავლეთისაკენ განაგრძო მომთაბარეობა. მათ დამოუკიდებლობას ჰუნების განადგურების შემდეგ მიაღწიეს, როცა აღმოსავლეთ ევროპის ველებში ცალკეულ ტომთა გაერთიანებები შემოდიან“<sup>33</sup>.

როგორც ვხედავთ, ა. ბერნშტამი უგორული ტომების აღმოსავლეთ ევროპისაკენ მოძრაობას 492 წლით ათარიღებს. ვფიქრობ, ეს თარიღი რეალურად უნდა შეესაბამებოდეს დასავლეთ ციმბირიდან საბირების წამოსვლის დროს. ალტაის დასავლეთით დამარცხებული ხალხების მოძრაობის შედეგად საბირებს მდ. ვოლგა VI ს. დასაწყისში უნდა გადმოელახათ და ჩრდილო კავკასიის ველებზე გამოჩენილიყვნენ (ალბათ, ამ დროს საბირების გარდა სხვა უგორული მოდგმის ტომებიც უნდა გადმოსულიყვნენ დასავლეთი ციმბირიდან). აღმოსავლეთ ევროპაში ეს საბირთა პირველი გამოჩენაა. მანამდე მათი დასავლეთისაკენ მოძრაობა ციმბირის დასავლეთ ველებს არ გამოსცილებია.

VI ს. დასაწყისში კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე ველებზე და ჩრდილო კავკასიაში, დასავლეთ ცმიბირიდან ახლად მოსული უგორული ტომები თავისი შედგენილობით მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყვნენ. რის გამოც, VI ს-ის დასაწყისში მათში ჯერ კიდევ არ იყო ისეთი სიძლიერის ცალკეული ტომი, რომელიც მათ გააერთიანებდა და სათავეში ჩაუდგებოდა, სახელს მისცემდა ახალ გაერთიანებას. სწორედ აღნიშნულით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, 504 (თუ 505) წელს, როგორც ჩანს, ბიზანტიულთა წაქეზებით ამიერკავკასიასა და წინააზიაში შემოქრიდი ხალხი, რომლებმაც ირანის შაჰს კავად I-ს ბიზანტიულთა წინააღმდეგ წარმატებით დაწყებული ბრძოლები შეაწყვეტინა, საისტორიო წყაროებში კრებითი სახელით – საერთოდ ჰუნებად რომ იწოდებიან.

ასეთი მსჯელობის საფუძველს მაძლევს თვით იმდროინდელი ბიზანტიული ისტორიკოსის პროკოპიოს კესარიელის ცნობა. როგორც ზემოთ ვაჩვენე, მან კარგად იცის, სად ცხოვრობდნენ საბირები. მაგრამ, როცა ირანის შაჰის – კავადის ჩარდილოელ მტრებზე წერს, 504/505 წლებისათვის მათ საკუთარი სახელით არ იხსენიებს. ამ მხრივ სამართლიანდ მიუთითა მ. არტამონოვმა. „პროკოპიოს კესარიელი, – წერს იგი, – გადმოგვცემს იმ ხანგრძლივი ბრძოლების შესახებ, რომლებსაც ირანის შაჰი კავადი აწარმოებდა თავისი სახელმწიფოს ჩრდილო ოლქებში, მაგრამ ვისთან იბრძოდა იგი, არ ასახელებს“<sup>34</sup>.

დასავლეთი ციმბირიდან და შუა აზიიდან ჩრდილო კაკასიაში გადმოსულ ხალხებს შორის საბირები რომ დაწინაურებულიყვნენ და ტომთა ახალ გაერთიანებას ჩასდგომიდნენ სათავეში, ალბათ, სულ ცოტა 10/15 წელი დასჭირდებოდა, და, მართლაც, VI ს. დასაწყისში (უფრო სწორად V ს. დასასრულს) აღმოსავლეთ ევროპაში მოსულმა საბირებმა მხოლოდ 515 წლისათვის შეძლეს კავკასიის ჩრდილოეთით ჰუნურ-თურქულ-უგორული ტომების ძლიერი გაერთიანების შექმნა და

მათ სათავეში მოქცევა. ახალი გაერთიანება ამიერიდან საბირთა სახელით გამოჩნდა ისტორიის ასპარეზზე. ამ ხანაში ამიერკავკასიაში მათი ლაშქრობაც საბირთა სახელით აისახა საისტორიო წყაროებში. ამ დროიდან ძველი ისტორიკოსები გარკვევით მიუთითებენ, ეს ხალხი რომ ჰუნი საბირები იყვნენ. თუმცა VI ს. ქრონიკი კომიტი მარცელინუსი 515 წლის ქვეშ სომხეთზე გავლით კაპადოკიაში მისული მომთაბარეების სახელად ისევ ზოგად სახელს – „ჰუნის“ ხმარობს<sup>35</sup>.

ამრიგად: ძველი ბერძენი გეოგრაფოსის პტოლემაიოსის გეოგრაფიაში მოხსენიებული სავარების საბირებად მიჩნევა და ერთ-ერთ სლავურ ტომთან – სევერიანებთან მათი გაიგივების გამო, რუსულ სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში გატარებული აზრი, თითქოს, ჰუნი საბირები ახ. წ. II ს-ში უკავ აღმოსავლეთ ევროპაში იყვნენ მოსულნი, მცდარია.

V ს. ბიზანტიიელი ავტორის პრისკოს პანიელის 24-ე ფრაგმენტში მოთხოვნილი ამბავი დაახლ. 463 წელს ავართა დაწოლით აღმოსავლეთ ციმბირიდან ხალხთა გადაადგილების შესახებ, გვიანდელი ჩანამატი ჩანს, და იგი ერთი საუკუნის შემდეგ, დაახლოებით 555 წელს მომხდარ ამბებს ასახავს. ასევე, 463 წელს საბირები არ მოსულან აღმოსავლეთ ევროპაში და ისინი დასავლეთ ციმბირში რჩებოდნენ დაახლოებით 492 წლამდე.

საბირების პირველი ტალღები, სხვა უგორულ ტომებთან ერთად, ჩრდილო კავკასიასა და კასპიისპირეთის დასავლეთით მდებარე ველებზე V ს. დასასრულს და VI ს-ის დამდეგს უნდა გამოჩენილიყვნენ. ახლად მოსულ უგორულ და შეიძლება ჰუნურ ხალხებში საბირებმა მხოლოდ 515 წლისათვის შეძლეს დაწინაურება, სათავეში ჩაუდგნენ ახალ გაერთიანებას და მას საკუთარი სახელი მისცეს. ამ დროიდან ბიზანტიელი ავტორები მათ „ჰუნი საბირების“ – „თურქების“ სახელით იცნობენ და ხშირად აფიქსირებენ მათ მონაწილეობას ირან-ბიზანტიიის ომებში, რაზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

\* \* \*

VI ს. დამდეგს ბიზანტიასა და ირანს შორის ომი წინა აზიასა და ამიერკავკასიაში გასაბატონებლად ახალი ძალით გაჩადდა. ერთხანს ირანელებმა წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ ომის დროს ჩრდილო კავკასიოდან ჰუნების შემოჭრამ ირანის შაჰი კავად I (488 – 531) აიძულა ბიზანტიასთან ზავი დაედო და ქვენის ჩრდილოეთი საზღვრებისათვის მიეხედა. გამოთქმული მოსაზრებით, კავადის მეფობაში, დაახლ. 504/505 წლებში ამიერკავკასიასა და წინა აზიაში შემოჭრილი ჰუნები საბირები უნდა ყოფილიყვნენ (ისტორიული წყაროებიდან არა ჩანს, ვინ იყვნენ ეს ჰუნები. ძველი ავტორები საბირების ამიერკავკასიაში პირველ შემოჭრას მხოლოდ 515/16 წლების ქვეშ აღნიშნავენ<sup>36</sup>). იმასაც ვარაუდობენ, რომ ეს ჰუნები ბიზანტიის გაქტებით უნდა დასხმოდნენ თავს ირანელთა პროვინციებს. ფაქტი ერთია, – ჰუნთა ამ ლაშქრობის გამო, ირანელებმა ომის გაგრძელება ვეღარ შეძლეს. იმ დროიდან ირანის ხელისუფალთა წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დადგა ჩრდილოეთის საზღვრების გამაგრების საკითხი. ბიზანტიასთან 505 (6) წელს ზავის დადების შემდეგ, ირანის შაჰი კავად I-ს და მის ძეს ხოსრო I-ს საგანგებოდ რომ გაუმაგრებიათ კავკასიონის გადმოსასვლელები, ამის შესახებ ცნობები გვაქვს, როგორც ძველ ქართულ ("მოქცევა ქართლისად"), ისე არაბულ (ალ-ბალაზური, ალ-ფაკიზი) წყაროებში<sup>37</sup>.

ამიერკავკასიაში პოზიციების გამყარების შემდეგ ირანის შაჰმა კავადმა, 510 წელს ალბანეთის მეფის ვაჩაგან III-ის გარდაცვალების შემდეგ, ალბანეთში მეფობა გააუქმა. ცოტა ხნის შემდეგ, იგივე ბედი ეწია ქართლის სამეფოსაც. რაც შეეხება ირანის კუთვნილ სომხეთს, იქ მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ 428 წელს იქნა მოსპობილი. კავად I-მა, იგრძნო თუ არა თავი მყარად

ამიერკავკასიაში, ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყო – 523 წელს ქართლის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გამგებელს გურგენს ცეცხლთაყვანისმცემლობაზე გადასვლა მოსთხოვა. გურგენი აჯანყდა, მაგრამ აჯანყება მარცხით დამთავრდა. 527 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დაწყებულ ომში, როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ჰუნმა საბირებმაც მიიღეს მონაწილეობა. ამჯერად მათი დაქირავება-მოსყიდვა ირანელებმა მოახერხეს. VI ს. სირიელი ისტორიკოსის ზაქარია რიტორის ცნობით, კავად I-ს სპეციალურად გაუგზავნია კაცი ჩრდილო კავკასიაში ჰუნების დასაქირავებლად<sup>38</sup>. როგორც ნ. პიგულევსკაია წერს, ირანელთა მიერ დაქირავებული ჰუნები ”უძველად კასპიისპირეთის ოლქში სახლობდნენ, რადგან პროკოპიოს კესარიელი ამბობს, რომ ესენი საბირების ჰუნები იყვნენო”<sup>39</sup>. ირანელთა მიერ დაქირავებული ჰუნები საბირებად მიაჩნია ი. პულაკოვსკისაც<sup>40</sup>.

თუ ბიზანტია-ირანის 527 – 532 წლების ომში საბირები მარტო ირანის მხარეზე ჩანან და ბრძოლებში მათი მონაწილეობის შესახებ ნაკლები ვიციო, სამაგიეროდ, ბიზანტიასა და ირანს შორის მიმდინარე 540 – 562 წლების ომში დაქირავებული ჰუნი საბირების მონაწილეობის შესახებ მრავლად გვაწვდიან ცნობებს: პროკოპიოს კესარიელი, მენანდრე პროტიქტორი, თეოფანე უამთააღმწერელი, ელიშე და სხვანი. საბირთა დაქირავებულ ლაშქარს ისინი ხან ირანელთა, ხან კი ბიზანტიელთა მხარეზე ასახელებენ. საბირები, როგორც ჩანს, გარდა იმისა, რომ მამაცი მეომრები იყვნენ, მათ კარგი შეიარაღებაც ჰქონდათ.

ასე რომ, 540 – 562 წლების ირან-ბიზანტიის ომის მიმდინარეობისას ეგრისის ტერიტორიაზე ქართლელებისა და ეგრისელების მხარდამსარ იბრძოდნენ დასავლეთი ციმბირიდან გამოსული ჰუნი საბირები, რომელთაც იმ ხანად ჩრდილო კავკასიაში, კასპიის ზღვის დასავლეთით ჰქონდათ შექმნილი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება.

საბირთა ურთიერთობა ქართლ-ეგრისთან, რა თქმა უნდა, აღნიშნულით არ ამოიწურება. მათი გაერთიანება 558 წელს, მართალია, აღმოსავლეთ ევროპაში შემოჭრილმა ავარებმა დაამარცხეს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ავარები ჩრდილო კავკასიაში დიდხანს არ დარჩენილან. მათ უკან მოსდევდათ აღმოსავლეთი ციმბირიდან მათი გამომძევებლები – თურქები. ამიტომ ჩრდილო კავკასიიდან ავარებმა გზა დასავლეთი ევროპის ელებისაგენ განაგრძეს. შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლეს საბირებმა და მათმა გაერთიანებამ თურქების მიერ ჩრდილო კავკასიის დაპყრობამდე გააგრძელა არსებობა. აღნიშნულით უნდა აიხსნას, თეოფანე ბიზანტიელი საბირებს 571 წელს აჯანყებული სომხების წინააღმდეგ მებრძოლ ირანელთა ლაშქარში რომ ასახელებს<sup>41</sup>. 576 წლისათვის კი მენანდრე პროტიქტორი მათ ალბანეთში გადმოსახლებულად იხსენიებს<sup>42</sup>.

ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე ხაზართა სახელმწიფოს შექმნისას (დაახლ. 651 წ.), მართალია, იქ საბირთა დამოუკიდებელი გაერთიანება აღარ ჩანს, მაგრამ თვით ჩრდილო კავკასიაში მდ. კუმის ქვემო დინებაზე და ალბანეთში მდ. მტკვრის სანაპიროზე საბირთა ეთნიკური ელემენტი არსებობასა და ცხოვრებას განაგრძობდა. ნ. პიგულევსკაიას ვარაუდით, VI ს-ში საბირთა რაოდენობა დაახლოებით 100 ათასამდე უნდა ყოფილიყო<sup>43</sup>. ეს რიცხვი საკმაოდ დიდია მოსული ხალხისათვის. ალბათ, საბირთა მრავალრიცხოვნებამ განაპირობა, მათ კავკასიის ზოგიერთი ხალხის ეთნიკური ტიპის ჩამოყალიბებაზე და ეთნოგრებზე კვალი რომ დააჩნიეს.

## თავი VI. ხაზარები ჩრდილო კავკასიაში

### § 1. ხაზართა პაბანატი. ხაზართა ისტორიის შესწავლა

ხაზართა კაგანატი შუა საუკუნეების ევრაზიაში არსებულ პუნქტ-თურქულ გაერთიანებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სიძლიერის ხანაში ხაზართა მიერ შექმნილი სახელმწიფო მოიცავდა ჩრდილო კავკასიისა და სამხრეთ უარლისპირეთის ველებს, აღმოსავლეთ ყირიმს, ვოლგისპირეთის, დონისპირეთის, აზოვისპირეთის ტერიტორიებს. ხაზართა ამ უზარმაზარ იმპერიაში სხვადასხვა წარმოშობისა და განსხვავებული კულტურის, სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხები შედიოდა. ძირითადად ესენი იყვნენ: პუნქტ-თურქული მოდგმის ბოლგარები და სხვანი, ფინო-უგორული მოდგმის მადიარები, საბირები, ასევე სლავები, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები აბორიგენი ხალხების წარმომადგენლები და სარმატული მოდგმის ალანები<sup>1</sup>. ეს ხალხები ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ. ხაზართა ქვეშევრდომები იყვნენ: მომთაბარეები და ნახევრად მომთაბარეები, მიწათმოქმედნი, ასევე ისეთი მოსახლეობა, რომელიც მისდევდა ოუზჭერას, მონადირეობასა და შემგროვებლურ მეურნეობას. ხაზართა კაგანატში იყო მნიშვნელოვანი ქალაქური მოსახლეობა, რომელიც შედგებოდა ადგილობრივი ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან. კაგანატის ტერიტორიაზე სამართალი ხორციელდებოდა: წარმართული, ქრისტიანული, მუსლიმური და ებრაული კანონმდებლობით. ხაზართა კაგანატი მძლავრი სამხედრო პოტენციალის კონგლომერატი იყო.

თავისი არსებობის დაახლოებით 300 წლის მანძილზე ხაზართა კაგანატმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპის, განსაკუთრებით რუსეთისა და ადრინდელი უნგრელების ისტორიაში. იგი იყო ფარი, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის ხალხები დაიცვა ომეიდების ხანის არაბთა სახალიფოს ექსპანსიისაგან. ხაზარებმა შეაკავეს უძლეველი არაბული არმიების შემოტევები, არმიებისა, რომელთაც მეთაურობდნენ ისეთი სარდლები, რომელა სახელის გაგონებაზეც კი, სხვა ხალხები კანკალებდნენ. მნიშვნელოვანი იყო კაგანატის როლი ბიზანტიისათვისაც. არაბთა სახალიფოს ომი ხაზარებთან, ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრებიდან არაბთა დიდ ბალებს იზიდავდა. რის გამოც, იმ ხანებში, როცა სახალიფო ხაზარებთან ომობდა, ბიზანტიას არაბებთან ომში გარკვეული უპირატესობა პქონდა<sup>2</sup>.

სახალიფოს ომი ხაზართა კაგანატთან, ძირითადად ამიერკავკასიის ქვეყნებში გასაბატონებლად წარმოებდა. თვით ქართლის სახელმწიფოს კი ჩრდილოელ მეზობელთან, მისი არსებობის მთელ მანძილზე (დაახლ. 650 წლიდან – X ს. ბოლომდე. X ს. 60-იან წლებში კიევის დიდი მთავრის სვიატოსლავ იგორის ძის ხაზარეთში ლაშქრობების შემდეგ ხაზართა კაგანატმა არსებობა შეწყვიტა<sup>3</sup> მტრულთან ერთად კეთილმეზობლური ურთიერთობაც პქონდა. სამწუხაროდ, ამ ურთიერთობის შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები მეტად მწირია. წყაროებში ფრაგმენტული და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგოა ცნობები თვით ხაზართა კაგანატსა და ხაზარებზე. რაც არის, ისიც ძირითადად ამიერკავკასიაში მათ ლაშქრობებსა და არაბებთან ბრძოლებს ასახავს. თუმცა, იმ იმპერიის შესახებ, რომელიც VII – X საუკუნეებში არსებობდა და ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, წყაროებში უფრო მეტი მასალა უნდა ყოფილიყო. ხაზართა კაგანატისა და ხაზართა შესახებ ჩვენ დღეს რომ ასე მცირე ვიცით, ამის მიზეზი ისაა, რომ ხაზართა მიერ დაპყრობილი ხალხებიდან იმ ხანად არცერთს საკუთარი

საისტორიო მწერლობა არ ჰქონდა. ხაზართა შესახებ ძირითადად ძველი ქართული, სომხური, ბიზანტიური, არაბული, სირიული და რუსული წყაროები მოგვითხრობენ. სწორედ ამ წყაროთა ფრაგმენტულმა ხასიათმა განაპირობა, საკამათო რომ იყო და გარკვეულწილად დღესაც გადაუწყვეტელია: ხაზართა კაგანატის წარმოქმნის, კულტურის, მისი ძველი ადმინისტრაციული ცენტრების ადგილმდებარეობის, ხაზართა ანთროპოლოგიური სახის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მმართველთა ვინაობისა და სხვა მრავალი საკითხი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, დღემდე დანამდვილებით გარკვეული არაა, საიდან მოვიდნენ ხაზარები, სად დამკვიდრდნენ პირველად და როგორი ცხოვრების წესი ჰქონდათ<sup>4</sup>. მაგრამ, აღნიშნული იმას არ ნიშნავს, ხაზართა ისტორიის შესწავლას ყურადღება არ ექცეოდა. ხაზართა ისტორიით არაერთი რუსი, ქართველი, ებრაელი, აზერბაიჯანელი, ხრდილოკავკასიელი და ევროპელი ისტორიკოსი იყო დაინტერესებული. ინტერესი დღესაც დიდია – როგორც თანამედროვე მკვლევარი პიტერ გოლდენი წერს, ჯერ კიდევ 1963 წელს ბერნარდ ვაინრიბის მიერ შედგენილი ხაზართა ისტორიის ამსახველი ბიბლიოგრაფია 550 დასახელებას შეიცავდა<sup>5</sup>. რაც შეეხება ახალ ლიტერატურას, ამ მხრივ უნდა აღინიშნოს 1983 წელს გამოცემული მ. მაგომედოვის მონოგრაფია („Образование Хазарского каганата“). წიგნის შესავალში („История изучения и источники“, გვ. 7 – 25) ავტორს მითითებული აქვს იმ დროისათვის არსებული ლიტერატურა.

ხაზართა ისტორიისათვის საინტერესოა 2005 წელს გამოცემული კრებული „Хазары“. ეს კრებული გამოიცა სერიით „Еврей и славяне“, თ. 16. ტომი შეიცავს ხაზარებისადმი მიძღვნილი ორი საერთაშორისო კოლოკვიუმის მასალებს. როგორც ტომის რედაკტორები წერს, პირველი კოლოკვიუმი შესდგა 1999 წლის მაისში, იერუსალიმში, ბენ-ცვის ინსტიტუტში და მოხსენებებში პრაქტიკულად აისახა ხაზართა კაგანატის ისტორიისადმი მიძღვნილ პრობლემათა მთელი სპექტრი.

2005 წელს გამოქვეყნებული კრებული „Хазары“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში 1999 წელს იერუსალიმში გამართული კოლოკვიუმის მასალებია შეტანილი, ხოლო მეორეში – 2002 წელს მოსკოვში ჩატარებული IX საერთაშორისო კონფერენციისა (ეს კონფერენცია „ხაზართა პროექტის“ მხარდაჭერით ჩატარდა და ძირითადად პირველი კოლოკვიუმის პრობლემატიკა იქნა განხილული)<sup>6</sup>.

დასახელებულ კრებულში გამოქვეყნებული გამოკვლევებიდან პიტერ გოლდენის წერილი „Достижения и перспективы хазарских исследований“, როგორც სათაურიდან ჩანს, სწორედ ხაზართა ისტორიის შესწავლას ეძღვნება. პ. გოლდენი პირველ რიგში განიხილავს უნგრულ სკოლას და აღნიშნავს, რომ უნგრელი მეცნიერები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი იმ დროის ხაზარების ენით, როცა ისინი ჯერ კიდევ სტეპებში ცხოვრობდნენ. მათი დასკვნით, ხაზარული ენა უნგრულის მსგავსი უნდა ყოფილიყო<sup>7</sup>.

იქვე პ. გოლდენი ცდილობს ეთნონიმ „ხაზარის“ წარმომავლობა გაარკვიოს. მისი სიტყვით, ეთნონიმის სახელი ოღუზი (Oguz), ტერმინ ოღუზის ოგურულ-ბულგარული ფორმაა და თავდაპირველად ტომს („племя“) ან ნათესაობას („родня“) აღნიშნავდა. რაც შეეხება ეთნონიმ ხაზარის (Qazar) სახელის წარმომავლობას, უნგრელი მეცნიერი დ. ნემცი, ისე როგორც ადრე გომბოცი, მას უკავშირებს თურქულ სიტყვას qaz, რაც ხეტიალს, წანწალს (бродить, სკითახს) ნიშნავს (შდრ. Qazaq – კაზაკი) და იგი საერთო თურქულ kezის ვარიანტი შეიძლება იყოს. როგორც პ. გოლდენი წერს, იგი ეთანხმებოდა

სახელ „ხაზარის“ ნემეტისულ განმარტებას, რადგან ამ ხალხს, მართლაც, ცხოვრების მომთაბარე წესი ჰქონდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა უიგურთა იმპერიის (744 – 840 წწ.) შესახებ ფრაგმენტული წარწერები და მათში ჩანს ტომის სახელი Qazar, ამან ახალი პიპოთეზის წარმოქმნას შეუწყო ხელი. სხვათა აზრით, სახელი „ხაზარი“ მომდინარეობს თურქული სიტყვიდან qaz (ტანჯვა, წამება, დაჩაგვრა), ზოგის აზრით კი, სახელი „ხაზარი“ რომაულ ტიტულს Caesar, Kesar-ს უნდა უკავშირდებოდეს<sup>8</sup>.

ასე რომ, პ. გოლდენის მსჯელობიდან გამომდინარე, როგორც მადიართა ძველი სახელის (Oguz-ის) დაკავშირება ოღუზთან, ისე ეთნონიმ ხაზარის წარმომავლობის შესახებ, ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერთა შორის, ჯერ კიდევ აზრთა სხვადასხვაობაა.

ამის შემდეგ პ. გოლდენი აანალიზებს საკითხს „Русская историография и хазарский вопрос“ (გვ. 34-დან). გამოკლევის ამ ნაწილში, როგორც პ. გოლდენი წერს, საინტერესოა რუსეთში მცხოვრები, წარმოშობით ებრაელი ისტორიკოსების ცდა მიეკვლიათ ძველი რუსეთის კულტურაზე ხაზართა მეშვეობით ებრაული კულტურის გავლენის კვალი. უფრო გვიან ამ საკითხს რამდენიმე არაებრაელმა ისტორიკოსმაც მიუძღვნა გამოკვლევა<sup>9</sup>, – დასძენს იგი.

პ. გოლდენი იქვე განიხილავს და მაღალ შეფასებას აძლევს უკრაინელი აღმოსავლეთმცოდნის A. E. Крымский (1870 – 1942 წწ.) ნაშრომს „Введение в историю хазар“, რომელიც 1941 წელს გამოქვეყნდა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. შემდეგ ეხება მ. არტამონოვისა და ლ. გუმილიოვის ნაშრომებს, რომლებიც ამ გამოკვლევის ძირითად საყრდენ მონოგრაფიებად მიმაჩნია, ამიტომ მათზე ქვემოთ ცალკე ვისაუბრებ.

ზემოდასახელებულ კრებულში გამოქვეყნებული გამოკვლევებიდან ასევე უნდა აღვნიშნო, როგორც კრებულში არაერთხელაა ნათქვამი, ცნობილი ხაზაროლოგის ს. პლეტნიოვას წერილი – „Хазары и Хазарский каганат“. სამწუხაროდ, კრებულში შესული გამოკვლევებიდან არცერთი არ ეხება ამიერკავკასიის ხალხებთან ხაზარების ურთიერთობას. ამიტომ კრებულში მოთავსებულ გამოკვლევათა შესახებ აქ ვწყვეტ საუბარს. ზოგიერთ მათგანში არსებულ ჩემთვის საინტერესო აზრს ცალკე შევეხები.

ხაზართა ეთნიკური წარმომავლობისა და ხაზართა კაგანატის ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მ. არტამონოვის გამოკვლევებმა. მან ჯერ კიდევ 1937 წელს გამოსცა ხაზართა ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფია<sup>10</sup>. 1962 წელს გამოქვეყნდა ამ მონოგრაფიის გადამუშავებული, ვრცელი ვარიანტი<sup>11</sup>. ამ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ხაზართა ისტორიის არაერთი საკითხი ახლებული იქნა დასმული და გადაწყვეტილი. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მასში ზოგი რამ საკამათოცაა.

ხაზართა, ასევე სხვა ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი თურქების ისტორიის ცნობილი მკვლევრის ლ. გუმილიოვის ნაშრომებმა<sup>12</sup>. დასახელებულ ავტორთა გარდა უნდა აღინიშნოს: პ. კოკოვცოვის, ნ. პიგულევსკაიას, დ. დანლოპის, ლ. რიბაკოვის, ნ. მერპერტის, ს. პლეტნიოვას, ნ. ვოლკოვას, ა. გადლოს, ა. ნოვოსელცევის და სხვათა გამოკვლევები<sup>13</sup>. 1983 წელს გამოცემულ ზემოდასახელებულ მ. მაგომედოვის მონოგრაფიაში დიდალ არქეოლოგიურ და საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით შესწავლილია ხაზართა სახელმწიფოს წარმოქმნის, ზღვისპირა დადესტანში ხაზართა განსახლების საკითხი.

XX ს. 60-იანი წლებიდან დაღესტნის ზღვისპირა რაიონებში ხაზართა ნამოსახლარების შესწავლა დაიწყო ლ. გუმილიოვმა. მისი მუშაობის შედეგები

აისახა რიგ სტატიებსა და მონოგრაფიებში. ლ. გუმილიოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კასპიისპირეთში არსებულ ხაზართა დასახლებებს „გამუდმებით უტევდა ზღვის წყალი“ და ნელ-ნელა წყლით იფარებოდა „კასპიისპირეთის ნიდერლანდების“ დაბლობი, წყალი ანადგურებდა ნათესებს, ბალებს, ანგრევდა სოფლებს. მისი დასკვნით, X ს. შუახანებისათვის კასპიისპირეთში ხაზართა ტერიტორიის ორი მესამედი უკვე წლის ქვეშ იყო მოქცეული”<sup>14</sup>.

ერთი მხრივ ზღვის სტიქიის შეტევამ, ხოლო მეორე მხრივ IX საუკუნის დასასრულიდან ჩრდილო კავკასიაში პაჭანიკების გამოჩენამ არსებითად შეცვალა ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე ძალია თანაფარდობა. X ს. 60-იანი წლებიდან კი, როგორც ითქვა, ხაზართა კაგანატის სიძლიერე წელში გატეხა კიევის რუსეთის დიდი მთავრის სვიატოსლავ იგორისძის ლაშქრობებმა. მაგრამ, როგორც ს. პლეტნიოვა წერს, სვიატოსლავის ლაშქრობების შემდეგ ხაზარეთში ცხოვრება არ ჩამკვდარა, ხაზართა კაგანატის მნიშვნელოვანი ზარალი სწორედ ხაზარებისადმი კუთვნილ სტეპებში პაჭანიკების შეჭრამ მიაყენა<sup>15</sup>.

შინაგანი წინააღმდეგობებით დასუსტებულმა ხაზართა კაგანატმა ჩქარა არსებობა შეწყვიტა. ხაზარები ასიმილირებული იქნენ სხვა თურქული მოდგმის ხალხების მიერ, რომლებიც X ს-ის შემდეგ ისევ განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ შესაბამის აზიიდან.

## § 2. ხაზარები – ქართველთა მეზობლები. ხაზარების ეთნიკური კუთვნილებისა და მნის პრობლემა

ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე არსებული ხაზართა კაგანატი ქართლის სახელმწიფოს, როგორც ითქვა, თითქმის 300 წელი მეზობლებდა. ამიტომ, ამ დროის მანძილზე, ქართლის სახელმწიფოს ხაზართა კაგანატთან რადგან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა, თავისთავად ისმება კითხვა: ამ ორი მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობა მხოლოდ 300-წლიანი მონაკვეთით უნდა შემოიფარგლოს, თუ ქართველებისა და ხაზარების ურთიერთობის ფესვები, როგორც ეს ძველ ქართულ წყაროშია მითითებული, მართლა ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნის ხანიდანაა საძიებელი და მართალი არიან ის ავტორები, რომლებიც ძვ. წ. IV ს-დან საქართველოს ტერიტორიაზე ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხთა ყოფნის შესახებ მიუთითებენ?

ხაზართა შესახებ ძველი ქართული წყაროების ცნობათა ანაქრონისტულ ხასიათზე ზემოთ ვრცლად ვისაუბრე, ამიტომ მასზე აქ აღარაფერს ვიტყვი. მაგრამ ძველი ქართული წყაროს ცნობებს რომ თავი დავანებო, რუსულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრებით, ხაზარები აღმოსაველთ ევროპაში ას. წ. IV საუკუნეში ჰუნების კვალდაკვალ მოვიდნენ<sup>16</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაზარების ქართლის სამეფოსთან და საერთო, ამიერკავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის დრო გაცილებით დიდი მონაკვეთით უნდა განისაზღვროს. იგი ხაზართა სახელმწიფოს წარმოქმნამდე დაახლ. 300 წლით უკან გადაიწევს (თუ ძველი ქართული წყაროს მონაცემებს ვენდობით, მაშინ ხაზარები ჩრდილო კავკასიაში ძვ. წ. IV საუკუნიდან არსებობდნენ).

300 წელი დიდი დროა ორი ხალხის ურთიერთობის თვალსაზრისით და თუ გავიზიარებთ რუსულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებას დაახლ. 650/651 წელს ხაზართა სახელმწიფოს წარმოქმნამდე სამი საუკუნით ადრე ხაზარების აღმოსავლეთ ევროპაში ყოფნის შესახებ, მაშინ, ცხადია, მათ სამხრეთელ მეზობლებთანაც გარკვეული ურთიერთობა ექნებოდათ. ურთიერთობის გარდა, აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა მოსვლის დროის დადგნა იმიტომაცაა

საინტერესო და საჭირო, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ძველ ქართულ წყაროთა იმ ცნობების რეალურობაზე, რომლებშიც ხაზარები უძველესი დროიდან ისესენიებიან.

მოსაზრება IV ს. 70-იან წლებში აღმოსაველთ ევროპაში ჰუნების მოსვლის შემდეგ ხაზართა გამოჩენის შესახებ, რუსულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად ცნობილი რუსი ისტორიკოსის მ. არტამონოვის ფუნდამენტური ხაშრომის („История хазар“, М., 1962) გამოქვეყნების შემდეგ დამკიდრდა. დასახელებულ მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ 626 – 628 წლებში ამიერკავკასიაში თურქებთან ერთად ლაშქრობამდე, ხაზარები უკვე მოსულები იყვნენ ჩრდილო კავკასიაში. VI ს-ში იქ წარმოქმნილი ჰუნურ-თურქული გაერთიანებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი საბირთა გაერთიანება იყო, რომლის შემადგენლობაში სხვა ტომებთან ერთად ხაზარებიც უნდა ყოფილიყვნენ. თუმცა, – მითითებულია იქვე, – მთელი VI ს. პირველი ხახევრის განმავლობაში ხაზარებს თავიანთი არსებობა არაფრით არ დაუდასტურებიათ”-ო<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, მ. არტამონოვი შესაძლებლად მიიჩნევს საბირთა გაერთიანებაში ხაზარების ყოფნას, მაგრამ ასეთ თვალსაზრისს იგი ბოლომდე ვერ იცავს, რადგან ხაზარები VI ს. მეორე ნახევრამდე ისტორიის ასპარეზზე არ ჩანდნენ. ვფიქრობ, მ. არტამონოვის ეჭვი უსაფუძვლო არაა. ბიზანტიული ავტორები VI ს. დამდეგიდან ხშირად გადმოგვცემენ ცნობებს საბირთა შესახებ, მაგრამ ხაზარებზე არაფერს წერენ.

მ. არტამონოვის მოსაზრება საბირთა გაერთიანებაში ხაზარების ყოფნის შესახებ, საეჭვოა. როგორც ზემოთ ვნახეთ, საბირების ჩრდილო კავკასიაში მოსვლა V ს. 90-იანი წლების დამდეგს ივარაუდება. ამიტომ, სახელმწიფოს შექმნამდე 300 წლით ადრე ხაზართა ყოფნა ჩრდილო კავკასიაში გამორიცხულია<sup>3</sup>. თუმცა, ასეთ თვალსაზრისს შემდეგი გარემოება ეწინააღმდეგება. საქმე ისაა, რომ მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ ხაზარები საბირების მონათესავე ხალხად არიან მიჩნეულნი. უფრო მეტიც, ცნობილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის ვ. ბარტოლდის თანახმად, „საბირები შემდეგში ხაზარებად წოდებული ხალხი იყო“<sup>4</sup>.

როგორც ხაზარები, ისე საბირები, მართალია, ორივე ურალსიქითა მხრიდან იყვნენ მოსულნი, მაგრამ, ჩანს, ისინი ერთმანეთისაგან ისე საგრძნობლად განსხვავდებოდნენ, რომ ფრანგი მეცნიერი ედუარდ შავანი მკითხველს აფრთხილებდა – ხაზარები სხვა თურქული მოდგმის ხალხთან არ გაეიგივებინათ<sup>5</sup>. აგსტრიელ მეცნიერს ჰ. კუჩერას მოჰყავს იოსებ გენეზიუსის ცნობა, რომლის თანახმად, ბოლგარები და ხაზარები მსგავს ენაზე ლაპარაკობდნენ<sup>6</sup>. არაბი გეოგრაფის ისტაპრის ცნობით კი ხაზარებს შორის ორნაირი ხალხი იყო: ერთი – „ყარა ხაზარები“ – შავი ფერისანი იყვნენ და ინდოევ्रოპული პერსები კი თეთრი ფერისანი<sup>7</sup>. თანამედროვე მეცნიერი პიტერ გოლდენი როცა ხაზართა შესახებ ისტაპრის ცნობებს ეხება, წერს: ისტაპრის ცნობით, ხაზარული ენა არ იყო არც თურქული და არც სპარსული, არ მოგაგონებდათ რომელიმე სხვა ენას. მაგრამ, შემდეგ, თვითონვე იქვე დასძენს: ხაზარული ენა ბულგარულს ჰგავსო<sup>8</sup>.

სხვა ხაშრომში ჸ. გოლდენი შენიშნავს: ხაზარებს ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს შეიძლება ელაპარაკათ ოგურულ (ბულგარულ) ენაზე, ვიდრე საერთო თურქულზე. თუმცა ჩვენთვის ცნობილი ხაზარული ლექსიკის სიმწირე, – დასძენს იგი, – საშუალებას არ გვაძლევს, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული დასკვნა გავაკეთოთ<sup>9</sup>.

2005 წელს გამოქვეყნებულ ზემოდასახელებულ კრებულში („Хазары“) ხაზარებზე – ჸ. გოლდენის წერილებს გარდა, როგორც ითქვა, არაერთი ჩვენთვის საინტერესო გამოკვლევაა დაბეჭდილი. ასე მაგ, „უნგრელი მეცნიერის

მარსელ ერდელის გამოკვლევა სპეციალურად ხაზართა ენას ეხება. ერდელის თანახმად, ყველა მეცნიერი გამოთქამს აზრს ხაზართა ენის შესახებ და მათ იმ ხალხად თვლიან, რომელიც თურქულ ენაზე საუბრობდა. ერდელის სიტყვით, ამას ადასტურებს ხაზართა თანამედროვე რამდენიმე არაბული წყარო<sup>10</sup>. მისივე შენიშვნით, ცნობილია, რომ ხაზართა სახელმწიფოში ცხოვრობდა ძალიან ბევრი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რაც დღესაც დამახასიათებელია ამ სახელმწიფოში შემავალი ტერიტორიისათვის. ეს ჯგუფები ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენაზე, რომელთაგან ზოგი, უქველია, განეკუთვნებოდა ინდოევროპულ ან კავკასიურ ენათა ოჯახს. ზუსტად რომ ვთქვა, – დასძენს შემდეგ მ. ერდელი, – სიტყვა, რომელიც ფიქსირებულია ხაზარეთში, სავალდებულო არაა მაინცდამაინც სახელმწიფოში გაბატონებული ხალხის – ხაზარების კუთვნილება იყოს<sup>11</sup>.

ამავე კრებულში ხაზარებისა და თურქების (საბირების) ურთიერთმიმართუების საკითხს ეძღვნება ასევე ტ. კალინინას გამოკვლევა („ალ-ხაზარ ი ათ-თურ ვ დის ალ-ხაზარ“). მისი სიტყვით, ალ-მასუდისთან მხოლოდ ერთხელ მოხსენიებული ეთნონიმების: „ხაზარ“, „ხაზარან“ და საბირ-ის ეპონიმებად მიჩნევა მკვლევართა შორის კამათს იწვევს. გაურკვეველია, რომელი ეთნონიმი უნდა იყოს მოთავე, რომელმაც სახელი მისცა ამ ხალხს. შეა საუკუნეების არაბულ-სპარსულ წყაროებში ორივე ეთნონიმი ერთად გვხვდება, რაც მხოლოდ ამ ორი ხალხის სიახლოვის დამადასტურებლად შეიძლება მივიჩნიოთ. ხაზარების თურქებისადმი კუთვნილება ან მათი თურქებთან სიახლოვე გლინდება არაბი და სპარსი სწავლულების მთელი რიგი კონკრეტული მონაცემებით<sup>12</sup>.

როგორც ვხედავთ, ხაზართა ეთნიკური კუთვნილებისა და მათი ენის რაობის შესახებ თანამედროვე მეცნიერთა შორისაც ერთიანი, ჩამოყალიბებული აზრი არაა. გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდევს ხაზართა ეთნიკური კუთვნილებისა და ენის შესახებ მ. არტამონოვის მიერ გამოთქმული შეხედულებებისაგან თანამედროვე მეცნიერთა მოსაზრებანი დიდად არ განსხვავდება. ვნახოთ, რას წერდა მ. არტამონოვი 1962 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში.

მ. არტამონოვის თანახმად, ბიზანტიელი ავტორები ხაზარებს თურქებს აკუთვნებდნენ. ასევე თურქებს აკუთვნებდნენ მათ არაბი ისტორიკოსებიც. თვით ხაზარები კი თავიანთ თავს უგრების, ავარების, ლუზების, ბარსილების, ონგურების, ბოლგარებისა და საბირების ნათესავად თვლიდნენ<sup>13</sup>. ენით, – განაგრძობს იგი, – ხაზარები უახლოვდებოდნენ ბოლგარებს. „ბოლგართა ენა მსგავსია ხაზართა ენისაო“ – ამას მთელი კატეგორიულობით ამტკიცებენ არაბი ავტორები: ალ-ისტაკრი და იბნ-ჰავალი<sup>14</sup>.

ასე რომ, ხაზარები თავიანთი ენითა და წარმომავლობით ძველ ბოლგარებს უახლოვდებოდნენ. ისინი ძველ თურქულ ეთნოსად უნდა ჩავთვალოთ. მაშინ, როცა საბირები, როგორც ზემოთ ვაჩვენე, თურქიზირებული დასავლეთციმბირულ-უგორული მოდგმის ხალხი იყო.

ხაზარები და საბირები წარმომავლობით თუნდაც ნათესავები რომ ყოფილიყვნენ, ეს არ გვაძლევს საფუძველს, რათა ხაზარები საბირებთან ერთად მოხულებად მივიჩნიოთ. ძნელი დასაჯერებელია, ბიზანტიელ ავტორებს ისინი ერთმანეთისაგან ვერ გაერჩიათ. პირიქით, – როგორც არაბი, ისე ბიზანტიელი ავტორები ხაზარებს საბირებისაგან ყოველთვის განასხვავებდნენ.

IX საუკუნის არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი იაკუბი 727-728 წლებში ჩრდილო კავკასიაში დარიალის გზით არაბთა ლაშქრობის ამბავის გადმოცემისას ხაზართა ხაკანს იხსენიებს, ხოლო, როცა ჩრდილოეთიდან დარუბანდის გზით შემოჭრილი ხალხების შესახებ წერს (როცა მათ შორის ხაზარები არ იყვნენ), ამ

ხალხებს თურქებს უწოდებს, მათ წინამდლოლს კი მეფეს<sup>15</sup>. იგივე იაკუბი დარუბანდის გზით ხაზართა შემოჭრას ორცა აღწერს, უშუალოდ ხაზარებს ასახელებს<sup>16</sup>. ასევე, ბიზანტიელი ავტორი თეოფანე ჟამთააღმწერელი (გარდ. 818 წ.) 729 წელს ჩრდილო კავკასიაში არაბი სარდლის მასლამას ლაშქრობაზე თხრობისას თურქებს (საბირებს) განასხვავებს ხაზარებისაგან<sup>17</sup>.

მართლაც, დღეისათვის სპეციალისტთა შორის კამათს არ იწვევს ის, რომ ორცა ვოლგის დასავლეთი ნაპირიდან მოკიდებული მთელი ჩრდილო კავკასიის გელები მდ. დნეპრამდე თუ არა, ყირიმის ნაპირებამდე მაინც, ხაზართა კაგანატის ხელქვეით იყო, ჩრდილო კავკასიაში, დარუბანდის ჩრდილოეთით, კვლავ არსებობდა საბირთა გაერთიანება. ორგორც ს. პლეტნიოვა წერს, საბირთა გამგებელი ალფ-ილიოთუერი ალბანელი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის ცნობით, ხაზართა კაგანისაგან დამოუკიდებლად აწყობდა ლაშქრობებს, დებდა საზავო ხელშეკრულებებს. მან ცოლად შეირთო ალაბენეთის მთავრის ასული და 682 წელს გაქრისტიანდა კიდეც<sup>18</sup>. რის გამოც, ხაზართა კაგანს უკმაყოფილება გამოუთქვია<sup>19</sup>.

ასე რომ, არც საისტორიო წყაროთა მონაცემები და არც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები საფუძველს არ იძლევა ხაზარები და საბირები ერთ ხალხად მივიჩნიოთ. ერთ-ერთი, რაც მათ აახლოვებდა, იყო მათი ერთი – თურქულ-უგორული სამყაროდან წარმომავლობა. ორივე ხალხი ურალსიქითა მხრიდან იყო მოსული.

ასეთივე თვალსაზრისია გატარებული უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც პიტერ გოლდენი წერს, ხაზარები თურქები იყვნენ, მათ ასე განსაზღვრავენ: მუსლიმური, ჩინური, ბიზანტიური და ქართული წყაროები<sup>20</sup>.

### § 3. აღმოსავალით ეპროპაში ხაზართა მოსვლის დროის შესახებ წყაროთა როი ტენდენცია

აღმოსავლეთ ეპროპაში ხაზართა მოსვლის დროის გარკვევა, თითქოს, უშუალოდ უნდა იყოს დაკავშირებული ძველ საისტორიო წყაროებში მათ პირველ მოხსენიებასთან, მაგრამ, ორგორც ზემოთ ვნახეთ, ძველ წყაროთა მონაცემები ხაზართა შესახებ ანაქრონისტული ხასიათისაა. ლეონტი მროველი ხაზარებს ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნამდე იხსენიებს<sup>1</sup>, მოვსეს ხორენაცი – ირანის შაპის არდაშირ I-ის (226 – 240 წწ.) თანამედროვე სომხეთის მეფე გალარშის<sup>2</sup>, ხოლო მოვსეს კალანკატვაცი ასევე ირანის შაპის შაბურ II (309 – 379) დროს<sup>3</sup>. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს არაბულ საისტორიო წყაროებში. მაგ., ატ-ტაბარი ხაზარებზე შაბურ I-ის (240 – 274 წწ.) რომაელებთან ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით ლაპარაკობს<sup>4</sup>.

ხაზართა პირველი მოხსენიების მხრივ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს სირიულ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში. სირიელი ავტორებიდან ზაქარია რიტორი (VI ს.) ხაზარებს 555 წლის ქვეშ, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ხალხების ჩამოვლისას, ხოლო იოანე ეფესელი (VI ს.) მათ 585 წელს ახსენებს (დაწვილებით იხ. ქვემოთ). რაც შეეხება ბიზანტიურ ბერძნულებნოვან წყაროებს, მათში ხაზარების შესახებ პირველი ცნობები VII ს-ის I მეოთხედში ჩნდება. ორგორც ცნობილია, 622 – 624 წლებში ირანთან წარუმატებელმა ომმა ბიზანტიის იმპერატორი პერაკლე (610 – 641 წწ.) აიძულა სამხედრო კავშირი თურქთა დასავლეთ კაგანატთან დაედო. ამ კავშირს შედეგად მოჰყვა 627 წელს თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლის – კაგან ტუნ შეჰქუს უმცროსი ძმის – მოხო ჯაბდუსი და მისი ძის ბური შათის შემოჭრა ამიერკავკასიაში თურქთა დიდი ლაშქრით<sup>5</sup>. აი ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით

ჩნდება პირველი ცნობები ხაზარების შესახებ ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში, რომლებშიც ხაზარები და ალბათ მათი იმუამინდელი ბატონები – თურქები ზოგჯერ გაიგივებულნი არიან (საერთოდ, ამ დროიდან ბიზანტიული ავტორები ხშირად ხაზარებს თურქებად იხსენიებენ<sup>6</sup>).

ასე რომ, ხაზართა მოხსენიების მხრივ ძველ საისტორიო წყაროებში ორი – ურთიერთგამომრიცხავი ცნობა გვაქვს. სწორედ ამ გარემოებამ ძალზე გაართულა აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა მოსვლის დროის დადგენა.

ხაზართა ისტორიის ცნობილი მკაფიოდ მ. არტამონოვი, როგორც ვნახეთ, აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა მოსვლის ზუსტ დროს არ უთითებს. არაბი ავტორების მიერ 504 წლისათვის ირანის შაპის კავადის ჩრდილოელ მტრებად დასახელებული ხალხი შეიძლებოდა ხაზარებად მიგვეჩნია, მაგრამ VI ს. ბიზანტიულმა ავტორებმა (მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ უხვად მოგვითხოვდენ საბირების შესახებ), ხაზარები საერთოდ არ იციან<sup>7</sup>.

ერთი შეხედვით, მ. არტამონოვი, თითქოს, უარყოფს VI ს-ში აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა ყოფნის ფაქტს, მაგრამ 1974 წელს გამოცემულ “საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში” მოთავსებულ წერილში “Хазары” (გ. 15, გვ. 484), რადგან კვლავ მიუთითებს, ხაზარები IV ს-ში აღმოსავლეთ ევროპაში მოსული ჰუნების შემდეგ გამოჩნდნენ, როგორც ჩანს, მას VI ს-ში ხაზარები აღმოსავლეთ ევროპაში მოსულებად მიაჩნია.

მ. არტამონოვს აღმოსავლეთ ევროპაში გადმოსული ხაზარების პირველი საცხოვრისიც არა აქვს ზუსტად ლოკალიზებული. არაბი ავტორის ბალაზურის ცნობით, ხაზარები დერბენის ჩრდილოეთით, “ალ-ბარშილად” წოდებულ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, მაგრამ, – დასძენს იგი, – ჩრდილო დადესტანში ხაზართა ლოკალიზაციას არ ეწინააღმდეგება ვოლგის დელტაში ხაზართა გამოჩენა. ხაზარები და ბარსილები ხომ კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსა და კავკასიიდან ვოლგამდე მომთაბარეობდნენ<sup>8</sup>.

გარდა იმისა, რომ მ. არტამონოვის მიერ ხაზართა სამომთაბარეო ტერიტორიად დასახელებული ადგილები VI ს-ის დამდეგიდან საბირებს ეკავათ, გვიანდელი არაბი ავტორების ცნობებზე დაყრდნობით, ხაზართა მოსვლის დროსა და მათი განსახლების ადგილზე მსჯელობა მთლად რეალურ სურათს ვერ მოგვცემს. ძირითადად, სწორედ არაბულ წყაროებს ეყრდნობიან ხაზართა მოსვლის საკითხში აზერბაიჯანელი მკვლევრებიც. ასე მაგალითად, “აზერბაიჯანის ისტორიის“ I ტომის ავტორთა მტკიცებით, ხაზარები ჩრდილო კავკასიიში ჰუნებთან ერთად მოვიდნენ IV ს-ის 70-იან წლებში და უკვე „395 – 396 წლებში აზერბაიჯანს მოაწყდა ჰუნების ურდო, რომელთა შორისაც იყვნენ ჩრდილო კავკასიასა და ვოლგის ქვემო წელზე მცხოვრები ხაზარები“<sup>9</sup>.

ძველ საისტორიო წყაროებში ხაზართა პირველი მოხსენიება რადგან უშუალოდაა დაკავშირებული აღმოსავლეთ ევროპაში მათი მოსვლის დროის საკითხთან, თავისთავად ცხადია, ხაზართა პირველი მოხსენიება ამა თუ იმ წყაროში – ამ წყაროს ცნობათა რეალურობას უკავშირდება და მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ასე მაგ., პროფ. ვ. გაბაშვილი ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში როცა ეთნონიმ „თურქის“ მოხსენიების საკითხს შეეხო, აღნიშნა: „...ქართული წყაროების არც ერთი ცნობა ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება ისევე, როგორც ...სინამდვილეს არ შეესაბამება VIII – IX სს. არაბული წყაროების ცნობები ალექსანდრე მაკედონელის თურქებთან ურთიერთობის თაობაზე. ქართველ და არაბ ისტორიკოსებს თურქებთან ურთიერთობის აშკარად გვიანდელი ფაქტები და მოვლენები გადატანილი აქვთ ადრინდელ ხანაში“. „სიტყვა „თურქი“, – დასძენს იგი, – ქართულ სინამდვილეში

მხოლოდ VII – VIII საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო „„ასევე VI – VII საუკუნეებთანაა დაკავშირებული სიტყვა „ხაზარის“ გავრცელება“. „უძველეს ქართულ წყაროებში დასახელებული თურქული ტომები და ხალხები ისტორიულად მოქმედებენ VI – IX საუკუნეების საზღვრებში“<sup>10</sup>.

ლ. დავლიანიძის თანახმად, ლეონტი მროველისა და მოვსეს კალანკატვაცის „მოდვაწეობის პერიოდში ხაზართა სახელმწიფო უკვე არსებობდა. ამდენად ისიც, მსგავსად არაბულენოვანი ავტორებისა, წინა დროის ამბებს, რაც ჩრდილო კაკასიის ხალხებს უკავშირდება, ხაზარებს მიაწერს“<sup>11</sup>. გ. ანჩაბაძის დასკვნით კი, „ქართლის ცხოვრების“ ავტორები საქართველოსა და კავკასიის წარსულის აღწერისას, ცალკეულ შემთხვევებში, მათვის ნაკლებად ცნობილ ხალხების აღსანიშნავად იყენებდნენ თავისი დროისათვის, ან წერილობითი წყაროებიდან კარგად ცნობილ ეთნიკურ სახელებს. კერძოდ, ხშირია ეთნონიმ „ხაზარის“ ხმარება სხვადასხვა პერიოდში მცხოვრები და განსხვავებული წარმომავლობის ტომების აღსანიშნავად: ძვ. წ. VII – VI სს-ის ამბებთან დაკავშირებით, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ხაზარების“ პირველი ტალღა – ირანულენოვანი სკითხები არიან; ძვ. წ. უკანასკნელი და ახ. წ. პირველი საუკუნეების ამბების აღწერისას მოხსენიებული ხაზარების ქვეშ სარმატული ტომები უნდა ვიგულისხმოთ<sup>12</sup>.

პროფესორმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა საეციალური გამოკვლევა უძღვნა ძველ სომხურ წყაროებში ხაზართა მოხსენიების საკითხს. V საუკუნის სომები ისტორიკოსები, – წერს იგი, – აგათანგელოსი, ფავსტოს ბუზანდაცი, ლაზარ ფარპეცი, ელიშე არ იცნობენ ხაზარებს. მაგრამ ამავე ხაზარებს იხსენიებენ, თუ არ ჩავთვლით მოვსეს ხორენაცის, საერთოდ, VII საუკუნისა და მოძღვნო საუკუნეების სომები ისტორიკოსები და მწერლები XIII - XIV საუკუნეებამდე. ასეთებია: ანანია შირაკაცი, სებეოსი (VII ს.), მოვსეს კალანკატვაცი, ლევონდი, უხტანესი, თომა არწრუნი, სტეფანოს ტარონეცი (ასოლიკად წოდებული), კირაკოს განძაკეცი, ვარდანი და სტეფანოს ორბელიანი სიუნელი<sup>13</sup>. ლეონ მელიქსეთ-ბეგი იქვე შენიშნავს, ხაზარები (ტომი ხაზარების სახელწოდებით) რომ არ იყვნენ ცნობილი V საუკუნეში, ეს, სხვათა შორის, მტკიცდება V ს. ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდაცის მონაცემებითაც. იგი ჩამოთვლის მთიელ ტომებს, კერძოდ, ჩრდილო კავკასიელ ტომებს და ხალხებს და არ იხსენიებს ხაზარებს<sup>14</sup>. მეორე მხრივ კი, მოვსეს ხორენაცისა და მისგან დამოკიდებული XII - XIII სს. სომები ისტორიკოსებისათვის ხაზარები ცნობილი იყო VII საუკუნეებამდე ბევრად ადრე, მეფე ვალარშაკის (ძვ. წ. II ს. - გ. გ.) მეფობის ხანიდან<sup>15</sup>.

როგორც ვხედავთ, ძველ სომებ ავტორებთან ხაზართა მოხსენიების მხრივ, ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემებია. ამ შემთხვევაში, მკვდევარზეა დამოკიდებული, რომელი ავტორის მონაცემებს მიიღებს, თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, უპირატესობას ისინი ანაქრონისტულ ცნობებს ანიჭებენ.

მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე არაბულ საისტორიო წყაროებში. არაბ ავტორთა ცნობები ხშირად მიეკუთვნება იმ დროს, სანამ არაბები პირველად შეხვდებოდნენ ხაზარებს. ეს ცნობები ფელევური წყაროებიდან მომდინარე უნდა იყოს, და ისინიც ანაქრონისტული ხასიათისანი არიან<sup>16</sup>.

გვიანი ხანის არაბ ავტორებს გარდა იმისა, რომ ეჭვი არ ეპარებოდათ ჩრდილო კავკასიის მიმდებარე ველები ხაზართა განსახლების არეალი რომ იყო, მათ ხაზართა კავანი ადრე შუასაუკუნეების ერთ-ერთ უდიდეს გამგებლადაც ჰყავდათ წარმოდგენილი. ასე მაგალითად, სელჩუკიანთა ხანის (XII ს.) ისტორიკოსისა და გეოგრაფის იბნ ალ-ბალხის თხზულებაში („ფარს-ნამე“) მოთხოვთ იმის შესახებ, რომ სასანიანმა შაჰმა ხოსრო I-მა ანუშირვანმა

(531 – 579 წწ.) თავისი ტახტის მარჯვნივ, მარცხნივ და უკან ოქროს ტახტები დაადგმევინა. ამ ტახტებიდან პირველი და მეორე განკუთვნილი იყო ჩინეთისა და ბიზანტიის იმპერატორებისათვის, ხოლო მესამე – ხაზართა კაგანისათვის, თუ ისინი მასთან სტუმრად მივიდოდნენ. ეს ტახტები იდგა მუდმივად და არავის სხვას არ შეეძლო მათზე დაჯდომა<sup>17</sup>.

როგორც პ. გოლდენი წერს, გვიანდელი ავტორის თხზულებიდან ზემომოტანილ ეპიზოდში ლეგენდა დამახინჯებული სახითაა გადმოცემული. სამი ტახტიდან ერთ-ერთი ხაზართა კაგანისათვის კი არა, თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, რადგან ხოსრო I-ს ცოლად ჰყავდა თურქთა კაგანის ასული. თუმცა, მისი თქმით, მთავარი ისაა – მიუხედავად იმისა, ეს ცნობა ანაქრონისტული ხასიათისა არის თუ არა, შეა საუკუნეების ავტორის თვალში ხაზართა კაგანი თავისი დირსებით იმ დროის უდიდესი ქვეყნების იმპერატორთა თანატოლად ითვლებოდა<sup>18</sup>.

სწორედ ხაზართა კაგანატის სიძლიერე და კაგანთა ავტორიტეტი, კაგანატის დაცემის შემდეგაც გარკვეულ გავლენას ახდენდა როგორც ძველ არაბი, ისე სომები და ქართველ ავტორებზე. ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ, თავიანთ თხზულებებში ხაზარებზე ესაუბრათ, მათ ხელთ არსებულ წყაროებში ხაზარების მოუხსენებლობას ნაკლად თვლიდნენ და სხვადასხვა ეთნოსთა სახელებს „ხაზარით“ ცვლიდნენ.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ხაზართა პირველი მოხსენიების შესახებ თუ ბიზანტიელ ავტორთა მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარების მოსვლის დროის საკითხი, რაც უშეალოდაა დაკაგშირებული ძველ საისტორიო წყაროებში მათ პირველ მოხსენიებასთან, არც ისე პრობლემატური უნდა ყოფილიყო. პროფ. ვ გაბაშვილის თანახმად, ქართულ სინამდვილეში სიტყვები „თურქი“ და „ხაზარი“ ხომ მხოლოდ VII – VIII საუკუნეებში უნდა გაჩენილიყო, როცა ამ ხალხებს რეალურად გაეცნენ ქართველები. ვ. გაბაშვილის ზემომოტანილ მოსაზრებას, როგორც ვნახეთ, V სის სომები ავტორების (აგათანგელოსი, ფავსტოს ბუზანდაცი, ლაზარ ფარპეცი, ზენოვი გლაკი, ელიშე) მიერ ხაზარების მოუხსენებლობა აღასტურებს.

ძველ ქართულ, სომხურ და არაბულ წყაროებში ხაზარების მოხსენიება ას. წ. IV ს. 70-იან წლებამდე, როგორც ვნახეთ, ანაქრონიზმს წარმოადგენს. მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში პუნქტის მოსვლის (დაახლ. 375 წ.) შემდეგ ახლო ხანაში ხაზარების მოსვლა (ამის შესახებ მითითებაა საბჭოთა ისტ. ენციკლოპედიაში. იხ. ტ. 15, სტ. ხაզარი), თითქოს, ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს. მითუმეტეს, როგორც ითქვა, VI ს. სირიელი ავტორი ზაქარია რიტორი 555 წელის ქვეშ ჩრდილო კავკასიაში არსებული ხალხების ჩამოთვლისას ხაზარებსაც ახსენებს<sup>20</sup>. 585 წელს ხაზარებზე იოანე ეფასელი (VI ს.) გვაწვდის ცნობებს<sup>21</sup>, ხოლო 627 – 628 წლებში ბიზანტიელ ავტორთა ცნობებით, ხაზარები უკვე თბილისის გარემოცვაში მონაწილეობდნენ, როგორც შეა აზიდან მოსული თურქების ქვეშევრდომნი.

გამოდის, რომ ხაზარები აღმოსავლეთ ევროპაში 375 – 627/628 წლებს შორის მონაკვეთში მოსულან და როგორც რუსი ისტორიკოსები წერენ, ისინი ჯერ საბირების ქვეშევრდომები იყვნენ (თუმცა ეს წყაროებიდან არა ჩანს და არც არავინ უთითებს, საბირებმა როდის დაიმორჩილეს ხაზარები), 558 წლიდან აღმოსავლეთ ევროპაში მოსულ ავარებს დამორჩილდნენ, ხოლო 567 – 571 წლებში უკვე თურქების ქვეშევრდომობაში მოექცნენ. ასე რომ, თუ ზემოაღნიშნულს გავითვალისწინებთ, მაშინ ხაზართა მოსვლის დროის დადგენაში ერთადერთი დაბრკოლება აღმოსავლეთ ევროპაში საბირთა მოსვლის დროის გარემონა. საბირები კი, როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. თ. IV).

აღმოსავლეთ ევროპაში V საუკუნის დასასრულს უნდა მოსულიყვნებ. მეორე მხრივ, ბიზანტიულ ავტორთა თანახმად, აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარები რადგან საბირთა სახელმწიფოს წარმოქმნიდან 110 წლის გასვლის შემდეგ გამოჩნდნენ, გამოდის, რომ ბიზანტიულ ავტორთა ცნობები ყველაზე სანდო და ანგარიშგასაწევია – ხაზარები ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ გვიან მოსულან.

\* \* \*

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარების მოსვლის დროის დადგენის საქმეში ერთი წინააღმდეგობა კიდევ არსებობს. საქმე ისაა, რომ ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში 448 წლის ქვეშ და შემდგომ ხანებში იხსენიებიან ჰუნი აკაცირები, რომლებსაც მკვლევართა ნაწილი დღესაც ხაზარებთან აიგივებს. თუ ასეთი გაიგივება მისაღებია, მაშინ გამოდის, რომ 448 წლისათვის ხაზარები უკვე მოსულები იყვნენ აღმოსავლეთ ევროპაში და VI სის დამდეგს მოსულ საბირებს, მართლაც, შეეძლოთ მათი დამორჩილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაირკვეს: აკაცირები და ხაზარები, მართლაც, ერთი და იგივე ხალხი იყო თუ არა, რა საერთო აქვთ ხაზარებს აკაცირებთან. ასე რომ, ამჯერად აკაცირების ვინაობის დადგენის შემდეგ შეიძლება ვიკვლიოთ აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარების მოსვლის დროის საკითხი.

#### § 4. აკაცირების ხაზარებთან იდენტურობის საკითხი

2005 წელს გამოქვეყნებულ ხაზარებისადმი მიძღვნილ კრებულში („Хазары“) მოთავსებულ გამოკვლევაში – „Достижения и перспективы хазарских исследований“ სათანადო მასალის გაანალიზების შემდეგ პ. გოლდენი წერს: „ამრიგად, რას მივაღწიეთ ჩვენ? როგორია ფაქტებზე დაფუძნებული ჩვენი ცოდნა ხაზართა შესახებ?“ და პასუხობს: „Многие важные вопросы остаются нерешёнными. Первым и главным, еще не до конца решенным вопросом является вопрос о происхождении хазар“<sup>1</sup>.

პ. გოლდენის ნაშრომში ზემომოტანილ მოსაზრებას მოსდევს ქვეთავი – „Вопрос о происхождении хазар“, სადაც აღნიშნავს: ხაზართა წარმომავლობის შესახებ წამოყენებული იყო რამდენიმე პიპოთეზა. პირველი მათგანის თანახმად:

1) „Они происходят от 'Akátziroi или 'Akátiroi (Acatziri) Agaziri – гуннского народа V в., который упоминают Приск, Иордан и Равеннский аноним, что, вероятно, является искажением названия Aq Qazar (здесь имеются значительные филологические проблемы)

2) Они ведут свое начало от племенного союза, сформированного **огурами, сабирами и тюрками**, правящая группа которых происходит из Западнотюркского государства, как чингизиды были правящим элементом в Золотой Орде

- 3) Они сабирского происхождения и были тюркизированными уграми.
- 4) Они имеют уйгурское происхождение (Qasar).
- 5) Они происходят от эфталитов, мигрировавших на Кавказ (конец V – начало VI вв.) и создавших там союз с сабирами и другими кочевниками.

ზემომოტანილ თვალსაზრისთა შემდეგ პ. გოლდენი დასძენს, რომ იგი უფრო მეტად ემხრობა ხაზართა წარმომაბის „ოგურო-საბირულ-თურქულ თეორიას, თუმცა ყველა ვერსია რჩება გარკვეულ წილად პიპოთეზურად და ჩვენ ძალიან მცირე მყარად დადგენილი მონაცემები გვაქვს, რათა ისინი სრულად დავადასტუროთ“. რაც მთავარია, თურმე დღესაც „Время первого появления

**хазар**, которое является важным элементом этого вопроса, также остается весьма проблематичным<sup>2</sup>.

რაც შექება აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა მოხსენიების საკითხს, პ. გოლდენი წერს: „Существует некоторое количество источников, которые помещают хазар в район их проживания еще до середины VI в., но они, весьма вероятно, ахарактеричны. И Дандол, и Артамонов пришли к заключению, что хазары определенно „вышли на сцену“ ко времени правления Хосрова Ануширвана (531 – 579). Однако Цегледи достаточно уверенно утверждал, что „казары и барсилы“ пришли в каспийско-понтийские степные районы вместе с другими огурскими народами **около 463 г.** (Псевдо-Захария Ритор упоминает касиров [Kas(i)g] около 555 г., хотя это также может быть искажением названия акациров, и т. д.), а потом вместе огурскими группами и сабирами (которые пришли около 506 г.) попали в 567 г. под тюркское верховенство. Затем, по его мнению, распространились и стала известна тюркская форма их названия – хазары (Hazar)<sup>3</sup>“.

ამის შემდეგ პ. გოლდენი უნგრელი მეცნიერის ძეგლედის ზემომოტანილი მოსაზრების შესახებ წერს, რომ ის მთლიანად დაწმუნებული არაა ამ თეორიის სისწორეში. მხოლოდ ის შეუძლია თქვას, რომ სანამ ხაზარები იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირების სახით კავკასიაში გამოჩნდებოდნენ, მათზე ცოტა რამის თქმა შეიძლება. შესაძლოა, სახელი Qasar ხმარებაში შემოვიდა თურქთა დასავლეთი კაგანატისაგან მათი გამოყოფის (630 – 650 წწ.) შემდეგ, ან თავდაპირველად სიტყვა „ხაზარი“, ისევე ოოგორც შემდეგ ტერმინი Qazaq აღწერილობითი ან სოციალური ხასიათისა იყო და გვიან გახდა ეთნონიმის აღმნიშვნელი. პ. გოლდენის აზრით, მხოლოდ ისეთი ტექსტების აღმოჩენა, რომლებიც სავსებით გარკვეულად მიკუთვნებული იქნება ხაზარებისადმი, შეიძლება დაგვეხმაროს ხაზართა წარმოშობის საკითხის გადაწყვეტაში. როგორც ვნახეთ, – დასძენს პ. გოლდენი, – ხაზარული სახელები, ტიტულები და ტოპონიმები, რომლებიც გაბნეულია ჩვენს წყაროებში, უეჭველია მათ თურქულ ხასიათზე მიგვითოვებს. მართალია, ამ უკანასკრელ ხანს გამოქვეყნებულ სტატიაში მოცემულია ამ ტერმინთა ანალიზი, მაგრამ საკითხი ძირთიადად კვლავ დიად რჩება<sup>4</sup>.

პ. გოლდენის გამოკვლევიდან ზემომოტანილი ვრცელი მსჯელობა მოწმობს: 1) ხაზართა წარმოშობის შესახებ პ. გოლდენის მიერ მოტანილი ხუთი თვალსაზრისიდან არც ერთი არაა სათანადო მონაცემებით დადასტურებული;

2) ისევ პრობლემატურია აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა პირველი გამოჩენის საკითხი;

3) თანამედროვე ხაზაროლოგიაში დღემდე არავის უარყვია ცნობილი უნგრელი მეცნიერის პ. ძეგლედის მოსაზრება „კასპიისპირა და შავი ზღვის მიმდებარე სტეპებში“ „კაზარებისა და ბარსილების“, ასევე სხვა ოგურული მოდგმის ხალხთა დაახლ. 463 წელს გამოჩენის შესახებ. რაც მთავარია, ხაზართა წარმოშობის თეორიებს შორის რადგან ისევ ანგარიშგასაწევად რჩება თვალსაზრისი ხაზარების აკაციორებთან გაიგივებისა, ქვემოთ მასზე ვრცლად მექნება საუბარი. შევცდები, სათანადო მასალების მოტანის საფუძველზე ვაჩვენო, თუ როდის უნდა მოსულიყვნენ აღმოსაველთ ევროპაში ხაზართა წინაპრები და ვისგან მიიღეს ხაზარებმა სახელი.

\* \* \*

პ. არტამონოვის თანახმად, ხაზარების აკაციორებთან გაიგივების საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ რავენელი ანონიმის „გეოგრაფიაში“ (VII

ს.), ხაზარები აკაცირებთან არიან გაიგივებულნია. მაგრამ გავრილ დესტუნისმა XIX ს-ში პრისკოს პანიელის თხზულების რუსული თარგმანის გამოცემისას უარყო ასეთი გაიგივების შესაძლებლობა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, – წერდა გ. დესტუნისი, – არავის ჯერ ნათლად არ დაუსაბუთებია ხაზარები და აკაცირები რომ ერთი ხალხია. თუმცა, თითქმის, ყველა იხრება ამ პიპოთეზის სასარგებლოდ. ყველა მოსაზრება ეფუძნება ბგერების მსგავსებას. აკ-ხაზარ – თურქელად თეთრ (ხაზარს) ხალხს ნიშნავს<sup>6</sup>. როგორც მ. არტამონოვი წერს, ხაზარების აკაცირებთან გაიგივება დასავლეთ ევროპის მეცნიერთაგან უარყო ცეისმა, შემდეგ – ი. მარკვარტმა<sup>7</sup>.

მ. არტამონოვი, მართალია, მიუთითებს ხაზარების აკაცირებთან იდენტურობის საკითხი ი. მარკვარტმა რომ უარყო, მაგრამ მარკვარტის ნაშრომში არის ადგილები (მაგ. kas(i)r 'Akatsiroi Priskos)<sup>8</sup>, სადაც იგი ხაზარების აკაცირებთან გაიგივების თვალსაზრისს იზიარებს. ამიტომაა, რომ 1979 წელს გამოცემულ ნაშრომში ა. გადლო ხაზარების აკაცირებთან გაიგივებისას ი. მარკვარტსაც ეყრდნობა<sup>9</sup>.

აკაცირების ხაზარებთან გაიგივების აზრს, როგორც უცხოეთში, ისე რუსეთში დღემდე არაერთი მკვლევარი უჭერს მხარს. მაგ., ავსტრიელ მკვლევარს ჰ. კუჩერას 1940 წელს გამოცემულ სპეციალურად ხაზარების ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომში ოდნავადაც კი არ ეპარებოდა ეჭვი აკაცირებისა და ხაზარების იდენტურობის საკითხში. მისი მტკიცებით, IV ს-ის II ნახევარში ცენტრალური აზიიდან მოსული ჰუნები აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარებსაც შეხვდნენ (ე. ი. ჰ. კუჩერას ხაზარები ჰუნებზე ადრე მოსულებად მიაჩნია) და დაიმორჩილეს ისინი. რის შემდეგაც ჰუნებმა ლაშქრობა დასავლეთ ევროპისაკენ გააგრძელება<sup>10</sup>. ჰ. კუჩერას თანახმად, „Agatsiri“ არის ხაზარების ბერძნული სახელწოდება და თურქული „Agatsch-Eri“ - ხის კაცს (Baumann) ნიშნავს<sup>11</sup>.

აღნიშნულ თვალსაზრისზე დაყრდნობით, ჰ. კუჩერა პრისკოს პანიელის მიერ V ს. შუახანებში პონტოს სკვითეთში (შავი ზღვის ჩრდილოეთი) და იორდანესთან უკვე VI ს. შუახანებში, ბალტის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ვიდივარების სლავური ტომებისა და ესტების სამხრეთით მოხსენიებულ „აკაცირებს“ სიტყვა „ხაზარით“ აღნიშნავს და 463 წელს სარაგურების მიერ დამარცხებულ ხალხად სწორედ „ხაზარები“ მიაჩნია<sup>12</sup>. ჰ. კუჩერა იზიარებს გერმანელი მეცნიერის ნოიმანის აზრს იმის შესახებ, რომ ჰუნების ბელადის – ატილას უფროსი ძე ელაკი ხაზარების მმართველად იყო დადგენილი<sup>13</sup> (პრისკოსის ცნობით, ელაკი აკაცირთა ერთი ნაწილის გამგებელი იყო – გ. გ. იხ. ქვემო).

აკაცირებთან ხაზარების გაიგივების შესახებ მოსაზრება არაერთმა რუსმა მეცნიერმა გაიზიარა. „ჰუნი აკაცირები, – წერდა ა. ბერნშტამი, – ალბათ ხაზართა წინაპრები არიან“<sup>14</sup>. ნ. პიგულევსკაიამ კი ზაქარია რიტორის თხზულების რუსული თარგმანის გამოცემისას მიუთითა: ზაქარია რიტორთან „ხაზარის“ მოხსენიება არის „სახელ ხაზარის“ ერთ-ერთი პირველი ხევნება სუფთა სახით, რადგან უფრო აღრეული ხანის ბერძენი მწერლები ისხენიებენ მხოლოდ აკაცირებს. როგორც ცნობილია, – დასძენს იგი, – აკ-ხაზირ – თეთრ ხაზარს ნიშნავს<sup>15</sup>.

მსგავსი თვალსაზრისია გამოთქმული ა. გადლოს მონოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ ა. გადლო კარგად იცნობს მ. არტამონოვის იმ ნაშრომს, რომელშიც იგი უარყოფს ხაზარების აკაცირებთან გაიგივებას, მან IV – X საუკუნეების ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნიკური ისტორიისადმი მიძღვნილ

ნაშრომში აკაცირებთან ხაზარების გაიგივების საკითხს გვერდი ვერ აუარა. ა. გადლო წერს: „თანამედროვეთა ფრაგმენტული ცნობების გათვალისწინებაც ცხადჰყოფს, რომ ჰუნები არ წარმოადგენდნენ ერთიან კულტურულ-სამეურნეო ერთეულს. მათი ნაწილი ატარებდა აკაცირების (*άκαστροι*) – ტყის ხალხის (თურქულად *აგაç-er* – ტყის ადამიანი) გამომხატველ სახელწოდებას. ეს იყო ხალხთა ჯგუფები, რომლებიც აღმოსავლთ ევროპაში გადმოსვლამდე ან ტყესთან იყვნენ დაკავშირებულნი, ან მიგრაციის შემდეგ ტყიან რაიონებში იქნენ განსახლებულნი. მეორე ნაწილი, – განაგრძობს ა. გადლო, – მათგან განსახვავებით ველის ჰუნები იყვნენ“<sup>16</sup>. „ლიტერატურაში დიდი ხანია არის მცდელობა პრისკოსთან და იორდანესთან მოხსენიებული აკაცირების VII – X სს. ხაზარებთან გაიგივებისა (უთითებს ი. მარკვარტის ზემონახენებ ნაშრომს, გვ. 41) და იქვე დასძენს: „ასეთი გაიგივების სისტორებზე მიუთითებს რავენელი ანონიმი (VII ს.), რომელიც აღნიშნავს, რომ „იორდანე აკაცირებს უწოდებს იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ ხაზარებს ვეძახით“<sup>17</sup> ამის შემდეგ ა. გადლო აკაცირებაზარების საცხოვრებელ ადგილად ჩრდილო კავკასიას უთითებს. ა. გადლოსაგვთქმით, „უყბანის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ ონოგურები, რომელთაც დამორჩილებული ჰყავდათ ბულგარული ჯგუფის ტომები, ხოლო კუმის ჩრდილოეთით შეიქმნა ბარსილთა კავშირი, რომელშიც შედიოდა აკაცირების ტომის ნარჩენები – შემდგომი დროის ხაზარები“<sup>18</sup>.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ აკაცირები პრისკოს პანიელთან და იორდანესთან ხაზარების ძირითადი საცხოვრებელი ადგილებიდან ძალიან შორს – ბალტისპირეთში იხსენიებიან, ეს გარემოება ა. გადლოს ხელს არ უშლის ისინი ხაზარებად მიიჩნიოს და მათ საცხოვრებელ ადგილად ჩრდილო კავკასია ჩათვალოს.

იორდანეს მიერ დასახელებული აკაცირები რომ ბალტის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან სადღაც ახლოს იხსენებიან და ხაზართა ძირითადი ადგილსამყოფელიდან ძალიან შორს არიან, ამაში, ა. გადლოს აზრით, იორდანეცაა დამნაშავე, რადგან, მან ვერ შეძლო ზუსტად განესაზღვრა მათი განსახლების ადგილი და, როგორც ჩანს, აკაცირები აურია ჰეროდოტესთან მოხსენიებულ ძველ აგათირსებში (*Αγαθυρσοί* – აგათყრი). მათ აკუთვნებს უზარმაზარ ტერიტორიას ესტებიდან ბოლგარებამდე და მათი განსახლების ადგილი გადაჭიმულია პონტოს ზღვამდე<sup>19</sup>.

ასევე, ჰუნების ისტორიის ცნობილ გერმანელ მკვლევარს ფრანც ალტჰაიმს ეჭვი არ ეპარება, აკაცირების საცხოვრებელი ადგილის შესახებ ძველი საისტორიო წყაროთა (ამ შემთხვევაში პრისკოს პანიელისა და იორდანეს) მონაცემები რომ სწორია. არ ცდება იორდანე, – წერს იგი, როცა აკაცირებს ოკეანის სანაპიროზე მცხოვრებ აესტებისა (Aesti) და შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ბოლგარებს შორის ათავსებს. *Αγαç-äri* – „ტყის ხალხს“ (Waldleute) ნიშნავს და მათი სახელიდან ჩანს, რომ ისინი რუსეთის ტყიანი ზონის მაცხოვრებელთა სახელს ატარებდნენ<sup>20</sup>, ჰუნი აკაცირებიც ტყის ზონაში ისხდნენ<sup>21</sup>. მათ პრისკოს პანიელი „სკვითურ ეთნოსად“ („Σκυθικόν Εθνος“), ხოლო იოანე მალალა „ჰუნ აკაცირებად („Ακατιρους υννους“) მიიჩნევს. ისინი არიან „αγαç-äri“ – „Waldleute“ – ტყის ხალხი<sup>22</sup>.

რესულ ისტორიოგრაფიაში ადრე იყო ცდა, აეხსნათ როგორც სიტყვა „ხაზარის“, ისე „აკაცირის“ ეტიმოლოგია. მაგ., ი. ზაბელინის თანახმად, ირანის შაჰმა ხოსრო I-მა ჩრდილო კავკასიაში მრავალი ქალაქი ააშენა, მათ რიცხვში იყო თვით ხაზართა დედაქალაქი მდ. ვოლგაზე „ხოზარი“, საიდანაც უნდა გავრცელებულიყო ხაზარების სახელწოდება „ხოზარი“. პლინიუსის ცნობით (VI,

19), სკვითები სპარსელებს „ხორსარებს“ (хорсар) უწოდებდნენ<sup>23</sup>. მ. არტამონოვის აზრით, სახელწოდება „ხაზარი“ წარმოშობილია თურქული ძირიდან „каз“ - რაც „მომთაბარეობას“ („кочевать“) ნიშნავს<sup>24</sup>.

ძველი თურქების ისტორიის ცნობილმა რუსმა მაგლეგარმა ლ. გუმილიოვმა ეთნონიმ „აკაცირის“ ეტიმოლოგიის ახსნისას აღნიშნა: აკაცირების შესახებ ცნობების თავმოყრის შემდეგ, შესაძლებელი გახდა ამ ეთნონიმის ეტიმოლოგია შეგვერჩია. „ა“ ბერძნულში გამოითქმის როგორც „კ“, მაშასადამვ, უნდა წავიკითხოთ აკაცერი. აკა - ძველ თურქულში ნიშნავს მამაკაცთა ხაზით უფროსს, ჩერი - (čārig) - ჯარს და იგი ინდურიდან ნახესხები სიტყვაა<sup>25</sup>. ასე რომ, - დასძენს ლ. გუმილიოვი, - აკაცერი ნიშნავს „უფროს ჯარს“ („რაზმი“ - „დრუჟინა“), აქედან „უფროსი ტომი“, რომელიც ათვისებულ მიწაზე დარჩა<sup>26</sup>. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა თურქული ენების ისტორიულ-ლინგვისტიკური კლასიფიკაციის საფუძველზე ბასკაკოვიო<sup>27</sup>.

აკაცირების შესახებ საინტერესოა ი. მარკვარტის მოსაზრება. მისი მტკიცებით, იორდანესთან მოხსენიებული აკაცირების საცხოვრებელი ტერიტორიაა გვიანდელი დრევლიანების საცხოვრებელი ოლქი. სახელი Dréwljane (ტყის ხალხი - Waldleute) თავისი არსით აკაცირის მნიშვნელობის გამომხატველია, მაგრამ საქმე ისაა, რომ Dréwljane-ბი იყო სლავური წარმოშობის ხალხი, მაშინ, როცა აკაცირები თავიანთი ხასიათითა და ცხოვრების წესით აშკარად ჰუნურ-ბულგარული და სლავების ზოგიერთი ნიშნის მატარებელი იყო<sup>28</sup>.

ი. მარკვარტის, ვფიქრობ, სრულიად სამართლიანი მოსაზრება არ გაიზიარა მ. არტამონოვმა. ი. მარკვარტის პიპოთეზა, - წერს მ. არტამონოვი, - „იმის შესახებ, რომ აკაცირი ესაა თურქული ტომის სახელწოდება აგაცერი - ტყის ხალხი, რომლის შესახებაც ლაპარაკობს რაშიდად-დინი, არც ფილოლოგიურად და არც ისტორიულად არ დასტურდება“<sup>29</sup>. ამის შემდეგ მ. არტამონოვმა თავის მხრივ აღნიშნა: დღეისათვის შეიძლება ვიფიქროთ, რომ აკაცირები იყვნენ ჰუნების ნაწილი, რომლებიც პანონიაში არ წავიდნენ და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე დარჩნენ. ისინი ჰუნების ტომთა გაერთიანების დაცემის შემდეგ კვლავ განაგრძობდნენ არსებობას, თუმცა მცირე ხნით<sup>30</sup>.

ამრიგად, მ. არტამონოვის თანახმად, აკაცირები ჰუნური ტომი იყო, რომელიც ჩრდილო შავიზღვისპირეთში ჰუნებთან ერთად მოვიდა და დასავლეთისაკენ გზა აღარ გააგრძელა. ამ მეტად საინტერესო თვალსაზრისთან დაკავშირებით მინდა მოკლედ შევეხო პრისკოს პანიკლის ცნობებს.

ბიზანტიელი ისტორიკოსი და დიპლომატი პრისკოს პანიელი 448 წელს იყო ჰუნების ბელადის ატილას კარზე (პრისკოსი ბიზანტიის იმპერატორის თეოდოსი II-ის (408 – 450 წწ.) მიერ ატილას კარზე წარგზვნილი მაქსიმიანუსის ელჩობაში მონაწილეობდა როგორც მრჩეველი. ატილას რეზიდენცია კი პანონიაში - თანამედროვე უნგრეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა). 448 წლისათვის ატილას სამი ძეთაგან - უფროსი ელაკი იმ ხანად აკაცირებისა და სხვა ხალხების გამგებლად იყო დანიშნული და პრისკოსის ატილას კარზე ჩასვლის დროისათვის, იგი აკაცირების ქვეყანაში იმყოფებოდა. ამიტომ, პრისკოსი დაინტერესდა აკაცირთა ქვეყნით, მათი გინაობით და თავის თხზულებაში შეიტანა ცნობები აკაცირთა შესახებ.

ატილას ბანაკში ყოფნისას პრისკოსმა რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილის ელჩის - რომელისაგან გაიგო, რომ „მიდიის (ე. ი. ირანის - ვ. გ.) ოლქებამდე მივიდნენ „კაცები სამეფო სკვითების გვარიდან“ („мужи царского скопского рода“) ვასახი და კურსახი“<sup>31</sup>.

ვასახი და კურსახი, როგორც ჩანს, აკაცირთა იმ ნაწილის ბელადები იყვნენ, რომლებიც ატილას ემორჩილებოდნენ. მათი ირანში ლაშქრობის ამბავი რომელმა იქიდან იცოდა, რომ ამ ლაშქრობის შემდეგ ისინი იტალიაში ჩავიდნენ ზავის დასადებად. თუ ვასახი და კურსახი, მართლაც, აკაცირთა ბელადები იყვნენ, მაშინ გამოდის, რომ აკაცირებს ორჯერ ულაშქრიათ ამიერკავკასიაში (ალბათ, საქართველოშიც). პირველად 448 წლამდე, მეორედ – 463 წლის შემდეგ, დაახლ. 466 წელს, როცა პრისკოსისავე ცნობით, სარაგურებმა აკაცირებთან და სხვა ხალხებთან ერთად ირანის სამფლობელოების წინააღმდეგ, დარიალის გავლით მოაწყეს ლაშქრობა. ისინი პირველად მიადგნენ კასპიის კარს (იგულისხმება დარუბანდი), მაგრამ იგი ირანელთა გარნიზონს ისე პქონდა გამაგრებული, რომ ამიერკავკასიაში ვერ შემოვიდნენ. ამიტომ გამობრუნდნენ უკან და დარიალის გზით ქართლში გადმოვიდნენ. იქიდან ესხმოდნენ თავს ირანის ქვეშვრდომი ქვეშების პროვინციებს<sup>32</sup>.

პრისკოსის ცნობებიდან გამომდინარე, აკაცირებით ბიზანტიის ხელისუფალთა დაინტერესება ივარაუდება. მათ უნდოდათ აკაცირები ატილას მხარეზე არ გადასულიყვნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ აკაცირთა ის ნაწილიც, რომელიც ატილას არ ემორჩილებოდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი გაერთიანება უნდა ყოფილიყო.

აკაცირთა წარმომავლობისა და განსახლების არიალის შესახებ საინტერესოა პრისკოს პანიელისა და გოთთა ისტორიკოსის იორდანეს (VI ს.) ცნობები. პრისკოსის თქმით, აკაცირები სკვითური წარმომავლობის ხალხი (народ скифеский) იყო და პონტოპაირეთის სკვითეთში ცხოვრობდა<sup>33</sup>.

მ. არტამონოვი როცა პრისკოსის ზემომოტანილ ცნობას შეეხო, მიუთითა: პრისკოსის მონაცემების მიხედვით, აკაცირების საცხოვრებელი ადგილი ლოკალიზებული უნდა იქნას ველის დნეპრისპირეთში<sup>34</sup>.

პრისკოსის მოღვაწეობიდან ერთი საუგუნის შემდეგ აკაცირების განსახლების არეალის შესახებ იორდანე წერდა: „ოკეანის სანაპიროზე, მდ. გისტულის შესართავთან, ცხოვრობენ სხვადასხვა ტომებისაგან შემდგარი ვიდივარები, მათ შემდეგ ოკეანის სანაპირო უჭირავთ მშვიდობიან ხალხს – ესტებს<sup>35</sup>. მათ სამხრეთით ემეზობლება აკაცირების ძლიერი ტომი, რომლებიც არ მისდევენ ხვნა-თესვას და მესაქონლეობას, მხოლოდ მონადირეობით ცხოვრობენ“<sup>36</sup>. იორდანესავე ცნობით, „აკაცირების შემდეგ პონტოს ზღვამდე ბულგართა განსახლების ადგილია, იქ უკვე პუნქტი არიან...“<sup>37</sup>.

იორდანეს თხზულების რუსული თარგმანის გამომცემელს ესკრიუნისკაიას იორდანეს ცნობა ესტების მეზობლად აკაცირების ცხოვრების შესახებ გადაჭარბებულად მიაჩნია. „იორდანეს თანახმად, – აღნიშნავს იგი, – აკაცირები ცხოვრობდნენ უზარმაზარ ტერიტორიაზე ესტებისა, რომელთაც ეკავათ ტერიტორია ბალტის ზღვის ქარვის სანაპიროს მახლობლად და პონტოს ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ბოლგარებს შორის, რაც უდავოდ გაზვიადებულია“<sup>38</sup>. მას აკაცირების საცხოვრებელი ადგილის ლოკალიზებისათვის უფრო სარწმუნოდ პრისკოსის ცნობა მიაჩნია.

აკაცირების განსახლების ადგილის შეცვლას VI ს. შუახანებისათვის ჯერ კიდევ გ. დესტუნისმა მიაქცია ყურადღება. გ. დესტუნისის აზრით, იორდანეს მონაცემები აკაცირების საცხოვრებელი ადგილის ცვლილების შესახებ, გამოწვეული უნდა იყოს მათი ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლებით. რადგანაც მათ ადგილზე VI ს-ის შუახანებში უკვე ბოლგარები იხსენიებიან, შეიძლება დავასკვნათ, – წერს იგი, – რომ აკაცირები ნაწილობრივ დარჩნენ ძველ ადგილზე (ე. ი. შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ველებზე – ვ. გ.) ბოლგართა

ბატონიშვილის ქვეშ. დანარჩენი კი ბოლგართა მიერ განდევნილი იქნენ ჩრდილოეთისაკენ<sup>39</sup>.

თუ გ. დესტუნისის ზემომოტანილ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ V ს. შუახენებისათვის ჰუნი აკაციორები ცხოვრობდნენ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს მიმდებარე გელებზე (მ. არტამონოვის თანახმად, ესაბ ველის დნეპრისპირეთი), ხოლო VI ს-ის შუახანებში აკაციორების ნაწილი კვლავ ძველ ადგილზე დარჩა და ბოლგარებს შეერია, აკაციორთა ნაწილმა კი ბოლგართა დაწოლის შედეგად ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადაინაცვლა.

\* \* \*

### § 5. აკაციორები და აბათირსები

აკაციორების ნაწილის ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადანაცვლების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, ვფიქრობ, საინტერესოა თვით ეთნონიმ „აკაციორის“ სახელის წარმომავლობის გასარკვევად. როგორც ი. მარკვარტი წერს, იორდანესთან მოხსენიებული აკაციორების საცხოვრებელი ტერიტორია თუ გვინადელი დრევლიანების (Waldleute - ტყეში მცხოვრები ხალხი) განსახლების ადგილი იყო, მეორე მხრივ, იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ჰეროდოტესთან მოხსენიებული მაღალი კულტურის მქონე აგათირსები, მაშინ აკაციორების სახელის წარმომავლობის საკითხს შეიძლება სულ სხვა კუთხით მივუდგეთ. ყურადღება უნდა მიუქცეს იმ ფაქტსაც, პრისკოს პანიელი აკაციორებს „სკვითურ ეთნოსად“ რომ ისენიებს (შესაძლოა, ამით მას სურდა აკაციორები სხვა ჰუნებისაგან განეხსვავებინა). იქნებ მას ასეთი განსხვავებისათვის, მართლაც, ჰქონდა მიზეზი. საჭმე ისაა, რომ დაახლ. იმ ადგილებს, სადაც პრისკოსი აკაციორებს ასახელებს, ძველი ბერძენი ავტორები ჰეროდოტედან მოყოლებული, ძველი სლავური ტომების – „აგათირსების“ საცხოვრებელ ადგილებად მიიჩნევდნენ.

ჰეროდოტეს ცნობით, „...აგათირსთა (Αγαθυρσοι) მხრიდან მოედინება მდინარე მარისი, რომელიც ასევე უერთდება ისტროსს (მდ. დუნაი – გ. გ)“<sup>41</sup>. ჰეროდოტე ასახელებს აგათირსთა მეფეს – არიაპედათეს და მიუთითებს ამ ხალხზე ელინთა გავლენის შესახებ<sup>2</sup>. მისივე გადმოცემით, „ისტროსიდან ზემოთ მდებარე ადგილებში, რომლებსაც მივყავართ ხმელეთის შიგნით, სკვითების მეზობლები პირველად აგათირსები არიან...“<sup>3</sup>. ისინი თავიანთი წეს-ჩვეულებით თრაკიელებს ემსგავსებიან<sup>44</sup>.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ჰეროდოტეს დროინდელი აგათირსები, რომლებიც ზღვის სანაპიროზე მცხოვრები სკვითების ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, საკმაოდ მაღალკულტურული ხალხი ყოფილა. ჰეროდოტე სპეციალურად მიუთითებს მათზე ელინური გავლენის შესახებ. წეს-ჩვეულებით კი ინდოევროპული მოდგმის თრაკიელებს ამსგავსებს.

ჰეროდოტეს შემდეგ, აგათირსებზე ცნობას გვაწვდის ახ. წ. I საუკუნეში მცხოვრები რომაელი ავტორი პომპონიუს მელა (მისი ნაშრომი დაწერილია ახ. წ. 44 წ.). პომპონიუსის ცნობით, მეორედის „...რკალს ჰკვეთს მდინარე ბუკესი. აქ ცხოვრობენ აგათირსები (Agathyrsi) და სავრომატები, ამაქსაბიებს რომ უწოდებენ... მერე მრუდი ზოლია, ბოსფორისაკენ რომ ეშვება და პონტოი და მეოტიდით შემოისაზღვრება“<sup>5</sup>.

აგათირსებზე მსგავს ცნობებს გვაწვდიან ფსევდო სკიმნოსი, დიონისიოს ჰერიეგეტი, არისტოტელე („mirabi mundi“), პტოლემაიოსი<sup>6</sup>.

როგორც ვხედავთ, ძველი ბერძენი ავტორების მიერ აგათირსების საცხოვრებელ ადგილად მითითებული ტერიტორიები, თითქმის, იმავე ადგილებში ლოკალიზდება, სადაც შემდეგში პუნი აკაციორები ცხოვრობდნენ. ამ ორი სხვადასხვა წარმოშობის ეთნოსის საცხოვრებელი ადგილის დამთხვევასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს პუნი აკაციორების სახელის („Akatziri“) მსგავსებას ძველი სლავური ტომის აგათირსების („'Αγαθυρσοί“) სახელთან.

იქნებ IV ს-ის 70-იან წლებში, ან შემდგომ ახლო ხანაში მოსული პუნების ერთ-ერთი ტომი, რომელთა საკუთარი სახელწოდება არაა ცნობილი, მართლაც, არ გაჰყება ატილას დასავლეთ ევროპაში, როგორც ამას მ. არტამონოვი ვარაუდობდა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე დარჩა, იმ ადგილებში, სადაც ძველი სლავური ტომები აგათირსები და მათი მონათესავე სხვა ხალხი სახლობდა, და ახლად მოსულმა პუნეური მოდგმის ხალხმა, ამ ადგილების ძველი მკვიდრების სახელი მიიღო. ძნელი გასარკვევია, უბრალოდ დამთხვევაა, თუ მართლა ერთი და იგივე ტერიტორიაზე მოსახლობით უნდა იყოს გამოწვეული ის „'Akáziroi“-ც ძველ თურქულად რომ ტყის მცხოვრებს ნიშნავს. ამ მხრივ, იქნებ ანგარიშგასაწევია ი. მარკვარტის თვალსაზრისი აკაციორებისა და დრევლიანების სახელების ეტიმოლოგიური მსგავსების შესახებ. ორივე ხალხის საკუთარი სახელი შინაარსობრივად „ტყის ხალხს“ – (ტყეში მცხოვრებ ხალხს) ნიშნავს. შესაძლოა, რაიმე გენეტიკური კავშირიც კი არსებობდა დრევლიანებისა და აგათირსების შორის. მართალია, ასეთი კავშირის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით სათანადო მასალას ვერ მივაკვლიყ, მაგრამ ასეთი კავშირის შესაძლებლობა გამორიცხული არაა და ეს საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. ერთი კი ცხადია, VI ს-ში დრევლიანები ცხოვრობდნენ პოლიანების დასავლეთით, პოლესიესა და მარჯვენა ნაპირის უკრაინაში, მდინარეების ტეტერის, უკის, უმორტისა და სტვიგას აუზში. მათი მთავარი ქალაქი იყო ისკოროსტენი (თანამედროვე კოროსტენი. ეიტომირის ჩრდილოეთით)<sup>7</sup>. აღნიშნული ტერიტორიები კი, თითქმის, ემთხვევა იორდანეს მიერ, VI ს-ის შუასანებში, აკაციორების საცხოვრებელ ადგილად დასახელებულ მიწებს.

მოსაზრება „აკაციორების“ „აგათირსებთან“ იგივეობის შესახებ ახალი არ არის რუსული ისტორიოგრაფიისათვის. ასეთი მოსაზრების ავტორია XIX ს-ის რუსი ისტორიკოსი და არქეოლოგი ი. ზაბელინი (1820 – 1908)<sup>8</sup>. ასეთი გაიგივებისათვის, მართალია, მას მიზნად პეტერბურგის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის სლავების წინაპრებად გამოცხადება, მაგრამ, ვვქრობ, ზოგიერთ საკითხში მის თვალსაზრისს მაინც უნდა გაეწიოს ანგარიში.

ი. ზაბელინს აკაციორების აგათირსებთან იდენტურობის დამადასტურებელ მასალად მოაქვს სლავური წარმოშობის ის სიტყვები, რომლებიც პრისკოს პანიელს ატილას კარზე ელჩობისას ჩაუწერია.

ი. ზაბელინის ასეთ დაკვირვებას პ. ტრეტიაკოვმაც მიაქცია ყურადღება. „მიუთითებენ, – წერს პ. ტრეტიაკოვი, – რომ პრისკოსმა პუნებთან ჩაიწერა ისეთი სლავური სიტყვები, როგორებიცაა: მედ (medos) და კვას (cavas – სასმელი ქერისაგან), რომ ამავე დროს ეკუთვნის სიტყვა სტრავა (strava – ქელები გარდაცვლილთათვის). ატილას ხის სასახლე, – დასძენს პ. ტრეტიაკოვი, – მცხოლოდ სლავებს შეეძლოთ აეგოთ. ასევე, მრავალი წეს-ჩვეულება, რომლებიც პრისკოსმა შეამჩნია თავისი მოგზაურობის დროს, მოგვაგონებენ სლავური ყოფის ნორმებს და ა. შ.“<sup>9</sup>.

ჰუნების სლავების მიწებზე შეჩერებისა და მათთან ერთად ცხოვრების ანარეკლი რომ უნდა იყოს ზემომოტანილი მაგალითები, ეს, შეიძლება ითქვას, არც ისე საეჭვოა. ამასთანავე, მისადებად მიმაჩნია რა ი. ზაბელინის მოსაზრება ჰუნური მოდგმის ტომების ერთ ნაწილზე სლავური გავლენის შესახებ, აქვე მინდა აღვნიშნო: მე მათი იგივეობის მტკიცებას არ ვაპირებ. აკაცირების სახელის ქვეშ, რა თქმა უნდა, როგორც მ. არტამონოვი ფიქრობდა, ცენტრალური აზიიდან მოსული ჰუნების ის ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც ატილას არ გაჰყვა დასავლეთ ევროპისაკენ ლაშქრობაში და სამომთაბარეოდ აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ, შავი ზღვის ჩრდილო ველებზე, უძველესი დროიდანვე მცხოვრები სლავური წარმოშობის ხალხის – აგათირსების საცხოვრებელ მიწებზე დარჩა.

ჯერ კიდევ ჰეროდოტეს დროინდელი აგათირსები მაღალგანვითარებული კულტურის მატარებელი ხალხი ჩანს, რომელთაც საკუთარი მეფე (უფრო სწორად ტომთა გაერთიანების ბელადი) მართავდა. აი ამ მაღალკულტურული ხალხის სახელით იხსენიებენ, როგორც ჩანს, აზიიდან მოსული ჰუნების ნაწილს (ამ ჰუნების საკუთარი სახელი არაა შემონახული) ჯერ პრისკოს პანიელი, შემდეგ კი იორდანე. სავარაუდოა, მოსულმა ჰუნური მოდგმის ხალხმა ადგილობრივი აბორიგენი – სლავური წარმოშობის ხალხის – აგათირსებისაგან მიიღო სახელი – აგათირსი → აგატირსი → აკაცირი. აკაცირ/აგათირსი რომ ძირითადად ადგილობრივი წარმომავლობის ხალხების გაერთიანება იყო, ეს შემდეგიდან ჩანს: პრისკოს პანიელის ცნობიდან გამომდინარე, სწორედ აკაცირები (აგათირსები) მიიჩნევა მასთან მიწების მესაკუთრედ – გავიხსენოთ, აზიიდან მოსულმა ხალხმა აკაცირებს მიწები რომ სთხოვა დასასახლებლად.

ხდებოდა პირუკუც, როცა აღმოსავლეთ ევროპაში მოსული ტომები აბორიგენ ხალხთან ერთად მონაწილეობდნენ ახალი პოლიტიკური ერთეულის შექმნაში და ამ ახალ პოლიტიკურ გაერთიანებას სახელსაც თვით აძლევდნენ. აღნიშნულ გარემოებას ა. ბერნშტამმა აღმოსავლეთ ევროპაში ჰუნების ტომთა გაერთიანების წარმოქმნის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით მიაქცია უურადღება. იგი წერდა: „აღმოსავლეთი ევროპის სამხრეთში, ჰუნური ტომების კავშირის წარმოქმნა ძირითადად ავტოქტონური პროცესი იყო, რომელშიც გადამწყვეტ როლს ადგილობრივი მომთაბარე ტომები ასრულებდნენ. ხოლო აღმოსავლელმა ჰუნებმა მხოლოდ დააჩქარეს ეს პროცესი და სახელი მისცეს ახალ გაერთიანებას“<sup>10</sup>.

ამრიგად, ცენტრალური და შუა აზიიდან აღმოსავლეთ ევროპაში მოსული ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხები, რომელიც დაპყრობილ მიწებზე ახალ-ახალ პოლიტიკურ გაერთიანებებს ქმნიდა, ზოგჯერ მას საკუთარ სახელს აძლევდა, მაგრამ ზოგჯერ მოსული ხალხი იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ ახალ ტერიტორიაზე მცხოვრებ – აბორიგენი ხალხის მასებში სულ რამდენიმე ათეული (გამონაკლის შემთხვევაში რამდენიმე ასეული) წლის განმავლობაში ერეოდა და მათ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამო, სახელსაც მათგან იღებდა. ამ მხრივ ა. ბერნშტამის ზემომოყვანილი მოსაზრება, ვფიქრობ, ანგარიშგასაწევია. ჰუნი აკაცირების სახელი სლავური წარმომავლობის აგათირსების სახელიდან წარმომდგარად უნდა მივიჩნიოთ.

ზემოთ ვრცელი მსჯელობა აკაცირებს შესახებ იმიტომ დამჭირდა, რათა მეჩვენებინა: 1. როგორც ევროპულ, ისე რუსულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზება აკაცირების ხაზარებთან იგივეობის შესახებ არაა მართებული. აკაცირები შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მცხოვრები ხალხი იყო და ხაზარებთან, რომლებმაც აკაცირების ისტორიის ასპარეზიდან გაქრობის შემდეგ, დაახლ. 200 წლის მერე შექმნეს სახელმწიფო მდ. ვოლგის ქვემო წელსა

და ჩრდილო კაგებასიის მიმდებარე ველებზე, საერთო არაფერი ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ორივე ხალხი (აკაცირთა ჰუნური ნაწილი) ურალსიქითა მხრიდან იყვნენ მოსულნი. იმ დროისათვის, როცა საისტორიო წყაროებში აკაცირები აღმოსავლეთ ევროპაში იხსენიებიან, ხაზარები ჯერ კიდევ არ იყვნენ გადმოსულნი ურალის დასავლეთით.

2. აღმოსავლეთ ევროპაში IV ს. 70-იან წლებში მოსულ ჰუნთა იმ ნაწილს, რომელიც ატილას დასავლეთისაკენ სალაშქროდ არ გაჰყავა და სამომთაბარეოდ შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე დარჩა, დროთა განმავლობაში უნდა შეეღწია ძველი მაღალკულტურული აგათირსების საცხოვრებელ ადგილზე და შემდეგ სახელი - „აკაცირი“-ც მათგან უნდა მიეღო.

## § 6. ჩრდილო კაგასიაში ხაზარების მოსვლის დრო. ეთნონიმ „ხაზარის“ წარმომავლობის საკითხები

როგორც ვნახეთ, არ დადასტურდა თვალსაზრისი ხაზარების აკაცირებთან გაიგივებისა, ასევე საბირთა გაერთიანებაში ხაზარების ყოფნის შესახებ. საბირები დაახლ. V ს. დასასრულს (პ. გოლდენის თანახმად, 506 წელს) მოვიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში და 515 წლისათვის შეძლეს სათავეში ჩადგომოდნენ ახალ გაერთიანებას. ამ ხანებში ჩრდილო კაგასიაში ხაზარები არ იყვნენ და მათ ვერც საბირები დაიმორჩილებდნენ. ასევე ვნახეთ, რომ ახ. წ. IV ს. 70-იან წლებამდე და უფრო გვიანაც ხაზართა მოხსენიების საკითხი ქართულ, სომხურ და არაბულ საისტორიო წყაროებში ანაქრონიზმადაა მიჩნეული. სირიულ წყაროებში კი VI ს. შუახანებისათვის ხაზარების მოხსენიების რეალურობა ეჭვს იწვევს.

როცა საბირებისადმი ხაზართა დამორჩილებაზე წერენ, მკვლევრები მხედველობიდან უშეგებენ ერთ გარემოებას. კერძოდ, VI ს. შუახანებში – 558 წ. საბირები თვით აღმოჩნდნენ ამ წელს ცენტრალური აზიდან ახლად მოსულ ავარების ქვეშევრდომობაში. ცოტა ხნის შემდეგ, 567 – 571 წლებში, აღმოსავლეთ ევროპაში თვით ავართა გამომძევებელნი – თურქები მოვიდნენ. მათ მთელი ჩრდილო კავკასია დაიპყრეს და საბირები ამჯერად მათი ქვეშევრდომები გახდნენ. ამის შემდეგ წყაროებში არაერთხელაა დასახელებული თურქთა მიერ ჩრდილო კავკასიაში დამორჩილებული ხალხები, მაგრამ მათ შორის ხაზარები არაა ნახსენები. აღნიშნული, ვფიქრობ, კიდევ ერთი საბუთია იმისა, 567 – 571 წლებში ხაზარები ჯერ კიდევ რომ არ უნდა ყოფილიყვნენ მოსულნი ჩრდილო კავკასიაში. ასეთ თვალსაზრისს გარკვეულწილად ადასტურებს ბიზანტიურ საისტორიო წყაროთა მიერ 627/628 წლამდე ხაზართა მოუხსენებლობა<sup>1</sup>.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, ზოგი მკვლევარი VI ს. დამდეგისათვის ხაზარებს აღმოსავლეთ ევროპაში მოსულებად მიიჩნევს. VI ს. დამდეგისათვის ირანის შაჰის კავად I-ის (488 – 531 წწ.) მეფობაში ჩრდილო კავკასიაში ხაზარების ყოფნის შესახებ მიუთითა ბორის ზახოდერმა. „კავადის მეფობის მეორე ნახევარზე ხვდება, – წერს იგი, – ომი ბიზანტიასთან და ხაზართა თავდასხმები, რომელიც აღმოსავლელ თურქებთან ერთად მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა სასანიანთა სახელმწიფოსათვის“<sup>1</sup>. ამავე ხანებში თურქები არათუ იჭრებიან ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან, არამედ, როგორც ზ. ბუნიატოვი ფიქრობდა, თვით ალბანეთშიც კი ჰქონდათ ფეხი ისე მოკიდებული, რომ იქ ამის შემდეგ 100 წლის განმავლობაში ბატონობდნენ<sup>2</sup>. ასეთივე აზრია გატარებული „აზერბაიჯანის ისტორიის“ I ტომში. მასში

აღნიშნულია, რომ „558 წელს ხაზართა ეთნიკური ელემენტი ალბანეთში გაძლიერდა ახალი მოსულების ხარჯზე“<sup>3</sup>.

„IX ს. არაბი ისტორიკოსის ალბალაზურის ცნობით, – წერს მ. არტამონოვი, – რომელსაც იმეორებს იბნ ალ-ასირი, კავად I-ის დროს ხაზარებმა დაიპყრეს ჯურზანი (ქართლი) და არანი (ალბანეთი). კავადმა ისინი განდევნა და ააგო ქ. ბარდაა, რაც ხაზარს ნიშნავს“<sup>4</sup>. „იაკუბის ცნობით. – განაგრძობს იგი, – ხაზარებმა დაიპყრეს სომხეთის ყველა ოლქი. კავადმა დაიპყრეს საქართველო, ალბანეთი და სომხეთი. კავადმა დიდი ბრძოლების შემდეგ გაათავისუფლა ეს ქვეყნები და ააგო კედელი“<sup>5</sup>.

ს. პლეტნიოვას თანახმად კი, ხაზარებთან დაკავშირებული მონაცემები წერილობით წყაროებში თავს იჩენს არა უადრეს VI ს. ამბებეთან დაკავშირებით. ირანის შაჰის კავადის მეფობაში, გვიანდელი არაბული თხზულებების (ალბალაზური, ალ-ია, კუბი), მონაცემებით ხაზარებმა დაიპყრეს საქართველო, ალბანეთი და სომხეთი. კავადმა დიდი ბრძოლების შემდეგ გაათავისუფლა ეს ქვეყნები და ააგო კედელი<sup>6</sup>.

მ. არტამონოვსაც რეალურად მიაჩნია ზემოდასახელებული არაბი ავტორების ის ცნობები, რომლებშიც ამიერკავკასიაში ხაზართა ლაშქრობის ამბებია მოთხოვობილი. მასვე დასაშვებად მიაჩნია პროკოპიოს კესარიელთან მოხსენიებული ხალხი, რომლებიც კავადს ეომებოდნენ, ხაზარები ყოფილიყვნენ<sup>7</sup>. „პროკოპიოს კესარიელი მოვითხოვობს იმ ხანგრძლივ ომებზე, რომელსაც 504 წლიდან ირანის შაჰი კავადი აწარმოებდა თავისი ქვეყნის ჩრდილოეთ ოლქებში, მაგრამ ვისთან – არა წერს. ამიტომ, თუ მხედველობაში მივიღებთ არსებულ ცნობებს, კავადის ჩრდილოელი მტრები ხაზარები უნდა ყოფილიყვნენ“<sup>8</sup>. შემდეგ მ. არტამონოვი იქვე დასძენს: „თუმცა VI ს. ბიზანტიელი ავტორები საკმაოდ უხვ ცნობებს გვაწვდიან საბირებზე, მაგრამ სრულებით არ ისენიებენ ხაზარებს“<sup>9</sup>.

მართლაც, ბიზანტია-ირანის 527 – 532, 540 – 562 წლების ომებში საბირები დაქირავებული ლაშქრის სახით იბრძოდნენ ხან ირანის, ხან კი ბიზანტიის მხარეზე, მაგრამ ბიზანტიელი ავტორები მათთან ხაზარებს არ იხსენიებენ. მ. არტამონოვის თანახმად, მხოლოდ მოვსეს კალანკატვაცი მიაწერს ხაზარებს 552 წელს ალბანეთში შეჭრას“<sup>10</sup>. მ. არტამონოვის ვარაუდით, მოვსეს კალანკატვაცისთან მოხსენიებული ხაზარები, საბირები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ხოსრო I-მა ალბანეთში დატყვევებული ხაზარები, რომლებიც კაბალის რაიონში დაასახლა, შემდეგში ხაზარების სახელით იყვნენ ცნობილნი<sup>11</sup>.

გ. ი. მ. არტამონოვს მაინც დასაშვებად მიაჩნია საბირების დაქირავებულ ჯარში ხაზარები ყოფილიყვნენ. თუმცა, ხაზარებს, ბალანჯარებს და ბოლგარებს მათ ლაშქარში მეორეხარისხოვანი როლი უნდა ჰქონოდათ<sup>12</sup>. მისი ვარაუდით, საისტორიო წყაროებში საბირებისა და ხაზარების ასეთი აღრევა შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, შეადგენდნენ ერთ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის სათავეში საბირები იდგნენ<sup>13</sup>. ის რომ, – განაგრძობს მ. არტამონოვი, – VI ს. პირველ ნახევარში უმეტეს წყაროებში მათი სახელით აღინიშნება დარუბანდის ჩრდილოეთით მცხოვრები კასპიისპირეთის ბარბაროსები, იქ მათ რეალურ არსებობაზე მიგვანიშნებს<sup>14</sup>. ხაზარებისა და საბირების აღრევას, – დასძენს იგი, – ხელს უწყობდა მათი ერთნაირი ეთნიკური წარმოშობა. ერთნიც და მეორენიც არსებითად ბოლგარები იყვნენ<sup>15</sup> (როგორც ქვემოთაც ვნახავთ, საბირები და ხაზარები ერთი წარმომავლობის ხალხი არ იყო – ვ. გ.).

აღნიშნულის შემდეგ მ. არტამონოვი კვლავ უბრუნდება თავის მოსაზრებას ხაზარების საბირებისადმი მორჩილების შესახებ და აღნიშნავს: „პირველად ხაზარები შედიოდნენ საბირთა კავშირში, მაგრამ როცა საბირთა

მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიაში გადასახლდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი ავარებმა გაფანტეს, გაბატონებული მდგომარეობა ჩრდილო კავკასიში (დადესტანში) ხაზართა ხელში გადავიდა და საბირები ამჯერად მათ ქვეშევრდომობაში აღმოჩნდნენ“<sup>16</sup>.

მ. არტამონოვის ზემომოტანილი თვალსაზრისის გაანალიზებისას თავისთავად ისმება კითხვა: 1. თუ საბირები გაბატონებული ხალხი იყო ჩრდილო კავკასიაში და ისინი იძულებით გადმოსახლებულნი იქნენ ამიერკავკასიაში, მაშინ ამ გადმოსახლებას როგორ დააღწიეს თავი მათმა ქვეშევრდომმა ხაზარებმა?

2. 558 წელს ჩრდილო კავკასიაში მოსულმა ავარებმა როცა საბირები დაიმორჩიელს, რატომ დაინდეს ხაზარები?

ვფიქრობ, გამოსავალი ერთია: ხაზარები იმ ხანად ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყვნენ მოსულნი ჩრდილო კავკასიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოდასახელებული ავტორები როცა ირანის შაჰის კავად I-ის მეფობაში ამიერკავკასიაში ხაზართა შემოჭრისა და ალბანეთში მათი დასახლების შესახებაც კი მიუთითებენ, ცდებიან. ცხადია, არც კავადს დასჭირდებოდა მის გავლენაში მყოფი ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ხაზართა განდევნა და იქ კვლავ თავის გავლენის აღდგენა.

ი. მარკვარტი ამიერკავკასიაში ხაზარებისა და თურქების ლაშქრობის საკითხს როცა შეეხო, აღნიშნა: ხოსრო I-ის დროს (531 - 579 წწ.) პირველად გამოჩნდნენ თურქები ამიერკავკასიაში, რომლებიც ბევრს, მაგრამ შეცდომით ხაზარებად ჰყავდათ მიჩნეული. ეს უკანასკნელნი კი ისტორიულად პირველად დადასტურებულნი არიან 585 წელს, როდესაც მათ გაეცნო იოანე ეფესელი. მათ წინააღმდეგ მძიმე ბრძოლების გადახდა მოუხდა ხოსრო I-ის მემკვიდრეს პორმიზდ IV-ს, მაგრამ სამწუხარდ, სებეოსი ამ ბრძოლების შესახებ არაფერს წერს. 627 წელს ისინი ეხმარებოდნენ იმპერატორ პერაკლეს თბილისის გარემოცვაში<sup>17</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 585 წლამდე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ხალხების დასახელებისას 555 წლის ქვეშ ხაზარებს იხსენიებს ზაქარია რიტორი, მაგრამ რატომდაც ი. მარკვარტი ზაქარიას მიერ დასახელებული „ხაზარის“ შესახებ არაფერს წერს.

იქნებ ზაქარია რიტორის ცნობას ი. მარკვარტი სანდოდ არ თვლიდა? ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ, ჩემი დაკვირვებით, ზაქარიას ცნობის სიზუსტეში, მართლაც, შეიძლება ეჭვის შეტანა (იხ. ქვემო).

ახლა კვლავ VI ს. სირიელი ავტორის იოანე ეფესელის ცნობას დავუბრუნდეთ. ეს ცნობა შემონახულია გვიანდელი რედაქციით მიხეილ სირიელისა და ბარ ებრაის თხზულებებში<sup>18</sup>.

როგორც ითქვა, 567 – 571 წლებში თურქებმა მთელი ჩრდილო კავკასია დაიპყრეს, მაგრამ მათ მიერ ხაზარების დაქვემდებარების შესახებ ძველი ავტორები არაფერს წერენ. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება?

მ. არტამონოვის თანახმად, მართალია, ხაზარები იმ დროისათვის აღმოსავლეთ ევროპაში უკვე მოსულები იყვნენ და კოლგისა და თერგის გელებზე მომთაბარეობდნენ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ შექმნილი სახელმწიფო. ამიტომ მათთვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი არ ყოფილა ახალი დამპყრობლის ხელქვეთ მოცევა. მათ მჭიდროდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი ახალ, ძლიერ დამპყრობლებს – თურქებს და მათი მხარდაჭერით აზოვ-კასპიის ზღვებს შორის მცხოვრებ ხალხებში წამყვანი ადგილი დაიკავეს, თავიანთი ძალაუფლება და სახელი თანდათან განავრცეს მათზე<sup>19</sup>.

გვიქრობ, არ უნდა იყოს სწორი მ. არტამონოვი, როცა იგი 585 წლისათვის აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა დიდი მასის არსებობაზე მიუთითებს. ჩრდილო კავკასიაში იოანე ეფესელის მიერ მოხსენიებული „ხაზარ“-ი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ხალხის აღმოსავლეთ ევროპაში პირველ შემოლწევას აღნიშნავდა. ახლად შემოსული ხაზარული ელემენტი ჯერ კიდევ ძალიან მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო და, სავარაუდოა, ისინი იმხანად მდ. ვოლგის დასავლეთ ველებზე შეჩერდნენ, იმ ადგილას, სადაც შემდეგში მათი დედაქალაქი იტილი მდებარეობდა.

589 წლისათვის ხაზარები უშუალოდ ჩრდილო კავკასიაში ჯერ კიდევ რომ არ უნდა ყოფილიყვნენ განსახლებული, ვგიქრობ, ეს ძველი ქართველი ავტორის (ფსევდო ჯუანშერის) მონაცემებით დასტურდება. 589 წელს ირანში აღმოსავლეთიდან „თურქთა მეფე საბას“ შემოჭრის თანადროულად იგი როცა ჩრდილოეთიდან ბიზანტიელთა მოკავშირის – ქართლის მაშინდელი ერისმთავრის მიერ ბიზანტიელთა ფულით დაქირავებული ლაშქრის შემოჭრის ამბავს გადმგვცემს, დაქირავებულ ლაშქარში კავკასიის მთიელებს („ოვსნი, დურძუკნი, დიდონი“) ასახელებს<sup>20</sup>. სამაგიეროდ, მართლია, ამ ამბების აღწერისას არაბულ წყაროებში ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ხალხად ხაზარებია დასახელებული, მაგრამ, როგორც ითქვა, არაბი ავტორებისათვის (ტაბარი, ბალამი, ფირდოუსის „შაჰ-ნამე“) ასეთი ცნობები ჩვეულებრივ ანაქრონისტული მოვლენაა. ხაზარები არაბ ავტორებთან უფრო ადრინდელი ამბების გადმოცემის დროსაც იხსენიებიან. გვიანი ხანის არაბ ავტორებს ყველა ის მოვლენა, რომელიც ადრე ჩრდილო კავკასიაში ხდებოდა, ხაზარებისადმი აქვთ მიწერილი. ამ მხრივ სამართლიანად მიუთითა გ. მამულიამ. „ტაბარის, ბალამისა და ფირდოუსის თხზულებებში ხაზართა მოხსენიება, – წერს იგი, – შემდგომი დროის რეალობას წარმოადგენს. ამას ჯუანშერის წყაროს ჩვენებებიც უჭერენ მხარს“. ჯუანშერთან, – განაგრძობს იგი, – იმ დროს ხაზართა მოუხსენებლობა, ჯუანშერის წყაროს სიდველის მაჩვენებელია. ქართველ ავტორს ამ ამბების წვრილმანი დეტალებიც კი აქვს აღნიშნული. ამ ამბების შესახებ ჯუანშერზე ვრცელი წყარო არ არსებობს<sup>21</sup>.

ჩემი ვარაუდით, ქართულ წყაროში მოთხოვნილი ამბავი თანადამხვდურის მიერაა ჩაწერილი, და მას კარგად ეცოდინებოდა ვინ დაიქირავა ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ჩრდილო კავკასიაში. დაქირავებულთა შორის ხაზარებიც რომ ყოფილიყვნენ, იგი აუცილებლად მიუთითებდა<sup>22</sup>.

ხემოთ შევეცადე მეზენებინა ხაზარების მოსხენიების საკითხში ძველი ქართული, სომხური (ნაწილობრივ) და არაბული წყაროების ანაქრონისტული ხასიათი. საეჭვოდ მივიჩნიე ზაქარია რიტორის ცნობაც (იგი 555 წლის ქაშახენებს ხაზარებს). ასეთი დასკვნა თუ ისტორიული რეალობის ამსახველია, მაშინ რამდენად სანდოა ბიზანტიური წყაროები – როცა მათში ხაზარები აღმოსავლეთ ევროპაში მხოლოდ 626/628 წლებში იხსენიება პირველად? დასმული საკითხის უკეთ წარმოსაჩენად თანმიმდევრულად უნდა გავადევნოთ თვალი იმ ბიზანტიელ ავტორთა მონაცემებს, რომლებიც ჩრდილო კავკასიის ხალხებს ეხება. მათი მონაცემები განსაკუთრებით საინტერესოა ჩრდილო კავკასიის გავლით ბიზანტიიდან თურქთა კაგანატში (შუა აზიაში) მიმავალი და პირიქით, კაგანატიდან უკან წამოსული ელჩობების გზის აღწერასთან დაკავშირებით. ეს ავტორები იმ ხანად ჩრდილო კავკასიაში მოსული პუნქტურქული მოდგმის ხალხების შესახებაც გვაწვდიან ცნობებს.

როგორც ცნობილია, ბიზანტიის საიმპერატორო კარი და ამდენად, ვგიქრობ, იმ დროის ბიზანტიელი ისტორიკოსებიც დაინტერესებულნი იყვნენ ჩრდილო კავკასიასა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე მიმდინარე

პოლიტიკური ცვლილებებით. ასეთი ცვლილებები ამ ადგილებში შეა აზიდან ახალი ჰუნიურ-თურქული მოდგმის ხალხების მოსვლით იყო ხოლმე გამოწვეული. ბიზანტიელთა ინტერესი აქაური ამბებისადმი მით უფრო დიდი იყო, თუ ასეთი ცვლილება იქ ახალი, ძლიერი ხალხის გამოჩენით იყო გამოწვეული. რადგან უველ ახლად გამოჩენილ ხალხს თვალი ბიზანტის იმპერიის მდიდარი სამფლობელოებისაკენ ეჭირა.

ასეთი ვითარებით იყო განპირობებული სწორედ ბიზანტიის დიპლომატიას მხედველობის არედან რომ არ რჩებოდა აღმოსავლეთ ევროპაში ყოველი ახალი, შედარებით მცირერიცხოვანი და სუსტი ხალხის გამოჩენაც კი. რაც კარგადაა ასახული ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში, მითუმეტეს, მათ მხედველობიდან არ გამოეპარებოდათ ხაზართა არათუ გაერთიანების არსებობა ჩრდილო კავკასიასა და ვოლგის დასავლეთ ველებზე, არამედ მათი მოსვლაც. ასეთი შემთხვევა იმიტომაცაა გამორიცხული, რომ იმ ადგილებში, სადაც შემდეგში ხაზარებმა დიდი და ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, არაერთხელ გაიარეს თურქთა კაგანატში მიმავალმა ბიზანტიელმა დიპლომატებმა და არ შეიძლებოდა მათ ხაზარების ყოფნა ამ გზაზე არ აღენუსხათ. ამ ელჩობებთან დაკავშირებული ამბების გადმოცემისას, ბიზანტიელი ავტორები ხშირად გვაწვდიან ცნობებს ჩრდილო კავკასიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე თუ მომთაბარე ხალხების შესახებ, თუმცა, ხაზარების შესახებ არაფერს წერენ. რაც, ვფიქრობ, იმ ხანად ჩრდილო კავკასიაში და საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპაში რეალურად არსებული მდგომარეობის კონსტატაციაა.

ქვემოთ შევეცდები თანმიმდევრულად ვაჩვენო იმ ბიზანტიელ ავტორთა ცნობები, რომლებშიც ჩრდილო კავკასიაში სხვადასხვა თურქული მოდგმის ტომთა მოსვლაა ასახული.

ჩრდილო კავკასიაში ხაზართა პირველი მოხსენიება რადგან 555 წლით თარიღდება (ზაქარია რიტორი), ამიტომ ბიზანტიელ ავტორთა ცნობების გაანალიზებას ამ წლის ამსახველი მასალით დავიწყებ. ამ მხრივ საინტერესოა პროკოპიოს კესარიელის მონაცემები. პროკოპიოსმა თავისი ისტორიის VIII წიგნი 553/554 წლებში დამთავრა<sup>23</sup>. ამ დროს იგი კონსტანტინოპოლიში იყო. მას იმ ხანად თავისი ისტორიისათვის მასალები სჭირდებოდა, ამიტომ ჩრდილო კავკასიაში მომხდარი და მიმდინარე ამბები მის ინტერესთა სფეროში იქნებოდა. თავის მხრივ, ბიზანტიის იმპერია სისხლხორციელად იყო დაინტერესებული არათუ ჩრდილო კავკასიაში, არამედ შეა აზიაში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებითაც.

პროკოპიოსი 549 წლის ამბების გადმოცემისას ჩრდილო კავკასიაზე წერს: „მოელი ეს ქვეყანა, რომელიც გადაჭიმულია კავკასიის იქით კასპიის კარამდე ალანებს ეკუთვნით. ისინი დამოუკიდებელი ხალხია“<sup>24</sup>. თითქმის იმავე ხანაში, პროკოპიოს კესარიელი ჩრდილო კავკასიაში ალანებს გარდა ასახელებს საბირებსა და სხვა ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხებს: „იქ ცხოვრობენ ეგრეთ წოდებული საბირების ჰუნები და ზოგიერთი სხვა მოდგმის ტომები“<sup>25</sup>.

საყურადღებოა ის, რომ როცა პროკოპიოსი ჩრდილო კავკასიაზე წერდა, მან ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ამ ტერიტორიაზე არა თუ ხაზარების, არამედ ავარების მოსვლის შესახებაც კი. ვფიქრობ, 553/554 წლებისათვის პროკოპიოსის მიერ აღწერილი პოლიტიკური სურათი რეალურად ასახავს აღმოსავლეთ ევროპაში – კერძოდ, ჩრდილო კავკასიასა და შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე არსებულ მდგომარეობას, ამ ადგილებში ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების განსახლების მხრივ.

პროკოპიოსიც წერს და სამეცნიერო ლიტერატურიდანაც ცნობილია, რომ იმუამად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არსებული საბირთა სახელმწიფო,

ჰუნურ-თურქულ გაერთიანებათა შორის ერთ-ერთი უძლიერესი იყო. ხოლო ალანთა გაერთიანება, რომელიც უშუალოდ კავკასიის ქედს ეკვროდა, ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ყოფილა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩრდილო კავკასიაში მოსულ ავარებს პირველად ალანთა მეფემ საროსიამ უშუალდგომლა ბიზანტიის საიმპერატორო კართან.

კიდევ ვიმეორებ, VI ს. შუახანებში ჩრდილო კავკასიაში ხაზარები რომ მოსულები ყოფილიყვნენ (თუნდაც უკვე საბირების მიერ დამორჩილებულნი), არ შეიძლებოდა მათ თავი არ გამოეჩინათ. როგორც პროკოპიოს კესარიელს, ისე სხვა ავტორებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ საბირების მონაწილეობა ბიზანტია-ირანის 527 – 532, 540 – 562 წლების ომებში, კარგად იცოდნენ არა მარტო ბიზანტიის ჯარში მყოფი ცალკეული ტომები (გერულები, ლანგობარდები და სხვა), არამედ ირანის ჯარში მყოფი არაირანული წარმომავლობის (მაგ. დელამიტები და სხვა) ხალხები.

პროკოპიოსის ცნობებში უურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ იმ ადგილებში, სადაც შემდეგში ხაზართა სახელმწიფო შეიქმნა, 553/554 წლებისათვის სხვა ხალხები იყვნენ განსახლებულნი.

საბირთა გაერთიანება, როგორც ცნობილია, კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე ველებზე, დარუბანდის ჩრდილოეთით არსებობდა. მათ დასავლეთით პროკოპიოსი ალანთა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს ასახელებს. შემდეგ კი აზოვის ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს ველები, მდ. დონის (ტანაისის) აღმოსავლეთი ეკავათ უთურგურებს, ტეტრაქსიტებს, ხოლო მეოტიდის ზღვის დასავლეთ ველებზე უთურგურების მონათესავე კუთურგურები მომთაბარეობდნენ. მათ შემდეგ კი ანტები და გეპიდები<sup>26</sup> ცხოვრობდნენ.

ზემომოტანილი მასალის შემდეგ, არ შეიძლება დამაჯერებლად არ გამოიყურებოდეს პროკოპიოსის მიერ 555 წლამდე აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარების მოუხენებლობის ამბავი. იგი აღმოსავლეთ ევროპაში ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების საკმაოდ ზუსტ სურათს გვაწვდის, მაგრამ ხაზართა შესახებ, როგორც ჩანს, მან არაფერი იცოდა.

პროკოპიოსის ისტორიის გაგრძელებას წარმოადგენს აგათიას<sup>27</sup> თხზულება, რომელიც 552 – 558 წლებზე მოგვითხრობს. 555 წლისათვის ზაქარია რიტორის მიერ მოხენიებული ხაზარები თუ, მართლაც, პროკოპიოსის მიერ აღწერილი ამბების (553/554) შემდეგ გამოჩნდნენ ჩრდილო კავკასიაში, აგათიასთან ისინი აუცილებლად უნდა ასახულიყვნენ.

აგათია თავის თხზულებაში ბიზანტია-ირანის 440 – 562 წლების ომზე თხრობისას, საბირებს იხსენიებს, მაგრამ მათ რიგებში ხაზარების ყოფნის შესახებ არაფერს წერს. მან იცის ჰუნი საბირების ბელადების სახელები: გაიმახი, კუტილდისი, ილაგერი<sup>28</sup>. მისივე გადმოცემით, ადრე ჰუნები აზიაში ცხოვრობდნენ. 557 წლის ქვეშ აგათია წერს: ჰუნების ხალხი უწინ ცხოვრობდა მეოტიდის ტბის იმ ნაწილის გარშემო, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთისაკენ. ისე, როგორც სხვა ბარბაროსები, რომლებიც აზიაში ცხოვრობდნენ იმაიონის მთის<sup>29</sup> იქით, ყველა ისინი იწოდებიან ჰუნებად ან სკვითებად. ტომების სახით კი ცალ-ცალკე ისინი, ერთნი იწოდებიან კოტრიგურებად, სხვანი უთიგურებად, ზოგი ულტიმურებად... სხვები ბურგუნდებად. რამდენიმე ასეული წლის უგან ისინი გადმოვიდნენ ევროპაში...”<sup>30</sup>.

თუ აგათია 557 წლისათვის აღმოსავლეთ ევროპაში არ იცნობს ხაზარებს, სამაგიერდ ამავე ხანებში – 555 წლის ქვეშ, როგორც ზემოთ არარეთხელ ითქვა, ჩრდილო კავკასიის ხალხების ჩამოთვლისას მათ იხსენიებს ზაქარია რიტორი.

აი რას წერს იგი: „კარებს იქით [ცხოვრობებ] წარმართი და ბარბაროსი ხალხი ბურგარები [თავიანთი] ენით, მათ აქვთ ქალაქები და ალანები მათ აქვთ

ხუთი ქალაქი. დადუს<sup>31</sup> საზღვრებიდან მთებში ცხოვრობენ და ციხესიმაგრეები აქვთ. ავნაგურის ხალხი კარვებში ცხოვრობენ. ავგარი, საბირი, ბურგარი, ალანი, კურტარგარი, ავარი, ხასარი, დირმარი, სირურგური, ბაგრასიკი, კულასი, აბდელი, ეფტალიტი – ეს ცამეტი ხალხი ცხოვრობს კარვებში, არსებობენ საქონლის ხორცითა და ოეგზით, გარეული მხეცებითა და იარაღით<sup>32</sup>.

როგორც ვხედავთ, ჩრდილოეთის ხალხების ჩამოვლისას ზაქარია ხაზარებს (xacap), მართლაც, იხსენიებს. მაგრამ, ბიზანტიური წყაროების მონაცემთა ფონზე რამდენად სარწმუნოა ზაქარიას თხზულებიდან ზემომოგანილ ტექსტში მოხსენიებული ხალხების შესახებ ცნობები?

6. პიგულევსკაია როცა ამ ცნობას შეეხო, აღნიშნა: „ავარები და ხაზარები, რომელნიც აქ იხსენიება როგორც გვაროვნული ტომები, ჯერ კიდევ არ იყვნენ ცნობილნი, როგორც მრისხანე ურდოები... ესაა სახელ ხაზარის ერთ-ერთი პირველი მოხსენიება მისი სუფთა სახით, რადგან ისინი ადრე აკაცირებად იწოდებოდნენ“<sup>33</sup>.

ზემოთ შევეხე 6. პიგულევსკაიას თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, აკაცირები მას ხაზარების წინაპრებად მიაჩნდა. ამიტომ მათი იდენტურობის შესახებ აქ ადარაფერს ვიტყვი. რაც შეეხება 555 წლის ქვეშ ზაქარიას მიერ „ხასარ“-ის მოხსენიებას, ეს ჯერჯერობით ამ ხალხის პირველ მოხსენიებად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ ისმება კითხვა – რამდენად მისაღებია ზაქარიას მიერ 555 წლისათვის ჩრდილო კავკასიაში ხასარ („ხაზარის“) მოხსენიება?

ქვემოთ შევეცდები ტექსტის ანალიზის შედეგად მასში წინააღმდეგობები გამოვალინო, რაც ზაქარიას ცნობათა სანდოობაში გარკვეულ უკვს შეგვიქმნის.

ზაქარიას ცნობის განალიზებისას, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ყურადღება მიიქცია 555 წლისათვის ჩრდილო კავკასიაში ავარების მოხსენიებამ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ავარები ჩრდილო კავკასიაში პირველად 558 წელს გამოჩნდნენ, მაშინ ზაქარიას 555 წლისათვის ავარები არ უნდა ეხსენებინა. ამ ხანებისათვის, როგორც ზემოთ ვნახეთ, არც პროკოპიოსი და არც აგათია (557 წელსაც კი) ავარებს არ იცნობენ. ასე რომ, ზაქარიას თხზულებიდან ზემომოყვანილ ტექსტში ხაზარების მოხსენიება, ამ ხალხის 555 წლისათვის უკვე აღმოსავლეთ ევროპაში ყოფნის უტყუარი ყოფნის დამადასტურებელ საბუთად არ გამოგვადგება. ასეთი თვალსაზრისის სისწორეს აგათიას გამგრძელებლის, მენანდრეს მონაცემებიც უნდა ადასტურებდეს. მენანდრეს, როგორც ჩანს, ზუსტი ინფორმაცია ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ. ამის გამოა, რომ მან მაშინვე აღნიშნა 558 წ. ჩრდილო კავკასიაში ავარების გამოჩენის ამბავი. „ავარებმა, – წერს იგი, – ჩქარა ომი დაიწყეს ჰუნური მოდგმის ზალებთან და გაანადგურეს საბირთა ბალები“<sup>34</sup>. მაგრამ, ამ ამბის გადმოცემისას იგი არაფერს წერს ავარების ხაზარებთან შეჯახებაზე.

558 წლისათვის ხაზარები ჩრდილო კავკასიაში თუ უკვე მოსულები იყვნენ, ამ წელს, ავარების მიერ საბირების დამარცხების შემდეგ, როგორც მ. არტამონოვი წერს, ხაზარებს, მართლაც, შედარებით თავისუფლება უნდა მოეპოვებინათ, რადგან მათი ბატონები – საბირები დამარცხებული იყვნენ (ამის შემდეგ, მათი გარკვეული ნაწილი ამიერკავკასიაში გადმოსახლდა), ხოლო გამარჯვებული ავარები კი, მათი გამომდევებელი თურქების შიშით, ბალკანეთისაკენ მიიწევდნენ<sup>35</sup>. ასეთი პიოთეზა დასაშვებია, მაგრამ, როგორც ზემოთ არაერთხელ მიგუთითე, 558 წლიდან (ავარების მოსვლა) 627 წლამდე ხაზარების ჩრდილო კავკასიაში (საერთოდ აღმოსავლეთ ევროპაში) არსებობის შესახებ ბიზანტიური საისტორიო წყაროები არაფერს წერენ.

558 – 626 წწ-ის ამსახველი ბიზანტიური სასიტორიო წყაროთა მონაცემები, ვფიქრობ, განსაკუთრებული ნდობის დირსია, რადგან ამ დროს ბიზანტიულთა არა ერთმა ელჩობამ იმოგზაურა ჩრდილო კავკასიაშე გავლით შუა აზიაში – თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებელთა რეზიდენციამდე.

საინტერესოა 568 წელს ზემარქის მეთაურობით ბიზანტიულთა ელჩების მიერ თურქთა კაგანატიდან უკან დაბრუნებისას გამოვლილი გზის აღწერა.

კაგანმა დიძიბულოსმა (ისტემი – ჭ. გ.) ელჩობას თავისი კაცი გამოაყოლა. ელჩებმა გამოიარეს „მდინარე ოიხი და დიდი გზის გავლის შემდეგ მიაღწიეს უცნობ დიდ ტბამდე“<sup>36</sup>. ელჩობა 12 დღე მიდიოდა ამ ტბის სანაპიროზე. შემდეგ მიაღწია მდ. იხ-ს, შემდეგ მდინარე დაიხს და სხვადასხვა ჭაობების გავლით მივიდა მდ. ატილამდე<sup>37</sup>. ამის შემდეგ ელჩობამ მიაღწია უგრებთან..., მათი უფროსი დიძიბულოსის სახელით მართავდა ამ ხალხს. ზემარქს წინ შეხვდა ტბა, რომელსაც ერთვის მდ. კოფინი. ამის შემდეგ ელჩები დიდი შიშით მივიღნენ ალანეთში. მენანდრე აღნიშნავს, რომ ელჩებს განსაკუთრებით ეშინოდათ ორომუსხების ტომებისა<sup>38</sup>. ამ ელჩობას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თურქებიც გამოყვნენ. ჩრდილო კავკასიაში მოსვლისას ელჩობა მოადგა ალანთა მეფის რეზიდენციას. ალანთა მეფე საროსიამ ბიზანტიულები კარგად მიიღო, თურქებს კი მოსთხოვა უიარაღოდ შესულიყვნენ სასახლეში. კამათის შემდეგ თურქები დათანხმდნენ<sup>39</sup>.

ამრიგად, 568 წლისათვის ჩრდილო კავკასიაში ჯერ კიდევ არსებობდა ალანთა დამოუკიდებელი სამეფო. მაგრამ ბიზანტიულთა შემდგომ ელჩობის დროს თურქთა ხანი თურქსანფი (ტანხანი) ალანებს უკვე მის მიერ დამორჩილებულ ხალხებში ასახელებს (იხ. ქვემოთ).

როგორც ზემომოყვნილი ციტატიდან ჩანს, ელჩობამ შუა აზიიდან გამოიარა მდ. ოიხის (ზოგი მკვლევარი მას მდ. იაქსარგად – სირდარიად მიიჩნევს), დიდი ტბის (არალის ზღვა), შემდეგ მდ. იხ-ის (ვარაუდობენ მდ. ემბას), მდ. დაიხის (მდ. იაკი = ურალი) ველები. ბოლოს გადმოლახა მდ. ატილა – იტილი (= მდ. ვოლგა)<sup>40</sup>, განვლეს ჩრდილო კავკასია (სადაც დამოუკიდებელი ალანთა სამეფო არსებობდა), მაგრამ ხაზარების შესახებ ელჩობას არაფერი სმენია – ასეთი ხალხი მათ გზაში არ შეხვედრია. ასეთივე მდგომარეობა იყო 576 წელს, როცა კონსტანტინეპოლიდან წამოსულმა ელჩობამ თურქებთან ერთად გაიარა ქვიშიანი ველები, ჭაობიანი ვაკეები... ასევე ქვეყანა აკაგი, რომლის მმართველი დაყენებული იყო „უტიგურების“ მიერ<sup>41</sup> და ბოლოს მიაღწიეს თურქსანფის სამფლობელოს<sup>42</sup>. ამ დროისათვის (576 წ.) თურქებს შუა აზიიდან მოკიდებული უკვე მოელი ჩრდილო კავკასია ჰქონდათ დაპყრობილი. თურქი უფლისწული ტანხანი (ბიზანტიური წყაროების თურქსანფი) მის მიერ დამორჩილებული ხალხების დასახელებისას ხაზარებს არც ამჯერად ახსენებს. მენანდრეს გადმოცემით, თურქსანფი ასე მიმართავდა ელჩებს: „აი შეხედეთ უბედურ ალანთა ხალხს, ასევე უტიგურთა ტომებს, რომლებსაც თავიანთი ძალის იმედი ჰქონდათ და გაბედეს წინ აღდგომოდნენ უძლეველ თურქებს, მაგრამ ისინი მოტყუვდნენ თავიანთ იმედებში. ახლა ისინი ჩვენი მონები გახდნენ“<sup>43</sup>. აქედან ბიზანტიულთა ელჩები თურქსანფმა გაგზავნა თავის უფროს მმასთან – ტარდუ ხანთან (ტარდუშ ხანი), რომლის რეზიდენცია იყო ეკდალის მთასთან<sup>44</sup>.

თურქსანფი, როგორც ქვემოთაც ვნახავთ (იხ. თავი IX), აღმოსავლეთ ევროპაში თურქთა კაგანატის მიერ ახლად დაპყრობილი მიწების გამგებელი იყო. ამიტომ მან კარგად იცოდა, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ დამოუკიდებელი ალანები ახლა მათი – თურქების ქვეშევრომები იყვნენ, ასევე უთურგურები. რაც შეეხება საბირებს, მათი დიდი ნაწილი იმ დროს უკვე ამიერკავკასიაში უნდა ყოფილიყო გადმოსახლებული. ზუსტად 576 წელსგა,

მენანდრეს ცნობით, ბიზანტიურთა სარდლები კურსი და თეოდორე, ხელმეორედ შევიდნენ ალბანეთში და აიძულეს საბირები და ალბანელები (ალვანი) გადასახლებულიყვნენ მდ. მტკვრის მეორე მხარეს და ისევ რომაელთა ქვეშევრდომობაში ყოფილიყვნენ<sup>45</sup>. შესაძლოა ამის გამოა, რომ თურქებისანცი არაფერს ამბობს მის მიერ საბირების დამარცხებაზე ან დამორჩიელებაზე.

მენანდრე თუ არაფერს წერს აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარების ყოფნის შესახებ, სამაგიეროდ, ჩრდილო კავკასიაში ზუსტად თურქების შემოჭრის აღწერისას, არაბი ავტორები მიუთითებენ თურქების მიერ ხაზარების დამორჩილების შესახებ. მაგალითად, ტაბარი აშკარად მიუთითებს 567 – 574 წწ-ში, როცა თურქებმა მთელი ჩრდილო კავკასია დაიპყრებს<sup>46</sup>, მათ მიერ ხაზარების დამორჩილების შესახებაც. მ. არტამონოვს მოჟყავს ტაბარის ცნობა, რომ „თურქებმა დაიმორჩილეს ბნ-დჟ-რ (ბოლგარი), ბელენჯერი და ხაზარი. მიაღწიეს დარუბანდამდე და დაინახეს ოა ციხესიმაგრეები, გაბრუნდნენ უკან ველებში“<sup>47</sup>. როგორც ზემოთ ვაჩვენე, არაბულ წყაროებში ხაზარები უძველეს დროიდანვე იხსენიებიდან, ამიტომ ტაბარის მიერ 567 – 571 წწ-ში ხაზარის მოხსენიება ჩრდილო კავკასიაში, ვფიქრობ, ძველი ანაქრონისტული ცნობების განმეორება უნდა იყოს.

მენანდრეს ისტორიას თეოფილაქტე სიმოკატა აგრძელებს. იგი 582 – 602 წწ. ამბებს გადმოგვცემს. თეოფილაქტე საინტერესო ცნობებს გვაწვდის თურქებზე, ჩრდილო კავკასიის ხალხებზე და მათ მოძრაობაზე. აქვს ცნობები აღმოსავლეთ ევროპაში ავართა მოსვლის შესახებ. „...როცა იმპერატორ იუსტინიანეს, – წერს იგი, – სამეფო ტახტი ეკავა, უარისა და ხუნების ტომების ზოგი ნაწილი გამოიქცა და ევროპაში დასახლდა. თავიანთ თავს მათ ავარები უწოდეს, ხოლო თავიანთ ბელადს მისცეს კაგანის საპატიო სახელი. ბარსილებმა, უნოგურებმა, საბირებმა და მათ გარდა სხვა ჰუნურმა ტომებმა დაინახეს უარისა და ხუნის გამოქცეული ხალხების მხოლოდ ნაწილი, შეშინდნენ, ეგონათ, რომ მათთან ავარები გადმოსახლნენ“<sup>48</sup>.

ასე რომ, არც თეოფილაქტე სიმოკატამ იცის ხაზარები – 582-602 წლების ამბების აღწერისას, იგი მათ არ ახსენებს.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიონის ქედის გადაღმა მცხოვრებ ხალხებზე ცნობების შეგროვებისას ზაქარიამ სხვადასხვა – როგორც ძველი, ისე შედარებით გვიანდელი წარმოშობის წყაროებით ისარგებლდა. გამორიცხული არაა, ზაქარიას ტექსტის ამ ადგილს შემდგომი ხანის გადამწერ-რედაქტორის ხელშიც განხცადა ცვლილება. რის გამოც, ზოგი ხალხი მასში ორჯერად დასახლებული. „კარებს იქით“ ორჯერ იხსენიებიან: ალანები, ბულგარები (бургари, бургар) და ჰეფტალიტები (აბდელ, ეფთალიტ). ეს უკანასკნელი იგივე თეთრი ჰუნები არიან და წყაროებში ისინი ჩრდილო კავკასიაში საერთოდ არა ჩანან.

ჰეფტალიტების ძლიერი გაერთიანება შუა აზიაში, თანამედროვე ავღანეთის, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთსა და აღმოსავლეთ თურქესტანის ნაწილს მოიცავდა<sup>49</sup>. მართალია, ხშირი იყო მათი შემოსვლა-თავდასხმები ირანსა და ამიერკავკასიაში, მაგრამ, მხოლოდ აღმოსავლეთიდან – კასპიის ზღვის სამხრეთიდან. მეორეც, ჰეფტალიტების წინ ზაქარიას ტექსტში მოხსენიებული ხალხი „აბდელი“, თეოფილაქტე სიმოკატას მითითებით, იგივე „ჰეფტალიტია“<sup>50</sup>. რაც მოწმობს, რომ კომპილაციის ავტორი გვიანდელი წყაროთიც სარგებლობდა. ჰეფტალიტების სახელმწიფო გაერთიანება 560-იანი წლების ბოლომდე არსებობდა. ამ წელს იგი სასანიანთა ირანისა და თურქთა დასავლეთი კაგანატის ერთობლივი დარტყმების შედეგად დაინგრა<sup>51</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, მხოლოდ 560 წლის შემდეგ შეიძლებოდა დაეწყოთ ჰეფტალიტების

ცალკეულ ჯგუფებს მოძრაობა დასავლეთისაკენ, 560 წელზე ადრე პეფტალიტების მოხვედრა ჩრდილო კავკასიაში საეჭვო ჩანს.

პეფტალიტებს გარდა, ზაქარიას ტექსტში, როგორც ვნახეთ, ორჯერაა დასახელებული ალანები და ბოლგარები. ამ უკანასკნელთა ორჯერ მოხსენიებას იმით ხსნიან, თითქოს, ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე არსებობდა ადრე შემოსული (ჩვენი ერის პირველი საუკუნიდან), აბორიგენ მოსახლეობასთან შეგუებული, ბინადარ ცხოვრებაზე გადასული ბოლგარები და უფრო გვიან შემოსული – უუბანისპირეთსა და აზოვისპირეთში მომთაბარე ბოლგართა გაერთიანება<sup>51a</sup>.

უურადღება უნდა მიუქცეს იმასაც, რომ ზაქარიას ტექსტში ჩრდილო კავკასიაში დასახელებული „კურთარგარ“-ი, იგივე კუთურგურები, როგორც პროკოპიოსი წერს, იმ ხანებში, კერძოდ 553/554 წლებში აზოვის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ. ხოლო „სირურგუ“-ი იგივე სარაგურები, პრისკოს პანიელის ცნობით, 463 წლისათვის შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ველებზე ადრე აკაცირების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ და დაახლოებით 466 წელს, მათი ამიერკავკასიაში ლაშქრობის შემდეგ, როგორც მ. არტამონოვი წერს, ისინი საერთოდ ქრებიან ისტორიის ასპარეზიდან<sup>52</sup>.

ზაქარიას თხზულებიდან ზემომოტანილ ტექსტში სხვადასხვა დროს შექმნილი, უძველესი მითიური ამბებიცაა ასახული. ეს იქიდან ჩანს, რომ ჩამოთვლილი ხალხის შემდეგ, ზაქარია მიუთითებს მათ ჩრდილოეთით „ამაზარტებისა“ და „ხალხი-ძაღლების“ („ლიდი-პსე“) განსახლების შესახებ. მათ დასავლეთით და ჩრდილოეთით მითიურ ამაზონებს („amazonides“) იხსენიება<sup>53</sup>.

რით შეიძლება აიხსნას უზუსტობანი ზაქარიას ტექსტში? გადავხედოთ მის ბიოგრაფიას. 6. პიგულევსკაიას თანახმად, ზაქარია დაიბადა ქ. მაიუმში. 482 – 489 წლებში სწავლობდა ქ. ალექსანდრიაში, შემდეგ სწავლა განაგრძო ბეირუთის ცნობილ იურიდიულ სკოლაში (აქედან მისი მეორე სახელი – რიტორი). ჯერ კიდევ ზენონის (474 – 491) იმპერატორობის დროს ზაქარია იურისტად მუშაობდა კონსტანტინოპოლიში. 536 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრების აქტებზე არის მისი ხელმოწერა, როგორც მიტილენის ეპისკოპოსისა. მისი გარდაცვალების თარიღი ცნობილი არაა, მაგრამ 553 წელს ქ. მიტილენის საეპისკოპოსო კათედრა რადგან პალადიუსს გადაეცა, ფიქრობენ, რომ ამ წელს ზაქარია ცოცხალი აღარ იყო<sup>54</sup>.

ზაქარია რიტორის მითითება 555 წლისთვის ჩრდილო კავკასიაში ხაზარების ყოფნის შესახებ რომ საეჭვოა, ეს თეოფილაქტე სიმოკატას მონაცემებით დასტურდება. ჩრდილო კავკასიაში ავართა გამოჩენის (558 წ.) დროისათვის იგი ასახელებს: ბარსელტს, უნგურებს, საბირებსა და სხვა ჰუნური მოდგმის ტომებს (გვ. 160), მაგრამ ხაზარებს არ იხსენიებს. რა თქმა უნდა, ისეთ ძლიერ ხალხს, როგორიც ხაზარები იყვნენ, თოვფილაქტე „სხვა ჰუნურ“ ტომებს არ მიათვლიდა.

აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა პირველი ტალღების გამოჩენის თვალსაზრისის მხრივ, არანაკლებ საყურადღებოა თეოფილაქტეს ქვემომოყვანილი ცნობა. ცნობიდან ირკვევა, შუა აზიიდან აღმოსავლეთ ევროპაში ავართა მოსვლის შემდეგ კვლავ რომ ხდებოდა ახალ-ახალი ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების მოსვლა. თეოფილაქტეს თანახმად, „ამავე დროს, ტარნიახისა და კოტზაგირების (ისინი იყვნენ უარისა და ხუნების მოდგმისა) ტომები გამოექცნენ თურქებს და მოვიდნენ ევროპაში, სადაც შეუერთდნენ იმ ავარებს, რომლებიც კაგანის ხელქვეითნი იყვნენ. ამბობენო, – განაგრძობს იგი, – რომ ზაბენდერის ტომიც უარისა და ხუნის ხალხებს განეკუთვნებოდა. ეს

დამატებითი სამხედრო ძალა, რომლებიც ავარებს შეუერდნენ, ათი ათს კაცს შეადგენდა“<sup>55</sup>.

ფრანც ალტჰაიმის თანახმად, აღმოსავლეთ ევროპაში მოსულმა War-ისა და Chunn-ის მასებმა დასავლეთს 558 წელს მიაღწიეს, როცა თურქებმა პეფტალიტების სახელმწიფო დაანგრიეს. ზოგიერთი ცნობით, – წერს იგი, – ვარი და ხუნი პეფტალიტები იყვნენ. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, VI ს. 80-იან წლებში, მათ მეორედ დაიწყეს მოძრაობა დასავლეთისაკენ. მაგრამ, ისინი ამჯერად პეფტალიტები კი არა, ბოლგარები და ხაზარები იყვნენ“. ამ მოძრაობის დაწყების ადგილი, ალტჰაიმის თქმით, კვლავ გარკვევით დგინდება, ესაა ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, სადაც მერვის მიმდებარე ადგილებში 651 წლისათვის კვლავ ჩანს „hazar“-ი<sup>56</sup>.

აღმოსავლეთ ევროპაში, ავარების მოსვლის შემდეგ, ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან – კარძოდ, მერვის მიმდებარე რაიონებიდან ხაზარების მოსვლის შესახებ ფრანც ალტჰაიმის მიერ გამოთქმული მოსაზრება მისაღებად მეზვენება. როგორც ჩანს, სწორედ ხალხთა აღნიშნული მოძრაობა (ხაზარებისა) უნდა იგულისხმებოდეს თეოფილაქტესთანაც, როცა იგი აღნიშნავს ტარნიახისა და კოტზაგირების ხალხის გამოქცევას თურქებისაგან და მათ ავარებთან შეერთებას. კოტზაგირი – შეიძლება სწორედ „ხაზარს“ აღნიშნავს. რაც მთავარია, ესენი 10 000 კაცით მოდიან, რასაც სხვა წყაროების მონაცემებიც უჭერს მხარს (იხ. ქვემოთ). ფრ. ალტჰაიმი ხაზარების აღმოსავლეთ ევროპაში პირველად გამოჩენის დროდ პორმიზდ IV-ის (579 – 590 წწ.) მეფობის ხანას მიიჩნევს<sup>57</sup>. რაც გარკვეული კორექტივით მისაღებია. ალტჰაიმი ასეთი ვარაუდის გასამართლებლად მიხეილ სირიელის ცნობას ეყრდნობა.

აღნიშნული ცნობა, რა თქმა უნდა, დიდი ხანია ცნობილია სამეცნიერო წრეებისათვის. მაგრამ რადგან ყველა მკვლევარს, რომელიც კი ხაზართა ისტორიას ეხებოდა, როგორც ვაჩვენე, ეჭვი არ შეჰქონდა ძველი საისტორიო წყაროების სისწორეში და IV ს-ის 70-იანი წლებიდან მაინც ისტორიულ წყაროებში აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარების მოხსენიებას რეალურ ფაქტად თვლიდა, აქედან გამომდინარე, ისინი მიხეილ სირიელის ცნობაში გადმოცემულ ამბავს ისე არ უდგებოდნენ, რომ მასში აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა პირველი ტალღების მოსვლა დაენახათ.

მიხეილ სირიელის ცნობაში ხაზართა მოხსენიების საკითხს როცა 6. პიგულევსკაია შეეხო, აღნიშნა: „მიხეილ სირიელი, როცა გადმოგვცემს „სკვითების“ ახალი ჯგუფის მოსვლის შემდეგ, მათ რომ მიიღეს ახალი სახელწოდება ხაზარი – ხაზარიკის სახელის მიხედვით, შეიძლება სწორი იყოს, რადგან სახელი ხაზარი ცნობილი ხდება მხოლოდ VI ს-ის ბოლოს და VII საუკუნეში<sup>58</sup>.

მიხეილ სირიელი ანტიოქიაში იაკობიტთა პატრიარქი იყო XII ს-ში. მისი წყაროა იოანე ეფესელი<sup>59</sup> (იოანე ეფესელის „ისტორიის“ ერთი ნაწილი, გვიანდელი რედაქციით, შემონახულია მიხეილ სირიელისა და ბარებრაის თხზულებებში). მის ცნობაში ნათქვამია, რომ ბიზანტიის იმპერატორ მავრიკიოსის (582 – 602) მეფობაში შიდა სკვითეთიდან გამოვიდა სამი ძმა თავიანთი ურდოებით<sup>60</sup>. ისინი 65 დღეში მოვიდნენ იმაონის მთების მხარიდან (იგულისხმება ტიანშანის მთები – გ. გ.) კოლგამდე. მათი მოსვლისას ზამთარი იყო. როცა მოსულებმა რომის საზღვრებს მიაღწიეს, ერთმა ძმამ, სახელით ბულგარიუსმა – (Bulgaricus) 10 ათასი კაცით გადალახა ტანაისი და მავრიკიოსს შეატყობინა მოსვლა. მავრიკიოსმა მისცა მათ ზემო და ქვემო მეზია, ასევე დაკია, ცარიელი ადგილები, რომლებიც ანასტასიოსის დროს ავარებმა გაანადგურეს. ბულგარიუსის ხალხმა დაიწყო იქ ცხოვრება და

რომაელებისათვის შექმნეს დამცველი დასახლებები. თავიანთი ბელადის სახელის მიხედვით, მათ ბულგარები ეწოდათ.

დარჩენილი სკვითები ორი სხვა ძმისა მივიღნენ ალანთა ქვეყანაში, რომელიც ბერსილიად იწოდება (das Berzylia genant ist). ესენი შემდეგ ხაზარებად იწოდნენ, უფროსი ძმის სახელის გამო, რომელსაც კაძარიგი (Kazarig) ერქვა. ეს ხალხი ძლიერი იყო და გამრავლდა<sup>61</sup>.

ს. პლეტნიოვას თანახმად, ხაზართა კავშირი ბარსილიის ქვეყანასთან თეოფანე უამთააღმწერელისა და ნიკიფორე პატრიარქის ცნობებითაც დასტურდება. თეოფანე წერს, რომ ხაზარები ბარსილიიდან გამოსული დიდი ხალხია.

მიხეილ სირიელის აღნიშნულ ცნობას ა. გადლოც შეეხო. მიხეილ სირიელის ქრონიკაში, – წერს იგი, – არის ეთნოგენეტიკური გადმოცემა ხაზარებისა და ბულგარების<sup>62</sup> შესახებ. იგი აღმოცენდა არა უადრეს VII საუკუნისა, მასში ლაპარაკია, მავრიკიოსის დროს შიდა სკვითეთიდან თავისი ხალხით სამი ძმის გადმოსახლების შესახებ<sup>63</sup>.

მიხეილ სირიელის ცნობაში მოთხოვილ ამბავს VI ს-ის ბოლოს, აღმოსავლეთ ევროპაში ხაზარების მოსვლის შესახებ, მხარს უჭერს თვით ხაზართა ისტორიული ტრადიცია, რომელიც კარგადაა ასახული ხაზართა მეფის იოსების წერილში. იოსები ჩამოთვლის 10 ეპონიმს: აგიორ, ტირას, ავარ, უგინ, ბიზ-ლ, ტ-რ-ნა, ხაზარ, ზ-ნურ, ბ-ლ-გ-დ, სავირ<sup>64</sup>.

იოსების წერილში ხაზართა მონათესავე ათი ხალხის დასახელება იმიტომაა საინტერესო, რომ თურქთა კაგანატი, როგორც ლ. გუმილიოვი მიუთითებს, 10 ტომთა კავშირს წარმოადგენდა<sup>65</sup>. თავის მხრივ, ხაზართა კაგანატი რადგან თურქთა დასავლეთი კაგანატის ნანგრევებზე აღმოცენდა და თავს მის მემკვიდრედ თვლიდა, როგორც ჩანს, ისიც თურქთა კაგანატის 10 ტომისაგან შედგენილობის ტრადიციას აგრძელებდა.

იოსების წერილიდან აშკარაა, რომ იმ ხანად, კერძოდ X ს. შუახანებში, ხაზართა კაგანი, მდ. ვოლგაზე მდებარე ხაზართა დედაქალაქ – იტილში იჯდა. იოსები ჩამოთვლის იმ ხალხებს, რომლებიც მას „ემსახურებოდნენ და ხარკს უხდიდნენ“. დამორჩილებულ ხალხში, სხვათა შორის, იხსენიებიან ქართველებიც („Г-рузин“)<sup>66</sup>. რაც მთავარია, იოსები ხაზარი ხალხის წინაპრებზე წერს: „...როცა ჩემი წინაპრები იყვნენ, ჯერ კიდევ მცირერიცხოვანი, ...ისინი ომობდნენ მრავალ ხალხთან, რომლებიც მათზე ძლიერებიცა და მრავალრიცხოვანიც იყვნენ. ღვთის წყალობით [ხაზარებმა] ისინი განდევნეს და დაიკავეს მათი ქვეყანა, ზოგიერთი მათგანი კი აიძულეს ხარკი ეხადათ, რაც გრძელდება დღემდე. ქვეყანაში, რომელშიც მე ვცხოვრობ, ადრე ცხოვრობდნენ ვ-ნ-ნ-ტ-რ'-ები. ჩვენი წინაპრები – ხაზარები ეომებოდნენ მათ. ვ-ნ-ნ-ტ-რ'-ები უფრო მარვალრიცხოვანი იყვნენ, ისე მრავალრიცხოვანი, როგორც ზღვის ქვიშა, მაგრამ ვერ შეძლეს ხაზარებს გამკლავებოდნენ. მათ დატოვეს თავიანთი ქვეყანა და გაიქცნენ. ხაზარები კი დევნიდნენ მათ, სანამ არ მიაღწიეს მდინარემდე, რომელის სახელია „დუნა“. დღემდე ისინი მდინარე „დუნაზე“ ცხოვრობენ, კუნსტანტინის მახლობლად. ხოლო ხაზარებმა დაიკავეს მათი ქვეყანა და დღემდი იქ ცხოვრობენ“<sup>67</sup>.

ტექსტის გამომცემლის პ. კოკოვცოვის განმარტებით, ვ-ნ-ნ-ტ-რ'-ები, ხალხი, რომელთა დამარცხებაზე და განდევნაზეც იოსები თავის წერილში ლაპარაკობს, სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი დროის მაღიარებად – უნგრელებად არიან მიჩნეულნი<sup>68</sup>. პ. კოკოვცოვი შემდეგ დასძენს: ისინი ბიზანტიილი მწერლების ცნობებით, ბულგარული წარმოშობის ტომები პუნგუნდურები იყვნენ. VII ს. დასაწყისში ავარებს ემორჩილებოდნენ, რომლებიც მაშინ ზღვისპირა მხარეში

ბატონობდნენ. 635 წ. ხან კუბრატის დროს გადაიგდეს ავართა უდელი და სრული თავისუფლება მოიპოვეს. როცა ხაზარებმა დაიწყეს დაახლ. 650 წ. თავიანთი ძალაუფლების გავრცელება აზოვის ზღვის სანაპიროს ველებზე მცხოვრებ ხალხებზე, ჰუნოგუნდურების ნაწილმა თავიანთი ბელადის – ასპარუხის მეთაურობით დატოვა თავისი სამშობლო და დნეპრისა და დნესტრის გადალახვის შემდეგ შეჩერდა მდ. დუნაის ნაპირზე. მეორე ნაწილი კი დარჩა უუბანში და ხაზარებს დამორჩილდა<sup>70</sup>.

ოსების წერილში გადმოცემული ამბავი ხაზარებთან ბრძოლაში მადიარების წინაპრების დამარცხებისა და მათი მდ. დუნაიზე გადასახლების შესახებ (ასევე ბულგართა ხანის კუბრატის ძის – ასპარუხის თავისი ურდოთი ხაზარებისაგან გაქცევა, როგორც ამას კოკოვცოვი წერს), ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. როგორც ცნობილია, ძველ ბოლგართა გაერთიანება, რომელიც ვოლგისპირეთის ქვედა ველებზე და აზოვისპირეთში მდებარეობდა, ხაზართა დარტყმების შედეგად დაიშალა და ბოლგართა ერთი ნაწილი ხან ასპარუხის მეთაურობით ჯერ სამხრეთ ბესარაბიაში, შემდეგ კი დუნაის მარჯვენა ნაპირზე გადასახლდა<sup>71</sup>. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე IV პოგონატი (668 – 685) იძულებული გახდა 681 წელს ბალკანეთში დამკვიდრებულ ბოლგართა (ბულგართა პირველი სახელმწიფო) არსებობა ეცნო.

ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე ხაზართა მოსვლისა და მათ მიერ სხვა ხალხების დამორჩილების ამბავი ასახულია სომხურ გეოგრაფიაშიც. მასში ნათქვამია: „რიპეის მთებიდან გამოიქცა ხუდბარდის (კუბრატის) ძე“. გეოგრაფიის ავტორი შემდგებ წერს: „თრაკიაში არის მდინარე დანუბი (დუნაი), რომელიც 6 ტოტად იყოფა და პქმნის ტბასა და კუნძულს, რომელსაც პიუკი (Пиоки) ეწოდება. ამ კუნძულზე ცხოვრობს ასპარ-ხრუკი (ასპარუხი), ხუბრატის ძე, რომელიც ხაზარებს გამოექცა...“<sup>72</sup>.

ასე რომ, ჩრდილო კავკასიაში მოსვლის შემდეგ ხაზართა პირველი გამარჯვების ამბავი კარგად ყოფილა ცნობილი. იგი ასახულა როგორც ხაზართა ისტორიულ ტრადიციაში, ისე სომხურ გეოგრაფიაში. ხაზართა პირველი მსხვერპლი ბოლგარები გახდნენ. ეს ასეც იყო მოსალოდნელი. როგორც ისტორიულ ენციკლოპედიაშია მითითებული, ასპარუხის ქვეშევრდომი ბოლგარები, სანამ მათ წინააღმდეგ ხაზარები ომს დაიწყებდნენ, ვოლგის ქვემოდინების ველებზე იმყოფებოდნენ. სავარაუდებელია, როგორც მიხეილ სირიელის ცნობაშია მითითებული, ეს ბოლგარები, მართლაც, „შიდა სკვითეთიდან“ გამოსული სამი ძმის ერთ-ერთი ტომი იყო, რომელიც დანარჩენ თრ ძმაზე ადრე მოვიდა აღმოსავლეთ ევროპაში და შემდეგ დანარჩენი თრი ძმის, კერძოდ უფროსი ძმის – ხაზარიკის ურდოს მოსვლის შემდეგ იძულებული გახდა დუნაიზე გადასულიყო.

მ. არტამონოვმა, ასპარუხის დუნაიზე გადასახლების შესახებ ცნობების გაანალიზებისას აღნიშნა: „ყოველივე ზემომოყვანილის გათვალისწინებით და კონსტანტინე პორფიროგენეტის მითითების საფუძველზე, როცა ეს უკანასკნელი ასპარუხს ონოგურს უწოდებს, ერთხელ კიდევ დასტურდება ა. ბურმოვისა და ზოგი სხვა მეცნიერის მოსაზრება, რომ ოგხონდორები, ჰუნუგუნდურები და ონოგურები – ერთი და იგივე ბოლგარული ტომის სახელწოდება იყო“<sup>73</sup>. ე. ი. ის ხალხი, რომელნიც იოსების წერილში ვ-ნ-ტ-რ-ებად იწოდება, როგორც კოკოვცოვი წერს, იგივე ბიზანტიელი ავტორების Օսუნგისუნდისი ვისინი კონსტანტინე მარმადობაზე მაღალარების ერთ-ერთ წინაპარია და ისინი ბოლგართა ტომის ნაწილს წარმოადგენდნენ.

ასე რომ, ხაზართა პირველი ტალღის მოსვლა აღმოსავლეთ ევროპაში VI საუკუნის ბოლოსათვის იმპერატორ მავრიკიოსის დროს მომხდარ ფაქტად უნდა

მივიჩნიოთ. როგორც ვნახეთ, ამის შესახებ მიუთითებს ფრანც ალტჰაიმი. ასეთი ფაქტი წყაროთა მონაცემებითაც დასტურდება. უძველია, თეოფილაქტე სიმოკატას მიერ გადმოცემული ამბავი, რომელშიც ვარისა და ხუნის მოდგმის ხალხების (ტარნიახებისა და კოტზაგირების) გამოქცევაზე და ავარებისადმი შეერთებაზეა მითითება, სწორედ მიხეილ სირიელის ცნობაში მოთხოვნილ ამბავით პოულობს მხარდაჭერას. თეოფილაქტეს ცნობით, თურქებისაგან გამოქცეული ხალხები – ტარნიახი, კოტზაგირი და ზებენდერი 10 000 კაცი იყო. მიხეილ სირიელის ცნობითაც, ხომ „შიდა სკვითეთიდან“ სამი მმის ხალხი (=უდო) წამოვიდა, რომელთაგან თითოეულს 10 000 კაცი ჰყავდა.

კოტზაგირის მიერ მოყვანილ ბოლგარული მოდგმის ტომებს თუ აღმოსავლეთ ევროპაში ხაზართა მოსვლის პირველ ტალღად მივიჩნევთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ შემდეგ ამ ბოლგარული მოდგმის ხალხების სულ ახალ-ახალი ნაკადი მოდიოდა შუა აზიდან, მაგრამ მათი ეთნიკური მასა მდ. ვოლგის დასავლეთ ველებზე მომთაბარე ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხებს შორის გარკვეულ დრომდე მაინც უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო. ამერიკელი მეცნიერის დანლოპის თანახმად, „...უიგურების ჯგუფები, სარაგურებისა და ონოგურების გამოჩენიდან არაერთხელ გადმოსახლდნენ ევროპაში. მათ უნდა მიეკუთვნონ ხაზარებიც“<sup>74</sup>.

ხაზარები აღმოსავლეთ ევროპაში ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კერძოდ, მერვის მიმდებარე რაიონებიდან რომ უნდა გადმოსულიყვნენ, როგორც ამის შესახებ ფრანც ალტჰაიმიც მიუთითებს, ამას ისიც მოწმობს, რომ 651 წლისათვის იქ ჯერ კიდევ იყო ხალხი hazar-o. X ს-ის არაბი გეოგრაფის მასუდის ცნობაში არსებული მინიშნებით ხაზართა მეფის ჯარი წარმოშობით დაახლოებით რომ ხორეზმიდან იყო<sup>75</sup>, იქნებ იმაზე მიგვითოთებს, კაგანის პირადი გვარიდა (რომელშიც ძირითადად ხაზარები იყვნენ) შუა აზიდან – ხორეზმის რაიონიდან გამოსულთაგან რომ კომპლექტდებოდა.

VI ს-ის ბოლოს აღმოსავლეთ ევროპაში მოსული მცირერიცხოვანი ხაზარები ვოლგისპირეთისა და ჩრდილო კავკასიის ველებზე არსებული როგორც ჰუნურ-თურქული, ისე აბორიგენი წარმოშობის მრავალრიცხოვან ხალხებში კარგა ხანს გარკვეულ კვალს ვერ დაამჩნევდა. ამის გამოა, რომ ხაზარების მიერ თავიანთი მონათესავე ბოლგარების განდევნა ჩრდილო კავკასიისა და აზოვის ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ველებიდან მხოლოდ ხაზართა სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ მოხდა. ხაზარებს აღმოსავლეთ ევროპაში – ვოლგის დასავლეთი სანაპირო ველებიდან მოყოლებული, ჩრდილო კავკასიის, აზოვისა და ყირიმის ჩრდილოეთით მდებარე ველების ჩათვლით გაბატონებული მდგომარეობა რომ დაეკავებინათ, ძლიერი და მრავალრიცხოვანი ხალხი უნდა ყოფილიყვნენ. ასეთად ხაზარები კი მხოლოდ 630 წელს, თურქთა დასავლეთი კაგანატის დანგრევის შემდეგ შეიქმნენ. ვფიქრობ, ხაზარული ეთნოსის გაზრდა ჩრდილო კავკასიაში პირდაპირ კაგშირში უნდა იყოს თურქთა დასავლეთი კაგანატის დაცემასთან.

ხაზართა კაგანატი თავს, როგორც ითქვა, თურქთა დასავლეთი კაგანატის მექვიდრედ თვლიდა და ყოველმხრივ აგრძელებდა მის ტრადიციას (სახელმწიფოს 10 ტომისაგან შედგენა, მმართველობის აპარატი და სხვა). ამიტომ ისმება კითხვა: ხაზარები თურქთა დასავლეთი კაგანატის ერთ-ერთი შემადგენელი ხალხი ხომ არ იყო? რომლის ძირითადი მასა 626-628 წლამდე, თურქებთან ერთად ამიერკავკასიაში ლაშქრობამდე (უფრო სწორად, თურქთა კაგანატის დანგრევამდე, 630 წ.) ჯერ ისევ აზიაში ცხოვრობდა?

ამ მხრივ ჩემი ყურადღება მიიპყრო მოვსეს კალანკატვაცის თხზულებიდან ერთმა ადგილმა.

626-628 წწ-ში იმპერატორ პერაკლესთან ერთად ანტიირანულ კოალიციაში მონაწილეობა თურქთა დასავლეთმა კაგანატმა, როგორც ვიცით, ამიერკავკასიაში ლაშქრობით გამოხატა<sup>76</sup>. 628 წ. თბილისის აღების შემდეგ თურქთა ჯარის სარდალი მოხო ჯაბდუ უკან – შუა აზიაში გაბრუნდა. თავისი ძე ბური შათი კი ამიერკავკასიაში დატოვა ალბანეთის დასაპყრობად. ბური შათს ალბანეთში ყოფნა 630 წლამდე გაუხანგრძლივდა.

628 წელს შუა აზიაში ჩასული მოხო ჯაბდუ კაგანატში დაწყებული შინაომის დროს დაიღუპა. ალბანეთში მყოფმა მისმა ძემ კი ასეთი ამბავი შეიტყო მამისაგან: „ახლა შენ ნუდარ დააგვიანებ შენთან მყოფი ხალხის განადგურებას. ეცადე თავი დააღწიო მათგან იმაზე ადრე, ვიდრე ეგენი გაიგებენ მომხდარი ამბების შესახებ და დააჩქარებენ შენს მოსპობას. მე კი დავიღუპე და მოვწყდი ჩემს შვილებს“<sup>77</sup>.

ლ. გუმილიოვის შენიშვნით, მოხო ჯაბდუ იყო თურქთა დასავლეთი კაგანატის მბრძანებლის კაგან ტუნ შეჰუს მომდევნო ძმა, ღირსებით მეორე კაგანატში. როცა კაგანატში აჯანყებები დაიწო, მოხო გაეშურა ძმის – კაგან ტუნ შეჰუს დასახმარებლად, მაგრამ იგი დულუს ტომების მიერ იქნა დამარცხებული და დაიღუპა. მოხოს რჩევა თავისი შვილისადმი, რომ გაენადგურებინა მასთან მყოფი მეომრები, სანამ ისინი კაგანატში მომხდარ ამბავს გაიგებდნენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ალბანელებზე ნათქვამად მივიჩნიოთ. რადგან ისინი ისე ტერორიზებულნი იყვნენ თურქთაგან, რომ მათი აჯანყებისა ბურის არ შეეშინდებოდა. როგორც ჩანს, მოხოს სიტყვებში დულუს ტომის ის თურქები უნდა იგულისხმებოდნენ, რომლებიც ბური შათის ჯარში იყვნენ. ცნობილი არაა, ბური შათმა შეასრულა თუ არა მამის რჩევა, მაგრამ იგი გადარჩა და VII ს-ის 30-იან წლებში აქტიურ მონაწილეობს ლებულობდა ნუშუბის ტომების მხარეზე თურქთა დასავლეთ კაგანატში მიმდინარე შინაომებში<sup>78</sup>.

როგორც თეოფილაქტე სიმოკატას ცნობის გაანალიზებისას ზემოთ ვაჩვენე, ჯერ კიდევ VI ს-ის ბოლო წლებში თურქთა დასავლეთი კაგანატი დატოვა და აღმოსავლეთ ევროპაში გადასახლდა ვარისა და ხუნის ტომები, რომელთა ერთ-ერთი ბელადი კოტზაგირი იყო (ასეთივე ცნობა აქვს მიხეილ სირიელსაც). აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქრო, რომ თურქთა დასავლეთ კაგანატში შინაომები ჯერ კიდევ VI ს-ის 80-იან წლებში უნდა დაწყებულიყო. აღმოსავლეთ ევროპაში მოსული ხალხი რადგანაც ბოლგარებად ითვლებიან, ხოლო ბოლგართა ბელადები კუბრატი და ასპარუხი კი დულუს ტომთა საგვარეულოს ეკუთვნოდნენ, ამიტომ საგარაუდებელია, ნუშუბის დინასტიის წარმომადგენელი მოხო ჯაბდუ ამიერკავკასიაში მყოფ თავის ძეს სწორედ დულუს ტომების თურქების განადგურებას ურჩევდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს დულუს მოდგმის თურქები – ბოლგარები გამოდიან ისტორიის ასპარუზზე შემდეგში, როგორც ხაზარები.

ზემოთ არაერთხელ მივუთითე – სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბოლგარები, ავარები, ხაზარები – უკელა – ერთი – თურქული წარმოშობის ხალხი იყო. რომ ბოლგარები და ხაზარები უკელაზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან და, თითქმის, ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ. ხაზარებზე შეიძლება ითქვას, რომ ისინი თურქთა დასავლეთ კაგანატში შემავალი დულუს ტომების თურქები იყვნენ. რაც შეეხება მათი ხაზართა სახელით მოხსენიებას – ეს სახელი დულუს ტომთა ერთ ნაწილს, მართლაც, შეიძლება ხაზარიკ-კოტზაგირის სახელისაგან მიეღო.

დულუს ტომთა მეორე ნაწილი აღმოსავლეთ ევროპაში ბოლგართა სახელით გახდა ცნობილი და ისე, როგორც საზარებმა, მათაც სახელი დულუს ტომის ერთ-ერთი ბელადის – ბოლგარიუსისაგან მიიღეს.

თურქთა დასავლეთ კაგანატის შინაბრძოლებში გამარჯვებულ დულუს ტომის თურქები, როგორც ჩანს, 630 წლიდან თანდათან აღმოსაველეთ ევროპაში გადმოვიდნენ და ადრე გადმოსულ კოტზაგირ-საზარების თურქებს შეუერთდნენ და დაიწყეს ბრძოლა აღმოსავლეთ ევროპაში ახალი გაერთიანების შესაქმნელად. აღმოსავლეთ ევროპაში მოსულმა დულუს ტომის თურქებმა, რომლებიც ისტორიის ასპარეზზე შემდეგში საზარების სახელით გახდნენ ცნობილი, მხოლოდ 650/51 წლისათვის შესძლეს ახალი სახელმწიფო გაერთიანების შექმნა კაგანით სათავეში და საფიქრებელია, ამ გაერთიანებას ახალი – დულუს დინასტია განაგებდა. თუ ასეთ თვალსაზრისს მივიღებთ, მაშინ, ვფიქრობ, სწორი არ უნდა იყოს ს. პლეტნიოვას მოსაზრება, თითქოს, როცა „...ბულგარეთან ერთდროულად კასპიისპირეთის დასავლეთ ველებზე ჩამოჟალიბება დაიწყო საზართა სახელმწიფომ, ოდესდაც ძლიერი თურქული საგვარეულოს აშინას ნარჩენები, დასავლეთში გადმოვიდნენ და საზარეთში გაჩერდნენ, სადაც ახალი მმართველი დინასტია შექმნეს“<sup>79</sup>. მე მგონია, დამარცხებული თურქული ტომების გამგებელ აშინას საგვარეულოს (რომელიც დულუს ტომებზე თურქთა კაგნატის წარმოქმნის – 555 წ. დღიდანვე ბატონობდა), ამჯერად გამარჯვებული დულუს თურქების დიდკაცობა ხელახლა აღარ გააბატონებდა. საზართა კაგანები სწორედ დულუს საგვარეულოს (ისე როგორც ბოლგართა სახელმწიოების დამაარსებელი – კუბრატი და მისი ძენი: ასპარუხი, ბათბაი და კოტრაგი<sup>80</sup>) წარმომადგენელები უნდა ყოფილიყვნენ. დინასტიური ცვლილების მიუხედავად, დულუს ტომთა მეთაურობით საზართა ახლადწარმოქმნილი სახელმწიფო, როგორც ითქვა, თავს მაინც თურქთა კაგანატის მემკვიდრედ თვლიდა. „საზარები, – წერს ს. პლეტნიოვა, – თავს თვლიდნენ თურქთა კაგანატის უშუალო მემკვიდრედ, ამიტომ თავიანთ მმართველს უწოდებდნენ კაგანს, ხოლო სახელმწიფოს – კაგანატს“<sup>81</sup>.

## თავი VII. ამიერკავკასიაში სად იყო “ჰუნთა ძველა”?

„ჰუნთა ქვეყანად” თანამედროვე უნგრელთა წინაპრებს საქართველო მიაჩნდათ. როგორც უნგრელი ქართველოლოგი ლაიოშ ტარდი წერს, უნგრეთში ჯერ კიდევ მეცე მატიაშ ჰუნიადის (1458 – 1490 წწ.) დროს პოულარული იყო თვალსაზრისი, რომელიც უნგრელებსა და ქართველებს ერთი წარმომავლობის ხალხად თვლიდა. იმ დროის სამეფო კარზე ისტორიკოსების საუბრის მუდმივი საგანი იყო ჰუნებისა და მადიარების სიდიადეზე – მათი სკვითური წარმომავლობის შესახებ. ისტორიკოსი ტუროში, – დასძენს ლ. ტარდი, – ქართველებს მიიჩნევდა უნგრელების მეზობლად, ნათესავად. იგი მდ. რიონს სკვითების ერთ-ერთ მდინარედ თვლიდა და ასკვნიდა: არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, – უნგრელი ხალხის თავდაპირველი სამშობლო სკვითეთი რომ იყო<sup>1</sup>.

ჰუნიადის მეფობის შემდეგ, ეროვნული ადორბინების ხანაში – XVIII ს. დასასრულიდან, განსაკუთრებით გაძლიერდა უნგრელთა ინტერესი აღმოსავლეთში დარჩენილი თანამემამულების მიმართ<sup>2</sup>. მთელი რიგი არისტოკრატული ოჯახები ცდილობდნენ თავიანთ შთამომავლობაში კავკასიური (ქართული) ელემენტი ეჩვენებინათ. უფრო მეტიც, არაერთმა სწავლულმა იმოგზაურა საქართველოში, რათა თავიანთი ნათესავების ნაკვალევისთვის მიეგნო. მაგალითად, უნგრელი მეცნიერი მორ დეზი 1884 – 1907 წლებში შვიდჯერ ყოფილა საქართველოში<sup>3</sup>.

ცხადია, დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც გაირკვა – უნგრელებს წარმომავლობის მხრივ არაფერი რომ არ აკავშირებდა ქართველებთან, ინტერესი საქართველოსადმი უნგრეთში შენელდა, თუმცა, ის საისტორიო წყაროთა მონაცემები, რომლებიც ამიერკავკასიაში ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხების – მათ შორის უნგრელთა მონათესავე ხალხად მიჩნეული საბირების (სავარდების) ყოფნის შესახებ მიუთითებენ, არაერთმა მკვლევარმა გაანალიზა.

დასმული საკითხისადმი ინტერესი განაპირობა შემდეგმაც: ლ. ტარდიმ ვენის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიაკვლია ასტრონომისა და გეოგრაფის, ნიურნბერგის უნივერსიტეტის პროფესორის იოპანეს შონერის (1477 – 1547 წწ.) მიერ დახატულ და გაფერადებულ მსოფლიო რუკას. რუკაზე საქართველო აღნიშნულია შავ და კასპიის ზღვებს შორის, წარწერით ”კუმანიის სათათრეთი”. იქვეა ლათინური მინაწერი - ”Georgia seu Hungaria antiqua”, ე. ი. ”საქართველო ანუ უძველესი უნგრეთი”<sup>4</sup>.

ლ. ტარდის თანახმად, რუკის შემდგენელი გერმანელი შონერი არასდროს ყოფილა არც უნგრეთსა და არც საქართველოში. ცნობები რუკის შესადგენად მას უნდა აედო ცნობილი სწავლულის იოპან რეგიონონგრანუსისაგან (გარდ. 1476 წ.), რომელიც, უნგრეთის მეფის მატიაშ ჰუნიადის მიწვევით, ერთხანს, უნგრეთის სამეფოს ბერძნულ ხელნაწერებზე მუშაობდა<sup>5</sup>.

ასე რომ, სწორედ იოპან რეგიონონგრანუს უნდა ჰქონდა გარკვეული ცნობები, რომლებიც ამიერკავკასიაში უნგრელთა წინაპრების ცხოვრებას შეეხებოდა, მაგრამ რატომ დააწერა ი. შონერმა მის მიერ შედგენილ რუკაზე საქართველოს შესაბამისად ”კუმანიის სათათრეთი” ანუ ”უძველესი უნგრეთი”?

როგორც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, ბალკანეთში დამკვიდრებული უნგრელების წინაპრები, მართალია, ძირითადად უგორული მოდგმის ტომები იყვნენ, მაგრამ ”ახლად დაპყრობილ სამშობლოში” მათ სლავებს გარდა მრავლად დახვდათ აღრე მისული თურქულენოვანი ჰუნების, ავარების, ბოლგარებისა და სხვა ჰუნურ-თურქული მოდგმის ხალხთა ცალკეული ჯგუფები. აღნიშნულს გარდა, უნგრელთა წინაპრებმა თურქული გავლენა ჯერ კიდევ ბალკანეთში მისვლამდე განიცადეს. დასაგლეთ ციმბირიდან

გამოსული უნგრელთა წინაპრები, ონოგურ-მადიარები, V საუკუნიდან ბალკანეთში გადასვლამდე ჩრდილო კავკასიის, აზოვისა და შავი ზღვისპირა ტერიტორიებზე სწორედ პუნქტულ გარემოში ცხოვრობდნენ<sup>6</sup>. მკვლევრები იმაზეც მიუთითებენ, რომ თვით უნგრელთა შემადგენლობაში სხვადასხვა თურქული მოდგმის, მათ შორის სამი ხაზარულ-თურქული ტომიც შედიოდა<sup>7</sup>. ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ ბალკანეთში გადასვლამდე უნგრელთა წინაპრებს თურქიზაციის საკმაოდ ძლიერი პროცესი პქონდათ გავლილი და მეზობელ ხალხებისათვის ისინი, ისე როგორც მათი მონათესავე საბირები, თურქები (პუნქტი) იყვნენ. ი. შონერის წყარო ამიტომ უწოდებს მათ "თათრებს". ახლა რაც შეეხება საკითხს, რატომ თვლიდა უნგრული ტრადიცია საქართველოს უნგრელთა წინაპრების ერთ-ერთ სამშობლოდ, რა საფუძველი არსებობდა ასეთი თვალსაზრისისათვის, იყო საქართველოს ან, საერთოდ, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე პუნქტულ-უნგრული დასახლება?

ი. შონერის მსოფლიო რუკაზე საქართველოს უნგრეთად მიჩნევა ლ. ტარდიმ ასე ახსნა: წარწერის ავტორს, – წერს იგი, – ალბათ ეგონა, რომ როცა უნგრელებმა კავკასიაზე გაიარეს, იქ დაარსეს თავიანთი სამშობლო, რომელიც შემდეგ გაურკვეველი მიზეზით დატოვეს<sup>8</sup>. ლ. ტარდისავე სიტყვით, უფრო გვიან, 1527 წელს, ი. შონერის რუკის საფუძველზე ძველი უნგრეთი ისევ შავი და კასპიის ზღვებს შორის მოათავსა ცნობილმა ინგლისელმა კომერსანტმა და გეოგრაფმა რობერტ ტორნიმ. ამ რუკაზეც არის წარწერა – "საქართველო ანუ ძველი უნგრეთი"<sup>9</sup>.

ლ. ტარდის თანახმად, ძლიერი დამპყრობლების – მონდოლების შესახებ ცნობამ როცა უნგრეთს მიაღწია, უნგრეთის მეფემ ბელა IV-მ ამ ახალი მტრის ვინაობის დასადგენად 1232 წელს აზიაში მისია გამოგზავნა. მისიას ევალებოდა აზიაში დარჩენილი უნგრელი ტომების მოქებნა და მათი შემწეობით მონდოლებზე ცნობების შეკრება. როგორც ლ. ტარდი წერს, ამ მისის წევრი ოტო "უნგრელთა ტომებს უნგრო-სავირამებს შეხვდა ალანების მეზობლად, სახელდობრ კავკასიის სამხრეთით". 1235 წელს, იმავე ბელა IV-ის დავალებით, მისია იულიანე მონაზონის ხელმძღვანელობით კვლავ იმყოფებოდა კავკასიაში. ამ დროს ისინი, – დასძენს ლ. ტარდი, – მართალია, "შიდა საქართველოში მაინც ვერ მოხვდნენ", მაგრამ მთავარი ისაა, სწორედ მონდოლთა ბატონობის ხანაში რომ ჩაეყარა საფუძველი ქართველთა და უნგრელთა ურთიერთობას<sup>10</sup>.

აღმოსავლეთში დარჩენილი თანამომმებებისადმი ინტერესი, როგორც ვნახეთ, უნგრეთში მონდოლთა ბატონობის შემდგომ ხანაშიც დიდი იყო. პიპოთეზა უნგრელების წინარე სამშობლოდ ამიერკავკასიის მიჩნევის შესახებ, – წერს ლ. ტარდი, – არა მარტო იმ ეპოქის რუკებზეა ასახული, არამედ არსებობს რამდენიმე წერილობითი წყარო, რომელიც აგრეთვე გადაკვრით მიგვანიშნებს ამაზე. ლ. ტარდის სიტყვით, ასეთი აზრი გამომდინარეობს ჰანს ლოვენკლაუს ნაშრომიდან. ლოვენკლაუს შეხედულება ასეთი იყო: "როცა იუგრებმა თავიანთი სამშობლო – იუგრი მიატოვეს, ისინი ჯერ დამკვიდრდნენ მეოტიის ჭაობთან ახლოს, შემდეგ იქიდან გადაინაცვლეს ხაზართა მიწაზე, მივიდნენ შავ ზღვამდე, იქ რამდენიმე ხანს იცხოვრეს; ბოლოს ხალხის ერთმა ნაწილმა გზა გაიკაფა დუნაიმდე, სახელდობრ პანონიამდე, რომელიც ახლანდელი უნგრეთია, მეორე ნაწილი კი გადავიდა იბერიასა და სომხეთში და საბოლოოდ სპარსეთის ტერიტორიაზე დამკვიდრდა"<sup>11</sup>.

ამიერკავკასიაში დასახლებულ თავიანთ თანამომმებად უნგრეთში დიდხანს ე. წ. სავარდები მიაჩნდათ. უნგრელმა ისტორიკოსებმა, – წერს ლ. ტარდი, – დაადგინეს, რომ ამიერკავკასიაში დამკვიდრების შემდეგ სავარდებმა კონტაქტი დამყარეს უნგრელებთან, რომლებმაც ჯერ კიდევ 950 წელს მათ

ელჩები გაუგზავნეს... ეს კავშირი დიდხანს არ შემწყდარა, რადგან XI ს-ის უნგრელ მემატიანეს, როგორც ჩანს, მათ შესახებ ბევრი რამ სცოდნია. ლ. ტარდისავე მითითებით, ასევე დაახლოებით სარწმუნოა ის, რომ XIII საუკუნეში უნგრელ მისიონერებს ეს ხალხი დახვდათ კავკასიონის გადაფა<sup>12</sup>. 1253 წელს ნახიჩევანში რუბრუკისი შეხვდა უნგრელ დომინიკანელ მონაზონს, რომელიც თბილისისაკენ მიემართებოდა. ნახიჩევანიდან თბილისისაკენ მიმავალი გზა კი გადიოდა უნგრელი სავარდების ძველ ტერიტორიაზე. XIV ს-ის დასაწყისშიც არსებობდა არაპირდაპირი კონტაქტები ევროპაში ემიგრირებულ უნგრელებსა და საქართველოში დარჩენილ უნგრელებს შორის<sup>13</sup>.

ამრიგად, ძველ რუკებზე საქართველოს უნგრეთად მიჩნევას, ლ. ტარდის თანახმად, მართალია, გარკვეული გაუგებრობა ედო საფუძვლად, მაგრამ ნახიჩევანიდან თბილისისაკენ მიმავალ გზაზე – აღმოსავლეთ საქართველოში მას სადღაც მაინც უგულება უნგრელთა მონათესავე სავარდების საცხოვრისი, რაც, მისი აზრით, უნგრეთის მეფის ბელა IV-ის მიერ გამოგზავნილი მისიების წევრთა ცნობებით მტკიცდება. ამასთან ერთად, უნგრელ ისტორიკოსთა ცნობით, დაახლოებით 950 წელს ამიერკავკასიაში მცხოვრებ სავარდებთან ელჩები გააგზავნეს მათმა უნგრელმა თანამომმებმა, მაგრამ, კერძოდ, ვინ იყვნენ ეს სავარდები, როდის უნდა გადმოსულიყვნენ ისინი ამიერკავკასიაში, ნახიჩევნიდან თბილისისაკენ მიმავალ გზაზე, სად უნდა ლოკალიზდებოდეს სავარდების საცხოვრებელი ადგილი, – ლ. ტარდი არა წერს.

სათანადო საისტორიო წყაროთა გაანალიზების შემდეგ ამიერკავკასიაში სავარდების საცხოვრისის გაურკვევლობის შესახებ მიუთითა 1994 წელს უნგრეთ-საქართველოს ძველი ურთიერთობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში რ. ხუციშვილმაც. ”მიუხედავად ზემოაღნიშნული მონაცემებისა, – წერს იგი, – დღემდე არ ხერხდება კავკასიაში დარჩენილ (მცხოვრებ) უნგრელთა მიკვლევა, მათი საცხოვრებელი ადგილის დადგენა. ჯერ კიდევ მრავალი დოკუმენტისა თუ სხვა სახის მასალის გამოვლენა-გაცნობაა საჭირო, რათა მეცნიერულად იქნას შესწავლილი უნგრულ-კავკასიური პრობლემის ეს საინტერესო პერიოდი“<sup>14</sup>.

დასავლეთ ციმბირიდან გამოსული უნგრელთა წინაპრები ბალკანეთში დასახლებამდე გარკვეულ ხანს ჩრდილო კავკასიისა და აზოვის (მეოტიდის) ზღვის მიმდებარე ველებზე რომ ცხოვრობდნენ, ეს საყველთაოდაა ცნობილი. მაგრამ ანგარიშგასაწევია უნგრულ საისტორიო ტრადიციაში შემონახული ცოდნაც, რომლის თანახმად, უნგრელთა წინაპრებიდან ჩამოცილებული მათი თანამომმები სადღაც ამიერკავკასიაშიც რომ იმყოფებოდნენ. ზემომოგზანილი მასალა უნგრეთის სამეფო კარის ისტორიკოსებსა და ამ საკითხით დაინტერესებულ სამეფო მოხელეებს, მართლაც, აძლევდა საფუძველს სამეფო კარზე საუბრისას საქართველო თუ არა, ამიერკავკასიის რაღაც ნაწილი თავიანთ ერთ-ერთ წინარე სამშობლოდ მიეჩნიათ.

ამიერკავკასიაში სავარდების ყოფნის საკითხით ჯერ კიდევ ნ. მარი დაინტერესდა. ნ. მარის თანახმად, წყაროებში დაფიქსირებულ ”sev-ordi-q”-ს არავითარი კავშირი არა აქვს უცხო ეთნიკური ჯგუფის არსებობასთან ამიერკავკასიაში. sev-ordi-q, – დასძენს იგი, – ”შავ ბავშვებს” (“чёрные дети”) ნიშნავს და იგი სომხურად სევანის ტბის ხალხური ეტიმოლოგიაა, რომელიც გამოყენებული აქვთ ძველ სომებს ისტორიკოსებს: იოანე კათალიკოსა და ასოლიკს. მათთან sev-ordi-q მდ. არაქსის დასავლეთით, მდ. მტკვარსა და არცახის პროვინციას შორის მდებარე Utiq-ის ოლქს აღნიშნავს. ნ. მარის აზრით, ხწორედ სომხურმა ხალხურმა ეტიმოლოგიამ მიაღწია კონსტანტინე პორფიროგენებამდე (გარდ. 959 წ.) და მის ოხულებაში აისახა საბართო-ფორმით<sup>15</sup>.

რამდენად მისაღებია 6. მარის ზემომოტანილი ოვალსაზრისი, ამის შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი, მანამდე კი ვნახოთ, რა ცნობებია საისტორიო წყაროებში ამიერკავკასიაში არსებულ "ჰუნთა ქვეყანაზე" და რა აზრისანი არიან მკვლევრები მისი ლოკალიზაციის შესახებ.

დასმული საკითხების კვლევა შეასაუგუნების უნგრეთში შექმნილი საისტორიო ნაწარმოებით უნდა დავიწყო. 1992 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უურნალში ("მაცნე" ისტორიის... სერია, № 2) რ. ხუციშვილმა გამოაქვეყნა მის მიერ უნგრულიდან ნათარგმნი, შიმონ კეზაის მიერ დაახლ. 1283 წელს შედგენილი "ჰუნების ისტორია". ეს თხზულება კეზაის სხვადასხვა საისტორიო წყაროზე დაყრდნობით აქვს შედგენილი, უნგრელთა წინაპრების ისტორიის გადმოცემისას კი ძირითადად იმ ხანად უნგრეთში არსებულ საისტორიო ტრადიციას ეყრდნობა.

შ. კეზაი ცდილობს თავისი ხალხის წარმოშობა ბიბლიურ ტრადიციას დაუკავშიროს. მან იცის, უნგრელთა თავდაპირველი სამშობლო სკვითეთი (სადაც მდ. იტილი – ვოლგა მიედინება) რომ იყო; იცის სკვითეთში მოსახლე ხალხების ბუნება, ჩვევები და ფერი; მადიართა მონათესავენი რომ არიან ბაშკირები, მოგორები (ალბათ, უგორები – გ. გ.) და სხვანი. შ. კეზაის თანახმად, სკვითეთზე უფრო ადრე უნგრელთა სამშობლო "სპარსეთის მხარე" იყო, საიდანაც გადასახლდნენ უნგრელთა წინაპრები – მენორტის უფროსი ძეგი ჰუნორი და მადიარი ჯერ ჩრდილო კავკასიაში, შემდეგ მეოტიდის (აზოვის) ზღვის მიმდებარე ველებზე, იქიდან კი პანონიაში. თუმცამ, ჰუნორისა და მადიარის მომდევნო და-ძმათა შთამომავლები ისევ ცხოვრობენ "სპარსეთის მხარეში"-ო. შ. კეზაის "ჰუნების ისტორიიდან" არანაკლებ საინტერესო ის, რომ უნგრული საისტორიო ტრადიცია ცდილობს თავიანთი წარმომავლობა ალანებს (ოსებს) დაუკავშიროს. უნგრეთში გადასახლებული მადიარები დედით ალანების შთამომავლებად გამოჰყავს<sup>16</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა დატვირთვას იძენს ის გარემოება, – სვანები ოსებს "მუსავ" (6. ვოლკოვას თანახმად, ეს იგივე "სავირ" – ე. ი. საბირი არის) რომ ეძახიან<sup>17</sup>.

შ. კეზაის ზემომოტანილ ცნობას "სპარსეთის მხარეში" მადიართა წინაპრების ერთი ნაწილის ცხოვრების შესახებ, მხარს უჭერს ბიზანტიურ ავტორთა ცნობები. ბიზანტიური ქრონისტის თეოფანე ჟამთაადმწერლის (გარდ. 818 წ.) ცნობით, ირანის წინააღმდეგ პირველი ლაშქრობისას ბიზანტიის იმპერატორმა ჰერაკლემ როცა გაიგო, ირანის შაპი ხოსრო II (591 – 628 წწ.) ქ. განძაკში იმყოფებოდა, გაემართა მის წინააღმდეგ. ხოსრო II გაიქცა, ჰერაკლემ კი აიღო ეს ქალაქი, დაანგრია იქ არსებული ცეცხლის ტაძარი და ამის შემდეგ მკაცრი და გაუსაძლისი ცივი ზამთარი ალანეთში გააგარა. 623 წელს დაწყებული ახალი სამხედრო კამპანიისას, რამდენიმე ბრძოლის შემდეგ, როცა ხოსრო II-ის სარდლები შაპვარაზი და შაპინი გაერთიანდნენ, ჰერაკლე წავიდა "ჰუნთა ქვეყანაში" გაუვალი, უსწორმასწორო და რთული გზით. ჰერაკლეს ამ ლაშქრობაში, თეოფანეს ცნობით, იძერები, ლაზები და აბაზები მონაწილეობდნენ და შეშინებული ლაზები და აბაზები ჩამოცილდნენ ჰერაკლეს ლაშქარს<sup>18</sup>.

როგორც გხედავთ, თეოფანეს ცნობიდან არა ჩანს 623/624 წლების ზამთარი სად გაატარა ჰერაკლემ და შესაბამისად გაურკვეველია, სად იყო "ჰუნთა ქვეყანა". აღნიშნულმა განაპირობა თეოფანესეული "ჰუნთა ქვეყნის" ლოკალიზაციის საკითხებზე მეცნიერმა ე. გერლანდმა იმპერატორ ჰერაკლეს ირანში ლაშქრობისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში "ჰუნთა ქვეყანა" ჩრდილო კავკასიაში არსებულ საბირთა გაერთიანებად ჩათვალა<sup>19</sup>. 1915 წელს "ჰუნთა ქვეყნის"

ლოკალიზაციის საკითხს ცნობილი ბიზანტინოლოგი ი. კულაკოვსკი "ბიზანტიის ისტორიის" III ტომში შეეხო. მისი მტკიცებით, ქ. განძაკის აღების შემდეგ, რადგან ზამთარი დგებოდა, პერაკლე გამოსაზამთრებლად ირანის ქვეშევრდომი ალბანეთისაკენ გაემართა. ალბანეთში აიღო ქ. ბარდა და მდ. მტკვრის შენაკად ტერტერას ქვემო დინებასთან დაბანაკდა. აქ შეუერთდა მას იბერების, ლაზებისა და აბაზების დამხმარე ძალები. უტის ოლქში – გარდმანის პროვინციაში მყოფმა პერაკლემ, როგორც ი. კულაკოვსკი წერს, მართალია, ირანელი სარდალი შაჰინი დამარცხა, მაგრამ გაიგო თუ არა შაჰვარაზისა და შაჰინის არმიების გაერთიანების ამბავი, უკან დახევისას "ჰუნთა ქვეყანაში" მოხვდა. ი. კულაკოვსკის მტკიცებით, "ჰუნთა ქვეყანა" უტის ოლქის ჩრდილოეთით მდებარე საკაშენე იყო. ის ადგილი, სადაც პერაკლე შევიდა, ყოვლად დაუშევებელია კავკასიის მთებს იქით ვიგულისხმოთ, როგორც ეს ე. გერლანდმა და ი. მარკვარტმა ივარაუდეს, – დასძენს ი. კულაკოვსკი<sup>20</sup>.

მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, უტის ოლქის ჩრდილო-დასავლეთით, სტრაბონისეულ საკაშენეში უცხო ეთნიკური ტომების – სკვითების ან საკების შთამომავალთა ცხოვრების შესახებ მიუთითა "ალბანეთის ისტორიის ნარკვევებში" ქ. ტევევრმა (სტრაბონის ცნობით, ეს სახელიც ამიტომ ეწოდა აღნიშნულ ტერიტორიას<sup>21</sup>), მაგრამ ალბანეთის ტერიტორიაზე იმპერატორ პერაკლეს შესვლასთან დაკავშირებით იქ "ჰუნთა ქვეყნის" არსებობის შესახებ იგი არაფერს არ წერს<sup>22</sup>. ასევე, ნ. ლომოურმა სპეციალურ გამოკვლეულაში, როცა "ირაკლი კეიისრის" ირანსა და საქართველოში ლაშქრობები განიხილა, მიუთითა 623 – 624 წლების ზამთარი პერაკლემ ალბანეთში რომ გაატარა, მაგრამ "ჰუნთა ქვეყნის" საკითხით არც ის დაინტერესებულა<sup>23</sup>. აკად. ი. მანანდიანის მტკიცებით კი თეოფანეს ტექსტში შეცდომაა და იუნვა-ს ნაცვლად უნდა იყოს სუნვა, სომხეთის ოლქი სივნეთი<sup>24</sup>. მანანდიანის ეს თვალსაზრისი გაიზიარა ქ. არტამონოვმა<sup>25</sup>. ი. მანანდიანის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს თეოფანეს ტექსტში "ჰუნთა ქვეყნის" ნაცვლად "სივნეთი" უნდა იყოს, სამართლიანად უარყო რუსმა მკვლევარმა ი. ჩიჩუროვმა.

მანანდიანის თვალსაზრისი, – წერს იგი, – წინააღმდეგობრივია. "ქრონიკრაფის" ბერძნულ ტექსტში ი. მანანდიანის მიერ შემოთავაზებული შესწორება, თითქოს, ტექსტში იუნვა-ს ნაცვლად უნდა იყოს სუნვა, არ არის გამოწვეული ხელნაწერის დამახინჯებით. "ქრონიკრაფის" ყველა ხელნაწერში "იუნვა" იკითხება. ავტორის ტექსტის უცვლელობას მხარს უჭერს XI ს. ბოლოს კონსტანტინოპოლიში პაპის ბიბლიოთეკარის ანასტასიოსის მიერ შესრულებული "ქრონიკრაფის" ლათინური თარგმანი. ბერძნული დედნის შესაბამის ადგილას ანასტასიოსის ლათინურ თარგმანში არის "in regionem hunnorum". ი. ჩიჩუროვი იქვე დასძენს, რომ აქ საქმე ეხება არა ტექსტის უზუსტობას, არამედ თეოფანეს ცნობის შესაძლო უზუსტობას. თეოფანე თავის "ქრონიკრაფში" არსად არ ახსენებს არც სივნეთს და არც სივნელებს. ამის შემდეგ ი. ჩიჩუროვი აანალიზებს როგორც თეოფანეს ცნობას, ისე პერაკლეს საომარ მოქმედებათა არეალს და ასევის – "ჰუნთა ქვეყნა" – სადაც ბიზანტიელთა არმია უკანდახევისას მივიდა, – თურქთა დასავლეთი კაგანატის ტერიტორია იყო<sup>26</sup>.

თეოფანე კამთააღმწერელთან მოხსენიებული "ჰუნთა ქვეყნის" ლოკალიზაცია ამიერკავკასიიდან შორს, თურქთა დასავლეთი კაგანატის ტერიტორიაზე, გაუმართლებლად მეჩვენება. 1991 წელს "ჰონთა" ეთნიკური კუთვნილებისა და "ჰონთა ქვეყნის" ლოკალიზაციის საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ვახტანგ იოონიშვილმა. მანაც "ჰონთა ქვეყნად", ისე როგორც ე. გერლანდმა, დერბენდის ჩრდილოეთით მდებარე საბირთა გაერთიანება მიიჩნია<sup>27</sup>.

თეოფანე ქამთააღმწერლის მიერ დასახელებული „ჰუნთა ქვეყნის“ ლოკალიზაციის საქმეში, ვფიქრობ, მოვსეს ხორენაციისა და მოვსეს კალანკატვაციის ცნობები უნდა დაგვეხმაროს. ხორენაციის თანახმად, სომებმა სწავლულმა მესროპმა (გარდ. 440 წ.), როცა შეიტყო, რომ ბალასაკანის მხარეში მოკალათებულიყვნენ ბოროტების ძევლი მასწავლებლები, „გაემართა იქითკენ და მოაქცია მრავალი მათგანი, ხოლო თითოოროლა ურჩი განდევნა ჰუნთა საბრძანებელში“<sup>28</sup>.

სად იყო „ჰუნთა საბრძანებელი“, სადაც მესროპმა ბალასაკანიდან ურჩმუნონი განდევნა?

ბალასაკანი რადგან მდ. არაქსსა და არცახის ოლქს შორის მდებარე სივნეთის ტერიტორიაა<sup>29</sup>, ხორენაციის მიერ დასახელებული „ჰუნთა საბრძანებელი“ სადღაც მის მახლობლად უნდა ყოფილიყო. ხორენაციის ცნობის „ჰუნთა საბრძანებელში“ სტრატონისეული საკაშენე უნდა იგულისხმებოდეს. რაც შეეხება მოვსეს კალანკატვაციის ცნობებს, მათგან ირკვევა, რომ ირანიდან გამოსაზამთრებლად გამობრუნებული პერაკლე მივიდა ალბანეთში და უტის ოლქში, მდ. ტერტერას ხეობაში (ტერტერას დასავლეთით მდებარეობდა ძველი სტრატონისეული საკაშენე) გაჩერდა, მაგრამ ხოსროს სარდლებმა აიძულეს იქაურობა დაეტოვებინა და სივნეთზე გავლით იმპერიაში დაბრუნებულიყო<sup>30</sup>.

ირანის წინააღმდეგ იმპერატორ პერაკლეს პირველი ომის დროინდელი სამხედრო კამპანიათა ანალიზიდან გამომდინარე, ასეთი სურათი წამოგვიდგება: 622 წელს პერაკლემ აიღო ქ. განძაკი, იმავე წლის შემოგვიმაზე გამოემართა კავკასიისაკენ და 622 – 623 წლების ზამთარი ალბანეთში გაატარა (ამ დროს შეუერთდნენ მას იბერთა, ლაზთა და აბაზთა დამხმარე ძალები). 623 წლის სამხედრო კამპანიის დროს პერაკლემ ირანზე შეტყვა ვეღარ განახორციელა და ბიზანტიის აღმოსავლეთის პროვინციებში იმყოფებოდა, შემდეგ თავისი ლაშქრით ისევ ალბანეთში, უტის ოლქის გარდმანის პროვინციაში ჩანს და მის ქართლში შესვლას ხოსროს სარდლებმა შეუშალეს ხელი. ამიტომ იძულებული გახდა გარდმანიდან უფრო აღმოსავლეთით საკაშენეში (თეოფანე ქამთააღმწერლის „ჰუნთა ქვეყნა“) შესულიყო, 624 წელს იქიდან სივნეთზე გავლით ბიზანტიაში დაბრუნებულიყო.

აღნიშნული დროისათვის საკაშენესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ჰუნ საბირთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კომპაქტური დასახლება არსებობდა. საქმე ისაა, რომ 558 წელს ჩრდილო კავკასიაში მოსული ახალი დამპყრობლების – ავარების დაწოლით საბირების ნაწილი იძულებული გახდა ამიერკავკასიაში გადმოსახლებულიყო<sup>31</sup>, რაც დაფიქსირებულია VI ს. ბიზანტიიელი ავტორის მენადრე პროტიქტორის თხზულებაში. მისი ცნობით, როცა ბიზანტიიელთა სარდლებმა კურსმა და თეოდორემ გაიგეს, რომ ალბანეთიდან მათი გამოსვლისთანავე, საბირები რომაელთა ბატონობიდან გამოსულიყვნენ, ისინი 576 წელს ხელახლა შევიდნენ ალბანეთში და აიძულეს საბირები და ალვანები გადასახლებულიყვნენ მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზე და კვლავ რომაელთა ქვეშევრდომობაში დარჩენილიყვნენ<sup>32</sup>. ეს ტერიტორია მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იყო ძველი საკაშენე, ამჯერად, VI საუკუნისათვის იქ ჰუნი საბირების ძალით ჩასახლების გამო – „ჰუნთა ქვეყნა“.

ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით მენანდრეს კიდევ ერთმა ცნობამ მიიქცია ჩემი უურადღება. იმპერატორ ტიბერიუსის (578 – 582 წწ.) დროს, წერს იგი, რომაელი სარდლები შევიდნენ ალბანეთში, აიყვანეს მძევლები საბირებიდან და ასევე სხვა ხალხებიდან და დაბრუნდნენ ბიზანტიაში. მაშინ ჩავიდნენ რომაელებთან ელჩები ალანებიდან და საბირებიდან. იმპერატორმა ისინი გულთბილად მიიღო და უთხრა, რომ თუ ისინი ბიზანტიიელთა მხარეზე

გადავიდოდნენ, ირანელებზე ორჯერ მეტს გადაუხდიდნენ. ბარბაროსებს ისე გაეხარდათ, ნათქვამი დვთის წყალობად მიიჩნიეს და რომაელთა ქვეშევრდომები გახდნენ. მათ იმპერატორს ამცნეს, რომ ცოტა ხნის წინ აჯანყდა ავირი, მათ არაფრად ჩააგდეს თავიანთი მძევლები და ირანელთა მხარეზე გადავიდნენ. იმპერატორმა ელჩებს განუცხადა, ვინც ნებით დამორჩილდებოდა, მათ წყალობას არ მოაკლებდა, ვინც ამას არ მოისურვებდა, ძალით დაიმორჩილებდა<sup>33</sup>.

მენანდრეს თხზულებიდან ზემომოტანილ ფრაგმენტში, რადგან ბიზანტიელი სარდლების მიერ ალბანეთში ისევ მძევლების აყვანაზეა საუბარი, მენანდრე, როგორც ჩანს, ისევ წინა ცნობას იმეორებს. რაც შეეხება ელჩობას, ვფიქრობ, საბირებისა და ალანების ელჩები კონსტანტინოპოლიში ჩრდილო კავკასიოდან უნდა ყოფილიყვნენ ჩასულნი და ბიზანტია მათთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას აპირებდა, უნდოდა საომარი მოქმედებებისას ისინი ირანელთა მხარეზე არ გადასულიყვნენ. რაც შეეხება მათ მიერ მიტანილ ცნობას „ავირთა აჯანყების“ შესახებ, რადგან აქ ისევ მძევლებზეა საუბარი, მენანდრეს ამ ფრაგმენტში მოთხოვობილი ამბავი ისევ ალბანეთში მყოფ საბირებს უნდა ეხებოდეს – ისინი აუჯანყდნენ ბიზანტიელებს და ირანელთა მხარეზე გადავიდნენ. ნათქვამში რომ დავრწმუნდეთ (ე. ი. „ავირ“-ში ისევ საბირები რომ იგულისხმებიან), მენანდრეს ამ ცნობას ქვემოთ შედარებით ვრცლად შევეხები.

რუსმა მკვლევარმა ა. გადლომ „ავირ“-ში ქართლი იგულისხმა და დაასკვნა: როგორც ჩანს, იმპერატორმა ალანებსა და საბირებს დაავალა გადმოსულიყვნენ ამიერკავკასიაში, რათა აჯანყებული საქართველო ისევ იმპერიის სიტემაში დაებრუნებინათო<sup>34</sup>.

„ავირ“-ს ქართლთან („ივერ“, „იბერ“-თან), რომ საერთო არაფერი ჰქონდა, ეს აშკარა იყო, ამიტომ 1981 წელს, ა. გადლოს მონოგრაფიის რეცენზირებისას, როცა მენანდრეს ზემომოტანილ ცნობას შევეხე, აღვნიშნე: VI ს. 70-იან წლების ქართლის პოლიტიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, არ შეიძლება „ავირ“ ქართლად მივიჩნიოთ. მართალია, ქართლი იმ ხანად, მართლაც, აჯანყებული იყო, მაგრამ არა ბიზანტიის, არამედ ირანელთა წინააღმდეგ, და „ავირ“-ში მაინცდამაინც თუ ქართლი იგულისხმება, მაშინ ცდება მენანდრე, რადგან ამ აჯანყებას ბიზანტიელთა წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნევს<sup>35</sup>.

იმ ხანად, როგორც ვნახეთ, ჩემთვის უცნობი იყო, რა უნდა მეგულისხმა „ავირ“-ში. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი ყურადღება მიიქცია ირანელი ისტორიკოსის რაშიდ ად-დინის (გარდ. 1318 წ.) ერთმა ცნობამ. იგი მონდოლთა მიერ ყივჩაყთა ველის, ბოლგარების, რუსების, ალანებისა და სხვა ხალხების დაპყრობის ამბავის გადმოცემისას, აღნიშნავს: როცა გუიუქ და მენგუ ხანებმა ზამთარში 1240 წლის გაზაფხულის ლაშქრობები დანიშნებს, მათ ბუკდაის დაავალეს წასულიყო თიმურ-კახალკაში (Тимур-кахалка), რათა ოლქი „ავირ“-ი („Авири“) დაეკავებინა<sup>36</sup>.

რაშიდ ად-დინის თხზულების რუსულ ენაზე გამომცემელთა განმარტებით, „თიმურ კახალკა“ იგივე დარუბანდის კარია („რკინის კარი“ – „Железные ворота“)<sup>37</sup> და იქ გაგზავნილ მონდოლთა სარდალს დაევალა „ავირ“ ოლქის დაპყრობა. დარუბანდის კარის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის დასავლეთით გაშლილ ველებზე VI ს. დამდეგიდან სწორედ ჰუნი საბირების გაერთიანება არსებობდა. ჩანს, „ავირ“-ის სახელით საბირთა ყოფილი გაერთიანების ტერიტორია იწოდებოდა. საბირთა გაერთიანება, როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიაში ხაზართა კაგანატის შემნის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას და ხაზართა კაგანის იოსების წერილში – მის ქვეშევრდმთა შორის დასახელებული

ხალხი „ავიორ”-ი<sup>38</sup> იგივე „ავირ”-ი საბირი რომაა, ეს, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს.

თუ ზემომოტანილ მასალას გავითვალისწინებთ, მაშინ მენანდრეს მიერ დასახელებული – ბიზანტიულთა წინააღმდეგ აჯანყებული ხალხი „ავირ”-ი, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები პუნი საბირები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს მენანდრესავე ცნობა 576 წელს ბიზანტიული სარდლების მიერ საბირების („აზერბაიჯანის ისტორიის” ავტორთა თანახმად, ესენი ხაზარები იყვნენ<sup>39</sup>) ისევ ბიზანტიულთა მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მანჯვენა ნაპირზე გადასახლების შესახებ. შესაძლოა, 576 წელს ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებული საბირები ისევ ჩრდილო კავკასიაში აპირებდნენ დაბრუნებას, მაგრამ ბიზანტიულმა სარდლებმა მათ ამის საშუალება არ მისცეს. რაც შეეხება იმას, ალბანეთის ტერიტორიაზე ჩასახლებულ ჰუნებს მენანდრე ორი სახელით – საბირებად და ავირ-ად რომ იხსენიებს, საგარაუდოა, აღნიშნული ეპიზოდების გადმოცემისას მან სხვადასხვა წყაროთი ისარგებლა და ერთი ხალხის ორი სახელით მოხსენიება შეუმჩნეველი დარჩა. ან შესაძლოა, „ავირ”-ი საბირთა გაერთიანებაში შემაგალი ცალკე ტომი იყო.

ალბანეთში „პუნთა ქვეყნის” არსებობის საკითხი, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამორჩებოდათ აზერბაიჯანელ მკვლევრებს. ი. ჯაფაროვის თანახმად, მას შემდეგ, რაც 558 წელს ჩრდილო კავკასიაში მოსულმა ავარებმა საბირების გაერთიანება გაანადგურეს, საბირთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიაში გადმოსახლდა და ხოსრო I-მა ისინი ალბანეთში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე დაასახლა<sup>40</sup>. 576 წელს კი ისინი, ალანებთან ერთად, კურსმა და თეოდორემ აიძულეს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასახლებულიყვნენ, მენანდრეს სიტყვით, ისევ „რომაელთა მიწაზე დარჩენილიყვნენ”.

რაც შეეხება ალბანეთში მცხოვრებ საბირთა შემდგომ ბედს, ი. ჯაფაროვის თანახმად, ვიცით კონსტანტინოპოლიში საბირთა ელჩობის ამბავი. მტკვრის მარჯვივ დასახლებული საბირებისა და ალანების შემდგომი ისტორია უცნობია. შეიძლება ისინი კვლავ ხოსროს მხარეზე გადავიდნენ, რადგან 578 წელს ხოსრო I-ის მესოპოტამიაში ლაშქრობისას, მის ლაშქარში საბირებიც იმყოფებოდნენ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, – დასძენს ი. ჯაფაროვი, – სრულიად შესაძლებლად მეჩვენება, რომ სწორედ საბირთა ეს ნაწილი იხსენიებოდეს სომხურ წყაროებში „სევორდიკ”-ის (რაც ხალხური ეტიმოლოგიით ნიშნავს „შავ ვაჟებს” – „ყერნე სისი”), ხოლო არაბულში „სავურდია”-ს („სიავურდია”-ს) სახელით. არაბი ავტორის ბალაზურის ცნობით, VIII ს. შუახანებში საგარდებს დაუნგრევიათ ძველი, აყვავებული ქალაქი შამქორი. ბალაზურისავე თანახმად, ეს იყო ხალხი, რომელიც შესდგა სხვადასხვა მხრიდან მოსულთაგან, შემდეგ გაძლიერდა და თვითნებურად იქცეოდა<sup>41</sup>. 576 წელს მდ. მტკვრის მარჯვივ ჩასახლებული საბირები, რომ მართლაც, შემდგომი ხანის საგარდები არიან, ი. ჯაფაროვის მტკიცებით, ამას მოწმობს ის, რომ საბირები ჩასახლებული უნდა ყოფილიყვნენ სწორედ ისტორიული უტის ოლქის ტერიტორიაზე ადსტაფასა და შამქორს (რომელიც 150 წლის შემდეგ დანგრეული იქნა საგარდების მიერ) რაიონში<sup>42</sup>.

მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე – ძველი საკაშენეს ტერიტორიაზე (ასევე მის მიმდებარე მიწებზე), მართლაც, რომ იყო პუნი საბირების ქვეყანა (უფრო გვიანდელი საგარდების სამყოფელი), ეს, ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. თუ ცნობილ რეს აღმოსავლეთმცოდნეს ვ. მინორსკის დავუჯერებთ, ამიერკავკასიაში თვით მადიარების (უნგრელების) წინაპრები გადმოსახლდნენ და ისინი VII ს. შუახანებში შამქორში – განჯის დასავლეთით სახლობდნენ. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, – წერს იგი, – თურქთა (ასე უწოდებდნენ

ბიზანტიული ავტორები უნგრელებს) ძველი სახელი იყო „საბარტოი ასფალოი“. სწორედ ეს ხალხია სომხური წყაროების „სევორდიკ“ – „შავი ვაჟები“. მათი დასახლების ცენტრი იყო ტავუსი (ახლანდელი ტაუზი – ვ. გ.) განჯასა და თბილისს შორის<sup>43</sup>.

ახლა ისევ უნგრეთის სამეფო კარზე ჩამოყალიბებულ ტრადიციას გადავხედოთ. უნგრეთის მეფის ბელა IV-ის თანამედროვენი, თავიანთ თანამომებებს (ესენი იუვნენ საბირები, იგივე სევორდები), როგორც ვნახეთ, ნახიჩევანიდან თბილისისაკენ მიმავალ გზაზე ეძებდნენ. იმაზეც მივუთითე, ალბანეთში – უტის ოლქში, მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს ბიზანტიულებმა ძალით რომ ჩაასახლეს პუნი საბირები. გამოდის, რომ უნგრელებს ამ საბირების შთამომავალნი და უფრო გვიან გადმოსული მადიართა ნაწილი ეგულებოდათ ამიერკავკასიაში. აღნიშნულთან ერთად, კონსტანტინე პორფიროგენეტის (გარდ. 959 წ.) მოღვაწეობის დროისათვის უნგრელები რადგან „აგზავნიდნენ წარმომადგენლებს და ნახულობდნენ“ თავიანთ თანამომებებს, ხოლო რომის პაპმა იოანე XXII-მ (1316 – 1334 წ.) შეიტყო კავკასიაში დარჩენილი უნგრელების მიერ ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნების ამბავი<sup>44</sup>, მაშინ ალბანეთის ტერიტორიაზე პუნი საბირების/სავარდების ცხოვრების ფაქტი ისტორიულ რეალობად უნდა მივიჩნიოთ. ძველი ალბანეთის ისტორიული გეოგრაფიის მკვლევრის ფარიდა მამედოვას სიტყვით, VI ს. შუახანებში უტის ოლქის ერთ-ერთ პროვინციაში – საკაშენებში იქნა ჩასახლებული პუნი საბირების დიდი კომპაქტური მასა<sup>45</sup>.

**მრიგად**, ზემომოტანილი მასალიდან გამომდინარე, ძველ ალბანეთში – უტის ოლქის პროვინცია საკაშენე და მისი მიმდებარე ტერიტორია იყო თეოფანე ეამთააღმწერლის მიერ იმპერატორ პერაკლეს აღმოსავლეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით დასახლებული „პუნთა ქვეყანა“. ალბანეთის ამ ტერიტორიამ ძველი საკების დასახლების გამო მიიღო სახელი საკაშენე, ხოლო ა. წ. 576 წელს ამავე ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიოდან ალბანეთში გადმოსახლებული უნგრელთა მონათესავე, უგორული წარმოშობის, მაგრამ გათურქებული პუნი საბირები ძალით დასახლეს ბიზანტიულებმა. საბირები, ისევე როგორც მათი მონათესავე მადიარების წინაპრები, ძველ ავტორებთან პუნებადაც იწოდებიან. ამიტომ არ ცდება თეოფანე, როცა მათ დასახლებას ალბანეთში „პუნთა ქვეყანას“ უწოდებს. VI ს. ბიზანტიული ავტორის მენანდრე პროტიქტორის ცნობა 576 წელს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ბიზანტიული სარდლების მიერ საბირების ჩასახლების შესახებ თეოფანეს ცნობის რეალურობის მაჩვენებელია. თეოფანე რომ არ ცდება და მის ტექსტში მართლა „პუნთა ქვეყანა“ ეწერა, ეს მისი თხზულების XI ს. ლათინური თარგმანიდან ჩანს. ლათინური ტექსტის თანახმადაც, 623 წელს უკანდახევისას იმპერატორი პერაკლე თავისი ლაშქრით “in regionem hunnorum” შევიდა. მეორე მხრივ, IX – X სს. სომეხი ავტორები იოანე დრასხანაკერტელი და ასოლიკი სწორედ უტის ოლქს მიიჩნევენ სევორდების დასახლების ადგილად და, იოანე არაერთხელ მიუთითებს სევორდელთა ავაზაკური ბუნების შესახებ, მათდამი აშკარად არაკეთილადაა განწყობილი. როგორც ჩანს, საბირთა ნაწილის ალბანეთში გადასახლების ფაქტი შემოიხას უნგრულმა ზეპირმა საისტორიო ტრადიციამ და აღმოსავლეთ ევროპაში (პანონიაში) დაკვიდრებული მადიარების შთამომავლები შეა საუგუნეებში თავიანთ თანამომებებს სამართლიანად ეძებდნენ ამიერკავკასიაში, თუმცა ცდებოდნენ, როცა საქართველო მიაჩნდათ თავიანთ ძველ სამშობლოდ.

უნგრელ მეცნიერთა ვარაუდით, ალბანეთში ჩასახლებულ საბირებს (თუ მადიარებს) ურთიერთობა არ გაუწევებიათ თავიანთ ძველ თანამომებებთან – დასაგლურციმბირული წარმომავლობის მადიარებთან. მათი ასეთი სიახლოეს

შემთხვევითი არ იყო. თვით საბირებიც უგორული (დასავლურ ციმბირული) მოდგმის ტომები იყვნენ, რომლებმაც ისეთი თურქიზაციის პროცესი განვლეს, რომ მეზობელი არათურქული წარმომავლობის ხალხები მათ, ისევე როგორც მადიარებს, თურქებს უწოდებდა. ორივე ხალხი ერთმანეთს თანამოძმებად თვლიდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ნ. მარის მტკიცება, თითქოს „sevordiq“ სევანის ტბის ხალხური სახელია (და ამ სიტყვას ალბანეთში ჰუნური დასახლებების არსებობასთან საერთო არაფერი აქვს) არ დასტურდება. როგორც ვნახეთ, თვით ნ. მარის მიერ მოხმობილი იოანე კათალიკოსისა და ასოდიკის ცნობებით უტის ოლქში სავარდები//სევერდები ცხოვრობდნენ, რაც უტის ოლქში „ჰუნთა ქვეყნის“ არსებობის შესახებ მიუთითებს. მადიარ-საბირებს, როგორც ჩანს, გარკვეული კონტაქტები უნდა ჰქონოდათ ქართველებთანაც. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, მათი ქართველთა მეზობლად ცხოვრების ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანი შეიძლება იყოს საქართველოში ციმბირული წარმოშობის ტარხუნის გავრცელება და საქართველოსა და უნგრეთში მისი ერთნაირი სახელწოდება<sup>46</sup>. ასევე, ამ კონტაქტებზე უნდა მიუთითებდეს ქართულად და უნგრულად (ასევე ოსურად) ხიდის საერთო სახელი<sup>47</sup>.

## თავი VIII. „აბხაზი“ ძველ არაბ და სომებ ავტორთა თხზულებები

შეა საუკუნეების არაბი და სომები ავტორები ტერმინ „აბხაზ“-ს სხვადასხვა შინაარსით ხმარობენ. თუ სომებ ავტორებთან (სტეფანოს ტარონეცი, გარდან დიდი) და არაბ ისტორიკოსთან — ატ-ტაბარისთან „აბხაზ“-ი ეთხოს ის გამომხატველია, IX – X სს. არაბი გეოგრაფები „აბხაზ“-ს ხან ქვეყნის, ხან კი ქალაქის აღმნიშვნელად იყენებენ. რაც მთავარია, დასახელებული ავტორები „აბხაზ“-ს, აფხაზთა განსახლების არეალიდან შორს, სხვადასხვა ადგილზე მიუთითებენ. ასე მაგალითად, არაბი მოგზაური და გეოგრაფი ალ-მუკადასი (გარდ. 1000 წ.) „აბხაზ“-ს რანის (ძველი ალბანეთის) ქალაქთა: ბაბ-ულ-აბვაბის (დერბენდი. - პ. გ.), კაბალას და სხვათა გვერდით ასახელებს<sup>1</sup>. იგი იქვე წერს: ”აბხაზ ესაა აყვავებული ადგილი, ისე, როგორც ამ მხარის სხვა ქალაქები<sup>2</sup>. ალ-მუკადასის ტექსტის გამომცემლის ნ. კარაულოვის შენიშვნით, ქ. აბხაზი ყუბის ახლოს, ან მის ადგილზე მდებარეობდა<sup>3</sup>.

„აბხაზ“-ის შესახებ სრულიად განსხვავებული ცნობა აქვს არაბ ისტორიკოსები და მოგზაურს ალ-მასუდის (გარდ. 956 წ.). მისი ცნობით, მდინარე მტკვარი სათავეს იღებს ქართველთა სამეფოს ხაზარანის ქვეყანაში, მიედინება აბხაზის საზღვრებში და აღწევს სასაზღვრო ქალაქ ტიფლისს<sup>4</sup>. არაბი გეოგრაფი იბნ-ჰაუკალი (X ს.) იმის მითითებისას რანის ქალაქებს შორის რა მანძილია, აღნიშნავს: შემახილან შირვანამდე სამი დღის გზაა, შირვანიდან – აბხაზამდე ორი დღისა, აბხაზიდან ჯასარ-სამურამდე 12 ფარსახია, ჯასარ-სამურიდან ბაბ-ულ-აბვაბამდე 20 ფარსახი<sup>5</sup>.

შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრები ხალხების სხვა ადგილზე მოხსენიების მხრივ ზემოდასახელებული ავტორები გამონაკლისნი არ არიან. ასე მაგალითად, ფსევდო არიანე (V ს.) შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მცხოვრებ ჰენიოხებს კასპიის ზღვისპირეთში მოიხსენიებს<sup>6</sup>. სწორედ აღნიშნულ პრობლემას მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა აკად. ს. ერემიანმა. მან ეს საკითხი „ზოროასტრის ქაბას“ წარწერაში მოხსენიებულ ქვეყანა „მახელონიას“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით გაანალიზა და დასკვნა (სიზუსტისათვის ტექსტი რუსულ ენაზე მომაქვს): ”...Рассмотренные нами сведения первоисточников показывают, что как на кавказском побережье Черноморья, так и на прикаспийском побережье с древнейших времен жили родственные между собою племена и народности: «сарматские» - черкесо-абхазские, лезгинские и мегрело-чанские племена и «скифские», т. е. скифо-иранские племена и народности, из которых наиболее значительными были массагеты, имевшие своё государство. Дошедшие до нас данные этнонимики показывают, что прикаспийское побережье являлось зоной смешения «сарматско»-кавказских и «скифо»-иранских этнических миров. К этой зоне относится прежде всего интересующая нас страна «Махелония» греческой версии трехъязычной надписи Кааба-и — Зардуст. Наши разыскания, таким образом, показывают, что, наряду с «Царством махелонов и гениохов» на черноморском побережье, существовало другое одноименное политическое образование – «Махелония» – на прикаспийском побережье<sup>7</sup>.

”ზოროასტრის ქაბას“ სამეცნიერო ირანის შპის შაბურ I-ის (239 – 272 წწ.) ბრძანებით 260 წელს ქ. ედესასთან რომაელებზე გამარჯვების აღსანიშნავდ იქნა ამოკვეთილი. მასში შავი ზღვის სამხრეთით მდებარე მახელონია ქართლთან, ალბანეთთან და სომხეთთან ერთად ირანისადმი დამორჩილებულ ქვეყანათა შორის იხსენიება. ს. ერემიანის დასკვნიდან გამომდინარე კი, მახელონები ჩერქეზ-აფხაზებთან და მეგრელ-ჭანებთან ერთად

კასპიის ზღვის სანაპიროზეც ცხოვრობდნენ და «Каспийское побережье являлось зоной смешения «сарматско»-кавказских и «скифо»-иранских этнических миров».

მეგრულ-ჭანების-აფხაზების, მახელონებისა და ჰენიონების განსახლების შესახებ აკად. გ. მელიქიშვილი არაერთხელ საუბრობს თავის ცნობილ მონოგრაფიაში „К истории древней Грузии“ (Тб., 1959), იგი კარგად იცნობს „ზოროასტრის ქააბას“ წარწერის ტექსტსაც, მაგრამ არსად არა წერს ზემოდასახლებული ჰენიონ-მახელონები ჩერქეზულ-აფხაზურ და მეგრულ-ჭანურ მოსახლეობასთან ერთად კასპიის ზღვის სანაპიროზეც რომ ცხოვრობდნენ. ამიტომ 1970 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში, სადაც იგი ძირითადად „К истории древней Грузии“-ს ტექსტს იმეორებს, მოსალოდნელი იყო 1967 წელს ს. ერემიანის მიერ გამოთქმულ ზემომოტანილ მტკიცებულებებს სათანადო პასუხს გასცემდა, მაგრამ გ. მელიქიშვილმა რატომდაც ს. ერემიანის გამოკვლევა უყურადღებოდ დატოვა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას შემდეგ დასმული საკითხი – რატომ იხსენიება „აბხაზი“ მათი განსახლების არეალიდან შორს – აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ან კასპიისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სპეციალურად არავის უკვლევია. აქ, რა თქმა უნდა, ძნელია აკად. ს. ერემიანის მიერ მოხმობილი ყველა ის მასალა გავაანალიზო, რომელთაც იგი ეყრდნობა კასპიისპირეთში ზემოდასახლებული ხალხების განსახლების მტკიცებისას, იმას კი აღვნიშნავ, ფსევდო-არიანეს ცნობა („За гениохами же выше лежит море, называемое каспийским“) და ვარდან დიდის განმარტება («Абхаз – это страна мазкутов, находящаяся на берегу моря Врканской страны») ს. ერემიანს, მართლაც, აძლევდა ზემომოტანილი დასკვნის გამოტანისათვის გარკვეულ საფუძველს, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესია დღესაც ის ვიკლიოთ, თუ რას უნდა განეპირობებინა ძველ ავტორებთან ასეთი ცნობების გაჩენა (და არა ამ ცნობათა რეალურობა ვამტკიცოთ). ქვემოთ სწორედ დასმული საკითხის გარკვევას შევეცდები.

\* \* \*

აფხაზთა განსახლების ადგილიდან შორს, „აბხაზის“ მოხსენიების შესახებ ძველ ავტორთა მონაცემების განხილვას ცნობილი არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის (გარდ. 923 წ.) ცნობით დავიწყებ. ტაბარის თანახმად, თურქთა კაგანის ბუმინის ძმამ – სინჯიბუმ (იგივე ისტემი, გარდ. 576 წ.) ჰეფტალიტების დამარცხების შემდეგ, დაახლოებით 566 წლის მომდევნო ხანაში ჩრდილო კავკასიაში დაიმორჩილა „ბანჯარი“, „ბელანჯარი“, „აბხაზი“ და დერბენდის კედელს მიადგა, საიდანაც მუქარა შეუთვალა ირანის შაჰს<sup>8</sup>.

ტაბარის მიერ დერბენდის ჩრდილოეთით აფხაზის მოხსენიების ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში არარეალურადაა მიჩნეული. ასე მაგალითად, ხაზართა ისტორიის ცნობილი მკვლევარი გ. არტამონოვი ფიქრობდა, რომ რადგან აფხაზები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობენ, ტაბარის ტექსტში „აბხაზი“ მაგიერ ხაზარი უნდა იყოს<sup>9</sup>. ა. გადლოს სიტყვით კი, ტაბარი ცდება, როცა ტექსტში ხაზარის ნაცვლად აბხაზს ასახელებს<sup>10</sup>.

თავისთავად ცხადია, მკითხველი იკითხავს, – როგორი აზრისანი არიან აღნიშნული საკითხის შესახებ აფხაზი ისტორიკოსები.

აფხაზეთის ისტორიის ცნობილი მკვლევრის, პროფ. ზ. ანჩაბაძის 1959 და 1976 წელს გამოცემულ მონოგრაფიებში ტაბარის ზემომოყვანილი ცნობის შესახებ არავერია ნათქვამი<sup>11</sup>. 1976 წელსვე შ. ინალ-იფამ როცა ვრცლად განიხილა მის მიერ „აფხაზურ ტოპონიმებად“ მიჩნეული ადგილის სახელები

(საქართველოს ტერიტორიაზე), მოსალოდნელი იყო, რომ ტაბარის ცნობაზე კომენტარს გააკეთებდა, მაგრამ ტაბარის ცნობა მანაც უყურადღებოდ დატოვა<sup>12</sup>.

ტაბარი, დერბენდის კედლის ჩრდილოეთით, რადგანაც „აბხაზე“ იხსენიებს, როგორც ჩანს, ამისათვის მას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ამიტომ, ვფიქრობ, არ შეიძლება ტაბარის ტექსტში „აბხაზის“ მაგიერ ხაზარის ჩასმა, როგორც ამას მ. არტამონოვი აკეთებდა<sup>13</sup>. საქმე ისაა, რომ VI საუკუნის შუახანებისათვის ხაზარები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსულნი ჩრდილო კავკასიაში და ტაბარის წყარო იმ დროისათვის ასეთ ფაქტს გერ დააფიქსირებდა. უეჭველია, ტაბარის წყარომ ან ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ აფხაზთა მონათესავე ხალხის ყოფნა აღნიშნა „აბხაზ“-ით, ან რადაც ტრადიციაზე დაყრდნობით, ტაბარიმ „აბხაზ“-ი თვით მიიჩნია დერბენდის ჩრდილოეთით მცხოვრებად.

ახლა ვნახოთ, ძველ ავტორებს თუ ჰქონდათ რაიმე საფუძველი დერბენდის ჩრდილოეთით, თურქული მოდგმის ბანჯარისა და ბელანჯარის ტომების გვერდით კავკასიური წარმოშობის ხალხის – „აბხაზ“-ის ყოფნაზე, ხოლო პირკანიაში (კასპიის ზღვის სამხრეთით) „აბხაზთა ქვეყნის“ არსებობაზე მიეთითებინათ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო: აღ-მასუდი როცა წერს მდ. მტკვარი „აბხაზის საზღვრებში“ მიედინებაო, აქ, რა თქმა უნდა, „აბხაზში“ იგი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას გულისხმობს („აბხაზ“ – რანის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, ქალაქის სახელიც იყო). რაც შეეხება ტაბარის ცნობას, მის მიერ დერბენდის ჩრდილოეთით დასახელებულ, ეთნონიმ „აბხაზ“-ის სახელის ქვეშ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები - ძველი ქართული წყაროების აფხაზს, მართლაც, ვერ ვიგულისხმებთ. უფრო მოსალოდნელია, ტაბარის ამ ტერმინის ქვეშ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები აბაზა-აფხაზუათა მონათესავე რომელიმე ეთნოსი დაფიქსირებინა.

VI საუკუნის შუახანებში, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ უვროპას ცენტრალური აზიიდან წამოსული ახალი დამპყრობლები – ავარები მოევლინენ. ჩრდილო კავკასიაში მოსვლისთანავე, როგორც VI ს. ბიზანტიული ავტორი მენანდრე პროტიქტორი წერს, ავარებმა ომი დაიწყეს ჰუნური მოდგმის ზალებთან და გაანადგურეს საბირთა ძალები<sup>14</sup> (კასპიის ზღვის ჩრდილო-დასვლეთით მცხოვრები საბირების ერთი ნაწილი ამიერკავკასიაში გადმოსახლდა). ჩრდილო კავკასიის ხალხების დამორჩილების შემდეგ ავარებმა გზა დასავლეთ ევროპისაკენ გააგრძელეს. მათ ხელში მოექცა უზარმაზარი ტერიტორია ჩრდილო კავკასიიდან ბალკანეთამდე.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ბატონებად ავარები დიდხანს არ დარჩენილან. აღმოსავლეთ ევროპისაკენ ცენტრალური აზიიდან ავართა გამომძევებელი თურქები მოიწევდნენ. სანამ მდ. ვოლგას გადმოლახავდნენ, თურქებმა ირანელებთან კავშირში 567 წელს ჰეფტალიტთა გაერთიანება დაამარცხეს, შემდეგ არაერთი თურქული და უგორული ტომი დაიმორჩილეს (სწორედ ისინი ავხებდნენ თურქთა ლაშქარს). ვინც მათ არ დამორჩილდა, აიყარა და აღმოსავლეთ ევროპისაკენ გადაინაცვლა. დაახლოებით 567 წელს, როგორც ითქვა, ისტემის ლაშქარი უპა დერბენდის ჩრდილოეთით იმყოფებოდა.

ჩრდილო კავკასიაში ახალი დამპყრობლის გამოხენას ყოველთვის თან სდევდა იქ მყოფი ხალხების ადგილგადანაცვლება. IV ს-ის 70-იან წლებში ჰუნთა პირველი ტალღების მოსვლისას, ალანთა ნაწილი მათ თუ თან გაიყოლეს, დარჩენილი უფრო დრმად შევიდნენ კავკასიის მთიანეთში. ასე იყო ავართა გამოხენის დროსაც. ავართა მოსვლამ ჩრდილო კავკასიის მკვიდრი ჯიქების (ბიზანტიური წყაროების ზიხები) ადგილგადანაცვლება რომ გამოიწვია, ამის შესახებ ცნობა აქვს VI ს. ბიზანტიულ ისტორიკოსს პროკოპიოს კესარიელს. იგი მიუთითებს ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ზიხების ექვსინიის

პონტოს (ე. ი. შავი ზღვის. – ვ. გ.) ნაპირზე დამკვიდრების შესახებ<sup>15</sup>. აღნიშნული ცნობა იმაზე მიგვითოთებს, VI ს. შუახანებამდე ჯიქებს გაცილებით აღმოსავლეთით რომ უნდა ეცხოვრათ. გამორიცხული არაა, ამ დროს ზიხების ერთი ნაწილი დერბენდის ჩრდილოეთითაც გამოჩენილიყო.

VI ს. შუახანებში ჩრდილო კავკასიაში ავართა გაბატონებამ რომ იქ მყოფი მოსული და აბორიგენი მოსახლეობა აამოძრავა, ამის დასტურად პროკოპიოსის ხემომოგანილ ცნობასთან ერთად, აფშერონის ნახევარკუნძულზე, ქ. ბაქოს გარეუბანში ტოპონიმ „ზიხის“ არსებობა უნდა მივიჩნიოთ<sup>16</sup>.

ზიხების შესახებ საინტერესოა ზ. ანჩაბაძის მოსაზრება. როგორც იგი წერს, შავი ზღვისპირეთში მცხოვრები ზიხების ეთნიკური კუთვნილება ჯერ კიდევ არაა სათანადოდ დადგენილი, არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ სახელით ადრეფეოდალურ ეპოქაში გამოდიან არა მარტო ადიდეური (ჩერქეზული) ტომები, არამედ აფხაზეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ეთნიკური ჯგუფები. აქვე აღვნიშნავ, – დასძენს იგი, – რომ ადიდეელები დღემდე უწოდებენ აფხაზებს „ა-ზეგა“-ს<sup>17</sup>. ი. ფიოდოროვის თანახმად, ზიხები აფსულების მონათესავე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები აბაზების უშუალო წინაპრებად უნდა მივიჩნიოთ. საკუთრივ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით, – წერს იგი, – მდ. ბზიფს გადაღმა „მცირე აფხაზეთი“ მდებარეობდა, რომელიც შეასაუკუნეებიდანვე დასახლებული იყო აბაზების ტომებით<sup>18</sup> (დასახელებულ ავტორებს, როცა აფხაზებზე საუბრობენ, მხედველობაში აფსუა ჰყავთ. – ვ. გ.).

ზემონახსენები ხალხებიდან აბაზები, როგორც ითქვა, უშუალოდ ემეზობლებოდნენ აფხაზებს (საზღვარი მდ. ფსოუზე გადიოდა). აფხაზთა სამეფოს წარმოქმნის შემდეგ აფხაზმა მეფებმა თავიანთი ხელისუფლება მათზე და ჯიქებზეც გაავრცელეს. ჯიქებს ერისმთავარი დაუნიშნეს. ამ დროიდან ისინი, ცხადია, აფხაზი მეფეების სამხედრო ოპერაციებშიც დებულობდნენ მონაწილეობას. ასეთ ვითარებაში ჯიქებისა და აბაზების გარკვეული ნაწილი მათთან ახლო ნათესაობაში მყოფ აფხაზეთის მოსახლეობას შეერწყნენ.

რაც შეეხება ირანულებოგანი, სარმატული წარმოშობის ალან-ოსებს, ადრეშუასაუკუნეებში ისინი აფხაზების ჩრდილოეთით, ახლანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მათთან აფხაზებს მარტინია და ქლუხორის ზეგარები აკაგშირებდა (ეს უკანასკნელი ბიზანტიურ წყაროებში „აფხაზთა გზათაც“ იწოდება). როგორც ზ. ანჩაბაძე წერს, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებმა ალანებმა, ჯიქებთან ერთად, „сыграли определённую роль в этнических судьбах абхазского народа“<sup>19</sup>.

თვით ალან-ოსები ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნისათვის ეთნიკურად არაერთგვაროვანი იყვნენ<sup>20</sup>. ალანთა თანაცხოვრება შემდეგშიც აბორიგენი და თურქულებოვანი (მ. შ. ბოლგარების) ეთნოსების გვერდით რომ გრძელდებოდა, ვ. კოვალევსკაიას თანახმად, ეს VI – VIII სს. ზემო ყუბანის სამაროვნებიდან შეიძლება ვივარაუდოთ<sup>21</sup>. ალბათ ამან განაპირობა ის, რომ თუ აფხაზები (ძირითადად მდ. კოდორსა და დალიბგას შორის მცხოვრები აბუები) ოსებს აუაპს („ayap“), ასევე აუაპსკვას ეძახიან<sup>22</sup>, აფხაზთა მეზობელი სვანებისათვის ისინი „მუსავ“ (ხ. კოლკოვას თანახმად, ეს იგივე „савир“ – ე. ი. საბირი) არის<sup>23</sup>.

ამრიგად, ადიდეელებისათვის აფხაზი (აფსუა. ვ. გ.) დღესაც თუ აზეგა, იგივე ზიხია (ზ. ანჩაბაძე), მეორეს მხრივ, ზიხები აფსუების მონათესავე აბაზების უშუალო წინაპრებადაა მისაჩნევი (ი. ფიოდოროვი) და ზიხებთან ერთად აფხაზი (აფსუა) ხალხის „ეთნიკურ ბედზე“ ინდოევროპული მოდგმის ალანებმაც გარკვეული როლი შეასრულეს (ზ. ანჩაბაძე), მაშინ, ცხადია, VI საუკუნისათვის ატ-ტაბარის წყაროს დერბენდის ჩრდილოეთით გამოჩენილი ზიხისათვის შეეძლო „აბხაზ“-იც ეწოდებინა, მითუმეტეს X საუკუნისათვის,

როცა არაბი ავტორები მთელ საქართველოს აფხაზეთად მოიხსენიებენ<sup>24</sup>. რაც შეეხება ვრკანის ქვეყანაში „აბხაზის” მოხსენიებას, ამ შემთხვევაში ძველი ტრადიციიდან მომდინარე ცოდნასთან გვაქვს საქმე, რის დასაბუთებასაც ქვემოთ შევუდები.

როგორც აკად. ს. ერემიანი წერს, სომეხი ავტორის ვარდან დიდის (გარდ. 1271 წ.) „გეოგრაფიაში” „აბხაზი” „მაზკუტთან” (ე. ი. მასაგეტოან) არის გაიგივებული. იგი ”აბხაზე” ასე განმარტავს: ”აბხაზი – ესაა მაზკუტთა ქვეყანა, მდებარეობს ზღვის პირას ვრკანის ქვეყანაში” („Абхаз – это страна мазкутов, находящаяся на берегу моря Врканской страны“)<sup>25</sup>.

ძველი სომეხი ავტორის განმარტება, „აბხაზი” რომ „მაზკუტთა ქვეყანაა” და იგი ზღვის პირას „ვრკანის ქვეყანაში” მდებარეობს, მართლაც, უცნაურად გამოიყერება. დერბენდის ჩრდილოეთით „ზინის” შესაბამისად „აბხაზის” მოხსენიებას თუ რაღაც საფუძველი შეიძლება პქონოდა, „ვრკანის ქვეყანაში” – კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით მდ. გურგანისა და ატრეკის აუზში მდებარე პირკანიაში (პირკანია ამ მხარის ბერძნული სახელია, ძველსპარსულად „ვრკანი” ერქვა. აქ მოსახლე პირკანებისაგან მიიღო კასპიის ზღვამ თავისი ერთერთი სახელი<sup>26</sup>) აფხაზთა ქვეყნის არსებობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ასე რომ, ტაბარი „აბხაზ“-ს თუ დერბენდის ჩრდილოეთით – კასპიის ზღვის დასავლეთით ასახელებს, ვარდან დიდი, ფსევდო არიანეს მიერ კასპიისპირეთში დასახელებული ქვეყანა მახელონის კვალდაკვალ, „აბხაზთა ქვეყანას” კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ათავსებს. ამჯერად, როგორც გხედავთ, მეტად საინტერესოა გაირკვეს, რატომ დაუკავშირა სომეხმა ავტორმა „აბხაზი” „მაზკუტთა ქვეყანას” და მისი მდებარეობა პირკანიაში რატომ მიუთითა.

აფხაზების სარმატიის ქვეყანაში ცხოვრების შესახებ სხვა ავტორთანაც გვაქვს ცნობა. ასე მაგალითად, სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონეცი (ასოდიკი) (X – XI სს.) როცა სომხეთის მეფის აბასის (928 – 952 წწ.) მოღვაწეობის ამბავს გადმოგცემს, აღნიშნავს, რომ აბასმა ბოლო მოუღო სომხეთზე ივერიელთა და სარმატთა თავდასხმებს და დასძენს: „В это время князь Апхазов [вышедший] из земли Сарматов, что по ту сторону гор Кавказских, предпринял поход во главе войска в несколько десятков тысяч“. ეს ლაშქარი აფხაზთა მთავრის ბელის სარდლობით მდ. მტკვრის ნაპირზე დადგა და ბელს განზრახვა პქონდა, – წერს სტეფანოსი, – მთელი ჩვენი ქვეყანა გაენადურებინა<sup>27</sup>.

სტეფანოსი, როგორც გხედავთ, საგულდაგულოდ მიუთითებს, აფხაზთა მთავარი კავკასიის მთებს იქით მდებარე სარმატთა მიწიდან რომ გადმოვიდა სომხებთან საბრძოლველად.

საეჭვო არ უნდა იყოს, სტეფანოსისათვის კარგად რომ იყო ცნობილი სომხების წინააღმდეგ მებრძოლი აფხაზთა მთავარი და მისი ლაშქარი დასავლეთ საქართველოში არსებულ ეგრის-აფხაზეთის ქართულ სახელმწიფოს რომ განეკუთვნებოდა, მაგრამ სტეფანოსი მათ მაინც ჩრდილო კავკასიიდან მოსულებად როცა აცხადებს, ჩანს, ისე როგორც ვარდან დიდი, რაღაც ტრადიციას ეყრდნობა.

სანამ ამ ტრადიციის შესახებ ვისაუბრებ, ვნახოთ, როგორ დამთავრდა აფხაზთა მთავრის ბრძოლა სომხების წინააღმდეგ.

მდ. მტკვრის სანაპიროზე მდგომა ბელმა ელჩები გააგზავნა სომეხთა მეფესთან და მოსთხოვა ეკლესიები არ ეკურთხებინათ წმიდა გრიგორის მართლმადიდებლური წესით, სანამ თვითონ არ მივიდოდა და ქალკედონური წესის

მიხედვით არ აკურთხებდა. ამ დროსო, – დასძენს სტეფანოსი, – მეფეს აშენებული პქონდა კათედრალური ტაძარი ქ. ყარსში.

სტეფანოსის ცნობით, როცა სომეხთა მეფემ ამ ლაშქრობის ამბავი გაიგო, დიდი ცხენოსანი ჯარით მივიდა მდ. მტკვართან და განლაგდა ბერის ლაშქრის მოპირდაპირე მხარეს. რამდენიმედღიანი შეტაკებების შემდეგ, თავზარდაცემული ჩრდილეთის ხალხი („Северный народ“) გაიქცა. სომხებმა დაატყვევეს აფხაზთა მთავარი ბერი, მიიყვანეს ქ. ყარსში და ოვალები დასთხარეს. აფხაზებმა ოქროს ფასად გამოისყიდეს დაბრმავებული მთავარი და სომხებთან ფიცით ზავი დადეს<sup>28</sup>.

ზემომოგანილ ცნობას როცა ალ. აბდალაძე შეეხო, აღნიშნა: „სარმატა ქვეყნის“ ხსენება „აფხაზთა მთავართან“ დაკავშირებით მაინცდამაინც არ უნდა გაგვიკვირდეს. ასოდიკს ბაგრატ III-ის შესახებაც ნათქვამი აქვს, რომ „აფხაზთა მეფე მრავალრიცხოვანი ჯარით დაიძრა სარმატთა ქვეყნიდან“-ო. ეტყობა, – წერს აბდალაძე, – კავკასიონის კალთების მოსახლეობას სომეხი მემატიანეები სარმატებადაც ნათლავდნენ ხოლმე<sup>29</sup>.

რაც შეეხება ასოდიკის მიერ „აფხაზთა მთავრად“ დასახელებული ბერის ვინაობას, ალ. აბდალაძის სიტყვით, მის შესახებ სხვა წყაროებიდან არაფერია ცნობილი. იგი არ შეიძლება ყოფილიყო „აფხაზთა“ (ლიხიქითა) მეფე, რამდენადაც ცნობილია, „აფხაზთა“ არც ერთ მეფეს სახელად ბერი არ რქმევია. შესაძლოა, ასოდიკისეული ბერი უფლისწული ყოფილიყო. თუმცა, ბერის უფლისწულობის შესახებაც ჭირს ლაპარაკი. ასოდიკთან სახელი ბერი არც დამახინჯებული უნდა იყოს, რადგან იგი „აფხაზთა მთავარს“ ბერს ადარებს ბიბლიურ ბეჭს, იგივე ნებროთს, ბერსაც, ბეჭის მსგავსად, ამპარტავნად, ქედმაღლად მიიჩნევს<sup>30</sup>.

ა. აბდალაძემ ყურადღება მიაქცია X ს. 20-იანი წლებით დათარიღებულ ჭალისუბნის წარწერაში ნახსენებ ცხრაზმისხევის ხელისუფალ ბერის პიროვნებას და კითხვას სვამს, ხომ არ შეიძლება მასთან გავაიგივოთ ასოდიკისეული ბერი, რადგან იგი ლიხიქითის მეფის მოხელე ყოფილაო<sup>31</sup>.

ასე რომ, ასოდიკის მიერ აფხაზთა მთავრად დასახელებული ბერის ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ალ. აბდალაძის თანახმად, ასოდიკის ცნობიდან მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, იმ ხანად, სომეხთა მეფე აბასის დროს, ურთიერთობა ლიხისიქითისა და სომხეთის (ბაგრატუნთა) სამეფოებს შორის მეტისმეტად მწვავე ყოფილა. სომეხი ბაგრატუნები მთელ ამიერკავკასიაში ლიხიქითა მეფეებს სერიოზულ წინააღმდეგობას ვეღარ უწევენ. ამ საქმეში აფხაზთ მეფეებს მხარს უბამს ქართული ეკლესიაც, რომელსაც სომხეთის ბაგრატუნთა სამეფოს დედაქალაქ ყარსში ახლად აგებული ეკლესიის „ქართული წესით“ კურთხევა, ე. ი. მისი ქალკედონურ კერად გადაქცევა განუზრახავს<sup>32</sup>.

ზემომოგანილი მასალების მიხედვით ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არა მარტო ჩრდილო კავკასიაში – თურქულ-სარმატულ გარემოში განსახლებული, აფხაზთა მონათესავე აბაზინ-ზიხების, არამედ კავკასიის ქედს სამხრეთით მცხოვრები ქართველ-აფხაზების საცხოვრებელი ადგილიც კი შეა საუკუნეების არაბი და სომეხი ავტორებისათვის მაზკუტ (მასაგეტების) – სარმატების ქვეყანა იყო. ამასთან ერთად, ეს ხალხი მათთან, საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებლებად მოიაზრებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ ითქვა, სრულიად მოსალოდნელი იყო ატ-ტაბარის წყაროს VI ს. შუახნებისათვის დარუბანდის ჩრდილოეთით „ბანჯარ“, „ბელანჯარ“-თან ერთად, დასახელებულ „აბხაზ“-ში აბაზინ-ზიხი მიეჩნია.

ახლა რაც შეეხება სომებს ავტორებს. როგორც კნახეთ, დასახელებული სომები ავტორების მოღვაწეობის დროისათვის, მართლაც, არსებობდა გარკვეული ტრადიცია აფხაზეთის (და არა მარტო აფხაზეთის) სკვითეთში ან სარმატიაში მდებარეობის შესახებ, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, დაუჯერებელია, XIII ს-ში მცხოვრებ სომებს ავტორს – ვარდან დიდს, არ სცოდნოდა „აფხაზთა ქვეყანა” კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჰირკანიაში რომ არ მდებარეობდა. ასევე, ვფიქრობ, სტეფანოს ტარონეცმაც კარგად იცოდა სომებთა მეფე აბასთან მებრძოლი აფხაზთა ჯარი ლიხესიქითა საქართველოში არსებული ქართულ-აფხაზური სახელმწიფოსი რომ იყო. ასეთი ცოდნის მიუხედავად, მათ თხზულებებში ზემომოგანილი ცნობების არსებობა, მართლაც, გაკვირვებას იწვევს და მხოლოდ ძველ ტრადიციაზე დაყრდნობით მათი ახსნა მიჭირს.

უძველესი დროიდან მომდინარე ტრადიცია შავი ზღვის სამხრეთითა და ამიერკავკასიაში მცხოვრები ხალხების „მაზკუტა“ (მასაგეტთა) ქვეყანაში ან სარმატიაში ბინადრობის შესახებ XIII ს-ის ბიზანტიაში ჯერ კიდევ რომ არსებობდა, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

ქვ. წ. III ს-ში ეგვიპტის ქ. ალექსანდრიაში მოღვაწე ბერძენი პოეტი ლიკოფრონის<sup>33</sup> თხზულების – „კასანდრა“-სადმი დართულ კომენტარებში XII ს. ბიზანტიელი ავტორი იოანე ცეცე აბაზგებს მასაგეტებთან აკავშირებს: ერთ სქოლიოში იგი მიუთითებს, რომ კოლხები, რომლებიც ლაზებადაც იწოდებიან, ცხოვრობენ აბაზგების, რომლებიც ასევე მასაგეტებად იწოდებიან, მახლობლად”-თ<sup>34</sup>. ხოლო სხვაგან წერს: „კოლხები იწოდებიან აგრეთვე აზიის სკვითებად და ცხოვრობენ აზიის მიდამოებში მდ. ფასისთან, ხოლო ევროპის სკვითეთი მდებარეობს მეოტიდასთან და ტანაისთან. იოსებ ებრაელი, – დასძენს იოანე ცეცე, – ევროპელი სკვითების ტომებს უწოდებს იმავე მეოტიდისა და ტანაისთან, ალექსანდრეს მიერ რკინის კარით ჩაკეტილი ჰირკანებისა და კასპიელების გასასვლელთან მცხოვრებ ალანებსაც – „აბაზგები ძველი მასაგეტებია“<sup>35</sup>.

ზემომოგანილი ციტატის შემდეგ, ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია, მაგრამ იოანე ცეცეს კომენტარის შესახებ მაინც მოვიტან ტექსტის გამომცემლის ვლატიშვილის შენიშვნას. კასპიის კარებში, – წერს იგი, – ჰირველ რიგში იგულისხმება მთიანი გასასვლელი ჩრდილო ირანში, რომელიც გაიარა აღმოსავლეთისაკენ მიმავალმა ალექსანდრე მაკედონელმა. გვიან ეს სახელწოდება გადატანილი იქნა ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დარიალისა და ასევე კასპიის ზღვის სანაპიროსთან მდებარე დერბენდის გასასვლელებზე. იოსებიდან გამოდის, რომ მეოტიდასთან და ტანაისთან მცხოვრები ალანები იმავდროულად ჰირკანებისა და კასპების გასასვლელთან ცხოვრობდნენ<sup>36</sup>.

აფხაზთა მეზობელი ალანებიც რომ ჰირკანიაში ცხოვრობდნენ, ამის შესახებ იოანე ცეცეს ცნობა, როგორც ვხედავთ, ცნობილი ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის (გარდ. ახ. წ. 100 წ.) თხზულებიდან აუღია. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ იოანე ცეცეს უნდა სცოდნოდა ალანები ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დარიალის ზეკარის ჩრდილოეთით რომ ცხოვრობდნენ, ამიტომ მას ფლავიუსიდან მომდინარე, ერთი შეხედვით, „შეცდომა“ არ უნდა გაემეორებინა. მაგრამ, როგორც ვ. ლატიშვილი შენიშვნას, დარიალისა და დერბენდის ზეკარებს ჰირკანიის კარი გვიან კი არ ეწოდა, თვით იოსების მოღვაწეობის დროისათვის ასეთი ცოდნა უკვე დამკვიდრებული ყოფილა. იოსები როცა წერს, „ალანთა ტომი სკვითები არიან და ცხოვრობენ ტანაისთან და მეოტიდის ტბასთან“-ო, იქვე დასძენს: ისინი ფიქრობდნენ მიდიაში და მასზე უფრო შორს შექრას ძარცვის მიზნით და ამიტომ ჰირკანელთა მეფესთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. ეს იმიტომ, რომ [ჰირკანელთა მეფე]

იყო იმ გასასვლელის მფლობელი, რომელიც მეფე ალექსანდრემ რეინის ბჭებით ჩაკეტა<sup>37</sup>.

იოსებ ფლავიუსი, როგორც ვხედავთ, საკმაოდ კონკრეტულად მიუთითებს „ჰირკანელთა მეფის” ტერიტორიაზე რომ გადიოდა ტანაისთან (მდ. დონი) და მეოტიდასთან (აზოვის ზღვა) მცხოვრები ალანების გზა და ამიტომ სოხოვდნენ მას მიდიაში სალაშქროდ გზა მიეცა მათვის. აღნიშნულს გარდა, როგორც იოანე ცეცხ განმარტავს, ტანაისთან და მეოტიდასთან მცხოვრები ”ევროპელი სკვითები” – ალანები, მართალია, „ჰირკანელებისა” და „კასპიელების” გასასვლელთანაც ცხოვრობდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელ მითითებაში საკუთრივ კასპიის ზღვის სამხრეთით მდგბარე კასპიის კარი არ იგულისხმება. 1959 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში აკად. გ. მელიქიშვილმა „ჰირკანელთა მეფეში” სამართლიანად ივარაუდა ქართლის მეფე<sup>38</sup>.

ასე რომ, იოსებ ფლავიუსი არ ცდება. მისი მოდვაწეობის დროისათვის ჰირკანიის (იგივე კასპიის) კარად ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმომავალი დერბენდის კარის გარდა, ზოგჯერ დარიალის („ოვსთა კარი”) კარიც იწოდებოდა, ხოლო „ჰირკანიად” ამიერკავკასიის ის ქვეყნები, სადაც ჩრდილო კავკასიიდან გზა გადმოდიოდა (ასე იყო აფხაზეთის მიმართაც. როგორც ითქვა, ჩრდილო კავკასიასთან აფხაზეთს მარუხისა და ქლუხორის ზეპარები აკავშირებდა). საქვთო არ უნდა იყოს, კასპიის კართა აღრევის გამო მოათავსა ჯერ კიდევ ახ. წ. V ს-ში ფსევდო არიანემ შავი ზღვის სამხრეთში მცხოვრები ჰენიონები კასპიის ზღვის სამხრეთით, ხოლო XIII ს-ში ვარდან დიდმა ალანთა მეზობელი აფხაზები – ჰირკანიაში (კასპიის ზღვის სამხრეთში).

დასახელებულ ავტორთა თხზულებებში ზემომოგანილი ცნობების არსებობის შესახებ უნდა აღვნიშნოთ: მართალია, ეს ცნობები ძველი ტრადიციის ასახვას წარმოადგენს, მაგრამ ფსევდო არიანეს, განსაკუთრებით კი XIII ს-ში მცხოვრებ სომებ ავტორს – ვარდან დიდს ძველი ტრადიცია უკრიტიკოდ არ უნდა გაემეორებინა. ასეთი ცნობის არსებობა ვარდანის თხზულებაში, ძველი სამყაროდან მომავალი ტრადიციის კარგ ცოდნაზე, მაგრამ კავკასიის ხალხთა განსახლების საქმეში მის გაურკვევლობაზე მიუთითებს. მსგავსი მდგომარეობაა სტეფანოს ტარონეცისთანაც, როცა სომხებთან მებრძოლ დასავლეთ საქართველოში არსებულ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ლაშქარს ჩრდილო კავკასიიდან (სარმატიდან) გადმოსულად თვლის.

ასე რომ, უძველესი დროიდან არსებული ტრადიცია ამიერკავკასიის ქვეყნების (გ. შ. ქართლის) ჰირკანიად მიჩნევის შესახებ იოსებ ფლავიუსიდან მომდინარე იმ მითითებას ემყარება, რომლის თანახმად, დარიალის კარი – „ჰირკანიის” (იგივე კასპიის) კარიც იყო. რაც შეეხება „აბხაზთა ქვეყნის” სარმატიაში ან „მაზგუტთა” (მასაგეტთა) მხარეში მდებარეობის შესახებ, ჩემი ვარაუდით, მას შემდეგი ფაქტი უდევს საფუძვლად:

ქ. წ. VIII ს. 30 – 20-იან წლებში წინა აზიაში მეოტის გზით ჩრდილოეთიდან კიმერიელები, ხოლო დერბენდის კარით სკვითები შემოვიდნენ და ერთ ხანს, მათ წინა აზიაში სახელმწიფოც შექმნეს. შემდეგში მათი ნაწილი სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიის აღმოსავლეთით — კაპადოკიაში (ამ მხარეში სომხურ მწერლობაში მიიღო სახელი „გამრიქ“, რაც კიმერიელთა ქვეყანას ნიშანავს) დასახლდა<sup>39</sup>. რის გამოც, უფრო სამხრეთით მცხოვრები ხალხები ტერიტორიას კაპადოკიიდან მოკიდებული კავკასიის მხარის ჩათვლით სარმატიად ან სკვითეთად მიიჩნევდნენ<sup>40</sup>. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ქრისტიან თეოლოგს ორიგენეს (გარდ. 253 წ.) ანდრია ჰირკელწოდებული სკვითების განმანათლებლად ჰყავს გამოყვანილი, ხოლო ბიზანტიიელ ავტორს ნიკიტა პაფლაგონიელს (გარდ. 890 წ.) ანდრიას წილხვდომილ ქვეყნად ჩრდილოეთი აქვს

მითოთებული, თვით ანდრიას კი იბერების, სავრომატების, ტავრებისა და სკვითების განმანათლებელს უწოდებს<sup>41</sup>.

ამრიგად, ატ-ტაბარის თუ გარკვეული საფუძველი პქონდა VI ს-ში ჩრდილო კავკასიაში მომხდარი ხალხთა აღგილგადანაცვლებისას დერბენდის ჩრდილოეთით მოხვედრილი ზიხები (ან მათი მონათესავე აფსუა-აბაზები) „აბხაზ“ სახელით მოეხსენებინა, XIII ს. სომები ავტორს ვარდან დიდს, ძველი სამყაროდან მომდინარე ტრადიცია, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე ჰირკანიის კარის (კასპიის კარის) დარიალის კართან გაიგივების მცდარ შეხედულებას ემყარებოდა, უკრიტიკოდ არ უნდა მიედო — აფხაზეთი კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე ჰირკანიაში არ უნდა მიეთითებინა. რა თქმა უნდა, არაა სწორი აკად. ს. ერემიანის დასკვნაც, რომლის თანახმად, ჩრდილო კავკასიასა და შავი ზღვის სამხრო-აღმოსავლეთით განსახლებული ხალხები (ჩერქეზ-აფხაზები, მეგრელ-ჭანები და სხვანი), თითქოს, კასპიის ზღვის სამხრეთითაც ცხოვრობდნენ. ფსევდო არიანებს ცნობა ასეთი დასკვნისათვის თუ გარკვეულ საფუძველს იძლეოდა, თვით არიანებს (ახ. წ. II ს.) მონაცემებზე ამას ვერ ვიტყვი<sup>42</sup>.

უოველივე ზემოთქმულის შემდეგ სამართლიანი მეჩვენება გ. წულაიას შენიშვნა იმის შესახებ, რომ ”Вопросы исторической этнонимии Кавказа относятся к числу наиболее сложных и до сих пор недостаточно изученных в кругу кавказоведческих дисциплин“<sup>43</sup>.

## თავი IX. თეოფილაქტე სიმოკატას მრთი ცხობა კოლხთა შესახებ და მისი რეალურობის საკითხი

საქართველოს ძველი ისტორიის შედარებით უკეთ წარმოსაჩენად, ძველ ქართულ საისტორიო წყაროთა მონაცემებთან ერთად უცხოენოვან ავტორთა ცნობებს, როგორც ცნობილია, დიდი, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, XIX საუკუნის დამდეგიდან მოკიდებული საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული მკვლევრები გულმოდგინედ ცდილობდნენ თხრობა უცხოენოვან წყაროებში მიკვლეული ცნობებით გაემდიდრებინათ. ასეთი მცდელობის მიუხედავად, VII ს. ბიზანტიუმი აგზორის – თეოფილაქტე სიმოკატას „ისტორიაში“ არსებული მითოება თურქთა მიერ „კოლხთა ბელადებისა“ და „სამასი ათასი კოლხის ამოხოცვის“ შესახებ ქართულ ისტორიოგრაფის დღემდე ყურადღების მიღმა დარჩა. სამაგიეროდ, თეოფილაქტეს დასახელებული ცნობა სათანადოდ აისახა რუსულ და აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში.

ქემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად ისმება კითხვა. რა მოხდა, ქართველმა ისტორიკოსებმა თეოფილაქტეს ცნობა ყურადღების ღირსად არ ცნეს, თუ იგი ვერ მიაკვლიერება?

ვფიქრობ, თეოფილაქტეს „ისტორიაში“ კოლხთა შესახებ არსებული ცნობა მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა, შეიძლება ვინმემ თქვას, თეოფილაქტეს მონაცემები არარეალურია, კოლხეთში (უფრო სწორად ეგრისში) ასეთი რამ არ მომხდარა. მაგრამ, უარყოფასაც დასაბუთება უნდა. წყაროში არცერთი ცნობა უმიზეზოდ არ ჩნდება და თეოფილაქტეს რადგან ასეთი მითოება აქვს, მისი ინტერპრეტაცია ქართველ ისტორიკოსთა ვალი იყო. მითუმებებს, ჩვენი რუსი და აზერბაიჯანელი კოლეგები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თეოფილაქტეს ცნობაში არარეალურს ვერაფერს ხედავენ – ცნობის მონაცემთა სანდოობა მათ ოდნავაც არ აეჭვებთ. ამიტომ გადავწყვიტე თეოფილაქტეს ცნობა ქართველი ისტორიკოსის თვალთახედვით გამეანალიზებინა.

სანამ თეოფილაქტეს ცნობის შესახებ საუბარს დავიწყებ, მინდა მკითხველს მოკლედ თვით თეოფილაქტე სიმოკატას ვინაობა გავაცნო. რადგან, ვფიქრობ, თეოფილაქტეს ბიოგრაფია, მუშაობის მეთოდი, მსოფლმხედველობა გარკვეულწილად უნდა დაგვეხმაროს მის „ისტორიაში“ კოლხთა შესახებ არსებულ მონაცემთა გაანალიზებაში.

თეოფილაქტეს ბიოგრაფია ნაკლებადაა ცნობილი. იგი „წარმოშობით ეგვიპტიდან იყო“. განეკუთვნებოდა ბიზანტიის იმპერიის ზედაფენას. როგორც ვარაუდობენ, განათლება მას ათენში უნდა მიეღო. სწორედ აღნიშნულით ხსნიან, თეოფილაქტემ კარგად რომ იცოდა, უყვარდა და დიდად აფასებდა ანტიკურ კულტურას. ბერძნულის გარდა უნდა სცოდნოდა სირიული და სპარსული ენები. ბიზანტიელ ავტორთა შორის იგი ერთადერთია, რომელიც უშუალოდ არაბთა დაპყრობითი ომების დაწყების წინა ხანაში მოღვაწეობდა, იყო იმპერატორ ჰერაკლეს (610 – 641 წწ.) მრჩეველი.

თეოფილაქტეს თხზულებებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა „ისტორია“, რომელიც 582 – 602 წლების ამბებს მოიცავს და VI ს. ბიზანტიუმი ავტორის მენანდრე პროტიტორის შრომის გაგრძელებას წარმოადგენს. თხრობის მთავარი თემაა ის ომები, რომელთაც ბიზანტიის იმპერია ბალკანეთის ნ.-კუნძულზე აგარებთან და სლავებთან, აღმოსავლეთში კი სასანიანთა ირანთან აწარმოებდა<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ თეოფილაქტე მის მიერ მოთხოვნილი ამბების უმცროსი თანამედროვე იყო (მან თავისი „ისტორია“ 628 – 638 წლებში

შეადგინა), როგორც 6. პიგულევსკაია წერს, ცნობილი გერმანელი ბიზანტინოლოგი კარლ კრუმბახერი მას ბრალს სდებდა იმაში, რომ იგი უშუალოდ არ იცნობდა იმ პირებს, არც იმ ადგილებს, რომელთა შესახებ წერდა – სათანადო მასალა არ ჰქონდა ამ ოლქების პოლიტიკური ისტორიისა და გეოგრაფიისათვის. მაგრამ, – დასძენს 6. პიგულევსკაია, – თეოფილაქტეს „ისტორიის“ შემდგომმა კვლევამ მნიშვნელოვანწილად შეამსუბუქა კ. კრუმბახერის მკაცრი შეფასება (უფრო ადრე, ინგლისელი ისტორიკოსი ე. გიბონი თეოფილაქტეს არასაჭირო წვრილმანების გადმოცემაში ადანაშაულებდა<sup>2).</sup>

თეოფილაქტეს „ისტორია“, მართლაც, მნიშვნელოვანი საისტორიო თხზულებაა. ქართველ მკვლევართათვის მასში განსაკუთრებით ფასეულია ბიზანტიისა და ირანის მუძმივი ინტერესების სფეროში შემავალი კავკასიის ქვეყნების (იბერიის, ეგრისის, სომხეთის), ასევე სხვადასხვა ადგილობრივი (მაგ. სვანების) და აზიიდან აღმოსავლეთ ევროპაში მოსული ხალხების (ავარების, თურქებისა და სხვა) შესახებ არსებული ცნობები. რაც შეეხება თეოფილაქტეს „ისტორიის“ წყაროებს, მენანდრე პროტიქტორის (რომელსაც ქებით იხსნიებს) თხზულების გარდა მას გამოყენებული აქვს: იოანე ლიდესა და იოანე ეფესელის „ისტორიები“, ევაგრეს „საეკლესიო ისტორია“, ელჩობების მოხსენებები, ცირკის პარტიათა და სასახლის ქრონიკალური ჩანაწერები. მისი „ისტორიის“ ერთი ნაწილი (მესამე წიგნის მე-9 თავიდან მეხუთე წიგნის მეთხუთმეტე თავის გარკვეული ნაწილი) უშუალოდ იოანე ეპიფანელის თხზულებაზე დაყრდნობითაა დაწერილი.

თეოფილაქტეს „ისტორიის“ შემდგომი მონაკვეთი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო ცნობაა (წიგნი VII, თავი VIII), 6. პიგულევსკაიას სიტყვით, ამ შემთხვევაში რა წყაროებით სარგებლობდა თეოფილაქტე, ამაზე მითითება ძნელია. მთელი რიგი შეუსაბამობანი ქრონოლოგიაში გამოწვეული უნდა იყოს წყაროს შეცვლით. უკანასკნელ წიგნებში (წიგნი VII, VIII), თეოფილაქტეს თხრობა მის მიერ ნანას ამბებსა და მდიდარ ზეპირ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს<sup>3.</sup>

ამრიგად, თუ 6. პიგულევსკაიას ზემომოტანილ აზრს გავითვალისწინებთ, თეოფილაქტეს ცნობას თურქთა მიერ კოლხების (გულისხმობენ ეგრისის მოსახლეობას) ამოხოცვის შესახებ რა წყარო უდევს საფუძვლად, ძნელი გასარკვევია. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მისი მონაცემები 300 ათასი კოლხის ამოხოცვის შესახებ აშკარად გაზვიადებულია, თეოფილაქტეს ამ ცნობის მთლიან იგნორირება არ შეიძლება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მის მონათხრობს გარკვეული ისტორიული რეალობა უდევს საფუძვლად. აზიიდან ჩრდილო კავკასიაში მოსული დამპყრობლების რისხვა ოთორების განადგურების შემდეგ, როგორც ჩანს, მართლაც, დაატყდა თავს ლაზებს, რის დამტკიცებას ქვემოთ შევეცდები.

VI ს. დასასრულის ეგრისში თურქთა ლაშქრობის შესახებ სხვა საისტორიო წყაროებში ცნობები არაა. ამიტომ თეოფილაქტეს მიერ მოთხოვთ ამბავის რეალურობა-არარეალურობის დასადასტურებლად, თვით ცნობის მონაცემთა გაანალიზებისას მიღებულ შედეგებს უნდა დავეყრდნო, გავითვალისწინო იმ დროის საერთაშორისო ვითარება.

სანამ თეოფილაქტეს ცნობის შინაარსს გავაანალიზებ, მინდა იმ მიზეზის შესახებ მივუთითო, რამაც, ჩემი აზრით, თეოფილაქტეს ცნობის ქართველ მკვლევართა თვალთახედვიდან გამორჩენა გამოიწვია.

ქართულ ისტორიოგრაფიას თეოფილაქტეს ცნობა დღემდე რომ უურადღების მიღმა დარჩა, ამის მიზეზი, ვფიქრობ, საქართველოს შესახებ

თეოფილაქტე სიმოკატას ცნობების აკად. ს. ყაუხეჩიშვილისეული გამოცემაც არის. საქმე ისაა, რომ 1941 წელს გამოქვეყნებული „გეორგიის“ IV ტომში (ნაწ. I), რომელშიც სხვა ბიზანტიულ ავტორებთან ერთად თეოფილაქტეს „ისტორიიდან“ საქართველოს შესახებ ცნობების ქართული თარგმანიცაა<sup>4</sup>, თეოფილაქტეს ზემომოტანილი ცნობა არაა შეტანილი. არა მგონია, ს. ყაუხეჩიშვილს თეოფილაქტეს ცნობა მისი გაზიადებული მონაცემების გამო გამოეტოვებინა, რა მოხდა მნელი სათქმელია. ერთადერთი სავარაუდო ისაა, რომ თეოფილაქტეს „ისტორიიდან“ საქართველოს შესახებ ცნობათა ამოკრეფისას ზემოდასახელებული მითითება მას მხედველობიდან გამორჩა. ისე კი უნდა ითქვას: უცხოელ ავტორთა საისტორიო თხზულებების შემოკლებული ქართული თარგმანი ზოგჯერ დიდი გაუგებრობების მიზეზიც ხდება. ასე მაგალითად, „გეორგიის“ იმავე ტომში შესული ბიზანტიული ქრონისტის თეოფანე უმთააღმწერელის ცნობების შემოკლებულ ქართულ თარგმანში 628 წელს თბილისის აღების შესახებ თხორბას მცირე ინტერვალის შემდეგ მოსდევს მითითება ბიზანტიულთა მიერ ქართველი დიდებულის (მთავრის) ვარსამუსეს დატყვევების შესახებ<sup>5</sup>. ეს ტექსტი გახდა საფუძველი ა. ბოგვერაძეს ვარსამუსე თბილისის აღებისას დატყვევებულად (სინამდვილეში იგი ირანის ტერიტორიაზე, ნინევიის ნანგრევებთან გამართულ ბრძოლაში იქნა დატყვევებული<sup>6</sup>) და ქართლის ერისმთავრად მიეჩნია. მისი თვალსაზრისი აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეორე ტომში<sup>7</sup>, რომელიც ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიისათვის დღესაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის სალექციო კურსის ერთ-ერთი მირითადი დასაყრდენია. სტუდენტებს ათეული წლების განმავლობაში შეცდომით ასწავლიან, თითქოს, ვარსამუსე ქართლის ერისმთავარი იყო („ნარკვევების“ მეორე ტომიდან ეს შეცდომა განმეორდა ზოგიერთი ავტორის სალექციო კურსში<sup>8</sup>).

ახლა რაც შეეხება იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში აზიიდან თურქების (იგივე ტურკიუტები) მოსვლისა და მათ მიერ ჩრდილო კავკასიის დაპყრობის შემდეგ შეიქმნა.

ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე მცხოვრებმა ხალხებმა ჰუნ-თურქთა პირველი დიდი დარტყმები, როგორც ცნობილია, IV ს. 70-იან წლებში ცენტრალური აზიიდან წამოსული ჰუნთა მრავალრიცხოვანი ურდოებისაგან განიცადეს. ჰუნების შემდეგ მდ. ვოლგა არაერთმა ჰუნურ-თურქელმა და თურქიზირებულმა უგორულმა ტომმა გადმოლახა და სამომთაბარეოდ დროებით ჩრდილო კავკასიისა და აზოვის ზღვისპირეთის აღმოსავლეთით მდებარე ველებზე შეჩერდა. დროთა განმავლობაში მათ იქ სახელმწიფო გაერთიანებები შექმნეს. რომელთაგან მნიშვნელოვანი იყო კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით საბირთა, ხოლო აზოვის ზღვის აღმოსავლეთით თურქელ-უგორულ ტომთა გაერთიანება. ამ უკანასკნელ გაერთიანებაში შედიოდა უფრო ადრე ჩრდილო კავკასიის ველებზე მოსული სარმატული წარმოშობის ალანები და ჩრდილო კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის ნაწილი.

ჩრდილო კავკასიისა და აზოვისზღვისპირეთში არსებული გაერთიანებების, ერთი შეხედვით, მშვიდი ცხოვრება VI ს. შუახანებში ცენტრალური აზიიდან გამოქვეულმა უფან-უანებმა (უფანებმა, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში ავართა სახელით გახდნენ ცნობილნი) დაარღვიეს. ავარები თავიანთ ყოფილ ქვეშევრდომებს ტურკიუტებს (თურქებს) გამოექცნენ.

ტურკიუტებმა გადამწყვეტი გამარჯვება უუანებზე 553 წლის შემოდგომაზე მოიპოვეს. დასავლეთისაკენ ჯოგების გარეშე გამოქცეულ უუანებს 554 წლის გაზაფხულზე, იმ ხანად გარდაცვლილი, თურქთა (ტურკიუტა) სახელმწიფოს (კაგანატის) შექმნელის კაგან ბუმინის მომდევნო

ძმა – ისტემი (მისი ტიტული იყო „იაბდუ“ – „ჯაბდუ“, რაც კაგანატში დირსებით მეორეს ნიშნავდა) დაედევნა. 555 წელს ისტემიმ უკვე „დასავლეთის ზღვას“ (არალის ზღვას გულისხმობენ) მიაღწია. ლაშქრობისას დაიმორჩილა ცენტრალური ყაზახეთი, შვიდმდინარეთი, ხორეზმი. არალის ზღვის ჩრდილოეთით მის ლაშქარს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ხუნუს (ხიონიტების), უარისა და ოგორთა ტომებმა. მათი დამარცხება ისტემიმ მხოლოდ 558 წელს შეძლო და მდ. ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ველებს მიადგა. უფრო ადრე – კერძოდ 556 წელს ისტემის უფროსმა ძემ ყარა-ჩურინმა მამის ნებართვით დაიმორჩილა სამხრეთი ჯუნგარია და აბარების მიწაზე თავისი საუფლისწულო სახანო შექმნა (მისი რეზიდენცია ჩრდილო ტიანშანში – აკდალის მთებში იყო). 558 წელს ყარა-ჩურინი მონაწილეობდა ურალსა და ვოლგისპირეთში ისტემის ლაშქრობაში, თუმცა ახლადდაპყრობილი ეს მიწები საუფლისწულოდ ყარა-ჩურინის უმცროს მმას ტანხანს (ბიზანტიური წყაროების თურქსანფი) და ბიძაშვილს ბური ხანს გადაეცა<sup>9</sup>.

დასავლეთისაკენ მიმავალი ისტემის ლაშქარი წინ მიერეკებოდა უველა იმ ხალხს, რომლებიც მას არ დამორჩილდა. ასეთები იყვნენ „უარისა“ და „ხუნუს“ ტომებიდან – დაახლ. 20000 კაცი (შემდეგში ისინი ჩრდილო კავკასაში ავარებს შერწყენენ).

რაც შეეხება თურქებისაგან დევნილ უუჟანებს (რომელთაც არც ჯოგები პყავდათ და ადარც სამშობლო პქონდათ), მათი მდგომარეობა, თითქოს, უიმედო იყო. რადგან მათ წინაშე იდგნენ მრავალრიცხოვანი ხალხები, რომელთაც ძლიერი გაერთიანებები პქონდათ და გამარჯვებაც შეეძლოთ, მაგრამ უუჟანებმა ყოველგვარი წინააღმდეგობა დაძლიერ. ისინი თურქებისაგან მიუწვდომელნი გახდნენ<sup>10</sup>.

ავარებმა თურქების დევნას რომ თავი დააღწიეს, ეს შემდეგმა გარემოებამ განაპირობა. ვოლგის აღმოსავლეთ ველებზე მოსულმა ისტემიმ ვერ გარისკა ზურგს უკან შეუა აზიაში არსებული პუნი პეფტალიტების ძლიერი გაერთიანება დაეტოვებინა. ირანთან კავშირში მათი დამარცხება ისტემიმ, მართალია, მხოლოდ 571 წელს შეძლო<sup>11</sup>, მაგრამ მანამდე, 558 წლის ივლისში, იუსტინიანე I-თან ელჩობა გაგზავნა, 567 წელს ჩრდილო კავკასიაში ილაშქრა და დერბენდის აედელს მიადგა.

თავის მხრივ, 558 წელს ჩრდილო კავკასიაში მოსულმა უუჟანებმა დიდი სისასტიკით დაიმორჩილეს საბირთა გაერთიანება (საბირთა ნაწილი ამიერკავკასიაში გადმოსახლდა). აღმოსავლეთ ევროპაში უკვე ავარებად სახელდებული უუჟანები, რადგან მოკავშირებსაც ეძებდნენ, ალანთა ბელადის საროსიას შუამდგომლობით ეგრისზე გავლით კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ. იმპერატორმა იუსტინიანე I-მა ავართა ელჩები უნდობლად მიიღო, თუმცა ავარებთან საპასუხო ელჩობა მაინც გააგზავნა და სთხოვა, როგორც მოკავშირებს ომი მისი მტრის – ირანის წინაამდეგ დაეწყოთ<sup>12</sup> (იმ ხანად ეგრისში, ბიზანტიისა და ირანს შორის ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ომი). ავარები პირიქით მოიქცნენ. მათი მსხვერპლი ბიზანტიის მოკავშირე საბირების შემდეგ აზოვის ზღვის აღმოსავლეთ ველებზე არსებული ოგორების გაერთიანება გახდა. უნდა ვიფიროთ, რომ ავარები კონსტანტინოპოლში თურქთა ელჩობის კარგად მიღებამ გააღიზიანა, ხოლო 567 წელს ჩრდილო კავკასიაში ისტემის ლაშქრის გადმოსვლისთანავე მათ სასწარფოდ დატოვეს ჩრდილო კავკასია და დასაველთისაკენ გაემართნენ. მდ. დონის ქვემო დინების მარცხნივ მდებარე ველებზე თავს დაესხნენ ჰუნური მოდგმის ზალებს<sup>13</sup>, გადალახეს მდ. დონი და სლავური წარმოშობის ანტების განსახლების არეალი მთლიანად გაანადგურეს<sup>14</sup>. მათი ნაწილი, როგორც ჩანს, თან გაიყოლეს.

საბოლოოდ ბინა ავარებმა ბალკანეთში – პანონიაში დაიდეს. ასე გაუმჯობელდნენ იმპერიას ბალკანეთიდან და ამის შემდეგ მათ არაერთხელ სცადეს კონსტანტინოპოლის აღება<sup>15</sup>.

567 წელს ჩრდილო კავკასიაში მისული ისტემი ავარებს არ დაედევნა. იგი უკან გაბრუნდა და ჰეფტალიტებთან ბრძოლა განაგრძო. 576 წელს კი გარდაიცვალა.

ისტემის გარდაცვალების შემდეგ კაგანატის დასავლეთ ნაწილში უმაღლესი ხელისუფალი სწორედ მისი უფროსი ძე – ყარა-ჩურინი გახდა. მან მემკვიდრეობით მიიღო კაგანატის დასავლეთი ნაწილი და ტარდუშ ხანად იწოდა. შორეულ ლაშქრობებს თავი დაანება და ძირითადად აკდალის რეზიდენციაში იმყოფებოდა. მას და მის ძმას ტანხანს ემორჩილებოდა მდ. ვოლგის აღმოსავლეთით და დასავლეთით, ასევე ჩრდილო კავკასიაში მყოფი თურქელი ძალები. დასავლეთში სამხედრო ოპერაციებს ზემოდასახელებული ბური ხანი ხელმძღვანელობდა. მან აიღო 576 წელს ბოსფორი, 580 წელს სცადა ყირიმს დაუფლებოდა<sup>16</sup>.

ხემოთქმულიდან გამომდინარე, 558 – 567 წლებში ავარები ჩრდილო კავკასიასა და მის მიმდებარე ველებზე მცხოვრები ხალხების ბატონები იყვნენ. ბალკანეთში გადასვლის შემდეგ მათ ხელში აღმოჩნდა ვრცელი ტერიტორია ჩრდილო კავკასიიდან ბალკანეთამდე. 576 წლიდან ბური ხანმა ავართა მფლობელობაში მყოფი ტერიტორიების დამორჩილება დაიწყო. მკვლევართა მტკიცებით, 580 წელს ყირიმზე უშედეგო შეტევის შემდეგ, 582-583 წლებში, თურქები ეგრისში შეიჭრნენ<sup>17</sup>.

582/583 წლებში თურქთა ეგრისში ლაშქრობა მე საეჭვოდ მივიჩნიე<sup>18</sup>. ამჯერად ქვემოთ მის დასაბუთებას შევეცდები.

როგორც ავარები, ისე თურქები (ტურკიუტები) ძველ აგტორთა თხზულებებში „თურქებად“ და „ჰუნებად“ იხსენიებიან. ძველი თურქების ისტორიის ცნობილი მკვლევარი ლ. გუმილიოვი თეოფილაქტეს ცნობების გაანალიზებისას კოლხთა ბელადებისა და 300 ათასი კოლხის ამოხოცვას სწორედ თურქებს მიაწერს. მისი სიტყვით, ეს ამბავი 584 წლის წინა ხანაში ბიზანტია-ტურკიუტების ომის დროს მოხდა. ტურკიუტები, მისი ვარაუდით, აფხაზეთის მხრიდან შეიჭრნენ ეგრისის ტერიტორიაზე და დაახლოებით 160 კილომეტრი (4 დღის სავალი) გზის გასწვრივ მოფენილი გვამები იმ ტყვეებისა უნდა ყოფილიყო, რომელთა წაყვანა უკანდასხულმა არმიამ ვერ შეძლო<sup>19</sup>. „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის“ აგტორთა თანახმად, 582/583 წლებში თურქებმა კავკასიიდან ბიზანტიაში შეღწევა სცადეს<sup>20</sup>.

აზერბაიჯანელი ა. იუნუსოვის თანახმად, 582 – 583 წლებში ტურკიუტები თავს დაესხნენ ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომ დასავლეთ საქართველოს. ამ ამბების თანამედროვე ბიზანტიელი ისტორიკოსის (მხედველობაში ჰყავს თეოფილაქტე სიმოკატა, რომელმაც VII ს. 30-იან წლებში დაწერა თავისი ისტორია – ვ. გ.) ცნობით, ტურკიუტებმა კოლხთა ბელადები დახოცეს. ომის დროს ამ ტომიდან განადგურებული იქნა სამასი ათასი კაცი, მაგრამ, მაშინ, როცა გამარჯვება კაგანის მხარეზე იყო, თურქთა შორის დაიწყო შინაბრძოლები და მათ დატოვეს საქართველო<sup>21</sup>.

თეოფილაქტეს ცნობამ კოლხთა შესახებ ი. კოლომიიცევის წიგნში უკვე რომანტიკული ელფერი მიიღო. მისი სიტყვით, ავარებისა და თურქების აზიიდან აღმოსავლეთ ევროპაში მოსვლით ხალხთა დიდი გადასახლების მეორე ეტაპი დაიწყო, როცა იღუპებოდნენ არა მარტო ცალკეული პირები, არამედ მთელი ტომები. „583 წელს კი ძველი თურქების ლაშქარმა ევროპაში შეღწევა კავკასიის მთავარი ქედის გავლით სცადა. მაგრამ ახლანდელ დასავლეთ საქართველოს

მთებში ისინი ადგილობრივი ტომების ზუსტად მსროლელებმა შეაჩერა. შეტევის ჩაშლით განაწყენებულმა აზიატებმა სამსხვერპლო ცხოველების მსგავსად გელური მძვინვარებით ამოხოცეს, თითქმის, 300 ათასი – მილიონის მესამედი ტყე, რომლებიც დამპყრობლებს ნებაყოფლობით ჩაბარდნენ. სიკვდილით დასჯილთა გვამები ჯგუფებად ეყარა გზის გასწვრივ ოთხი დღის სავალზე. ცოცხლად დარჩენილ იმ მცხოვრებთა დასაშინებლად, რომელიც საშინელ მდგომარეობაში ტყეებსა და მთათა ხეობებს აფარებდნენ თავს. არავინ იყო, რომ მიწისათვის მიებარებინა თავმოკვეთილი გვამები, მხოლოდ მელიები, ტურები და ყვავები იხდიდნენ მათზე შავ აღაპს<sup>22</sup>.

რა შეიძლება ითქვას თეოფილაქტეს ცნობის ზემომოტანილ ინტერპრეტაციათა შესახებ?

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო: თურქებს ეგრისში რომ 300 ათასი კაცი დაეტყვევებინათ და დაეხოცათ (აღარაფერს ვამბობ იმათზე, ვინც ბრძოლებში დაიღუპებოდა), ეგრისის სამეფოს დიდი ნაწილი გაუკაციელდებოდა. რაც მთავარია, თეოფილაქტეს ცნობიდან არა ჩანს სამასი ათასი კოლხი ტურკიუტებმა მაინცდამაინც დასავლეთ საქართველოში რომ ამოხოცეს. 6. პიგულევსკაიას იმ შენიშვნას თუ გავითალისწინებთ, რომლის თანახმად, თეოფილაქტეს თავისი „ისტორიის“ შედგენისას იმ ოლქების გეოგრაფიაზე, რომლებზეც წერდა, სათანადო მასალა არ ჰქონდა, მას ტურკიუტო მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის ზუსტ მითითებაში შეიძლებოდა შეცდომა მოსვლოდა. ასევე, თეოფილაქტეს მიერ ნახმარი გამოოქმდა „კოლხთა ბელადები“ საკუთრივ ეგრისის სამეფოს არ უნდა ეხებოდეს. ვფიქრობ, თეოფილაქტეს, როგორც ათენის უმაღლეს სკოლაში განათლებამიღებულ ისტორიკოსს, კარგად ეცოდინებოდა VI საუკუნის ეგრისში მცხოვრები ხალხის დიდი წარსული. თეოფილაქტეს წინამორბედი ბიზანტიელი აგათია სქოლასტიკოსის სიტყვით, ლაზები (კოლხები – ვ. გ.) ხომ ის ხალხი იყო, რომლებიც ამაყობდნენ „კოლხთა ძველი სახელით“, „სახელგანთქმულნი“ და „განდიდებულნი“ იყვნენ<sup>23</sup>. ამიტომ, ვფიქრობ, თეოფილაქტეს (უფრო სწორად მის წყაროს) მხედველობაში საკუთრივ ეგრისის სამეფოს ტერიტორია არ უნდა ჰქონოდა.

582/583 წლებში ეგრისში თურქთა ასეთი გამანადგურებელი ლაშქრობა რადგან სხვა წყაროებით არ დასტურდება, ვფიქრობ, ზემოდასახელებულ მკვლევრებსაც ასე ხელადებითა და უკრიტიკოდ თეოფილაქტეს ცნობა არ უნდა მიეღოთ.

თეოფილაქტეს ცნობაში საკურადღებოა მითითება თურქთა კაგანატში დაწყებული შინაომის გამო კოლხებთან მებრძოლმა თურქებმა გამრჯვებით ბოლომდე რომ ვერ ისარგებლებს. მკითხველი ალბათ იკითხავს, თურქებმა ეგრისში თუ 300 ათასი კაცი ამოხოცეს, გამარჯვებულები რატომ არ იყვნენ? ზემოდასახელებულ მკვლევართა პასუხი ერთი იქნება – თურქთა კაგანატში დაწყებულმა შინაომმა აიძულა თურქები ბრძოლის ველი (ე. ი. ეგრისის ტერიტორია) სასწრაფოდ დაეტოვებინათ, თითქოს, ისინი ისეთი სისწრაფით ტოვებდნენ ეგრისს, რომ ჩამორჩენილ ტყვეებს გზადაგზა ხოცავდნენ.

რომ გავერკვეთ ასეთი სისწრაფით ვის უნდა დაეტოვებინა ბრძოლის გელი, დეტალურად უნდა გავეცნოთ თურქთა კაგანატში დაწყებულ შინაომს და ვნახოთ, მართლაც, თუ იყო საჭირო თურქებს კოლხეთიდან (უფრო სწორად კავკასიოდან) ჯარი გაეწვიათ.

თურქთა კაგანატში დაწყებული შინაომი სპეციალურად აქვს გაანალიზებული ლ. გუმილიოვს. როგორც იგი წერს, ეს ომი ისტორიკოსთა მიერ, თითქმის შეუსწავლელია. მასზე ბიზანტიურ წყაროებში ფრაგმენტული

ცნობებია, სპარსულმა და ქართულმა წყაროებმა ჩვენამდე არ მოაღწია. რაც შეეხება ჩინელ ავტორებს, მისი სიტყვით, ისინი ისე შორს იყვნენ ომის ასპარეზიდან, რომ ცუდი წარმოდგენა პქონდათ შავიზღვისპირეთის გეოგრაფიის შესახებ. ამიტომ, მეტად ძვირფასია იმპერატორ მავრიკიოსისადმი თეოფილაქტეს „ისტორიაში“ შემონახული თურქთა კაგანის – ყარა-ჩურინის წერილის ფრაგმენტული მონაცემები<sup>24</sup>.

კაგანის წერილსა და ჩინურ წყაროებში არსებულ ცნობებზე დაყრდნობით კაგანატში დაწყებული შინაომის ამბავს ლ. გუმილიოვი ასე გადმოგვცემს: 581 წლის ბოლოს დიდმა ხანმა ტობომ (მისი რეზიდენცია ჩრდილო-დასავლეთ მონდოლეთში მდ. ორხონის აუზში მდებარეობდა) გარდაცვალების წინ, კაგანატში არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესიდან გამომდინარე, მემკვიდრედ თავისი ძე ამრაკი კი არა, თავისი უფროსი მმის – მუდან ხანის ძე ტორემანი (ჩინური წყაროების აბო ხანი). კაგანის წერილში იგი „ტურუმ“-ად იწოდება და მას მიეწერება შინაომის დაწყება – გ. გ.) დაასახელა. კაგანატის ერთ-ერთი მხარის გამგებელმა (ხანმა), ტობოს მომდევნო მმის, ადრე გარდაცვლილი ყარა ისიკ ხანის ძემ – შეთუმ (ჩინური წყაროების შაბოილო ხანი) მხარი ამრაკს დაუჭირა და განაცხადა: თუ მის წინადადებას არ მიიღებდნენ, ომს დაიწყებდა. შეთუს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ასე გახდა ამრაკი დიდი ხანი, მაგრამ ტორემანის წინააღმდეგობის გამო მან ჩქარა უარი სთქვა პირველი ხანის ტიტულზე და ეს ლირსება შეთუს დაუთმო – შეთუ გახდა კაგანი. მის შემდეგ კაგანატში მეორე პირად ისტემის უფროსი ძე ყარა-ჩურინი ითვლებოდა. ამრაკი მესამე, ტორემანი მეოთხე ხანი გახდა. ამ ოთხი დიდი ხანის გარდა, კაგანატში ოთხი მცირე ხანიც იყო. კაგანატის დასავლეთში სამხედრო ოპერაციებს ერთ-ერთი მცირე ხანი ბური აწარმოებდა. ლ. გუმილიოვის თანახმად, ყირიმში მისი შეჭრის უშედეგო მცდელობის შემდეგ თურქები კავკასიაში დაწყებული სამხედრო ოპერაციით შემოიფარგლნენ – ომი დაიწყეს ბიზანტიასთან (მისი მტკიცებით, ამ დროს ამოხოცეს თურქებმა 300 ათასი კოლხი). მეორე მხრივ, ამ ომის დასასრულს იგი რადგან კაგანატში სამოქალაქო ომის დაწყების (584 წლის დამდეგი) წლით ათარიღებს, გნახოთ, თუ იყო საჭირო თურქებს სასწრაფოდ შეეწყვიტათ ეგრისში ლაშქრობა და სამხედრო ძალები კავკასიიდან შუა აზიაში გაეწვიათ.

როგორც ლ. გუმილიოვი წერს, ბიზანტიასთან დაწყებული ომის თანადროულად ტურკიუტები ჩინელებს ებრძოდნენ, მაგრამ თურქ ხანებს შორის ერთ-ერთმა უძლიერესმა ყარა-ჩურინმა 582 წელს ჩინეთთან სეპარატული ზავი დადო და ჩინეთიდან თავისი ლაშქარი გამოიყვანა. 583 წელს კი ჩინელებმა ტორემანი დამარცხეს და ტურკიუტების ლაშქარი განადგურებისაგან კაგან შაბოილოს (შეთუს) გამარჯვებამ გადაარჩინა<sup>25</sup>. ამის შემდეგ ჩინურმა დიპლომატიამ მოახერხა, შაბოილო და ტორემანი ერთმანეთისათვის დაეპიროსპირებინა. 584 წლის მარტში შაბოილო თავს დაესხა ტორემანის ბანაკს, ხოცვა-ჟლეტისას ტორემანის დედა დაიღუპა. ამ ფაქტმა თურქთა ყველა ხანი ისე გაანაწყენა, რომ ისინი (მათ შორის ყარა-ჩურინი და ტანხანი) ტორემანს სამხედრო ძალით დაეხმარნენ. ტორემანის ხელქვეით ისეთმა ძალამ მოიყარა თავი, რომ შაბოილოს ძმა – ჩოლოხოუ ხანიც მას მიემხრო. 584 წლის შემოდგომაზე შაბოილო იძულებული გახდა ჩინეთის იმპერიასთან არა მარტო ზავი დაედო, თავი იმპერატორის ქვეშევრდომადაც გამოაცხადა. ჩქარა ასე მოიქცა ყარა-ჩურინიც. მისი და ტანხანის დამხმარე ძალები ტორემანს ჩამოსცილდა (თურქთა ხანების ასეთი ქმედება, ძირითადად ჩინეთიდან აბრეშუმის გამოტანის აუცილებლობით იყო განპირობებული<sup>26</sup>). ტორემანის

შესუსტებული ძალები შაბოილო ხანმა დაამარცხა. ჩქარა მისი ოჯახის წევრებიც დაატყვევეს, თვით ტორემანი თავისი ლაშქრის ნარჩენებით სამხრეთში (ახლანდელი ბუხარის რაიონში) გადავიდა, სადაც ყარა-ჩურინის ძემ დაამარცხა და დაატყვევა. მისი ბრძანებით ამბოხებული ხანი წითელი ფუტკრებით სავარ ტომარაში ჩასვეს, ასე მოუდეს ბოლო<sup>27</sup>.

სანამ ტორემანი ცოცხალი იყო, კაგანი შაბოილო თავს მშვიდად ვერ გრძნობდა. ტორემანს იგი ჩინეთში გაერიდა, 587 წელს გარდაიცვალა. შაბოილოს ძემ კაგანის ტახტი ბიძას – ჩოლოხოუს შესთავაზა და თავი მის ქვეშევრდომად აღიარა. ტახტის დაკავების შემდეგ ჩოლოხოუ ყარა-ჩურინის წინაამდეგ გამოემართა, მაგრამ ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა. ამის შემდეგ ტახტის მემკვიდრეობის წესიდან (უფროსი ხანი – კაგანი, გვარში უფროსი ხდებოდა) გამომდინარე, კაგანატში პირველი პირი – კაგანი, ყარა-ჩურინი გახდა. აი ამ ამბების შესახებ ატყობინებდა ყარა-ჩურინი იმპერატორ მავრიკიოსს.

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითალისწინებთ, 581 წლიდან კაგანატში დაწყებული შინააშლილობის დროს ისეთი არაფრი მომხდარა, ყარა-ჩურინსა და მის ძმას – ტანხანს კავკასიაში მებრძოლი, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ბური ხანის ლაშქარი სასწრაფოდ შუა აზიაში გაეხმოთ. პირიქით, 582 წელს ყარა-ჩურინმა თავისი ძალები ჩინეთიდან გამოიყვანა. ამის შემდეგ მას და მის ძმას – ტანხანს ათი ათასობით მეომარი ჰყავდათ რეზერვში. ასეც რომ არ ყოფილიყო, აქდაღის რეზიდენციიდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ კავკასიაში ომს, როგორც ითქვა, ყარა-ჩურინის ხელქვეითი ბური ხანი აწარმოებდა და 580 წელს ყირიმის დაუფლების უშედეგო ცდის შემდეგ სამხედრო ძალით დახმარება, პირიქით, მას სჭირდებოდა. ამიტომ, ლ. გუმილიოვის მტკიცება (რომელსაც სხვა მკვლევრებიც იზიარებენ), თითქოს, 582/83 წლებში ტურკიუტებმა უშედეგოდ სცადეს ეგრისის გავლით ბიზანტიაში შეჭრა, დამაჯერებლობას მოკლებულია. თურქთა ასეთი ქმედების შესახებ ხომ ყარა-ჩურინის წერილშიც არფერია ნათქვამი.

ამ უკანასკნელ გარემოებას ლ. გუმილიოვი დიპლომატიური დელიკატურობით ხსნის<sup>28</sup>. მაგრამ ყარა-ჩურინის ქვეშევრდომ ხანს ეგრისში ბიზანტიელთა 300 ათასი ქვეშევრდომი რომ ამოეხოცა, ამას დიპლომატიური ეტიკეტით ვერ უარყოფდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მისაღები ხომ არ იქნება იმ ხალხად, რომლებმაც კოლხები ამოხოცა, ავარები მივიჩნიოთ. აქ თუ იმასაც გავიხსენებთ, თეოფილაქტეს ცნობიდან გამომდინარე, ოგორთა და კოლხთა განადგურება იუსტინიანე I-ის ზეობაში (527 – 565 წწ.) მომხდარ ფაქტად ივარაუდება, და, როგორც ზემოთ ითქვა, თავისი „ისტორიის“ ამ ნაწილში, თეოფილაქტეს ქრონოლოგიაშიც აქვს შეუსაბამობანი, ასეთი ვარაუდი ისტორიულ რეალობასთან უფრო ახლოს უნდა იყოს. 558 წლის ივნისში იუსტინიანე I-ის მიერ თურქთა ელჩობის კარგად მიღებამ ავარები ხომ ისე გააღიზიანა, რომ ისინი იუსტინიანე I-ის მოკავშირეებს დაერივნენ. ხოლო 567 წელს ჩრდილო კავკასიაში ისტემის გამოჩენის შემდეგ სასწრაფოდ დატოვეს ჩრდილო კავკასიისა და აზოვის ზღვის ამოსავლეთით მდებარე ველები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწორედ ავარები იჩენდნენ დაპყრობილი ხალხების მიმართ დიდ სისასტიკეს. მაშინ როცა ისტემი და ყარა-ჩურინი, თვით ლ. გუმილიოვის სიტყვით, დამორჩილებულ ქვეყნებში modus vivendi-ს პოლიტიკას ატარებდნენ<sup>29</sup>.

ზემოგამოთქმული მოსაზრება რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს, სხვა მასალასაც მოვიხმოძ, პირველ რიგში კი თეოფილაქტეს „ისტორიაში“ არსებულ ცნობებს გავაანალიზებ.

„ისტორიის“ მეშვიდე წიგნის VIII თავში, თეოფილაქტე როცა ბალკანეთში მიმდინარე ამბებზე საუბრობს, წერს: „რადგან მე მოგითხოვოთ კავკასიასთან და ჩრდილოეთამდე მცხოვრებ სკვითებზე, საჭიროდ მიმაჩნია ამ დიდი ხალხის შესახებ ჩემს ისტორიაში დამატებითი თხოვობა ჩავრთო“<sup>30</sup> და გვამცნობს: როცა ზაფხული დადგა (იგულისხმება 598 წ. – ვ. გ.) იმან აღმოსავლეთში თურქები რომ კაგანს უწოდებენ მავრიკიოსთან გააგზავნა ელჩები და წერილი, რომელშიც დიდი ქებით იყო აღწერილი ყველა მისი გამარჯვება“. თეოფილაქტეს იქვე მოაქვს კაგანის წერილის დასაწყისი, სადაც კაგანი (ე. ი. ყარა-ჩურინი) თავის თავს შვიდი ტომის მბრძანებელს უწოდებს. იმპერატორს ატყობინებს, რომ მან „დაამარცხა აძღელთა ტომი, ახლა რომ ჰეფტალიტებად არიან ცნობილნი“<sup>31</sup>. ამის შემდეგ, თეოფილაქტე, როგორც ჩანს, წერილის შინაარსს გადმოსცემს და მას, მის ხელთ არსებული სხვა წყაროთა მონაცემებით ავსებს. მოგვითხობს თურქთაგან ავარების დამარცხების ამბავს და წერს: კაგანმა სხვა საქმეებიც მოიმოქმედა – დაიმორჩილა ერთ-ერთი ძლიერი და მრავალრიცხოვანი ოგორის ტომის ხალხი, რომელთა ნაწილი დასავლეთისაკენ გამოიქცა, დასახლდა ევროპაში და იქვე დასძენს, მოგითხეთ რა ავარებზე, გადავალ შემდეგ ისტორიაზე – როცა ოგორთა ტომი საბოლოოდ იქნა დამარცხებული, კაცმა ნათესაობით კაგანის ახლობელმა ტურუმმა მოინდომა სახელმწიფო გადატრიალება, შეკრიბა დიდი ძალები, მაგრამ დამარცხდა. ყველა ამ გამარჯვებების შესახებ აცნობა კაგანმა იმპერატორსო<sup>32</sup>.

როგორც ვხედავთ, ყარა-ჩურინი იმპერატორ მავრიკიოსისადმი გაგზავნილ წერილში ყურადღებას ძირითადად თურქთა მიერ ჰეფტალიტების, ავარებისა და ოგორების დამარცხებაზე ამახვილებს. კაგანაგში შინაომის დაწყება, ჩვენთვის ნაცნობი ტორემანის ამბოხებასთანაა დაკავშირებული.

ზემომოთხოვილ ამბავს, თეოფილაქტე, როგორც ითქვა, მხოლოდ კაგანის წერილზე დაყრდნობით არ გადმოგვცემს (წერილში კოლხთა დამარცხებაზე არაფერია ნათქვამი). რაც მთავარია, დასახელებული ხალხები ისტემიდ დაამარცხა, ამიტომ, ჩანს, ყარა-ჩურინი იმპერატორს, საერთოდ, თურქთა წარმატებების შესახებ ატყობინებდა. თეოფილაქტესთან კოლხთა ამოხოცვის ამბავი რადგან უშუალოდ ოგორთა დამარცხებას მოსდევს, მის წყაროს მხედველობაში დასავლეთ ციმბირში მცხოვრები მოგორები კი არა, იმ ხანად აზოვის ზღვის აღმოსავლეთით არსებული ის „ქვეყანა ონოგორია“ (ოგორთა ქვეყანა) უნდა ჰქონოდა, რომელსაც VII ს. რავენელი ანონიმი ასახელებს. „ქვეყანა ონოგორიის“ სამხრეთით კი ძველი ავტორები ლაზთა (კოლხთა) განსახლების შესახებ მიუთითებენ. ასე მაგალითად, ა. წ. II ს. ავტორი, 131 – 137 წლებში კაპადოკიის გამგებელი ფლავიუს არიანე, რომელიც კარგად იცნობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, როცა მოგვითხობს ამ სანაპიროზე მდებარე ქალაქებს შორის რა მანძილი იყო, თანამედროვე ქ. ტუაფსეს ჩრდილოეთით „ძველ ლაზიკას“ ასახელებს<sup>32</sup>.

არიანეს შემდგომი ხანის ავტორებიდან ფსევდო არიანე (V ს.) უფრო აკონკრეტებს „ძველი ლაზიკის“ მდებარეობას და წერს: ძველი ლაზიკის ადგილას ახლა ეგრეთ წოდებული ნიკოფისია მდებარეობსო<sup>33</sup>. „ძველ ლაზიკას“ იხსენიებს სტეფანე ბიზანტიელიც (VI ს.). მისი განმარტებით, „ძველი ლაზიკის“ შესახებ ცნობა თუ არიანედან მომდინარეობს<sup>34</sup>, ძველი ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლემაიოსის (გარდ. ა. წ. 161 წ.) რუკაზე შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო ლაზთა ქვეყნადა მითითებული<sup>35</sup>. რუკის გამომცემლის

ბ. გოგიას მითითებით, იმ ხანად კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი თუ აზოვის ზღვამდე არა, მდ. ყუბანმდე მაინც აღწევდა. ეს უფრო გვიანდელი წყაროებითაც ჩანს<sup>36</sup>.

მოტანილი მასალიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: თეოფილაქტეს წყარო რომ თურქთა მიერ კოლხების (ლაზების) ამოხოცვის შესახებ წერდა, მას მხედველობაში ჩრდილო კავკასიის შავიზღვისპირეთში მდებარე, ანტიკური ავტორებისათვის კარგად ცნობილი „ძველი ლაზიკის“ მიმდებარე ტერიტორიებზე განსახლებული ხალხი ჰყავდა. ოგორების („ქვეყანა ონოგორიის“) განდგურების შემდეგ, როგორც ჩანს, ავარები მათ სამხრეთით მცხოვრებ ლაზებს დაესხნენ თავს.

„ქვეყნა ონოგორიის“ განადგურებისა და ლაზთა ამოხოცვის შემდეგ ამ ხალხთა საცხოვრებელი არეალი მეზობლად მცხოვრები ტომებისათვის უპრობლემოდ დასასახლებელი მხარე რომ გამხდარა, ამას VI ს. ბიზანტიული ავტორის პროკოპიოს კესარიელის (გარდ. 562 წ.) ცნობა მოწმობს. პროკოპიოსი ჩრდილო კავკასიაში განსახლებული ხალხების აღწერისას აღნიშნავს: აი ახლა „ექვსინის პონტოს ნაპირზე დამკვიდრდნენ ჯიქები“-ო<sup>37</sup>.

ჯიქების მიერ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს დაკავების ამბავი რადგან პროკოპიოსის თხზულებაშია ასახული, იგი კი თავის ისტორიას 562 წლის წინა ხანაში წერდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახელებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის ამოხოცვა 562 წლის წინა ხანაში ავართა ლაშქრობას მოჰყვა.

ჯიქების ადგილგადანაცვლებისა და მათ მიერ შავიზღვისპირეთის დაკავება ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაშიც“ არის ასახული. ვახტანგ გორგასლის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის აღწერისას, მასში ნათქვამია: „მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისავე წიაღ, და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად უამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“<sup>38</sup>.

VI ს. შუახანებში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჯიქების დამკვიდრების შესახებ ზემომოტანილ ცნობებს, ერთი შეხედვით, ძველი ბერძენი გეოგრაფიის სტრაბონის (ძვ. წ. 64/63 – ა. წ. 23/24) მონაცემები (იგი „ზიგებს“ შავიზღვისპირეთში პენიონების ჩრდილოეთით ასახელებს. როგორც ვარაუდობენ, სარმატიდან ამ ტერიტორიაზე ჯიქების ერთ ნაწილს ძვ. წ. I ს-ში კოლხეთის სამეფოს დაცემის შემდეგ უნდა შეედწია<sup>39</sup>), ეწინააღმდეგება. მაგრამ, გარდა იმისა, რომ ზოგი მკვლევარი სტრაბონისეულ ზიგებს სარმატული მოდგმის იაზიგებთან (რომლებიც შემდეგ ბალკანეთში გადასახლდნენ) აკავშირებს<sup>40</sup>, თვით სტრაბონის მონაცემები პენიონებისა და ზიგების საცხოვრისი ადგილის შესახებ იმდენად ზოგადია<sup>41</sup>, რომ მათი განსახლების ადგილის ზუსტი განსაზღვრა ჭირს. აღნიშნულთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, ეთნონიმი კოლხი რადგან „სხვა უფრო წვრილ, როგორც ქართველურ (მეგრულ-ქანურ და სვანურ), ისე შესაძლებელია, აფხაზურ-ადილეურ ტომებსაც“ ფარავდა<sup>42</sup>, უნდა ვივარაუდოთ, რომ 558 წლის შემდგომ ახლო ხანაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ კოლხებთან (ლაზებთან) ერთად აფხაზურ-ადილეური მოსახლეობაც გახდა ავართა თავდასხმის მსხვერპლი. იმ მხარეში „ძველი ლაზიკის“ არსებობის გამო, შესაძლოა, თეოფილაქტეს წყარომ მთელი მოსახლეობა კოლხებად მიიჩნია. მოსახლეობისაგან დაცლილ ზღვისპირეთში კი სარმატიდან ჯიქების ახალი, დიდი მასის ჩასახლება მოხდა, რაც აისახა პროკოპიოს კესარიელის თხზულებაში.

ახლა ისევ ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ არსებულ ცნობას დავუბრუნდეთ.

ქართული წყაროს „ბოლო აფხაზეთისა“ სწორედ ფლავიუს არიანეს „ძველ ლაზიკას“ შეესაბამება. ჯიქების მიერ შავიზღვისპირეთის დაკავება წყაროში ჩრდილო კავკასიაში ვახტანგ გორგასლის ლაშქრობიდან (447 – 450 წწ.) „შემდგომად უამთა მრავალთა“ თურქთაგან პაჭანიკთა დამარცხებას უკავშირდება, ამიტომ იგი XI ს-ში მომხდარ ამბად იქნა მიჩნეული<sup>43</sup>, მაგრამ ქართული წყაროს ცნობა რადგან პროკოპიოს კესარიელის მითითებას იმეორებს და ხალხთა ადგილგადანაცვლება ზუსტად ემთხვევა იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ჩრდილო კავკასიაში ავართა გამოჩენის შემდეგ შეიქმნა, ვფიქრობ, გარკვეული საფუძველი არსებობს პროკოპიოსისა და ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ არსებული ცნობები თეოფილაქტე სიმოკატას მონაცემთა ანალიზიდან გამომდინარე შედეგების (ე. ი. კოლხთა ამოხოცვის შემდეგ ზღვისპირეთის ტერიტორია ოთხი დღის სავალზე რომ უკაცრიელი შეიქმნა) დამადასტურებლად მივიჩნიოთ. მართალია, თეოფილაქტეს ცნობა თურქთა (იგივე ავართა) მიერ 300 ათასი კოლხის (ლაზის) ამოხოცვის შესახებ გარკვეულწილად გაზვიადებულია, მაგრამ იგი, როგორც ვნახეთ, ისტორიული რეალობის ამსახველი უნდა იყოს.

რა წყაროთი სარგებლობდა ის პიროვნება, რომელმაც ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ შეიტანა ცნობა თურქთა დაწოლით პაჭანიკებისა და ჯიქთა ადგილგადანაცვლების შესახებ, ძნელი სათქმელია. იმის ვარაუდი კი შეიძლება, ასეთი ჩანამატი ვახტანგის „ცხოვრების“ ტექსტში XI საუკუნეში „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენა-რედაქტირებისას ლეონტი მროველს შეეტანა. ჩანართის ავტორმა (ლეონტიმ?) ჩრდილო კავკასიაში მოსული თურქთა დაწოლით როცა დასავლეთისაკენ პაჭანიკთა, ხოლო ჯიქთა „აფხაზეთის ბოლოს დამკვიდრების“ შესახებ ვახტანგის „ცხოვრებაში“ ცნობა ჩართო, მან არ იცოდა როდის მოხდა ასეთი ადგილგადანაცვლება, ამიტომ ეს ამბავი ჩრდილო კავკასიაში ვახტანგის ლაშქრობიდან „შემდგომადა უამთა მრავალთა“ განსაზღვრა, ხოლო თურქთაგან დევნილი ავარების სახელი მის თანადროული პაჭანიკებით შეცვალა<sup>44</sup>. ჯიქების აფხაზეთის ბოლოს დამკვიდრება ჩრდილო კავკასიაში თურქების მოსვლას დაუკავშირა.

ახ. წ. II – VI საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე რომ ლაზური მოსახლეობა იყო, შემთხვევითი არაა. როგორც ცნობილია, უძველესი დროიდან მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ქართველური ტომები ფართოდ გავრცელდნენ ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ და დაიკავეს სამხრეთი, თითქმის, მთელი ანატოლია, ხოლო ჩრდილოეთით ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია გროზნოს მხარის ჩათვლით<sup>45</sup>. ეს ტერიტორია, არა თუ VI, XI საუკუნეშიც რომ ქართული მხარე იყო, კარგად სცოდნია ლეონტი მროველს. მისი ცნობით, ეგრისელთა (ლაზთა, კოლხთა) ეპონიმის – ეგროსის წილხვდომილი ქვეუნის ჩრდილო საზღვარი იყო „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიას“<sup>46</sup>.

ზემომოტანილ ცნობაზე დაყრდნობით, ივ. ჯავახიშვილმა ეგრისის ჩრდილოეთის „მოსაზღვრე ხაზად მდ. უუბანის შესართავი და კავკასიის ქვერი“ მიიჩნია<sup>47</sup>, მაგრამ, როგორც ზ. რატიანი წერს, ლეონტის მონაცემიდან გამომდინარე, ეგრისის ჩრდილოეთი საზღვარი მთლიანად მდ. უუბანის დინება იყო<sup>48</sup>. მისი სიტყვით, ძველად საქართველოს გარკვეული ნაწილი ჩრდილო კავკასიაშიც მდებარეობდა – ეს იყო „პირიქითა საქართველო“<sup>49</sup>. იგი მდ. უუბანის დინების სამხრეთი მდებარე ტერიტორიას მოცავდა ტამანის ხახვარკუნძულამდე და ლეონტი მროველის თანახმად, უძველესი დროიდან

